მორის
შალიკაშვილი

არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები

თბილისი, 2013

შესავალი
არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროექტის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის თანახმად, სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია პასუხისმგებლობისა და საპატიმრო სასჯელის ალტერნატივების შემუშავება და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია.[1]

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა სისხლის სამართლის რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. 2010 წელს საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა, შექმნას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებათა კონვენციის პრინციპებსა და ნორმებს, გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მომზადდა რიგი კანონპროექტებისა, რომლებიც გამიზნულია არასრულწლოვან ბრალდებულთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროდან „აცილებაზე“ (diversion). შექმნილია არასრულწლოვანთა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან.

განრიდების და მედიაციის პროგრამის მიზანია, ის არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, ბოდიში მოუხადა დაზარალებულს, მზად არის აანაზღაუროს მიყენებული ზარალი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ახალი პროგრამა ერთი მხრივ, განარიდებს არასრულწლოვანს სისხლის სამართლის სისტემისა და ნასამართლობისაგან, მეორე მხრივ, ხელს უწყობს სამართლიანობის აღდგენას, რეციდივის თავიდან აცილებას და მოზარდის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

1 http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=652&info_id=3496, 2012 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით.

2010 წლის 15 ნოემბრიდან ამოქმედდა არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, რომელიც არასრულწლოვნის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ახალი მექანიზმია. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 3 ძირითადი აქტორი: პროკურორები, სოციალური მუშაკები და მედიატორები. დისკრეციული დევნის წესის გამოყენება შესაძლებელია იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებმაც ალბათობის მაღალი ხარისხით ჩაიდინეს დანაშაული, რომლებმაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის უკვე მიაღწიეს 14 წლის ასაკს და ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ სრულწლოვანებამდე (18 წელი), რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, თუ ის აღიარებს დანაშაულის ჩადენას, მზად არის აანაზღაუროს ზიანი და ბოდიში მოუხადოს დაზარალებულს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აღნიშნული პროგრამის მთავარი მიზანია არასრულწლოვანს მისცეს ერთი შანსი და ხელი შეუწყოს მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. ამასთანავე პროგრამა ემსახურება დაზარალებულის კმაყოფილების დონის გაზრდასა და არასრულწლოვანთა მხარდაჭერის ღონისძიებებში მათ ჩართვას".[2]

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო 2010 წლის 15 ნოემბერს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე წერდა: „განრიდებისა და მედიაციის პროგრამა სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ლიბერალიზაციის ნაწილია და იგი პროკურორებს საშუალებას აძლევს საპილოტე ქალაქებში – თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში, არასრულწლოვანი განარიდონ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ იარსებებს დასაბუთებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამ არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, და თუ მან დანაშაული პირველად ჩაიდინა. ასეთ შემთხვევაში პროკურორს შეუძლია იზრუნოს არასრულწლოვნის სოციალურ დატვირთვაზე, მხარეებთან ერთად ხდება განსაზღვრა სასჯელის ნაცვლად მოზარდი დაზარალებულის ან სახელმწიფოს სასარგებლოდ თუ რა სახის შრომას გაწევს, ან სულაც საგანმანათლებლო ან სპორტული საქმიანობით დაკავდება.

პროგრამის ამოქმედებამდე პროკურორებმა, სოციალურმა მუშაკებმა და მედიატორებმა სათანადო ტრენინგები გაიარეს. სწორედ მათ ეძლევათ საშუალება არასრულწლოვნის სასჯელისგან განრიდების შემდეგ, მოზარდის

2 ზაზაშვილი, ნ., პირადი ჩანაწერები.

სოციალურ რეინტერგაციაზე იზრუნონ. არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ძირითადი მიზანია, საზოგადოებას დაუბრუნდეს სრულყოფილი მოქალაქე. ამიტომაც არასრულწლოვნის რეაბილიტაციას და სოციალურ რეინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება".[3]

2010 წლის სექტემბერში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც პროკურორს მიეცა არასრულწლოვანი დამნაშავის მიმართ დევნის დაწყების ან დაწყებაზე უარის თქმის დისკრეციული უფლებამოსილება.

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების შემოღებამ შესაძლებელი გახადა განრიდების და მედიაციის პროგრამის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის, შემოღება, რომელიც დღეის მდგომარეობით საქართველოს 35 ქალაქში ხორციელდება.

„არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის №235-ე ბრძანებულება პირდაპირ მიუთითებს დამნაშავე-დაზარალებულის მედიაციაზე, როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის ახლებურ (ნულოვანი ტოლერანტობის კრიმინალური პოლიტიკის საწინააღმდეგო) მიდგომაზე.

არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის არსი

„განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216-ე ბრძანების თანახმად, განრიდება *(diversion)* არის არასრულწლოვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელსაც იყენებს პროკურორი. განრიდების მიზანი არის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს თავიდან ააცილოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობა. ემპირიული კვლევების თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები, რომელთა მიმართაც გამოყენებული იყო განრიდება, შემდგომში უფრო ნაკლებად ჩადიოდნენ დევიაციურ ქცევას, ვიდრე ის მო-

3 იხ.: http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=23&info_id=2846, 2010 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით.

ზარდები, რომელთა მიმართაც განრიდება არ გამოიყენეს და მათ ურთიერთობა ჰქონდათ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან.[4]

განრიდების არსი მდგომარეობს ფორმალური სახელმწიფო კონტროლის არაფორმალურ კონტროლზე „გადამისამართებაში“.[5] არაფორმალური კონტროლის მექანიზმებისათვის მოზარდის „გადამისამართება“ ხდება პროკურორისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216-ე ბრძანების თანახმად, მედიაცია არის არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. სისხლის სამართალში მედიაციის განვითარების მიზანია, დაცული იყოს დაზარალებულის ინტერესები. მედიაციის, როგორც „სტრუქტურირებული მოლაპარაკების პროცესის“[6] განხორციელების არსი მდგომარეობს პროფესიონალი მედიატორის დახმარებით კონფლიქტში მონაწილე მხარეების შერიგებაში, კონფლიქტის მოგვარებაში, რომელმაც ორივე მხარეს დადებითი შედეგები უნდა მოუტანოს: კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი დაზარალებულთან ურთიერთობით იძულებული ხდება პასუხისმგებლობა აიღოს მის მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებაზე, საკუთარ ქმედებას შეხედოს დაზარალებულის თვალით, ხოლო მის მიერ დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდა და მისთვის მიყენებული ზარალის (თუნდაც სიმბოლური) ანაზღაურება მიჩნეულია დაზარალებულის მხრიდან სახელმწიფო ორგანოებისა და ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო ნორმებისადმი ნდობის დაბრუნების მნიშვნელოვან ასპექტად.[7]

აღდგენითი მართლმსაჯულება

განრიდება და მედიაცია არის აღდგენითი (რესტორაციული[8]) მართლმ-

4 Laubenthal, K./Baier, H. , 2006. S. 19.
5 იგივე, გვ. 20.
6 ცერცვაძე, გ. 2010. გვ. 34.
7 Laubenthal, K./Baier, H. , 2006. S. 221.
8 რესტორაციული სამართალი (აღდგენითი მართლმსაჯულება) გულისხმობს, რომ არასრულწლოვანი პასუხისმგებლობას იღებს თავის არასამართლებრივ საქციელზე. ოჯახი, საზოგადოება და თავად დამნაშავე ერთად არიან ჩართულნი ამ პროცესში, არასრულწლოვანს თავად შეუძლია მიიღოს

საჯულების ნაწილი,[9] რომლის ძირითადი მიზანია, დამნაშავე მოზარდმა აიღოს პასუხისმგებლობა ჩადენილ ქმედებაზე[10] და მოახდინოს საზოგადოებაში სწრაფი ინტეგრაცია, რაც ხელს შეუშლის დანაშაულის განმეორებით ჩადენას.[11] აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენებით „მოგებულია“ როგორც დამნაშავე, დანაშაულის მსხვერპლი და საზოგადოება.[12]

მედიაცია ეფუძნება აღდგენითი მართლმსაჯულების ფილოსოფიას. ტონი მარშალის აღიარებული დეფინიციის მიხედვით აღდგენითი მართლმსაჯულება არის „პროცესი, სადაც ყველა მხარე, რომელსაც კავშირი აქვს კონკრეტულ დანაშაულთან, იკრიბება, რათა კოლექტიურად გადაწყვიტონ დანაშაულის შედეგი და მისი გავლენა მომავალზე“.[13]

ბოლო წლებში აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება მეტად პოპულარული გახდა ევროპის ქვეყნებში. ეს განპირობებულია 1999 წლის ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის № R (99)19 რეკომენდაციით, რომლის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ მედიაცია, როგორც სერვისი სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე. მოცემული რეკომენდაციის მე-10 მუხლის მიხედვით: 1) ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მედიაციას სისხლის სამართლის საქმეების იმ დანაშაულებზე, რომლისთვისაც ამ ღონისძიების გამოყენებას მიზანშეწონილად ჩათვლის; და 2) ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ამგვარი მედიაციის მსვლელობისას დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მიღწეული ნებისმიერი შეთანხმება გათვალისწინებული იქნეს სისხლის სამართლის პროცესში.[14]

ევროსაბჭოს იმავე რეკომენდაციის თანახმად, მედიაცია სისხლის სამართალში მიჩნეულია, როგორც პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული დამატებითი ან ალტერნატიული საშუალება ტრადიციულ სისხლის სამართლის წარმოებასთან ერთად.[15]

აღდგენითი მართლმსაჯულება ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:[16]

მონაწილეობა შესაფერისი დასჯითი ზომების შერჩევაში. ასეთი მართლმსაჯულება არ უკავშირდება ფორმალურ სამართლებრივ სისტემას, შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთაც გამორიცხულია.

9 Winter, F. (Hrsg.), 2004. S. 15.

10 ხერხეულიძე, ი., 2011. გვ. 224.

11 Winter, F. (Hrsg.), 2004. S. 16.

12 იქვე.

13 გვენეტაძე, ნ./კვაჭაძე, მ./წიკლაური-ლამიხი, ე./გაბუნია, მ., 2012. გვ. 145.

14 „ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისაკენ“. ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI). თბილისი 2011. გვ. 57.

15 გვენეტაძე, ნ./კვაჭაძე, მ./წიკლაური-ლამიხი, ე./გაბუნია, მ., 2012. გვ. 145.

16 „ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისაკენ“. ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI). თბილისი 2011. გვ. 57.

- საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორება;
- დაზარალებულისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება;
- დანაშაულის მსხვერპლის განკურნება;
- პასუხისმგებლობის აღება;
- დამნაშავის მიერ ქცევის გამოსწორება;
- მოქალაქეების უშუალო მონაწილეობა კრიმინალური დავების გადაწყვეტაში.

ტრადიციული (სადამსჯელო) მართლმსაჯულებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მეტად საინტერესო შედარებას გვთავაზობს ციხის საერთაშორისო რეფორმის (PRI) მიერ გამოცემული ანალიზი:[17]

ტრადიციული მართლმსაჯულება	**აღდგენითი მართლმსაჯულება**
დანაშაული განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონების დარღვევა	დანაშაული განისაზღვრება, როგორც ერთი პირის მიერ მეორე პირის უფლების შელახვა
აქცენტი კეთდება ბრალდებულისათვის ბრალეულობის დადგენაზე	აქცენტი კეთდება პრობლემის მოგვარებაზე
შეჯიბრებითი სასამართლო პროცესი	დიალოგი და მოლაპარაკება
სასჯელის შეფარდება და დასჯა	მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მხარეების შერიგება
სახელმწიფოს რეაგირების სიმკაცრე დამოკიდებულია სამართალდამრღვევის წარსულზე	რეაგირება დამოკიდებულია საზიანო შედეგზე და არა მის წარსულზე
ერთი სოციალურად საზიანო ფაქტორის ჩანაცვლება მეორეთი	ყურადღების გამახვილება სოციალური ზიანის გამოსწორებაზე
დაზარალებულის უგულებელყოფა	დაზარალებულის უფლებების დაცვა

პირველი თავი
კანონთან კონფლიქტში მყოფ

17 „ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისაკენ“. ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI). თბილისი 2011. გვ. 58-59; არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია. გაეროს ბავშვთა ფონდი. თბილისი 2004. გვ. 301.

არასრულწლოვანთა თავისებურებანი

1.1. არასრულწლოვნის ასაკი

არასრულწლოვნის ან მოზარდის ზუსტი ცნება არ არსებობს. მოზარდობის ანუ არასრულწლოვნობის ასაკი არის ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის პერიოდი. არასრულწლოვნის განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე – ის მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია.[18]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად კი, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვნად ითვლება პირი, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი“.

1989 წლის 20 ნოემბრის გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, ბავშვად მიიჩნევა ყველა ადამიანი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ქვეშ იგულისხმება 14-დან 17 წლამდე მოზარდების მიერ დანაშაულის ჩადენა.[19]

1.2. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

საქართველოს მოსახლეობაში 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა პროცენტული რაოდენობის შესახებ ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 15-იდან 24 წლამდე ახალგაზრდების საერთო რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 725 ათასს, რაც მთელი მოსახლეობის (4 383 000) 16,8 %-ია, ხოლო 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 15-დან 19 წლამდე მოზარდთა რაოდენობა დაახლოებით 320 ათასია, რაც საქართველოს მოსახლეობის (4 497 000) 7,1%-ს შეადგენს.[20]

18 Göppinger, H., 2008. S. 381.
19 იხ.: ღლონტი, გ. (რედ.), 2008, გვ. 290.
20 http://www.geostat.ge 2012 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით.

არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობასთან შედარებით:[21]

წლები	**მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა**	**მსჯავრდებულ არასრულწლოვნების საერთო რაოდენობა**	%
1990	7 481	499	6.7
1991		492	
1992	3 730	335	9.0
1993	X	X	
1994	8 283	X	
1995	7 094	455	6.4
1996	X	491	
1997	7 646	357	4.7
1998	6 998	357	5.1
1999	7 973	383	4.8
2000	8 284	388	4.7
2001	8 897	525	5.9
2002	8 579	497	5.8
2003	8 110	459	5.7
2004	9 071	598	6.6
2005	9 168	475	5.2
2006	13 607	1 002	7.3
2007	21 170	1 060	5.0
2008	20 804	1 166	6.2
2009	18 354	803	4,4
2010	19 940	883	4,4
2011	18 153	669	3,7
2012	10 922	475	4,3

მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა სქესის და ასაკის მიხედვით

21 იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჟურნალი „მართლმსაჯულება საქართველოში“, 2009 წლის სტატისტიკა, გვ. 108; http://www.geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo, 2013 წლის 10 აპრილის მდგომარეობით.

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
მსჯავ- რდებულ არასრულ- წლოვანთა საერთო რაოდე- ნობა	388	525	497	459	598	475	1 002	1 060	1 166	803	883	669	475
ბიჭები	386 99,5%	520 99%	486 97,8%	450 98%	588 98,3%	469 98,7%	979 98,1%	1 026 96,8%	1 119 95,9%	767 95,5%	853 97%	638 95,4%	450 94,8%
გოგონები	2 0,5%	5 1%	11 2,2%	9 2%	10 1,7%	6 1,3%	23 1,9%	34 3,2%	47 4,1%	36 4,5%	30 3%	31 4,6%	25 5,2%
14-15 წლის	65 16,8%	99 18,9%	102 20,5%	122 26,6%	170 28,4%	127 26,7%	323 31,4%	298 28,1%	299 25,6%	206 25,6%	226 26%	201 30%	
16-17 წლის	323 83,2%	426 81,1%	395 79,5%	337 73,4%	428 71,6%	348 73,3%	679 68,6%	762 71,9%	865 74,4%	597 74,3%	657 74%	468 70%	

არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ გამოყენებული სასჯელების სახეები:[22]

22 იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჟურნალი „მართლმსაჯულება საქართველოში“, 2009

ღონისძიებები	2003 წელი	2004 წელი	2005 წელი	2006 წელი	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი
სულ არასრულწ. მსჯავრ. რაოდ.	459	598	475	1002	1060	1166	803	883	669	475
თავისუფლების აღკვეთა	108 23,5%	140 23,4%	104 21,9%	340 33,9%	426 40,2%	381 32,7%	272 33,9%	296 33,5%	190 28,4%	129 27,1%
გამასწორებელი სამუშაოები	3 0,7%	7 1,2%	9 1,9%							
პირობითი მსჯავრი	325 70,8%	411 68,7%	333 70,1%	620 61,9%	597 56,3%	724 62,1%	427 53,2%	416 47%	405 60,5%	
გადაედო განაჩ. აღსრულება	2 0,4%	1 0,2%	3 0,6%							
სხვა სასჯელი	21 4,6%	39 6,5%	26 5,5%	42 4,2%	37 3,5%	61 5,2%	104 13%	171 19,4%	74 11,1%	

მოცემული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ:

- მსჯავრდებულთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რაოდენობა მერყეობს 4-დან 6 %-მდე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული ყველა დროში ხდება. 90-იანი წლების მძიმე პერიოდში 2003 წლამდე და 2003-2012 წლებში არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პროცენტული მაჩვენებელი ყოველთვის მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 4-6 %-ს შეადგენდა;
- სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცალსახად მეტყველებს ქვეყანაში ნულოვანი ტოლერანტობის კრიმინალური პოლიტიკის განხორციელებაზე, რამაც 2006 წლიდან როგორც სრულწლოვანთა, ასევე არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია;
- არასრულწლოვან დამნაშავეთა შორის ვაჟების მიერ ჩადენილი დანაშაულის მაჩვენებელი 95 %-ია;
- 16-17 წლის არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა 3-ჯერ მეტია 14-15 წლის მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობაზე, რაც, პირველ რიგში, შეიძლება განპირობებული იყოს 16-17 წლის მოზარდების ფიზიკური აღნაგობით, სოციალური და მატერიალური პრობლემების მძაფრი აღქმადობით;
- არასრულწლოვნების მიმართ გამოყენებულ სასჯელთა შორის პრო-

წლის სტატისტიკა, გვ. 113; http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli2010.pdf; http://www.geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo, 2013 წლის 10 აპრილის მდგომარეობით.

ცენტულად სჭარბობს თავისუფლების აღკვეთა. სტატისტიკის მიხედვით საქართველოში ყოველ მესამე არასრულწლოვანს სასჯელის სახით შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა. მაშინ, როცა, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში თავისუფლების აღკვეთა დაახლოებით, ყოველი მეათე არასრულწლოვნის მიმართ გამოიყენება. მოზარდების მიმართ თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკიდურესი ზომა,[23] უკანასკნელი საშუალება (ultima ratio) და არა ისე, როგორც დღეს პრაქტიკაშია დამკვიდრებული. აღნიშნული ნათლად მიუთითებს ალტერნატიული სასჯელების ან პასუხისმგებლობის, მათ შორის განრიდებისა და მედიაციის, ღონისძიებების არსებობისა და გამოყენების აუცილებლობაზე;

- არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ასეთი მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ ნაკლებად ხდება ალტერნატიული სასჯელების გამოყენება.

1.3. მოზარდთა ფსიქოლოგიური თავისებურება / არასრულწლოვანთა გარდატეხის პერიოდი

ტერმინი „გარდატეხის პერიოდი“ პირველად მე-16 საუკუნის ბოლოს გამოიყენეს. ლათინურად *Pubertas* ანუ პუბერტატული პერიოდი – ნიშნავს ადამიანის სექსუალურ მომწიფებას, ჩამოყალიბებას.[24]

მე-19 საუკუნეში მოზარდებში გარდატეხის პერიოდი დაახლოებით 17 წლის ასაკიდან იწყებოდა. ამჟამად სქესობრივი მომწიფების პერიოდს გოგონები 10-18 წლის ასაკში, ხოლო ვაჟები 12-20 წლის ასაკში გადიან.[25] ადამიანში გარდატეხის პერიოდი გამოირჩევა ბიოლოგიური და ფსიქიკური განვითარების მნიშვნელოვანი თავისებურებებითა და ცვლილებებით.

გარდატეხის პერიოდი და (ამ პერიოდის) სოციალიზაცია მკაცრად განსაზღვრავს ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებას.[26] ადამიანში ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური „დამუშავებები“ ხელახლა ყალიბდება.[27]

როგორც უკვე აღინიშნა, გარდატეხის პერიოდი არის სექსუალური მომწიფების 5-8 წლიანი პროცესი, რომლის შედეგადაც მათგან ზრდასრული

23 იხ.: არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი თავისებურების შესახებ შალიკაშვილი, მ./ მიქანაძე, გ. 2011. გვ. 83.
24 Schäfers. B., 1994. S. 83.
25 მოზარდის სექსუალური განვითარების შესახებ იხილეთ: ქურხული, ლ., 2006. გვ. 41-42.
26 Hurrelmann, K., 2010. S. 26.
27 იქვე.

ქალი და მამაკაცი ყალიბდება.[28] ამ ბიოლოგიური პროცესის განმავლობაში მოზარდში ხდება სასქესო ორგანოს განვითარება და მეორადი სასქესო ნიშნების ჩამოყალიბება: ხმის დაბოხება, სხეულის სხვადასხვა ნაწილზე თმის ამოსვლა. მოზარდის სხეულის ეს ცვლილებები განპირობებულია ჰორმონების ცვლილებებით, რომელიც ორგანიზმში პუბერტატული ასაკის დადგომისას ხდება, ყოველგვარი გარეგანი ჩარევის გარეშე. ტესტოსტერონი (Testosteron) და ესტროგენი (Estrogen) არის ის ორი ძირითადი ჰორმონი, რომელიც მოზარდის სხეულის ცვლილებებს განაპირობებს.

მოზარდის სხეულის ცვლილებები დაკავშირებულია მის ფსიქიკურ განვითარებასთან. გარდატეხის პერიოდში მოზარდი ხასიათდება ენერგიის მოზღვავება, რომელიც ზოგჯერ ყოველგვარი ნორმების გათვალისწინების გარეშე იჩენს თავს (იხარჯება).[29]

როგორც აღვნიშნეთ, მოზარდის ორგანიზმში გარდატეხის პერიოდში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლა დიდ გავლენას ახდენს მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. მოზარდს ამ პერიოდში აღენიშნება ხშირი უხასიათობა, განწყობის სწრაფი (უმიზეზოდ) ცვალებადობა, სურვილთა მრავალფეროვნება, ზედმეტი ემოციურობა, საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება, გულმავიწყობა, ფანტაზიორობა, წინდაუხედაობა, გადაწყვეტილების მიღების გაძნელება და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოზღვავებული ენერგია. მოზარდები ამ პერიოდში ზედმეტად იმპულსური არიან და ვერ აკონტროლებენ ემოციებს,[30] ანუ არ შეუძლიათ საკუთარი მოქმედებით გამოწვეული შედეგების გათვალისწინება. მოზარდები ცდილობენ საკუთარი „მე“-ს წარმოჩენას და ზეწოლად აღიქვამენ ყოველგვარ საწინააღმდეგო აზრს.[31]

მეცნიერული კვლევის უახლესი ტექნიკური მეთოდების განვითარებამ აჩვენა, რომ მოზარდებში და ზრდასრულ ადამიანებში ემოციების გადამუშავება ტვინის სხვადასხვა სფეროში ხდება. მეცნიერული კვლევისას ცდაში მონაწილე მოზარდებს და ზრდასრულ პირებს აჩვენეს გაცინებული, გაბრაზებული, აგრესიული და აღშფოთებული ადამიანების სურათები. ცდისპირებს უნდა გადმოეცათ (აღეწერათ) თითოეული მიმიკის შესაბამისი ემოცია. ამ დროს მეცნიერები კომპიუტერის საშუალებით აკვირდებოდნენ ცდისპირთა

28 Schäfers. B., 1994. S. 83.
29 იხ.: Schaffstein, F. / Beulke, W., 2005. S. 5; Kaiser, G., 1973. S. 38; ასევე, ინწკირველი, ზ., 2000. გვ. 88.
30 დიმიტრი უზნაძის აზრით იმპულსური მოქმედება „სუბიექტის ცნობიერი წარმართვის გარეშე მიმდინარეობს: მათ უფრო ის სიტუაცია განსაზღვრავს, რომელშიც სუბიექტს თავისი მოქმედების გაშლა უხდება“. უზნაძე, დ., 2006. გვ. 173.
31 Schaffstein, F. / Beulke, W., 2005. S. 5; Paasch, E., 2001. S. 373.

„მომუშავე“ ტვინს. მოზარდი ცდისპირების შემთხვევაში მოცემული ამოცანის შესრულება ხდებოდა ტვინის სტრუქტურაში, რომელსაც ამიგდალა (*Amygdala* – ნუშისებრი სხეული) ჰქვია. ტვინის აღნიშნული სტრუქტურა (რომელიც ბირთვების ჯგუფს წარმოადგენს) გამოირჩევა გადაწყვეტილებების სწრაფი და ემოციური მიღებით. ზრდასრული ადამიანები იგივე ამოცანას ასრულებდნენ უფრო მეტად განვითარებულ და ამიგდალაზე იერარქიულად მაღლა მდგომ ტვინის სტრუქტურაში—ფრონტალურ კორტექსში, ანუ შუბლის წილის ქერქში (*Frontal Cortex*). მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გარდატეხის პერიოდში მოზარდებს არ შესწევთ ემოციების ზუსტად აღქმის უნარი და ხშირად რეაგირებენ იმპულსურად.[32]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გარდატეხის პერიოდში საქმე გვაქვს მოზარდის არა მარტო სექსუალურ განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან, არამედ მის სულიერ ღირებულებათა კონფლიქტთან. მოზარდი საკუთარი „მე“-ს წარმოჩენის მიზნით ხშირად ჩადის ისეთ ქმედებას, რაც სცილდება სოციალური ურთიერთობის ნორმებს და სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. სწორედ იმის გამო, რომ გარდატეხის პერიოდში მოზარდში მიმდინარეობს ბიოლოგიური და ფსიქიკური განვითარება, საუბარია მოზარდის (არასრულწლოვნის) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებზე. კერძოდ, გარდატეხის პერიოდში, მოზარდის რთული მდგომარეობის გამო, ვსაუბრობთ მის შეზღუდულ შერაცხადობაზე.

1.4. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული თავისებურება

სისხლის სამართლის კოდექსით არასრულწლოვნებისთვის, სრულწლოვნებთან შედარებით, გათვალისწინებულია რიგი სამართლებრივი განსხვავებები,[33] რაც გამოწვეულია მათი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების თავისებურებებით.

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული თავისებურება პირველ რიგში ეხება სასჯელის და სასჯელის ზომების შერჩევას. კანონმდებელი არასრულწლოვანთა მიმართ არ იყენებს ისეთი სახის სასჯელებს, როგორიცაა უვადო თავისუფლების აღკვეთა, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, ქონების ჩამორთმევა და თანამდებობის

32 http://www.planet-wissen.de/pw

33 იხ.: არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი თავისებურების შესახებ. შალიკაშვილი, მ./ მიქანაძე, გ. 2011. გვ. 64-107.

დაკავება.

სისხლის სამართლის კოდექსი ასევე ითვალისწინებს აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების გამოყენებასაც. მართალია, აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებები პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენება, მაგრამ განსხვავებით სრულწლოვანი ბრალდებულისაგან, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ მოსამართლეს შეუძლია გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლში გათვალისწინებული გაფრთხილება, საზედამხედველოდ გადაცემა, ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება, ქცევის შეზღუდვა ან სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსება.

ამავე დროს, განსხვავებულია არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის ფორმის თავისუფლების აღკვეთის ზომა. სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლის მიხედვით, 14-დან 16 წლამდე არასრულწლოვნის მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნას თავისუფლების აღკვეთა 10 წლამდე ვადით, ხოლო 16-დან 18 წლამდე – 15 წლის ვადით.

სისხლის სამართლის კოდექსი არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის თავისებურებებს პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევებშიც ითვალისწინებს. სისხლის სამართლის კოდექსის 98-ე, 99-ე და მე-100 მუხლები ითვალისწინებს განსხვავებულ, უფრო ნაკლებ ვადებს პირობით ვადამდე გათავისუფლების, ხანდაზმულობის და ნასამართლობის გაქარწყლების შემთხვევაში, რაც ასევე მეტყველებს არასრულწლოვანთა საკანონმდებლო რეგულირების თავისებურებაზე.

მეორე თავი
არასრულწლოვანთა განრიდების

და მედიაციის განხორციელების აუცილებლობის თეორიული საფუძველი

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ხშირად საუბრობენ მოზარდთა დანაშაულზე, როგორც საზოგადოების განუკურნებელ სენზე, რომელიც მხოლოდ მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკით შეიძლება დამარცხდეს. მედიისგან განსხვავებით, კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში არასრულწლოვანთა დანაშაული მიჩნეულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ნაკლები მატერიალური ზარალისა და საშიშროების მქონე დანაშაული,[34] რომელიც ნორმალური მოვლენაა, გავრცელებულია საზოგადოების ყველა ფენაში და ახასიათებს ეპიზოდურობა. გარდა ამისა, ასეთი სახის დანაშაული ხშირად სპონტანურად, წინასწარი დაგეგმვის გარეშეა ჩადენილი და მისი მონაწილენი დაბალი კრიმინალური აქტივობით გამოირჩევიან.

ზრდასრულების მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის ასე გაზვიადება შესაძლებელია განპირობებული იყოს ორი კომპონენტით:

- უფროსების მიერ უმცროსების მიმართ მენტორული დამოკიდებულებით. უფროსები თვლიან, რომ უმცროსები მათ უნდა უჯერებდნენ. მაგრამ, როცა ეს ასე არ ხდება, შეურაცხყოფილი და გაბრაზებული უფროსი უმცროსის მიერ ჩადენილ ქმედებას გაზვიადებულად წარმოაჩენს.
- დამნაშავე მოზარდი უფროსებისთვის ხდება „განტევების ვაცი“, რომელმაც საკუთარის გარდა, სხვათა ბრალეულობის გამოც უნდა აგოს პასუხი. საზოგადოება მისი დასჯით უარყოფს საკუთარ როლს მის დამნაშავედ ჩამოყალიბებაში და თავისი ბრალეულობა დანაშაულის ჩამდენ პირზე გადააქვს.[35]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არასრულწლოვანთა დანაშაულს ახასიათებს: ნორმალურობა, ეპიზოდურობა და საზოგადოების ყველა ფენაში გავრცელება. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

2.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის ნორმალური ხასიათი

კვლევები ადასტურებს, რომ ქვეყანაში ლატენტურ დანაშაულობათა

34 Albrecht, P.-A., 2005. S. 12.
35 Kaiser, G., 1996. S. 273.

საერთო რაოდენობაში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ ლატენტურ დანაშაულობათა ხვედრითი წილი ყველაზე დიდია,[36] მიუხედავად იმისა, რომ მოზარდები ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 16-18%-ს შეადგენენ. არასრულწლოვანთა დანაშაული მათი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური მდგომარეობითაა განპირობებული და ეს საზოგადოების *ნორმალური* გამოვლინებაა,[37] ანუ თითქმის ყველა არასრულწლოვანი ერთხელ მაინც არღვევს კანონის ნორმას.[38]

შესაბამისად, საზოგადოებისათვის პრობლემას ზოგადად არასრულწლოვანი დამნაშავეები კი არ წარმოადგენენ, არამედ სერიული არასრულწლოვანი დამნაშავეები (*minderjäriger Intensivtäte*r, *chronic offender*),[39] რომელთა მიმართ სახელმწიფომ მოქნილი პრევენციული ღონისძიებები უნდა დაგეგმოს და განახორციელოს.

2.2. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ყველა საზოგადოებაში გავრცელება

გარდა იმისა, რომ დამნაშავე პირთა ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით არასრულწლოვანთა დანაშაული გავრცელებულია საზოგადოების ყველა სოციალურ ფენაში და ის ნორმალური მოვლენაა, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, არასრულწლოვანთა დანაშაული ყველგან და ყველა დროშია გავრცელებული – ლათინურად *Ubiquität* გულისხმობს ღმერთის ყველგან და ყველა დროში არსებობას.[40]

გერმანიაში ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ განურჩევლად სოციალური მიკუთვნებისა, მოზარდები ერთხელ მაინც არღვევენ კანონს. მაგალითად, კირხჰოფის მიერ 70-იან წლებში ჩატარებულმა 976 სკოლის მოსწავლისა და არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათ შორის კანონდარღვევის თვალსაზრისით დიდი განსხვავება არც კი იყო.[41]

ნორმალურობა და ყველგან და ყველა დროში გავრცელებულობა - არასრულწლოვანთა დანაშაულობის ეს ორი თვისება - მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ ერთსა და იმავე კონტექსტში განიხილება.[42] სინამდვილეში,

36 Schneider, H.J., 1987. S. 603.
37 Albrecht, P.-A., 2005. S. 4.
38 Kaiser, G., 1985. S. 225-228.
39 Albrecht, P.-A., 2005. S. 4.
40 Göppinger, H., 2008. S. 384.
41 Albrecht, P.-A., 2005. S. 18.
42 Walter, M., 2005. S. 228.

ვფიქრობთ, რომ მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება. ნორმალურობა მიუთითებს, რომ დანაშაული განპირობებულია დამნაშავის ასაკით, ხოლო ყველგან და ყველა დროში გავრცელებულობა კი იმას, რომ დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანი შეიძლება მიეკუთვნებოდეს ნებისმიერ სოციალურ ფენას.

2.3. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ეპიზოდურობა

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული ეპიზოდური ხასიათისაა,[43] ანუ მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია დაიწყოს გარდატეხის პერიოდიდან და დამთავრდეს მის დასრულებასთან ერთად. გარდატეხის პერიოდში ასევე სახეზე გვაქვს მოზარდის სოციალიზაციის პროცესთან დაკავშირებული პრობლემები. ამ დროს ის შეიძლება ჩადიოდეს დანაშაულს, ხოლო სოციალიზაციის დამთავრების შემდგომ, მოზარდმა შეიძლება დანაშაული აღარ ჩაიდინოს.[44]

კრუგერის მიერ შლესვიგ-ჰოლშტეინში (გერმანიის ერთ-ერთი ფედერალური მიწა) ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ 1977 წლიდან მოყოლებული, ექვსი წლის განმავლობაში, პოლიციის მიერ რეგისტრირებული იყო 2992 10-დან 22 წლამდე ასაკის სამართალდამრღვევი მოზარდი. მოზარდების ერთმა მესამედმა (ანუ, დაახლოებით 1000-მა მოზარდმა) მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში კვლავ ჩაიდინა დანაშაული, ხოლო მათგან, ვისაც დანაშაული მეორედ ჰქონდა ჩადენილი, 1%-ზე ნაკლები (რვა მოზარდი) მომდევნო წლებში განმეორებით იქნა პოლიციის მიერ რეგისტრირებული.[45] როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, პოლიციის მიერ პირველად რეგისტრირებული 2992 მოზარდიდან მხოლოდ რვამ გააგრძელა კრიმინალური „კარიერა“.

ვეშკე და კრაუზე იკვლევდნენ 1953 წელს ბერლინში დაბადებულ მოზარდებს. 21 წლის ასაკამდე მოზარდების ნახევარი ერთხელ მაინც იყო პოლიციის მიერ რეგისტრირებული. მოზარდების 70% პოლიციაში მეორედ რეგისტრირების შემდეგ თავს ანებებდა დამნაშავის „კარიერას“ და ჩვეულებრივ ცხოვრებას უბრუნდებოდა.

მკვლევრების აზრით საქმე გვაქვს მოზარდის განვითარების ისეთ ფა-

43 Schaffstein, F. /Beulke, W., 2005. S. 11; Walter, M., 2005. S. 332.
44 Schaffstein, F. /Beulke, W., 2005. S. 11.
45 Krüger, H., 1983. S. 326.

ზასთან, როდესაც ისინი დანაშაულს ჩადიან. მოზარდების დიდ ნაწილში კრიმინალურ ტენდენციებზე საუბარი არ არის მართებული, მათ მიერ დანაშაულის ჩადენა მხოლოდ ეპიზოდური ხასიათისაა და ზრდასრულობასთან ერთად ქრება.[46]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულებრივი ქმედებები 14-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში მომეტებული ხასიათისაა, რაც ამ პერიოდში სირთულეებით აღსავსე გარდატეხისა და სოციალიზაციის პროცესებით აიხსნება.[47] დანაშაულებრივი ქმედებები უმაღლეს ზღვარს აღწევს 16-დან 18 წლამდე ასაკში. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, უმრავლეს შემთხვევაში, საქმე გვაქვს მოზარდთა მცირე ჯგუფთან, რომელიც კრიმინალური „კარიერის“ გზას დაადგა ან იმ პირებთან, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული.

ადამიანის ჩამოყალიბება მთავრდება 25-30 წლის ასაკში. თუ ადამიანმა ამ ასაკს მიაღწია ისე, რომ მას არ ჩაუდენია დანაშაული, მაშინ იმის შანსი, რომ ის დამნაშავე გახდეს, ძალიან მცირეა. ადამიანებს, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სოციალიზაცია, ახასიათებთ რაციონალური მიდგომა დანაშაულის ჩადენისადმი და ეშინიათ, არ დაკარგონ მიღწეული სოციალური მდგომარეობა (იხ. ჰირშის კონტროლის თეორია).[48]



2.4. „ნულოვანი ტოლერანტობიდან“ ლიბერალურ კრიმინალურ პოლიტიკაზე გადასვლა

46 Weschke, E. (Hrsg.), 1989. S. 240.
47 Schaffstein, F. /Beulke, W., 2005. S. 11.
48 შალიკაშვილი, მ., 2011. გვ. 69-75.

2.4.1. „ნულოვანი ტოლერანტობის“ კრიმინალური პოლიტიკის თეორიული საფუძველი

1982 წელს ამერიკელმა სოციოლოგებმა ჯეიმს ვილსონმა და ჯორჯ კელინგმა ჩამოაყალიბეს Broken Windows თეორია.[49] მათ თეორიას საფუძვლად დაედო ფსიქოლოგ ფილიპ ზიმბარდოს მიერ 1969 წელს ჩატარებული შემდეგი შედარებითი ექსპერიმენტი: მან ნიუ-იორკში, ბრონქსის ერთ-ერთ ქუჩასა და კალიფორნიის პატარა წყნარ ქალაქ პალო ალტოში დააყენა ავტომანქანა ახდილი „კაპოტით“, რომელსაც არ ჰქონდა სანომრე ნიშნები. ბრონქსში დაყენებულ ავტომობილს გაჩერებიდან 10 წუთის შემდეგ მიუახლოვდა ერთი ოჯახი - მამა, დედა და მათი რვა წლის ბიჭი და დაიწყეს მანქანის გაქურდვა. მომდევნო 26 საათის განმავლობაში სხვადასხვა პირებმა მთლიანად გაძარცვეს ის, ხოლო სამ დღეში ავტომობილისგან მხოლოდ „რკინის ჩონჩხი“ იყო დარჩენილი, რომელზეც ქუჩის მცხოვრებლები ნაგავს ყრიდნენ. ამ მოვლენის საწინააღმდეგოდ განვითარდა სიტუაცია პალო ალტოში. ზიმბარდოს მიერ დაყენებული ავტომობილი ერთი კვირის შემდეგ ისევ უვნებელი იდგა. ხოლო, როდესაც წვიმა დაიწყო, ერთ-ერთმა მცხოვრებმა „კაპოტიც“ კი დახურა, რომ ავტომობილი არ დაზიანებულიყო. ამის შემდეგ, ზიმბარდომ და მისმა თანამშრომლებმა ავტომობილის მინა ჩაამსხვრიეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ მათ მხარი აუბა და თვითონაც მიიღეს მონაწილეობა ავტომობილის დაზიანებაში. იმავე ღამეს ქალაქის ახალგაზრდობამ ზიმბარდოს ავტომობილი ბოლომდე დააზიანა და გაძარცვა. მეორე დღეს ავტომობილი სახურავზე ამოტრიალებული იპოვეს.

ზიმბარდოს ექსპერიმენტზე დაყრდნობით ვილსონმა და კელინგმა შეიმუშავეს სამი ასპექტი:[50]

1. ქალაქში ან მის რომელიმე უბანში არსებული უწესრიგობა და ქუჩების „უპატრონოდ მიტოვება“ (ნაგვიანი ქუჩები, გრაფიტი კედლებზე და ნარკომანია) მიუთითებს იმაზე, რომ ეს უბანი უყურადღებოდ არის მიტოვებული და განიცდის სახელმწიფო კონტროლის ნაკლებობას;

2. უბანში არსებული ამგვარი მდგომარეობა უბნის მცხოვრებლებში წარმოქმნის დანაშაულისაგან დაუცველობის შეგრძნებას;

3. უბანში არსებული უწესრიგობა და ქუჩების „უპატრონოდ მიტოვება“ ხელს უწყობს დამნაშავეებს მაქსიმალურად განახორციელონ უკანონო ქმე-

49 Wilson, J. Q./Kelling, G. I., 1996. S. 121-137.
50 Göppinger, H., 2008. S. 148.

დებები, რაც განპირობებულია იმით, რომ უბნის მოსახლეობის უმრავლესობა თავს დაუცველად გრძნობს და/ან დამნაშავეების მიერ არის დაშინებული, ხოლო დამნაშავეები სახელმწიფო კონტროლის ნაკლებობის გამო თავს ადგილობრივ მოსახლეობაზე „მაღლა აყენებენ“ და მათზე ზემოქმედებას ახორციელებენ.

ვილსონის და კელინგის აზრით იმისათვის, რომ აღიკვეთოს დანაშაულის ჩადენა, საჭიროა გაიზარდოს დანაშაულის გამოვლენის მაჩვენებელი და დანაშაულზე სახელმწიფო და სოციალური კონტროლი.

მათი აზრით, ქალაქის უბნის უწესრიგობა პირდაპირ კავშირშია აქ მომხდარ დანაშაულებთან. შენობის ერთი ჩამსხვრეული ფანჯარა, რომელიც არ იქნება აღდგენილი, ზრდის იმის ალბათობას, რომ ამ შენობის სხვა ფანჯრის მინებსაც ჩატეხავენ. ეს ვრცელდება როგორც დაბალი, ისე მაღალი სოციალური ფენით დასახლებულ რაიონებზე.

ვილსონის და კელინგის თეორიის მიხედვით კრიმინალური ქმედებების აღკვეთისათვის აუცილებელია, პოლიციისა და იუსტიციის სამსახურების მიერ დანაშაულების გახსნა და დამნაშავეების დასჯა. მათი აზრით, სახელმწიფოს კრიმინალური პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს ისეთი სოციალური ატმოსფეროს შექმნა, სადაც მოქალაქეები დამნაშავეებისაგან თავს დაცულად იგრძნობენ, სადაც ადამიანებს სჯერათ წესრიგის და ქვეყანაში მოქმედი ნორმათა სისტემის.

ვილსონის და კელინგის Broken Windows თეორიის საფუძველზე, 1994 წელს ნიუ-იორკის პოლიციის უფროსმა ვილიამ ბრეტონმა, ქალაქის მაშინდელი მერის რუდოლფ ჯულიანის ხელშეწყობით განახორციელა პოლიციური სტრატეგია, რომელსაც „ნულოვანი ტოლერანტობა“ ერქვა.[51]

იმ პერიოდისთვის ნიუ-იორკში გახშირებული იყო მკვლელობები და სხვა სახის მძიმე დანაშაულები. გარდა ამისა, ყოველდღიურად ხდებოდა არსებული ნორმების დარღვევა, ქუჩების დანაგვიანება და მეტროების დაზიანება. ქალაქს დაკარგული ჰქონდა უსაფრთხოების შეგრძნება.

ქალაქ ნიუ-იორკისთვის ნორმალური ცხოვრების დაბრუნების მიზნით ბრეტონმა შეიმუშავა და განახორციელა შვიდი ღონისძიება: 1. ქალაქის მოსახლეობაში არსებული არალეგალური ცეცხლსასროლი იარაღის გამოვლენა, მათი მფლობელების და მოვაჭრეების დასჯა; 2. პოლიციის მიერ თუნდაც პატარა გადაცდომის (მართვის მოწმობის გარეშე ავტომობილის

51 იქვე.

მართვა, მათხოვრობა, სკოლის გაცდენა) დაფიქსირება. სკოლებში მოსწავლეთა სისტემატური ჩხრეკა ცეცხლსასროლი იარაღის გამოსავლენად. ქუჩაში თვალშისაცემი პირების გაკონტროლება; 3. პოლიციამ დაიწყო საკუთარი ძალის დემონსტრირება, რათა მოსახლეობას გაფანტოდა დამნაშავეებისადმი შიში და მათში ჩამოყალიბებულიყო უსაფრთხოების შეგრძნება. ასე მაგალითად: ნარკოტიკების გამსაღებლებს ართმევდნენ ფულსა და ავტომობილებს და უსჯიდნენ შინაპატიმრობას; რამდენიმე დღით აპატიმრებდნენ ადამიანებს, რომლებიც მათხოვრობდნენ ან სხვა პირებს შეურაცხყოფას აყენებდნენ; სახლების კედლებიდან ყოველდღიურად ირეცხებოდა კედლის მხატვრობა, რაც მხატვრებს სხვების წინაშე კედელზე შესრულებული „შედევრების“ წარმოჩენის საშუალებას უსპობდა. კედლის გაწმენდის სამუშაოს ასრულებდნენ თავისუფლებააღკვეთილი პირები, რომელთაც ხშირად ეცვათ მაისური წარწერით: დასჯილი ვარ ამა და ამ სასამართლოს მიერ; 4. ასუფთავებდნენ და ალაგებდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს; 5. შეიქმნა ერთიანი, დაცული საინფორმაციო კომპიუტერული სისტემა, სადაც ხდებოდა თითოეული ყოველდღიური გადაცდომის, დანაშაულის, დაკავების ან ქონების ჩამორთმევის დაფიქსირება. კარგად მომუშავე პოლიციელებს საჯაროდ აჯილდოვებდნენ; 6. პოლიციამ მოიძია აქტიური მოქალაქეები, რომლებიც გრძნობდნენ პასუხისმგებლობას მათ უბანში მიმდინარე პროცესებზე და ატყობინებდნენ თითოეული დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ. ჩამოყალიბდა მოქალაქეთა ჯგუფები, რომლებიც იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს და იღებდნენ პასუხისმგებლობას მათ ქუჩაზე, უბანში თუ რაიონში არსებულ მდგომარეობაზე; 7. გაიზარდა პოლიციის შემადგენლობა. მოსახლეობისათვის შესამჩნევი გახდა ქუჩებში ფეხით მოსიარულე პოლიციელები, რომლებიც წესრიგს ამყარებდნენ. ამ საპოლიციო ღონისძიებებთან ერთად გამკაცრდა სისხლისსამართლებრივი სასჯელები.

ბრეტონის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შედეგად საგრძნობლად იკლო ძალადობრივმა დანაშაულებმა. მეტროპოლიტენი გახდა უსაფრთხო და გადაიქცა გადაადგილების ძირითად საშუალებად.

ბრეტონის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის უარყოფითი შედეგი იყო ის, რომ გახშირდა მოქალაქეთა საჩივრები პოლიციის წინააღმდეგ ძალის ან უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებებით. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ არაკანონიერი საპოლიციო ღონისძიებების გამო 1997 წელს ქალაქმა ნიუ-იორკმა ზიანის ასანაზღაურებლად 27 მილიონი დოლარი გა-

დაიხადა.

2.4.2. კრიმინალის მიმართ „ნულოვანი ტოლერანტობის“ შედეგები საქართველოში

საქართველოს პრეზიდენტმა 2006 წლის 14 თებერვლის ყოველწლიური შემაჯამებელი საანგარიშო საპარლამენტო მოხსენებისას გამოაცხადა, რომ დაიწყებდნენ კრიმინალის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას, რომელიც უნდა განხორციელებულიყო „ყველა ციხეში“ პრინციპით, რაც გულისხმობდა, რომ ნებისმიერი სახის დანაშაულს სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოჰყოლოდა მყისიერი და მკაცრი რეაქცია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ასე აღწერდა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას: „ნულოვანი ტოლერანტობის მიზანია არ დატოვოს არც ერთი დანაშაული, თუნდაც წვრილმანი, რეაგირების გარეშე და ამ გზით მინიმუმამდე დაიყვანოს ქვეყანაში დანაშაულის დონე. შეცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ და აღმოფხვრას დაუსჯელობის სინდრომი. ნულოვანი ტოლერანტობის შედეგად საქართველო გათავისუფლდა, როგორც ორგანიზებული, ისე წვრილმანი დანაშაულისაგან და გახდა ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა“. [52]

საქართველოში კრიმინალის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას აქვს დადებითი და უარყოფითი შედეგები.

კრიმინალის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის დადებით შედეგად უნდა მივიჩნიოთ:

- საბჭოთა კავშირის სისტემიდან მემკვიდრეობით მიღებული დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა;
- მოსახლეობაში დანაშაულის მიმართ უსაფრთხოების შეგრძნების გაჩენა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაკვეთით სოციოლოგიური კვლევის ცენტრის – „გორბის“ – მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩატარებულმა „დანაშაულებათა კვლევამ საქართველოში“ აჩვენა, რომ მოსახლეობის უსაფრთხოების განცდა ძალიან მაღალია;
- ორგანიზებული და კორუფციული დანაშაულის შემცირება.

კრიმინალის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის უარყოფით შედეგად უნდა მივიჩნიოთ:

52 „ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისაკენ“. ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI). თბილისი 2011. გვ. 3.

- მსჯავრდებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა. ბოლო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში 100-120%-ით მოიმატა მსჯავრდებულთა რაოდენობამ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. მსჯავრდებულთა რაოდენობის კატასტროფულმა ზრდამ, გადატვირთულობამ, თავის მხრივ, გამოიწვია შემდეგი უარყოფითი შედეგები:[53]
  - ციხის პირობების გაუარესება;
  - მსჯავრდებულთა სიკვდილიანობის ზრდა;
  - მსჯავრდებულთა (ფიზიკური და სულიერი) ჯანმრთელობის პრობლემების გაუარესება;
  - მსჯავრდებულთა უფლებების სისტემატური დარღვევა;
  - (სამომავლო) დემოგრაფიული პრობლემები.
- საქართველოს საერთაშორისო იმიჯის გაუარესება. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების რაოდენობის გაზრდა;
- პოლიციელების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები,[54] რამაც უარყოფითად იმოქმედა პოლიციასთან მოსახლეობის თანამშრომლობის საკითხზე;[55]
- სასჯელთა სრული შეკრებითობის პრინციპის დანერგვა და პრაქტიკაში მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთის ხშირი გამოყენება, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმის განხორციელების ეკონომიურად გამოყენების აუცილებლობას და თანაფარდობის კონსტიტუციურ პრინციპს. მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთა ზოგიერთ შემთხვევაში მსჯავრდებულში იწვევს იმედგაცრუებასა და ტკივილს, აღძრავს შიშს, რომ ის ციხეს ცოცხალი ვეღარ დატოვებს.[56] გერმანულ სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ მაღალი ზომის სასჯელის დანიშვნა მსუბუქი სახის დანაშაულისათვის დაუშვებელია და ეწინააღმდეგება პროპორციულობის კონსტიტუციურ პრინციპს,[57] ვინაიდან იგი არ იწვევს სამარ-

53 იხ.: საქართველოს სახალხო დამცველის 2010, 2011 წლის საანგარიში საპარლამენტო მოხსენებები.

54 იხ.: საქართველოს სახალხო დამცველის 2007 - 2009 წლების საანგარიში საპარლამენტო მოხსენებები

55 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაკვეთით სოციოლოგიური კვლევის ცენტრის – გორბის – მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩატარებულმა „დანაშაულებათა კვლევამ საქართველოში“ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 60% აუცილებლად ითანამშრომლებს გამოძიებასთან.

56 BVerfG, Urteil v. 21.6.1977 -1 BvL 14/76. ix. NJW 1977, S. 1529 (გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

57 იქვე.

თლიანობის გრძნობის აღდგენას;[58]

- არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი ასაკის დაწევა ზოგიერთი დანაშაულისათვის 14 წლიდან 12 წლამდე;
- მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარკვეული შეზღუდვები. მაგ. მოსამართლეს უფლება აქვს ბრალდებულს მიუსაჯოს კანონით გათვალისწინებულთან შედარებით დაბალი სასჯელი მხოლოდ საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში, ანუ მოსამართლე გარკვეულწილად პროკურორის გადაწყვეტილებაზე არის დამოკიდებული;
- ალტერნატიული სასჯელის სახეების გამოუყენებლობა.

2.4.3. ლიბერალურ კრიმინალურ პოლიტიკაზე გადასვლა

წინამდებარე ქვეთავში განვიხილეთ კრიმინალის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი შედეგები. ნათელია, რომ კრიმინალის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას მრავალი უარყოფითი შედეგიც ახლავს. შესაბამისად, აუცილებელი გახდა კრიმინალის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შეცვლა ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკით.

ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკად უნდა ჩაითვალოს ბოლო პერიოდში განხორციელებული შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები და პროგრამები:

- არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია;
- სრულწლოვანთა განრიდება;
- არჩევანი შენზეა;
- განრიდება დანის ტარებისათვის;
- პროგრამა – „ჩემი უფროსი მეგობრი“;
- ალეტრნატიული სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შედარებით ხშირი გამოყენება პრაქტიკაში;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის (ისევ) გაუქმება 12-დან 14 წლამდე არასრულწლოვნებისთვის.

„არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის №235-ე ბრძანებულება გვთავაზობს იმ პროექტების ფართო ჩამონათვალს, რომელიც საქართველოში ხორციელდება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით, რაც ლიბერალური კრიმინალური პოლიტიკის ნაწილად

58 Jahn, M., 2006, S. 503.

უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს შესახებ ევროკავშირის 2010 წლის ანგარიშში ნათქვამია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2010 წლის თებერვლისა და ივლისის თვეებში განხორციელებული ცვლილებები მიუთითებენ სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციისაკენ.[59] ევროკავშირის ანგარიშში საუბარია 12-დან 14 წლამდე არასრულწლოვნებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებაზე და პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების შემოღებაზე.

„არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის №235-ე ბრძანებულებით, სახელმწიფო კრიმინალური პოლიტიკის პრიორიტეტად გამოცხადდა მედიაციისა და სხვა მსგავსი პროგრამების შემუშავება-განვითარება, რომელიც ორიენტირებული იქნება არასრულწლოვანთა შორის და [არასრულწლოვანთა] კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაზე.

2.5. არასრულწლოვანთა აღზრდა/რესოციალიზაცია

სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავე პირის რესოციალიზაცია.

სასჯელის მიზნებში არის გამოხატული სახელმწიფოს და საზოგადოების სურვილი, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დამნაშავე პირის მიმართ გაატაროს გარკვეული ღონისძიებები. მართალია, დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება სასჯელის სახე არ არის, მაგრამ მისი, როგორც კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი ხერხის, მნიშვნელობა ძალიან დიდია დამნაშავისა და დაზარალებულის მიმართ გასატარებელი ღონისძიებების თვალსაზრისით.

სასჯელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლია დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარება (ინდივიდუალური, კონკრეტული კონფლიქტი) და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა (აბსტრაქტული კონფლიქტი). სწორედ ამ მიზნებს ემსახურება სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. დაზარალებულმა რომ სამართლიანობის განცდა არ დაკარგოს, საჭი-

59 „ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისაკენ“. ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI). თბილისი 2011. გვ. 18.

როა დამნაშავესთან მისი კონფლიქტის მოგვარება, რაც ასევე ხელს შეუწყობს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ახალი დანაშაული და დაზარალებული ხელმეორედ არ გახდეს იმავე დამნაშავის მსხვერპლი. კონფლიქტის მოგვარება (შერიგება) განაპირობებს დამნაშავის რესოციალიზაციას - მის მიერ ჩადენილი ქმედების მონანიებას და გამოსწორებას.

პირველ რიგში საკითხავია, რამდენად შეიცავს აღმზრდელობით ასპექტებს არასრულწლოვანი დამნაშავისა და დაზარალებულის შერიგება, ანუ მედიაცია.

აღმზრდელობითი ღონისძიება არის პირდაპირი და მიზნობრივი ზემოქმედება მოზარდის ანტისოციალურ ან დანაშაულებრივ საქციელზე.[60]

არასრულწლოვანი დამნაშავისა და დაზარალებულის შერიგების პედაგოგიური ასპექტები მდგომარეობს შემდეგში:[61]

- შერიგება მახრეებს აძლევს შესაძლებლობას, დაფიქრდენენ საკუთარ საქციელზე: დამნაშავემ გაიაზროს მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმე, ხოლო დაზარალებულმა განსაზღვროს, სურს თუ არა დამნაშავესთან ურთიერთობის გართულება;
- შერიგების პედაგოგიური მნიშვნელობა პედაგოგიური მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მხარეებს ეძლევათ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს, რომ მათ შეძლონ პასუხისმგებლობის აღება;
- შერიგების პედაგოგიური მიზანი მდგომარეობს როგორც დამნაშავის, ასევე დაზარალებულის რესოციალიზაციაში;
- შერიგების პედაგოგიური მნიშვნელობა შეიძლება გამოიხატოს სხვა, უცხო პირებთან ურთიერთობის სწავლაში, რაც მხარეებს ხელს შეუწყობს (ახალი) სოციალური ურთიერთობების დამყარებაში;
- დაბოლოს, შერიგება დამნაშავეს აიძულებს (შესაძლებელია, პირველად მის ცხოვრებაში) პატივი სცეს საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს, რომ მას შემდგომშიც გაუჩნდეს სურვილი, პატივი სცეს ამ ნორმებს.

დაზარალებულის თვალთახედვიდან დამნაშავესთან მისი შერიგება შესაძლებელს ხდის, რომ მან დამნაშავის შესახებ მეტი ინფორმაცია მიიღოს, რაც მასში დამნაშავეობისადმი შიშის გაქარწყლებას და რევიქტიმიზაციას შეუწყობს ხელს.

60 Kuhn, A., u.a., 1989. S. 40.
61 Kuhn, A., u.a., 1989. S. 40; Bemmann, G., 2003. S. 227.

დაზარალებულს პირველად მიეცემა შესაძლებლობა დამნაშავეს უთხრას ის, რასაც მის შესახებ ფიქრობს, რაც დაზარალებულის ემოციებისაგან გათავისუფლებას და მომავალში მის ფსიქოლოგიურ სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

2.6. დაზარალებულის რეინტეგრაცია

გერმანიაში ჩატარებულმა ვიქტიმოლოგიურმა გამოკითხვებმა დაადასტურა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, დაზარალებულის სურვილი სულაც არ არის დამნაშავის დასჯა, არამედ მისი სურვილია დანაშაულამდე არსებული მდგომარეობის დაბრუნება.[62] იმის მიუხედავად, რომ სწორედ დაზარალებული მიმართავს სამართალდამცავ სტრუქტურებს ჩადენილი დანაშაულის შესახებ, მისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს სისხლის სამართლის საპროცესო პროცედურებს. ხშირ შემთხვევაში, დაზარალებულის სურვილს, აღდგენილი იქნეს მისი მდგომარეობა, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები არ ითვალისწინებს. გასათვალისწინებელია ასევე, რომ ზოგჯერ დაზარალებული სამართალდამცავ სტრუქტურებს მიმართავს დაზღვევის თანხის ასაღებად, ან მესამე პირის რჩევით.

ჩადენილი დანაშაულიდან გამომდინარე, სხვადასხვანაირია დამნაშავის მიმართ დაზარალებულის დამოკიდებულება: ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლის სურვილია დამნაშავის დასჯა და პრევენცია, რათა დამნაშავემ აღარ ჩაიდინოს დანაშაული.[63] მატერიალური ხასიათის დანაშაულის მსხვერპლის სურვილი კი, პირველ რიგში, მიყენებული ზარალის ანაზღაურებაა და თუ ეს მოხდება დამნაშავის მიერ, რომელსაც შეგნებული აქვს თავის უკანონო ქმედების სიმძიმე, ეს შეიძლება ჩაითვალოს დაზარალებულისთვის უმნიშვნელოვანეს ასპექტად.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით დაზარალებულისა და დამნაშავის შერიგება მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოების გამო: მოზარდთა უმრავლესობას ერთხელ მაინც აქვს ჩადენილი დანაშაული, თუმცა მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი ირჩევს დამნაშავის „კარიერას“.[64] თუ შესაძლებელი გახდა დამნაშავისა და დაზარალებულის შერიგება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელების გამოყენების გარეშე, დამნაშავეს მიეცემა

62 Kuhn, A., u.a., 1989. S. 41.

63 Schwind, H.-D., 2008. S. 426.

64 Kuhn, A., u.a., 1989. S. 42.

საშუალება თავი აარიდოს ეტიკეტირებას და მეტი ალბათობაა, რომ მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული. დაზარალებულთან დამნაშავის შერიგება ბოდიშის მოხდით, მიყენებული ზარალის ანაზღაურებით ან დამნაშავე პირის მშობლებისათვის „გადაცემით“ კონფლიქტი მოგვარდება საპროცესო ნორმების სიმკაცრის გარეშე, რაც ხელს შეუწყობს მოზარდში პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას და თავიდან იქნება აცილებული მის მიერ დანაშაულებრივი სამყაროსკენ სწრაფვა და ახალი დანაშაულების ჩადენას.

როგორც ცნობილია, მოზარდი გარდატეხის პერიოდში დიდ ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებს განიცდის. საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვანია მოზარდის სოციალიზაცია, ანუ ჩამოყალიბების პროცესში მის მიერ იმ ღირებულებების და ნორმების სწავლა და აღიარება, რაც მას დაეხმარება საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაში. დაზარალებულისა და დამნაშავის შერიგება სწორედ იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ხელს უწყობს დანაშაულის ჩამდენი მოზარდის პიროვნების სწორ მორალურ განვითარებას (სოციალიზაციას).[65]

მესამე თავი

65 Kuhn, A., u.a., 1989. S. 43; Bemmann, G., 2003. S. 227.

არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პრინციპები

3.1. ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების თანახმად, არასრულწლოვნის ინტერესისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა. თუ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინა პირველად, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სისხლის სამართლის სისტემისაგან მის განრიდებას.

სიტყვა „განრიდება" მოცემულ კონტექსტში გულისხმობს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში მოზარდის ისეთი სახით მონაწილეობას, რომელიც მისი ფსიქიკისთვის არ იქნება საზიანო. მოზარდის განრიდების და/ან მედიაციის პროგრამაში მონაწილეობა, რა თქმა უნდა, არის სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესის პირველ საფეხურებთან (გამომძიებელი, პროკურორი) შეხება, რამაც კანონმდებლის სურვილით არ უნდა გამოიწვიოს არასრულწლოვანი დამნაშავის ზიანი.

განრიდება და/ან მედიაცია არის ისეთი სახის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის გამოყენების უფლება აქვს პროკურორს. განრიდება და/ან მედიაცია, როგორც ალტერნატიული მექანიზმი, გაწერილია მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და სხვა ნორმატიულ აქტებში და არ იწვევს მოზარდი დამნაშავის სრულ ჩართვას სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში, როგორც ეს შეიძლება მოხდეს სხვა, უფრო მძიმე დანაშაულის ჩამდენი მოზარდების მიმართ.

ჩვენ მიერ განხილული და დამუშავებული ლიტერატურა[66] არ იცნობს განრიდების და მედიაციის პრინციპს, რომელსაც ეწოდება ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა. ეს არის საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეალობას მორგებული პრინციპი, რომლის მიზანია კრიმინალის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის თანმდევი უარყოფითი შედეგების (არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდა) განეიტრალება ახალი ლიბერალური პროგრ-

66 ცერცვაძე, გ. 2010. გვ. 46-47; Haft, F./Gräfin von Schlieffen, K.(Hrsg.), 2009. S. 284; Rüssel, U. 2003. S. 85.

ამებით, მათ შორის განრიდების და/ან მედიაციის პროგრამით.

3.2. ნებაყოფლობითობა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების შესაბამისად, განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, რა დროსაც არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს. დაუშვებელია მხარეებზე ზეგავლენა მათი პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მხარეები უფლებამოსილი არიან ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვან განრიდების/მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე. განრიდებისა და/ან მედიაციის პროცესში მონაწილეობის ნებაყოფლობითობა ფართოდ უნდა იქნას განხილული. იგი პირველ რიგში გულისხმობს მხარეების სურვილს, მონაწილეობა მიიღონ მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტის მოგვარებაში და ნებისმიერ დროს ჰქონდეთ შესაძლებლობა უარი თქვან ამ პროცესში მონაწილეობაზე. მედიატორი ვალდებულია დაადგინოს, რამდენად შეესაბამება განრიდებისა და/ან მედიაციის პროცესში მხარეების მონაწილეობა მათ თავისუფალ ნებას ანუ, რამდენად არის მათი ქმედება ნებაყოფლობითი.[67] მედიატორის, ფსიქოლოგ ნატა ზაზაშვილის აზრით, *„ნებაყოფლობითობა მნიშვნელოვანი პრინციპია, ვინაიდან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ხელს უწყობს მოზარდს არჩევანი გააკეთოს, მას შეუძლია უარი თქვას პროგრამაში მონაწილეობაზე და მისი საქმე გადაეცეს სასამართლოს, სადაც მას ექნება შესაძლებლობა თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს, ნებაყოფლობითი არჩევანის გაკეთება ნიშნავს მოზარდის მიერ მოწიფული ნაბიჯის გადადგმას.“*[68]

იურიდიულ ლიტერატურაში ნებაყოფლობითობასთან ერთად დამკვიდრებულია ფაქტიური არანებაყოფლობითობის ცნება. ფაქტიური არანებაყოფლობითობა სახეზეა, როდესაც განრიდებისა და/ან მედიაციის პროცესში მონაწილე ერთი მხარე იმდენად ძლიერია, რომ მას შეუძლია მოლაპარაკების დროს პირობები წაუყენოს მეორე მხარეს.[69] სისხლის სამართლის სფეროში განხორციელებული მედიაცია არ შეიძლება დანახული იქნეს როგორც ფაქტიური არანებაყოფლობითობა, რადგან განრიდებისა და/ან მედიაციის პროცესში მონაწილეობა წინასწარ დადგენილია კანონით და მოლაპარაკებების პროცესს არ ექვემდებარება.[70] განრიდებისა და/ან მედიაციის პროცესში ფაქ-

67 Haft, F./Gräfin von Schlieffen, K.(Hrsg.), 2009. S. 284.
68 ზაზაშვილი, ნ., პირადი ჩანაწერები.
69 Haft, F./Gräfin von Schlieffen, K.(Hrsg.), 2009. S. 284.
70 იგივე, გვ. 285.

ტიური არანებაყოფლობითობა სახეზე გვექნება, თუ პროკურორი მოზარდს მხოლოდ ერთი სახის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხოლოდ ერთ სავალდებულო საქმიანობას შესთავაზებს და მოზარდს არ ექნება სხვა სამუშაოს შესრულების ალტერნატივა.

არ შეიძლება დამნაშავე მოზარდს დააძალო, მონაწილეობა მიიღოს განრიდების და/ან მედიაციის პროცესში, ვინაიდან პროცესი ამით ვეღარ მიაღწევს თავის ძირითად მიზანს – დამნაშავემ აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ უკანონო საქციელზე.[71] დამნაშავის იძულებითი მონაწილეობით ვერ მივიღებთ საჭირო ეფექტს მისი პიროვნების შესაცვლელად. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ამ პროცესში დამნაშავის მონაწილეობის მიზანი იყოს სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის თავიდან აცილება. მიუხედავად ამ გარემოებისა, დამნაშავეს და დაზარალებულს უნდა ესმოდეთ, რომ დამნაშავის შერიგება დაზარალებულთან მათი პრობლემის მოგვარების და მომავალი ურთიერთობის საუკეთესო ფორმაა.[72]

ასევე მნიშვნელოვანია, დაზარალებულსაც გააჩნდეს დამნაშავესთან შერიგების სურვილი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მატერიალური ზარალის ანაზღაურება.[73] ამით დაზარალებული თავს აარიდებს სამოქალაქო წესით ზარალის ანაზღაურების პროცედურას.

კრიმინოლოგიურმა გამოკითხვამ დაადგინა, რომ დაზარალებულთა 92% მზად არის შეურიგდეს დამნაშავეს, თუ მას აუნაზღაურდება მიყენებული ზარალი.[74]

3.3. პროპორციულობა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების მიხედვით, არასრულწლოვნის ქცევის შეზღუდვა და ვალდებულებები ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს. პროპორციული ღონისძიების განსაზღვრისას საჭიროა არასრულწლოვნის ასაკისა და სხვა მახასიათებლების, ასევე ჩადენილი დანაშაულის ბუნების, სიმძიმის, მიყენებული ზიანისა და საზოგადოებაზე გავლენის გათვალისწინება.

იმისათვის, რომ გასაგები გახდეს პროპორციულობის მნიშვნელობა განრიდების და მედიაციის პროცესში საჭიროა, განვიხილოთ პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპის გამოყენების საფუძვლები.

71 Bemmann, G., 2003. S. 230.
72 Hestermann, Th., 1997. S. 181.
73 Bemmann, G., 2003. S. 227.
74 Kuhn, A., u.a., 1989. S.196.

პროპორციულობის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ნებისმიერი ჩარევის განხილვისას აუცილებელია დადგინდეს, რომ „1) ჩარევა ემსახურება **ლეგიტიმურ მიზანს,** 2) ჩარევა უნდა იყოს **ეფექტიანი** დადგენილი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – აღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულია, როდესაც მიზნის მიღწევა თუნდაც თეორიულად არის შესაძლებელი, 3) ჩარევის ფორმა და ინტენსივობა უნდა იყოს **აუცილებელი** ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ჩარევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შედარებით ზომიერი საშუალება, რომელიც ისეთივე ეფექტიანი იქნებოდა მიზნის მისაღწევად, 4) ჩარევა უნდა იყოს ***ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი (თანაფარდობის ვიწრო გაგება) – ჩარევის შესაბამისობის დადგენისას წარმოებს ჩარევის შეზღუდულ და დაცულ სიკეთეთა ორმხრივი შედარება (აწონ-დაწონვა)“.***[75]

ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოების სამართალწესრიგი მოიცავს თანაზომიერების პრინციპს.[76] „მას, როგორც საყოველთაო სამართლებრივ პრინციპს, პირველადი სამართლის ხარისხი აქვს და აღიარებულია [ევროპის] გაერთიანების სამართლებრივი ღონისძიებების შემზღუდველ ყოვლისმომცველ პრინციპად“. [77]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპი „პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლისათვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპებს არ შეესაბამება, ის დაუშვებს თვითნებობის შესაძლებლობას. სახელმწიფოს თვითნებობა ადამიანის თავისუფლების სფეროში კი ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას და ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლების არაკონსტიტუციურ ხელყოფას“. [78]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილების თანახმად, „თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, ძირითად უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს,... [და თუ ნორმა] არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, არ

75 დემეტრაშვილი, ა./კობახიძე, ი., 2011. გვ. 92.
76 გაბრიჩიძე, გ., 2006. გვ. 68.
77 იქვე.
78 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება.

ექვემდებარება თანაზომიერების ტესტს და ხელყოფს ძირითადი უფლების ხელშეუხებელ არსს“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილების თანახმად, „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენს ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება კი მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება. ამიტომ ამ უფლებებში სახელმწიფოს არათანაზომიერი, გადამეტებული ჩარევა ხელყოფს ადამიანის ღირსებასაც“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილების თანახმად, „სახელმწიფოსათვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობიექტი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება და ექსპლუატაციის ობიექტი. ღირსება ასევე არ შეიძლება იქნეს განხილული, როგორც მხოლოდ ერთ-ერთი სუბიექტური კონსტიტუციური უფლების ობიექტი. ღირსება არის ის უფლება და ამავე დროს, ის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები. პირის სამართლებრივი სტატუსის საფუძველში დევს ღირსების იდეა, ხოლო სამართლებრივი დაცვის პრინციპის, როგორც პიროვნების სოციალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალების, საფუძველი არის პიროვნების ღირსების უზრუნველყოფის პრინციპი. ღირსების ხელყოფა, ფაქტიურად, ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დარღვევას“.

საკითხი, თუ რამდენად აკმაყოფილებს განრიდების და/ან მედიაციის პირობები თანაზომიერების პრინციპის კრიტერიუმებს, უნდა გაირკვეს განრიდებისა და მედიაციის თითოეული საქმის განხილვა-გაანალიზებით. ერთი რამ უდავოა, სახელმწიფოს უფლება არა აქვს მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ნებისმიერი სახის ღონისძიება და, რომ განრიდების და/ან მედიაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული ასეთი ღონისძიება არ უნდა იყოს მოზარდის პატივისა და ღირსების შემლახავი. განრიდების და/ან მედიაციის ხელშეკრულების პირობები მოზარდისათვის პატივისა და ღირსების შემლახავად ჩაითვლება, თუ „მოპყრობა მსხვერპლში [მოზარდში] აღძრავს შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდას; ეს განცდა ამცირებს და აკნინებს მსხვერპლს; განცდა ტეხს მსხვერპლის ფიზიკურ ან მორალურ მდგომარეობას; მოპყრობის მიზანია მსხვერპლის დამცირება; მოპყრობის ხარისხი

აღწევს სიმკაცრის მინიმალურ დონეს მაინც. დამამცირებელი მოპყრობის ფაქტი უნდა დადგინდეს ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით და არა საკარაუდო მსხვერპლის სუბიექტური შეგრძნებებისა და განცდების ანალიზის საფუძველზე. ... პატივისა და ღირსების ხელმყოფი კანონი უნდა შეიცავდეს ნორმებს, რომლებიც იქნებოდა იმდენად მკაცრი, ამორალური და უსამართლო, რომ ისინი ობიექტური თვალსაზრისით მოახდენდნენ: პიროვნების მიერ თვალში საკუთარი მორალური თვისებების შეფასების (ღირსების) ან საზოგადოების მხრიდან პიროვნების შეფასებითი დამოკიდებულების (პატივის) დაკნინებას. ... პატივისა და ღირსების კონსტიტუციურ დაცვას აქვს შემდეგი მიმართულებები: ადამიანის სხეულის მთლიანობის, ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვა; ადამიანის ღირსეულად ცხოვრებისათვის აუცილებელი სამართლიანი სოციალური პირობების უზრუნველყოფა; სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფა; ადამიანის, როგორც ინდივიდის პიროვნულობის დაცვა".[79]

პროპორციულობის პრინციპის დაცვა აუცილებელია, რათა მოზარდს არ დარჩეს უსამართლობის განცდა[80] და უარყოფითი დამოკიდებულება არ გაუჩნდეს სამართალდამცავი სტრუქტურების და ზოგადად სახელმწიფო ორგანოებისადმი. სახელმწიფო ორგანოებისადმი მოზარდის უარყოფითი ან ნიჰილისტური დამოკიდებულება მას უბიძგებს, რომ დამნაშავედ ან ქვეყნის პასიურ მოქალაქედ ჩამოყალიბდეს.

3.4. სტიგმატიზაციის თავიდან აცილება

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების თანახმად, დაუშვებლია არასრულწლოვნის სტიგმატიზაცია. შეფარდებული ღონისძიება არ უნდა იწვევდეს მის მოწყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესებისაგან და არ უნდა ახდენდეს განსაკუთრებულ ზეგავლენას მისი ცხოვრების ჩვეულ რიტმზე.

„სტიგმა არის ფიზიკური ან სოციალური თვისება, ნიშანი, რომელიც ახდენს აქტორის ან ჯგუფის სოციალური იდენტობის დევალვაციას და დისკრედიტაციას. სტიგმა შეიძლება იყოს ისეთი სოციალური მახასიათებელი, როგორიცაა ინდივიდის კრიმინალური რეპუტაცია".[81] სტიგმატიზაციასთან

79 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება.
80 ზაზაშვილი, ნ., პირადი ჩანაწერები.
81 კოდუა, ე. (რედ.), 2004. გვ. 290-291.

დაკავშირებით მნიშვნელოვანია ეტიკეტირების თეორია. კრიმინოლოგიური თეორია, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა, საუბრობს სოციალური კონტროლის ორგანოებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მხრიდან მოზარდის კრიმინალად ეტიკეტირებაზე (სტიგმატიზებაზე) და მოზარდის მიერ ახალი კრიმინალური იდენტობის აღიარებისა და გამართლების საშიშროებაზე.[82]

Labeling Approach წარმოდგება ინგლისურიდან. *label* – ნიშნავს ეტიკეტს, ეტიკეტირებას, ხოლო *approach* – მიდგომას, დაახლოებას. ეტიკეტირების თეორია ცნობილია აგრეთვე „იარლიყის მიკერების“ თეორიის სახელწოდებით.[83] ეტიკეტირების თეორია პირველად 1938 წელს ჩამოაყალიბა ამერიკელმა სოციოლოგმა ფრანკ ტანენბაუმმა.[84] ეტიკეტირების თეორიის კლასიკური დახასიათება, რამაც იგი პოპულარული გახადა, ასევე ამერიკელ სოციოლოგებს ჰოვარდ ბეკერს[85] და ედვინ ლემერტს ეკუთვნის.[86] ბეკერის აზრით, ქმედებები თავისთავად არც კარგია და არც ცუდი. ნორმალურობა და დევიანტობა[87] სხვა არაფერია, თუ არა სოციალურად განსაზღვრული თვისებები. ამდენად, დევიაცია უფრო მეტად არის არა მოქმედების თვისება, არამედ სხვათა მიერ მიწერილი წესები და სანქციები „კრიმინალების“ მიმართ.[88]

ბეკერი გამოყოფს *labeling*-ის ორ განზომილებას, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დანაშაულის დეფინიციისა და მისი კონსტრუირებისათვის. პირველი განზომილება არის დადგენილი ნორმა. ის პიროვნებები, რომლებიც ქცევის წესებს და ნორმებს ქმნიან, განსაზღვრავენ, რომელი ქმედება არის ნორმის დარღვევა და, რომელი – დანაშაული. მეორე დიმენზია არის ნორმის გამოყენება. პირები, რომლებიც დადგენილ ნორმებს იყენებენ [მაგ. სამართალდამცავი ორგანოების წევრები] ყველა ქმედებას დანაშაულად არ მიიჩნევენ და ერთგვარ სელექციას ახდენენ. ნორმის გამოყენების სელექციურობით ხდება დამნაშავის ცნების ჩამოყალიბება,[89] რომელიც გავლენას ახდენს პირის ეტიკეტირებაზე.

---

82 იხ.: შალიკაშვილი, მ., 2011. გვ. 47-49.
83 კოდუა, ე. (რედ.), 2004. გვ. 102.
84 Tannenbaum, F. 1938. 1951.
85 Becker, H. 1963.
86 Lemert, E. 1951.
87 „დევიაცია იმ ქცევის აღნიშვნაა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს... [თუმცა] შესაძლოა, ინდივიდის ესა თუ ის ქმედება ფორმალურად განიხილებოდეს როგორც დევიანტური, მაგრამ მას მაინც არ „მიეკეროს“ დევიანტის იარლიყი, რამდენადაც, გარემოების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრი არ აღიარებს ნორმის დარღვევას“. კოდუა, ე. (რედ.), 2004. გვ. 54. .
88 Rüther, W., 1975. S. 29.
89 Becker, H., 1963. S. 12.

ვინ ახდენს პირის ეტიკეტირებას („იარლიყის მიკერებას“)?

როგორც წესი, პირის „დამნაშავედ“ ეტიკეტირება ხდება სოციალური კონტროლის ორგანოების ან მათი წარმომადგენლების მიერ. ეს ორგანოებია: პოლიცია, მედია, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები და სხვა. მათ მიერ ნეგატიური (დევიანტური) ეტიკეტირება გავლენას ახდენს ინდივიდის ცნობიერებაზე და წარმოშობს მასში დევიანტურ იდენტობას, რაც ხელს უწყობს დევიანტური კარიერისა და სუბკულტურების განვითარებას.

კაიზერის აზრით, პიროვნება გადაიქცევა დამნაშავედ, როდესაც სოციალური კონტროლის ინსტიტუციების მეშვეობით მას მიენიჭება დამნაშავის ეტიკეტი და საზოგადოება მას დამნაშავედ აღიარებს.[90] აქედან გამომდინარე დამნაშავეა ის, ვინც სახელმწიფო კონტროლის ორგანოების და საზოგადოების მიერ აღიარებული იქნება დამნაშავედ.

პირის დამნაშავედ გადაქცევის ეტაპები:

1. პირველად ჩადენილი დანაშაული; 2. საზოგადოებრივი რეაქცია ანუ, საზოგადოების მიერ პირის დამნაშავედ ეტიკეტირება; 3. ა) საზოგადოებაში „დამნაშავის“ ინტეგრირების პრობლემა; ბ) „დამნაშავის“ მიერ მისი სტატუსის აღიარება და კრიმინალად ჩამოყალიბება; 4. განმეორებითი დანაშაულების ჩადენა.

გთავაზობთ მაგალითს,[91] როგორ შეიძლება განხორციელდეს მოზარდის დამნაშავედ ჩამოყალიბება საზოგადოების მიერ მისი ეტიკეტირების გამო.

მოზარდი, თავისი მატერიალური პრობლემის მოსაგვარებლად, ჩაიდენს დანაშაულს. მოზარდის მიერ ჩადენილი დანაშაული არ გახდება ცნობილი სამართალდამცავი ორგანოებისათვის და არ მოხდება მისი ეტიკეტირება.

იმის მიუხედავად, მოხდა თუ არა მოზარდის ფინანსური პრობლემის მოგვარება, იგი ხედავს, რომ ჩადენილი ქმედება პოლიციას არ დაუფიქსირებია, რაც მას გამბედაობას მატებს და უბიძგებს, კიდევ ჩაიდინოს დანაშაული. ამით მატულობს ალბათობა, რომ მოზარდის მიერ ჩადენილი დანაშაული ლატენტური აღარ დარჩეს და სახელმწიფო ორგანოებმა ის გამოავლინოს.

თუ სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცნობილი გახდა მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მაგრამ იგი რეაგირების გარეშე დატოვა,

90 Kaiser, G., 1996. S. 275.
91 Quensel, S., 1970. S. 381.

მოზარდი სახელმწიფო კონტროლის ორგანოების უმოქმედობას მათ სისუსტედ ჩათვლის და მეტი გამბედაობა დაეუფლება.

ხოლო, თუ სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოხდება რეაგირება, საზოგადოება, რომელიც მოზარდის გარშემოა, შეიტყობს, რომ მან დანაშაული ჩაიდინა და ამის გამო მას „ზურგს შეაქცევს“. სამაგიეროდ, ახლა მოზარდი აღიარებას ჰპოვებს სხვა პირთა წრეში, რომლებიც დანაშაულის ჩადენას და სასჯელის მოხდას ღირსებად უთვლიან. შემდგომი დანაშაულის ჩადენისას მოზარდი მისი ახალი მეგობრებისგან უფრო მეტ აღიარებას მოიპოვებს. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მოზარდის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა უფრო მკაცრად იქნება სანქციონირებული, ვიდრე ეს მოხდა დანაშაულის პირველად გამოვლენის შემთხვევაში. მოზარდი ოფიციალურად დამნაშავედ გამოცხადდება. უცხო პირთა მიერ მოზარდის დამნაშავედ გამოცხადებას თან მოჰყვება მოზარდის მიერ საკუთარი თავის დამნაშავედ აღიარება. იმის გამო, რომ მოხდა მოზარდის ეტიკეტირება, მას შეეზღუდება საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობა, რაც ასევე მისი პიროვნების სოციალურ განვითარებას შეუშლის ხელს. საზოგადოებისაგან გარიყული მოზარდი ცდილობს გაამართლოს მისთვის მინიჭებული დამნაშავის „სტატუსი“, სწავლობს დანაშაულის ჩადენის ახალ ხერხებსა და მეთოდებს და იყენებს მათ პრობლემების მოსაგვარებლად. მოზარდი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. მის მიერ მანამდე ჩადენილი დანაშაულებიდან გამომდინარე, სამართალდამცავი ორგანოების რეაქცია იქნება მკაცრი. მოზარდს მოათავსებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილას, სადაც ის დანაშაულის ჩადენის კვლავ ახალ ხერხებსა და მეთოდებს დაეუფლება. ციხიდან გამოსული მოზარდი ითვლება ნასამართლევად, რაც თავის მხრივ ართულებს საზოგადოებაში მის ინტეგრაციას (სამსახურის დაწყება, მეგობართა ახალი წრის პოვნა).

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ეტიკეტირების მნიშვნელობა მდგომარეობს დამნაშავედ მიჩნეული პირის მიერ საკუთარი იდენტიფიკაციის შეცვლაში და კრიმინალის სტატუსის აღიარებასა და მის გამართლებაში. თუ საზოგადოება მას კრიმინალად მიიჩნევს, ის ცდილობს, თავისი საქციელით გაამართლოს ეს შეხედულება.[92]

ეტიკეტირების თეორიის ძირითადი ასპექტების ცოდნა მნიშვნელოვანია განრიდების და/ან მედიაციის პროცესში მონაწილე პირებისათვის. განრიდების და/ან მედიაციის პროცესში მონაწილე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუციებზეა დამოკიდებული ის, რომ არ მოხდეს მოზარდის

92 Göppinger, H., 1997. S. 110.

დამნაშავედ სტიგმატიზაცია (ეტიკეტირება) და შემდგომ მის მიერ საკუთარ პიროვნებაში დამნაშავის ძებნა. განრიდების და/ან მედიაციის პროცესში მონაწილე პირების სათუთი და ინდივიდუალური დამოკიდებულება დამნაშავე მოზარდისადმი უნდა ეყრდნობოდეს მოქალაქეთა პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობას და ხელს უნდა უშლიდეს მოზარდის კრიმინალად სტიგმატიზაციას და მისი კრიმინალური „კარიერის" ჩამოყალიბებას.

3.5. კონფიდენციალობა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების მიხედვით, განრიდებისა და მედიაციის პროცესში არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ ან, თუ კანონმდებლობით სხვა წესი არ არის განსაზღვრული.

„კონფიდენციალობა მნიშვნელოვანი პრინციპია, ვინაიდან ნებისმიერ საზოგადოებაში, მათ შორის საქართველოში, არსებობს სტიგმა ნასამართლევი ადამიანების მიმართ, რაც ხელს უშლის ყოფილ პატიმრებს, პრობაციონერებს საზოგადოებაში რეინტეგრაციაში, განრიდებისა და მედიაციის პროგრამა კი საშუალებას იძლევა მოზარდის ბიოგრაფიაში არსად არ იყოს დაფიქსირებული მისი ცხოვრების ეს ეპიზოდი".[93]

განრიდების და/ან მედიაციის პროცესში დამნაშავე და დაზარალებული პირის შესახებ მხარეების მიერ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, პირველ რიგში, ემსახურება საზოგადოებაში მათ უმტკივნეულო რესოციალიზაციას. ამ მხრივ საინტერესოა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილია სახელწოდებით – „ლემბახში ჯარისკაცების მკვლელობა". 1969 წელს გერმანიის ერთ-ერთ სოფელში დისლოცირებული საჯარო ნაწილის ოთხი ჯარისკაცი მოკლა სამმა ახალგაზრდამ. დამნაშავე ახალგაზრდები იყვნენ ჰომოსექსუალები. მკვლელების მიზანი იყო საჯარისო ნაწილიდან იარაღისა და ტყვია-წამლის გატაცება, შემდგომში დანაშაულების ჩადენის მიზნით. მათ სურდათ, დანაშაულებრივი გზით საკმარისი ფული დაეგროვებინათ და უზრუნველად ეცხოვრათ სამხრეთის რომელიმე ზღვისპირა ქალაქში. 1973 წელს მკვლელობის ერთი თანამონაწილე ციხიდან ვადამდე თავისუფლდებოდა პირობით და გერმანიის ერთ-ერთმა დიდმა ტელეკომპანიამ ZDF-მა განიზრახა „ლემბახში ჯარისკა-

93 ზაზაშვილი, ნ., პირადი ჩანაწერები.

ცების მკვლელობის“ საქმეზე დოკუმენტური ფილმის ჩვენება. დოკუმენტური ფილმი ორსაათნახევარი გრძელდებოდა და მაყურებელს უამბობდა: „დანაშაულის წინაისტორიას, ჩადენის დეტალებს, გამოძიების მოქმედებას, დამნაშავეთა დაკავებისა და გასამართლების ფაქტებს. ფილმში მოცემული იყო სამივე დამნაშავის ფოტოსურათი მათი ნამდვილი სახელების მითითებით“. [94]

მსჯავრდებულთა ადვოკატმა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა ZDF-ს ფილმის ჩვენებაზე უარი ეთქვა. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მსჯავრდებულების შესახებ მათი პიროვნული ინფორმაციის გახმაურება ხელს შეუშლიდა მათ რესოციალიზაციას და საზოგადოებაში უმტკივნეულო დაბრუნებას. საკონსტიტუციო სასამართლომ აკრძალა ფილმის ჩვენება.

3.6. არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის დაცვა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების მიხედვით, არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება აუცილებელია პროგრამის ყველა ეტაპზე. პროკურორის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის ინტერესს. აქ უნდა შეფასდეს, რა შედეგი შეიძლება ჰქონდეს პროგრამაში არასრულწლოვნის ჩართვას, როგორია განმეორებითი დანაშაულის რისკი და ა.შ.

„პროგრამის ფარგლებში, სოციალური მუშაკის მიერ მოზარდის ფსიქოსოციალური შეფასების საფუძველზე იგი (სოციალური მუშაკი) პროკურორთან ერთად ადგენ პასუხისმგებლობის ზომებს კონკრეტული მოზარდის ინდივიდუალური, პრობლემური და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, აქცენტი კეთდება სწორედ არასრულწლოვნის პოზიტიურ, დადებით მხარეებზე, მათ გაძლიერებაზე“.[95]

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, შეძლებს თუ არა პროკურორი თავისი გადაწყვეტილებით მოზარდის ჯაშმარიტი ინტერესის დაცვას, უნდა ვიცოდეთ იურისტების ან კონკრეტულად პროკურორების საქმიანობის სოციოლოგია.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, გერმანიაში, ვოლფგანგ კაუპენის მიერ ჩატარდა 30 მოსამართლის და ამდენივე პროკურორისა და ადვოკატის გამოკითხვა, მათი განათლების, მიზნების, რელიგიურობის, მორალური დამოკიდებულების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობების შესახებ.

94 კუბლაშვილი, კ., 2003. გვ. 121.
95 ზაზაშვილი, ნ., პირადი ჩანაწერები.

კაუპენი მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა იუსტიციის კონსერვატიზმს.[96] მისი შეფასებით, გამოკითხულ იურისტებს ჰქონდათ კონსერვატორული, ავტორიტარული, არადემოკრატიული და ანტილიბერალური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. მეცნიერთა შეხედულებით იურისტები „ავტორიტარული პიროვნებები“ არიან. ავტორიტარიზმი არის ცნება სოციალ-ფსიქოლოგიიდან და ცხოვრებისადმი ისეთ დამოკიდებულებას გულისხმობს, რაც ორიენტირებულია მყარ კონფორმულ ქცევაზე, ძლიერების ქვეშევრდომობაზე და სუსტების დამორჩილებაზე, საკუთარი გრძნობების კონტროლზე, არატოლერანტულობაზე.[97]

იურისტების პროფესიულ სოციალიზაციასთან დაკავშირებით საინტერესოა გასული საუკუნის 70-იან წლებში ლანგეს და ლუჰმანის[98] მიერ ჩატარებული კვლევა. მკვლევრებმა გამოკითხეს სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები და საჯარო მოხელეები (იურისტები და არაიურისტები). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ძირითადად მაღალი და საშუალო წრის ზედა ფენებიდან იყვნენ. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები უფრო მეტად იყვნენ ინტეგრირებული მეგობრების და ნაცნობების წრეში, ვიდრე სხვა ფაკულტეტის სტუდენტები. ეს ხელს უწყობდა მათ პროფესიულ წარმატებას.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთაც სურდათ სახელმწიფო სამსახურში (მოსამართლე, პროკურორი და სხვა) მუშაობა, გამოირჩეოდნენ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების მაღალი გრძნობით. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა ეს კატეგორია ორიენტირებული იყო მყარ შემოსავალზე, რომელიც არ იქნებოდა დამოკიდებული შესრულებული სამუშაოს რაოდენობაზე. ისინი არ იყვნენ დამოუკიდებელი, არ ჰქონდათ [საქმიანობისადმი] პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და არ გამოირჩეოდნენ რისკზე წასვლის მზადყოფნით. ხოლო, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, რომელთაც სურდათ, დამოუკიდებელი ადვოკატები გამხდარიყვნენ, ჰქონდათ წინა ჯგუფის საპირისპირო ჩვევები და ღირებულებებისადმი ორიენტაცია (მეტი დამოუკიდებლობა, საკუთარი საქმიანობისადმი მეტი პასუხისმგებლობა, რისკზე წასვლის მზადყოფნა და ა.შ.).

ლანგე და ლუჰმანი მივიდნენ დასკვნამდე, რომ კონსერვატორულ-ავტორიტარული პიროვნული თვისებები უფრო მეტად ახასიათებთ იმ იურისტებს,

96 Kaupen, W., 1969. S. 220.
97 Albrecht, P-A., 2002. S. 259.
98 Luhmann, N./ Lange, E., 1974, S. 113.

რომლებიც სახელმწიფო სამსახურში მსახურობენ (პროკურორები, მოსამართლეები და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული იურისტები).

სამართლის სოციოლოგიის მიხედვით, მოსამართლეთა გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები (მოდელი):[99]

- მატერიალური ფაქტორი – მატერიალური ფაქტორის მიხედვით, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს, რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნება ბრალდებული პირი;
- სოციალ-ფსიქოლოგიური ფაქტორი – სოციალ-ფსიქოლოგიური ფაქტორის თანახმად, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს მისი პიროვნული დამოკიდებულება ღირებულებებისა და სოციალური ფენებისადმი, მისი უარყოფითი განწყობა რელიგიური და ეროვნული უმცირესობებისადმი [მოსამართლე, როგორც მაღალი ფენის წარმომადგენელი ისე უყურებს დამნაშავეს, რომელიც უმეტეს წილად დაბალი ფენის წარმომადგენელია, სხვა რელიგიის ან ეროვნების ადამიანს, როგორც მისი საზოგადოებისათვის უცხოს];
- ფსიქოანალიტიკური ფაქტორი – ფსიქოანალიტიკური ფაქტორის თანახმად, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს მოსამართლის არაცნობიერში არსებული უსიამოვნო მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსულში მოსამართლის მიერ გადატანილი ისეთი ტრავმის (ახლობელი ადამიანის დაკარგვა, მასზე განხორციელებული ძალადობა და ა.შ.) შედეგად, რომელიც არ იქნა ფსიქოლოგიურად დამუშავებული. ფსიქოანალიტიკური ფაქტორის თანახმად, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს ასევე სურვილის დათრგუნვა საკუთარ თავში;
- როლების [გადანაწილების] თეორიული ფაქტორი – ამ ფაქტორის საფუძველზე, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს მისი კოლეგების ან „ზემდგომის“ შეხედულებები და მოლოდინი;
- ბიუროკრატიული ფაქტორი – ბიუროკრატიული ფაქტორის თანახმად, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს კოლეგებისადმი კონკურენტული დამოკიდებულება (მაგ.: ერთი წლის განმავლობაში განხილული ან განუხილველი საქმეების რაოდენობა); პიროვნული და-

99 Albrecht, P-A., 2002. S. 256.
მოცემულ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის ფაქტორები იურიდიულ (კრიმინოლოგიურ) ლიტერატურაში განხილულია მოსამართლეებთან მიმართებაში, თუმცა, ვფიქრობთ, ჩამოთვლილი კომპონენტები ასევე

სავსებით შეიძლება განხილულ იქნეს იურისტების (პროკურორების) კონტექსტშიც.

პირისპირებები კოლეგებთან; „ზემდგომისათვის“ არასასურველ კოლეგათა სიაში ყოფნა და ა.შ.

სპისის და სტორცის მიერ გერმანიის შვიდ ფედერალურ მიწაზე შესწავლილი იქნა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი დანაშაულის – მართვის მოწმობის გარეშე ავტომობილის მართვის – პროკურორის მიერ არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული დანაშაულისათვის არასრულწლოვანთა მიმართ პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა ჰამბურგის მიწაზე შეადგენდა – 0,6%-ს, ბერლინის მიწაზე – 3,8%-ს, ბრემენის მიწაზე – 5,2%-ს, ზაარლანდის მიწაზე – 5,8%-ს, ნიდერზახსენის მიწაზე – 25,6%-ს, რჰაინლანდ-პფალცის მიწაზე – 51,4%-ს და ბადენ-ვურტემბერგის მიწაზე 61,1%-ს.[100]

სპისის და სტორცის კვლევამ ასევე დაადგინა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დამოკიდებული იყო არასრულწლოვანი ბრალდებულის წარსულში ნასამართლობაზე[101] და იმ გარემოებაზე, თუ სად, რომელ რაიონში იქნა ჩადენილი დანაშაული. პროკურორები იმის მიხედვით იწყებდნენ სისხლისსამართლებრივ დევნას, თუ რამდენად დატვირთული იყო სხვა საქმეებით ამ რაიონის მოსამართლე. თუ პროკურორმა იცოდა, რომ მოსამართლეს ბევრი საქმე ჰქონდა თვითონ აღარ იწყებდა ბრალდებულის დევნას და ცდილობდა ახალი საქმით აღარ დაეტვირთა მოსამართლე.[102] გერმანელი პროკურორების ამგვარი მიდგომა უარყოფით გავლენას ახდენს მოქალაქეებში სამართლიანობის გრძნობის ჩამოყალიბებაზე, არ ისახავს მიზნად არასრულწლოვანისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და არღვევს სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპს (ერთგვაროვანი და სამართლიანი მართლმსაჯულება).[103]

ზოგადად, პროკურორების მიერ კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების შესახებ უნდა ითქვას, რომ როგორც გერმანიაში ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინეს, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღმზრდელობითი ღონისძიებების განხორციელების ან ბრალდებულის რესოციალიზაციის პრინციპი, მათ (პროკურორების) საქმიანობაზე გავლენას ვერ

100 Spieß, G./ Storz, R.. 1989. S. 127.
101 იგივე, გვ. 143.
102 Albrecht, P-A., 2002. S. 209.
103 იქვე.

ახდენს. პროკურორები კანონით დადგენილ ნორმებზე და პროკურატურის ბიუროკრატიულ პირობებზე (სიტყვიერი მითითებები, ზემდგომი პროკურორის მოსაზრება და ა.შ.) არიან ორიენტირებული, ვიდრე (არასრულწლოვანი) ბრალდებულის მიმართ ინდივიდუალურ, სპეციალურ პრევენციულ მიდგომაზე.[104] პროკურორები გადაწყვეტილების მიღების დროს დიდ ყურადღებას აქცევენ საკანონმდებლო ნორმებით დადგენილ ქმედების მძიმე ხასიათს, ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობას, ზარალის ოდენობას და ყურადღების მიღმა რჩებათ ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები ან ჩადენილი ქმედების მოტივი, რაც შესაძლებელს გახდიდა მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება, რომელიც მორგებული იქნებოდა ბრალდებულის რესოციალიზაციაზე (არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესი).[105]

მეოთხე თავი
არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის საკანონმდებლო რეგულირება

104 Libuda-Köster, A., 1990. S. 229-337; Albrecht, P-A., 2002. S. 208.
105 Libuda-Köster, A., 1990. S. 243.

განრიდების ცნება საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216-ე და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის №94-ე ბრძანებების შესაბამისად, განისაზღვრა, როგორც – არასრულწლოვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელსაც იყენებს პროკურორი. მხარეს უფლება აქვს მიმართოს პროკურორს განრიდების გამოყენების შუამდგომლობით. განრიდების გამოყენება შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის ნებისმიერ სტადიაზე, წინასასამართლო სხდომამდე.

არასრულწლოვანის განრიდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ემსახურება იმ ამოცანას, რომ მოზარდს მისცეს გამოსწორების შანსი და თავიდან იქნას აცილებული ციხის პირობებში მისი კრიმინალად ჩამოყალიბების გარდაუვალი პროცესი.

მედიაცია (ლათ. მედიარე – შუამავლობა) – სასამართლოს გარეშე კონფლიქტის მოგვარების ფორმა, რომელშიც მონაწილეობს მესამე, ნეიტრალური მხარე – მედიატორი. „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის ბრძანების თანახმად, მედიაცია განიმარტა როგორც – არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის მოგვარება. მედიაციის პროცესში აგრეთვე მონაწილეობენ არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლი, პროკურორი, სოციალური მუშაკი და განსაკუთრებულ შემთხვევაში, სხვა პირები.

მედიაცია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ყველაზე რბილ ფორმას წარმოადგენს. მედიაციის პროცესის დროს, კონფლიქტში მონაწილე მხარეები, დამოუკიდებლად მიდიან ურთიერთსასარგებლო გამოსავალთან, რომელიც ეფუძნება მედიატორის გამოცდილებას, ცოდნას და უნარებს. დავის გადაწყვეტა მთლიანად დაპირისპირებული მხარეების ნებაზეა დამოკიდებული.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216-ისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის – №94 ბრძანებების შესაბამისად, მედია-

ციის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება, დანაშაულით გამოწვეული ემოციური თუ მატერიალური შედეგების გამოსწორება და სამართლიანობის აღდგენა. მედიაციაში ცენტრალურ როლს ასრულებს მედიატორი, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც წარმართავს მთელ პროცესს.

2010 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტში შევიდა კანონპროექტი, არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმების სრულყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, რეფორმის ფარგლებში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ნორმების ალტერნატიული სქემის შემუშავებისათვის დამატებითი გარანტიების შექმნის მიზნით, როგორც ეს აღნიშნული კანონპროექტის განმარტებითი ბარათით იყო განსაზღვრული. 2010 წლის 24 სექტემბერს პარლამენტმა მიიღო ცვლილებების და დამატებების პროექტი, რომლითაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლს დაემატა 4-6 ნაწილები. მე-4 ნაწილით განისაზღვრა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, რომლის თანახმადაც, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ *პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული,* და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი, პროკურორს შეუძლია დასაბუთებული დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო. დისკრეციული უფლებამოსილება 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

იმის მიუხედავად, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეოთხე ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება შესაძლებელია მძიმე დანაშაულზეც, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216-ე ბრძანებაში პირდაპირ იქნა მითითებული, რომ არასრულწლოვანს განრიდებამედიაციაში მონაწილეობა შეეძლო მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ანუ არასრულწლოვანს, რომელმაც ჩაიდინა მძიმე დანაშაული (გარდა ჯგუფურისა), უარი ეთქვა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონაწილეობაზე.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის

მე-7 ნაწილის თანახმად, „საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ“. საქართველოს საკანონმდებლო აქტების მოქმედების იერარქია აშკარად მიუთითებს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იერარქიულ უპირატესობაზე მინისტრის ბრძანების მიმართ.

ვფიქრობთ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216-ე ბრძანებით აშკარად შეიზღუდა როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების ფარგლები,[106] ასევე დაირღვა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული საკანონმდებლო სუბორდინაციის პრინციპი.

„დისკრეცია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას საკუთარი შეხედულებისამებრ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N181 ბრძანება აყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. დისკრეციული უფლებამოსილება მრავალმხრივი ინტერპრეტაციისა და ფართო ლავირების საშუალებას იძლევა. არასწორად მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს როგორც კონკრეტული პირის უფლებებსა და ინტერესებს, ასევე მთელ საზოგადოებას. ამ ბრძანებაში მოცემული რეკომენდაციები მიზნად ისახავს პროკურორის ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მოქცევას ზოგადი პრინციპებისა და სტანდარტების ჩარჩოებში, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს უფრო სტრუქტურულს, თანმიმდევრულსა და გამჭვირვალეს გახდის, განამტკიცებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, ამასთან, ხელს შეუწყობს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შეძლებისდაგვარად ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ამავდროულად, პროკურორის გადაწყვეტილების თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს იმგვარად, რომ საფრთხე შეექმნას სისხლისსამართლებრივი სისტემის მოქნილობასა და ეფექტურობას, ყოველი კონკრეტული საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომასა და სამართლიანი გადაწყვეტილების

106 გვენეტაძე, ნ./კვაჭაძე, მ./წიკლაური-ლამიხი, ე./გაბუნია, მ., 2012. გვ. 105.

მიღებას. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ბრძანება ჩამოყალიბებულია ზოგადი, სარეკომენდაციო პრინციპების სახით.

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების არსებითი ნაწილია იმის გარკვევა, თუ რამდენად ემსახურება დევნის დაწყება საჯარო ინტერესს. პროკურორმა დევნა არ უნდა დაიწყოს მაშინ, როცა დევნის საწინააღმდეგო საჯარო ინტერესი აშკარად გადაწონის პირის დასჯის ინტერესს. საჯარო ინტერესის განსაზღვრისას საჭიროა გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინება, ესენია – სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, დანაშაულის ბუნება და სიმძიმე, სისხლისსმართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, პირის ბრალეულობის ხარისხი, პირის კრიმინალური წარსული, გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი, პიროვნული მახასიათებლები, მოსალოდნელი სასჯელი მსჯავრდების შემთხვევაში ან სხვა შედეგი. თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების გათვალისწინება არ იძლევა საჯარო ინტერესის ზუსტად განსაზღვრის გარანტიას, მაგრამ ზოგიერთი მათგანის გამოყენება, ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ფაქტორების გათვალისწინებით, არსებითია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

აქვე გასათვალისწინებელია პროკურორების, როგორც იურისტების მიდგომა ზემდგომის მიერ მიღებული რეკომენდაციებისადმი.[107]

4.1. განრიდების და მედიაციის გამოყენების წინაპირობა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216-ე ბრძნებით განსაზღვრულია ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია არასრულწლოვნის განრიდების და მედიაციის განხორციელება. ეს წინპირობებია:

- არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, ნაკლებად მძიეა დანაშაული, თუ სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

პირველად ჩადენილ დანაშაულად ითვლება პოლიციის მიერ რეგისტრირებული შემთხვევა და არა ლატენტური დანაშაული, რომელიც არ გახდა პოლიციისათვის ცნობილი.

თუ მოზარდმა 14 წლამდე ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება არც ეს

107 შალიკაშვილი, მ., 2011. გვ. 12-13.

შეიძლება ჩაითვალოს პირველად დანაშაულის ჩადენად. დანაშაული არის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. 14 წელს მიუღწეველი პირის მიერ განხორციელებული ქმედება შესაძლებელია იყოს მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ იგი არ არის ბრალეული. დანაშაული კი არ არსებობს პირის ბრალეულობის გარეშე.

- არასრულწლოვანს მონაწილეობა არ მიუღია განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში;
- არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს და მზად არის დაზარალებულს მოუხადოს ბოდიში და მან ან მისმა ოჯახმა აანაზღაუროს ზიანი;
- პროკურორის შინაგანი რწმენით, არ არსებობს დევნის დაწყების ან გაგრძელების საჯარო ინტერესი.

იუსტიციის მინისტრის მოცემულ ბრძანებაში 2011 წლის 23 ივნისს შევიდა ცვლილება და III თავის მე-2 პუნქტის თანახმად, ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობისას დასაშვებია განრიდებისა და მედიაციის გამოყენება და ასევე განისაზღვრა რომ ამ პროგრამის გამოყენება შესაძლებელია ჯგუფურ დანაშაულზეც, რაც თავის მხრივ უმეტესად სცილდება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულობათა ფარგლებს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ განრიდება უკვე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ნაკლებად მძიმე, ისე მძიმე ჯგუფურ დანაშაულებზე (გარდა ორგანიზებული ჯგუფისა), ე.ი. განრიდება გამოიყენება მხოლოდ იმ მძიმე დანაშაულებზე, რომელთა მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ჯგუფურობა. ამასთანავე, ჯგუფის მონაწილე არასრულწლოვნის პიროვნული თვისებების, ბრალის ხარისხისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, განრიდება შეიძლება არ გავრცელდეს ჯგუფის ყველა წევრზე.

2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლი ითვალისწინებდა რამდენიმე გარემოებას, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაწყებულიყო, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყვეტილიყო. 28-ე მუხლის 1 ნაწილის თ ქვეპუნქტი ითვალისწინებდა ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას დაზარალებულთან შერიგების გამო, სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მათ შორისაა სისხლის სამართლის კოდექსის 89[1] მუხლი – არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაზარა-

ლებულთან შერიგების გამო. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს მედიაციის გამოყენებისათვის საჭირო მსგავს პირობებს – არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაული უნდა იყოს მის მიერ პირველად ჩადენილი და ამასთანავე ნაკლებად მძიმე დანაშაული. ბრალდებულისა და დაზარალებულის შერიგება დღეს მედიაციის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, თუმცა ის ისეთი სახით ხორციელდება, რომ სცდება მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაზე დაპირისპირებული მხარეების დაკმაყოფილებას და ზეგავლენას ახდენს მომავალში დანაშაულის თანამდევ შედეგებზე და ცდილობს კონფლიქტის განმეორების გამორიცხვას.

სისხლის სამართლის კოდექსი 69-ე მუხლით 2010 წლის 1 ოქტომბრამდე, დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების შემთხვევაში, ითვალისწინებდა დამნაშავის გათავისუფლებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, ისეთ დანაშაულებზე, რომლისთვისაც მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით. ეს მუხლი ეხებოდა როგორც არასრულწლოვან, ისე სრულწლოვან დამნაშავეებს, თუმცა 2010 წლის ოქტომბერში 69-ე მუხლი ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ მოქმედი კანონმდებლობა, გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით, დაზარალებულთან შერიგებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს მხოლოდ არასრულწლოვან დამნაშავეს.

4.2. განრიდების და მედიაციის მონაწილე მხარეები

4.2.1. პროკურორი

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, „პროკურორად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ფლობს სამართალწარმოების ენას, გავლილი აქვს ექვსიდან ერთ წლამდე სტაჟირება პროკურატურის ორგანოებში, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიისათვის ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა შემდეგ დისციპლინებში: საკონსტიტუციო სამართალი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სასჯელაღსრულებითი სამართალი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საფუძვლები, დადებული აქვს პროკურორის მუშაკის ფიცი, საქმიანი და მორალური თვისებებით, აგრეთვე ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია

შეასრულოს პროკურორის მოვალეობა“.

პროკურორის საქმიანობა განრიდების და მედიაციის პროგრამაში ძირითადად რეგულირდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216-ე ბრძანებით „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ და ამავე მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181-ე ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“.

ლეგალურობის პრინციპის მიხედვით პროკურატურა არის სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო. ის წყვეტს საკითხს, მიიღოს თუ არა არასრულწლოვანმა მონაწილეობა მედიაციაში.[108] პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების/არდაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჯარო ინტერესს.

2010 წლის 12 ნოემბრის №216-ე ბრძანებაში ნათქვამია: „განრიდებისა და მედიაციის პროგრამა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია. პროგრამა საშუალებას აძლევს პროკურორს არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ზოგიერთ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის პირობებში და ამავე დროს, არ დატოვოს დანაშაულის ფაქტი და დაზარალებულის ინტერესი რეაგირების გარეშე“.

პროკურორი სისხლისსამართლებრივ დევნას არ იწყებს/წყვეტს კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. 2010 წლის 8 ოქტომბრის №181-ე ბრძანება არეგულირებს როგორც პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების საზღვრებს, ასევე მოქმედების ძირითად პრინციპებს.

პროკურორი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იცავდეს საზოგადოებრივ ინტერესს, საქმიანობისას – ადამიანის პატივსა და ღირსებას (2010 წლის 8 ოქტომბრის №181-ე ბრძანება). კერძოდ, პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში უნდა დაადგინოს, რამდენად მიზანშეწონილია დევნის დაწყება. პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას ხელმძღვანელობს ორი ძირითადი ტესტით. ესენია: საჯარო ინტერესი და მტკიცებულებითი ტესტი. მტკიცებულებითი

108 გვენეტაძე, ნ./კვაჭაძე, მ./წიკლაური-ლამიხი, ე./გაბუნია, მ., 2012. გვ. 97.

ტესტის თანახმად, „პროკურორმა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ არ არსებობს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი ან/და თუ ნაკლებად მოსალოდნელია პირის ბრალეულობის დადასტურება სასამართლოს მიერ“. ხოლო საჯარო ინტერესის ტესტის თანახმად, „მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც მტკიცებულებითი ტესტი დაკმაყოფილებულია, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს დევნა, თუ დევნის დაწყება ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს... საჯარო ინტერესის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მრავალი სხვადასხვა გარემოება, მათ შორის: ა) სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები; ბ) დანაშაულის ბუნება და სიმძიმე; გ) სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა; დ) პირის ბრალეულობის ხარისხი; ე) პირის კრიმინალური წარსული; ვ) გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი; ზ) პიროვნული მახასიათებლები; თ) მსჯავრდების შემთხვევაში მოსალოდნელი სასჯელი ან სხვა შედეგი“.

როგორც ვხედავთ, საჯარო ინტერესი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილების მიღების დროს. საკითხავია, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაული, რომელიც არ არის ძალადობრივი ხასიათის, ატარებს თუ არა მაღალ საჯარო ინტერესს?

„არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის №235-ე ბრძანებულებაში აღიარებულია არასრულწლოვანთა დანაშაულის მნიშვნელოვანი თავისებურება – დანაშაულის ეპიზოდური ხასიათი. თუ ვიცით, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული ეპიზოდური ხასიათისაა და იგი სოციალიზაციის დასრულებასთან ერთად ქრება, მაშინ საზოგადოების ინტერესს (პროკურორის მიერ გადასაწყვეტ საჯარო ინტერესს) უნდა წარმოადგენდეს არა არასრულწლოვნის დასჯა და ციხეში მისი კრიმინალად ჩამოყალიბება, არამედ მისი ჩართვა განრიდების და მედიაციის ან სხვა მსგავს პროგრამებში, რაც მასს შანსის მისცემს, გამოსწორდეს. დანაშაულის პრევენციის ყველაზე ეფექტურ საშუალებას სწორედ ასეთი ხასიათის პროგრამები წარმოადგენს.

საჯარო ინტერესის ტესტის დროს პროკურორის მხრიდან მხოლოდ დანაშაულის ბუნებისა და სიმძიმის შეფასებამ შესაძლებელია არ მოგვცეს არასრულწლოვნისათვის დადებითი შედეგი. სისხლის სამართლის კოდექ-

სის კერძო ნაწილში არსებული მუხლების სანქციები გვიჩვენებს, რომ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა რაოდენობა, ნაკლებად მძიმე დანაშაულთან შედარებით, ძალიან დიდია.

პროკურორს შეუძლია არასრულწლოვნის განრიდების და მედიაციის პროცესში ჩართვაზე გადაწყვეტილება მიიღოს წინასასამართლო სხდომამდე. წინასასამართლო სხდომის დროს მოსამართლეს სურვილის შემთხვევაშიც უფლება არა აქვს მედიაციაში ჩართოს არასრულწლოვანი.[109] მოსამართლე საერთოდ არ არის ჩართული განრიდებასა და მედიაციაში, რაც რაც არ არის სასურველი. მოსამართლეს შეუძლია სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე მუხლის საფუძველზე, თუ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, მის მიმართ გამოიყენოს აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებები. სამწუხაროდ, აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების პრაქტიკა საერთოდ არ არსებობს, რაც მეტად რთულ მდგომარეობაში აყენებს დამნაშავე არასრულწლოვანს.

გარდა ამისა, აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების გამოყენება ვერ შეედრება მედიაციას. აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით კონფლიქტის მოგვარება შეიძლება არც კი მოხდეს, როგორც ამას მედიაციის დროს აქვს ადგილი. არადა, სისხლის სამართლებრივი ნორმის გამოყენების კრიმინოლოგიური მნიშვნელობა სწორედ გრძელვადიანი პერსპექტივით კონფლიქტის მოგვარებაა და არა არასრულწლოვნის მიმართ სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება.

„განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანების თანახმად, „თუ არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი არ ეთანხმება პროკურორის მოთხოვნებს და შეუძლებელი ხდება ხელშეკრულების სხვა პირობებზე შეთანხმება, პროკურორი წყვეტს პროცესს და იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“. აღნიშნული ხდება ჩანაწერით:

- პროკურატურის როლის გაძლიერება. პროკურორი ხდება განრიდებისა და მედიაციის პროცესის ძირითადი ფიგურა. მისი პოზიცია და წარმოდგენები არის ძირითადი და გადამწყვეტი. მედიაცია რეალურად ამ

109 იგივე, გვ. 98.

ჩანაწერით იღებს ფორმალურ სახეს. თუ არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი არ ეთანხმებიან პროკურორის და სოციალური მუშაკის მიერ შედგენილ პირობებს, პროკურორი უარს იტყვის განრიდება-მედიაციაზე და დაიწყებს არასრულწლოვნის სისხლისამართლებრივ დევნას. პროკურორის ასეთი უფლებამოსილება ხელს შეუშლის კლასიკურ განრიდებას და მედიაციის წარმართვას.

- პროკურორის ამგვარი უფლებამოსილება პირდაპირ ზღუდავს არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენლის თავისუფალ ნებას. პროკურორის ამ უფლებამოსილებით არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს არ გააჩნიათ არავითარი უფლება განრიდება-მედიაციის პროცესში, რაც ეწინააღმდეგება მედიაციის ძირითად და ამოსავალ პრინციპს – მხარეთა თავისუფალი ნების თაობაზე. არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენლის პროტესტიც კი შესაძლებელია პროკურორის მხრიდან მკაცრად იქნას „დასჯილი“ და არასრულწლოვანს აღარ მიეცეს განრიდება-მედიაციაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

4.2.2. არასრულწლოვანი/კანონიერი წარმომადგენელი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 80-ე მუხლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა 14 წელი და ჯერ არ შესრულებია 18 წელი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის მიხედვით, „კანონიერი წარმომადგენელია – ახლო ნათესავი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართლის პროცესში ისეთ შემთხვევაში, როდესაც პროცესის მონაწილე არის არასრულწლოვანი“.

განრიდების და მედიაციის პროცესში არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა აუცილებელია, რათა არასრულწლოვანს გვერდში ჰყავდეს ნდობით აღჭურვილი პირი. კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე შესაძლებელია არასრულწლოვანს გაუჩნდეს შიში სახელმწიფო სტრუქტურებისადმი და ვერ დაიცვას საკუთარი პოზიცია ცხოვრებისეული გამოცდილების არქონის გამო. არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდებისა და მედიაციის საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას.

4.2.3. სოციალური მუშაკი

განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში სოციალური მუშაკის საქმიანობა რეგულირდება „განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის №29-ე ბრძანებით.

აღნიშნული ბრძანების თანახმად, სოციალური მუშაკი არის „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის თანამშრომელი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება სოციალურ ან სხვა სფეროში და ამავდროულად გავლილი აქვს გრძელვადიანი ტრენინგი სოციალური მიმართულებით“.

მას შემდეგ, რაც პროკურორი პრობაციის ბიუროს უფროსს წერილობით აცნობებს არასრულწლოვნის განრიდების თაობაზე, პრობაციის ბიუროს უფროსი საქმეში ჩართავს სოციალურ მუშაკს, რომელიც ხვდება პროკურორს. სოციალური მუშაკი ახდენს არასრულწლოვნის პირველად ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას, იძლევა დასკვნას და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობების შემუშავებას პროკურორთან შეხვედრიდან 5 დღის ვადაში, ხოლო სრული ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების დასკვნას – 2 კვირის ვადაში.

არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების დასკვნის მოსამზადებლად სოციალური მუშაკი ხვდება არასრულწლოვანს და მისი ოჯახის წევრებს.

პროკურორი სოციალური მუშაკის რეკომენდაციების გათვალისწინებით ადგენს არასრულწლოვნისათვის განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების პირობებს.

სოციალური მუშაკი ასევე ახორციელებს არასრულწლოვნის მიერ განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგს ხელშეკრულების დასრულებამდე. სოციალური მუშაკი პროკურორს თვეში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ.

თუ არასრულწლოვანი ყოველგვარი ობიექტური მიზეზების გარეშე არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, სოციალური მუშაკი ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს პრობაციის ბიუროს უფროსს და პროკურორს.

სოციალური მუშაკი განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების დას-

რულებიდან 5 დღის ვადაში პროკურორს წარუდგენს საბოლოო ანგარიშს.

4.2.4. დაზარალებული

განრიდებაში და მედიაციაში დაზარალებული არის პირი, რომელსაც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულის სტატუსი აქვს მინიჭებული. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის თანახმად, პროკურორს გამოაქვს დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ.

დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი და საზოგადოება (მისი უსაფრთხოება და წესრიგი). თუმცა მეტად პრობლემურია კონკრეტული დაზარალებულის არყოფნის შემთხვევაში კლასიკური მედიაციის განხორციელება. კლასიკური მედიაციის დროს ხდება დაზარალებულის მიერ შიშების დაძლევა, რომელიც დანაშაულის შედეგად გაუჩნდა, რაც იურიდიული პირების შემთხვევაში წარმოუდგენელია.[110] გარდა ამისა, მედიაცია კარგავს ინდივიდუალობას, რადგან იურიდიული ფირმის წარმომადგენლისათვის აზრი არა აქვს დამნაშავის მხრიდან ბოდიშის მოხდას და მასთან (კონკრეტულად ფირმის წარმომადგენელთან) შერიგებაზე საუბარს. უფრო პრობლემურია მედიაციის განხორციელება საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დროს (ხულიგნობა, 21 წელს მიუღწეველი და ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება და სხვა). ასეთ შემთხვევაში პრაქტიკა არ ცნობს „საზოგადოების“ დაზარალებულად აღიარების ინსტიტუტს, რაც თავისთავად გამორიცხავს მედიაციას.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანების თანახმად, „თუ დაზარალებული თანახმაა მედიაციაში მონაწილეობაზე ან არ აქვს მკვეთრად ნეგატიური პოზიცია, პროცესში ერთვება მედიატორი“. მედიატორი ხვდება დაზარალებულს და უზრუნველყოფს მის დამნაშავესთან შერიგებას. ხოლო თუ დაზარალებული არ არის თანახმა მედიაციაში მონაწილეობაზე, მაშინ ხდება არასრულწლოვნის განრიდება მედიაციის გარეშე.

განრიდება-მედიაციის პროცესში მედიატორის ჩართვამდე „პროკურორი ასევე ხვდება დაზარალებულს, განუმარტავს მას არასრულწლოვნის განრიდების საფუძველსა და მიზეზებს, ისმენს მის მოსაზრებასა და მოთხოვნებს. პროკურორი დაზარალებულთან კომუნიკაციას განსაკუთრებული სიფრთხ-

110 Kaspar, J., 2004. S. 107.

ილით უნდა მოეკიდოს, რათა თავიდან აიცილოს მისი გაღიზიანება და უკმაყოფილება. პროკურორი უნდა ეცადოს, აუხსნას დაზარალებულს, თუ რატომ არის მისთვის სასარგებლო განრიდების პროცესში მონაწილეობა, რა დადებითი მხარეები ექნება მისთვის მედიაციაში ჩართვას. თუ დაზარალებული უარს აცხადებს მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, მაშინ პროკურორი ეკითხება მას, სურს თუ არა დაფიქსირდეს მედიაციაში მონაწილეობაზე და გადაწყვეტილება მიიღოს მოგვიანებით (დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში პროცესში ერთვება მედიატორი). დაზარალებულის უარი განრიდებაზე ან მედიაციაში მონაწილეობაზე არ აბრკოლებს განრიდების პროცესს".

მისასალმებელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანების ზემოაღნიშნულ ჩანაწერში ის გარემოება, რომ პროკურორი დაზარალებულთან ურთიერთობისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს, რათა თავიდან აიცილოს მისი მეორადი ვიქტიმირება, გაღიზიანება და უკმაყოფილება. სახელმწიფომ აღნიშნული ჩანაწერით აღიარა დაზარალებულის მნიშვნელოვანი როლი სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების პროცესში.

დაზარალებულის მიმართ მედიაციის განხორციელების აუცილებლობაზე მიუთითებს ასევე, 2001 წლის 15 მარტის №2001/220/HA ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილება სისხლის სამართალწარმოებაში დაზარალებულის სტატუსის შესახებ. ეს გადაწყვეტილება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წევრსახელმწიფოებში დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის მიღწეულ შეთანხმებას და დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურებას.[111]

4.2.5. დამცველი

საქართველოს იუტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანება განრიდებასა და მედიაციაში მონაწილე არასრულწლოვნისათვის არ ითხოვს, რომ აუცილებლად ჰყავდეს ადვოკატი. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, „თუ არასრულწლოვანს არ ჰყავს დამცველი, მას (მის კანონიერ წარმომადგენელს) განემარტება დამცველის ყოლის უფლების შესახებ". თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 321-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს არასრულწლოვანი ბრალდებულის სავალდებულო დაცვის თაობაზე, განრიდება-მედიაციის პროგრამაში მონაწილე არასრულწლოვნისათ-

111 გვენეტაძე, ნ./კვაჭაძე, მ./წიკლაური-ლამიხი, ე./გაბუნია, მ., 2012. გვ. 151.

ვის ასეთი ვალდებულება აღარ არსებობს.

არასრულწლოვანი ბრალდებულის სავალდებულო დაცვა განპირობებულია იმით, რომ მას სრულწლოვანი ბრალდებულისგან განსხვავებით, ცხოვრებისეული გამოუცდელობის გამო, არ შეუძლია საკუთარი თავის, პოზიციის დაცვა.[112] განრიდება-მედიაციის დროს არცერთ მხარეს არ სჭირდება საკუთარი პოზიციის დაცვა, მედიატორი იცავს ორივე მხარის ინტერესს საპირისპირო მხარესთან ურთიერთობის დროს.

აღსანიშნავია ასევე, რომ მეტად უარყოფითად არის შეფასებული იურიდიულ ლიტერატურაში მედიაციის პროცესში ადვოკატის მონაწილეობა ერთ-ერთი მხარის დამცველად. დამცველს არ გააჩნია მედიაციის შესახებ საკმარისი ცოდნა და არ სჯერა (ვერ წარმოუდგენია) არასამართლებრივი მექანიზმების გარეშე კონფლიქტის მოგვარება.[113]

გარდა ამისა, ადვოკატები მათი პროფესიიდან გამომდინარე, როგორც კანონის დამცველები, კანონზე არიან ორიენტირებული და მათთვის კანონის ჩარჩოების დატოვება, რისკზე წასვლა და კონფლიქტის რეგულირების სხვადასხვა ვარიანტის მოძებნა მეტად რთულია.[114]

ადვოკატის მონაწილეობის დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც ადვოკატის მიერ მედიატორი საპირისპირო მხარის „წარმომადგენლად“, მისი პოზიციის დამფიქსირებლად, უფლებების დამცველად აღიქმება (მაგ. დაზარალებულის ადვოკატი ფიქრობს, რომ მედიატორი ბრალდებულის მხარეს არის და ციხიდან მის დახსნას ან სასჯელის ზომის შემცირებას ცდილობს).[115] ასეთ შემთხვევაში ადვოკატი ეცდება კლიენტს თავზე მოახვიოს საკუთარი პოზიცია, თუნდაც ჰონორარის გამართლების მიზნით, რაც გაართულებს მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევის პროცესს.[116]

4.2.6. მედიატორი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის №94 ბრძანების თანახმად, მედიატორი არის „სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე, რომელიც ასრულებს შუამავლის როლს არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შო-

112 Streng, F., 2008. S. 72.
113 Kaspar, J., 2004. S. 283.
114 Haft, F./Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.), 2009. S. 466 .
115 Kaspar, J., 2004. S. 286.
116 ცერცვაძე, გ., 2010. გვ. 333.

რის, წარმართავს და კოორდინაციას უწევს მედიაციის პროცესს“. როგორც ვხედავთ, მედიატორისათვის რომელიმე კონკრეტული პროფესიის ქონა საჭირო არ არის, თუმცა „სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი“-ში მოიაზრება ისეთი ადამიანი, რომელიც პროფესიულ დონეზე ფლობს კონფლიქტის რეგულირების მეთოდებს და უნარ-ჩვევებს.

მედიატორი არც ფსიქოლოგია, არც პედაგოგი და არც ადვოკატი, შესაბამისად, მედიაციის დროს ამ პროფესიებიდან მხოლოდ ერთ-ერთის ძირითად ნორმებზე ორიენტირება ადამიანს კარგ მედიატორად არ ჩამოაყალიბებს.[117] იურისტების ამ მიდგომას ფრიად საინტერესო არგუმენტებს უპირისპირებენ ფსიქოლოგები. მათი აზრით, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები, სასწავლო პროგრამიდან გამომდინარე, ფლობენ კომუნიკაციის და კონფლიქტის რეგულირების (მოგვარების) იმ ძირითად საფუძვლებს, რაც მედიატორისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.[118]

რა თქმა უნდა მედიაციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, მაგრამ ხშირად მედიაციის დროს აუცილებელია სამართლის ნორმების ცოდნა. თუ მედიატორი მხარეს რაიმეს დაჰპირდება და აღმოჩნდება, რომ სამართლის ნორმები დაპირებულ საკითხს სხვაგვარად არეგულირებს, და შესაბამისად, შეუძლებელია მედიატორის დაპირების შესრულება, მედიატორი დაკარგავს მონაწილის ნდობას, რაც გაართულებს მედიაციის პროცესს.

ვფიქრობთ, მედიატორი არა მარტო კომუნიკაბელური პიროვნება უნდა იყოს, არამედ იმ სფეროში, რომელშიც იგი მედიაციას ახორციელებს, უნდა გააჩნდეს საკმარისი საკანონმდებლო ნორმების ცოდნა.

კანონმდებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მედიატორის მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის საკითხს. მედიატორი შეიძლება მხოლოდ მაშინ იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, თუ იგი ფინანსურად და ინსტიტუციურად რომელიმე მხარეს არ წარმოადგენს და საქმისადმი პირადი ინტერესი არ გააჩნია.[119]

„განრიდებისა და მედიაციის შესახებ მედიატორისთვის სახელმძღვანელო მითითებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 7 დეკემბრის №94 ბრძანების თანახმად, მედიატორსა და მხარეებს შორის არ უნდა არსებობდეს ნათესაური, მეგობრული და/ან პროფესიული კავშირი. აღნიშნული ჩანაწერი პირდა-

117 Haft, F./Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.), 2009. S. 268.
118 იგივე, გვ. 868.
119 Zirn, V., 2007. S. 102.

პირ უკავშირდება მედიატორის მიკერძოების თავიდან აცილებას.

მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ მედიატორისათვის მეტად ძნელია ნეიტრალურობის შენარჩუნება, რადგან მედიაციის პროცესიდან გამომდინარე, შესაძლებელია მედიატორს მოუწიოს, რომელიმე მხარეს უფრო მეტად ედგეს გვერდში (მაგ. დაზარალებულის დაყოლიებას მედიატორი უფრო მეტ დროსა და ენერგიას მოანდომებს, ვიდრე დამნაშავისას, შესაბამისად, იგი დაზარალებულის ინტერესების გამტარებელი უფრო იქნება ვიდრე დამნაშავის), ამიტომ სასურველია მედიატორის „შედარებით ნეიტრალურობაზე" საუბარი.[120]

ერთ-ერთი პირველი მედიატორის ნატა ზაზაშვილის პირად ჩანაწერებში ვკითხულობთ: *„მედიატორი ერთნაირად უნდა იყოს განწყობილი ორივე დაპირისპირებული მხარის მიმართ, არ უნდა ეძებოს მტყუანი და მართალი, არამედ იზრუნოს შესაბამის, კეთილგანწყობილ ატმოსფეროს შექმნაზე, რათა მხარეებს მიეცეთ საშუალება თავისუფლად გამოთქვან თავიანთი შეხედულებები, ემოციები და მიაღწიონ შეთანხმებას".*[121] ქალბატონი ნატა ორიენტირებულია არა თავად მხარეებზე, არამედ მედიაციის პროცესში მათ მონაწილეობაზე და მედიაციის მიზანზე (მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა), ვფიქრობთ, მიდგომა მეტად პროფესიულია და ყველაზე მეტად უზრუნველყოფს, რომ მედიატორი იყოს ნეიტრალური და ობიექტური.

მედიატორისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია გახდეს უკეთესი ყოველი საქმის შემდეგ და ცდილობდეს შემდეგი მედიაცია წინაზე უკეთესად განახორციელოს.

პირველ რიგში, მედიატორს უნდა ჰქონდეს აქტიური მოსმენის და მონათხრობის გამეორების უნარი და უნდა შეეძლოს იმოქმედოს რეალურ სიტუაციიდან გამომდინარე (Agent of Reality).[122] განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

- აქტიური მოსმენა მხარეებს შორის და მხარეებთან – კომუნიკაციის აუცილებელი პირობაა. მედიატორი, რომელიც მხარეს (მოლაპარაკე ადამიანს) აქტიურად უსმენს, მას აგრძნობინებს, რომ მისი ესმის და შეუძლია მისი მდგომარეობის გაგება (ემპათია). აქტიური მოსმენის მდგომარეობის გამოხატვა მედიატორს შეუძლია თავის დაქნევით, ან სხვა ისეთი ჟესტიკულაციით, რაც სიტყვას არ გააწყვეტინებს მთხრობელს. მედიატორის აქტიური მოსმენა

120 იქვე.
121 ზაზაშვილი, ნ., პირადი ჩანაწერები.
122 Haft, F./Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.), 2009. S. 283. .

მხარეს კომუნიკაბელურს ხდის და მათ შესაძლებლობას აძლევს სიღრმისეულად განიხილოს კონფლიქტი, ან შეეხოს კონფლიქტის სხვა აქამდე უცნობ დეტალებს.

● მონათხრობის გამეორებისას მედიატორი საკუთარი სიტყვებით კიდევ ერთხელ ახსენებს მხარეს მონათხრობს, სურვილებს და მეორე მხარისადმი პრეტენზიებს. ამ მეთოდით მედიატორი რაიმე სახის უზუსტობებს გამორიცხავს და ამოწმებს, რამდენად სწორად გაიგო მან მეორე მხარის მიერ ემოციებით, სუბიექტურად გადმოცემული კონფლიქტი და მისი მოთხოვნილებები;

● მედიაციის დროს არის შემთხვევები, როდესაც ერთ-ერთ მხარეს რეალობისაგან მოწყვეტილი მოთხოვნები გააჩნია. მედიატორი ასეთ შემთხვევაში კონკრეტული კითხვების მეშვეობით ცდილობს მხარე რეალობას დაუბრუნოს. იგი რეალობის აგენტია, რომელსაც რეალური მოთხოვნილებების მოსმენა ესაჭიროება კონფლიქტის მოსაგვარებლად.

კონფლიქტის მოგვარების საინტერესო პრინციპებს გვთავაზობს ჰარვარდის კონფლიქტის მოგვარების საერთაშორისო პროექტი. მათი აზრით აუცილებელია მედიატორის კონცენტრირება შემდეგ 4 კომპონენტზე:[123] ადამიანებისა და მათი პრობლემებისადმი გამიჯნულად მიდგომა; მხარეების ინტერესებზე კონცენტრირება; გადაწყვეტილების მიღების ნეიტრალური კრიტერიუმების გამოყენება; მხარეებისათვის მომგებიანი ალტერნატივების ძიება.

მედიატორი მედიაციის განხორციელების პროცესში უნდა იყოს:

● ნეიტრალური და არა (რომელიმე მხარისადმი) მიკერძოებული;

● მხარეების ინტერესების მკვლევარი და არა (რომელიმე მხარის) ინტერესების წარმომადგენელი;

● მედიაციის პროცესზე პასუხისმგებელი;

● კრეატიული და არა – პრეტენზიული;

● მონაწილეთა პიროვნების პატივისმცემელი და არა ყველა საშუალების გამოყენებით შედეგზე ორიენტირებული; კომუნიკაბელური და არა – ჩაკეტილი;

● მომთმენი და არა – სულსწრაფი.[124]

წარმატებული მედიაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მედიატო-

123 იგივე, გვ. 448.
124 Götting, B., 2004. S. 25.

რის ინფორმირებულობა.[125] მედიატორმა მხარეების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა მოიპოვოს. დღეს არსებული მდგომარეობით კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესახებ ძირითად ინფორმაციას აგროვებს სოციალური მუშაკი, რომელიც ამ ინფორმაციით აკეთებს მოზარდის ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას. მედიატორი თავადაც ხვდება მხარეებს და უხსნის მედიაციის მნიშვნელობას, თუმცა, რისკების შეფასებას ახდენს სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე.

თუ მედიაციის პროცესის წარმმართველი და პასუხისმგებელი არის მედიატორი, რატომ უნდა ეყრდნობოდეს იგი (სხვა ადამიანის) სოციალური მუშაკის მიერ გაკეთებულ შეფასებას.

ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა, რომ მედიატორის მთელი პასუხისმგებლობა მედიაციის პროცესზე გულისხმობდეს მის მიერ საჭირო ინფორმაციის მოპოვებას, მათ შორის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების შედგენას. იმას, რასაც აკეთებს სოციალური მუშაკი თავისუფლად შეუძლია განახორციელოს მედიატორმა, მითუმეტეს იგი ვალდებულია მედიაციის პროცესი წარმატებით დაასრულოს.

4.3. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება

განრიდების და მედიაციის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის შემდეგ, პროკურორი, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალურ მუშაკთან ერთად ამზადებს ხელშეკრულებას. დღეს არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენება ორი სახის ხელშეკრულება: ხელშეკრულება განრიდების და მედიაციის შესახებ და ხელშეკრულება განრიდების შესახებ, მედიაციის გარეშე. მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში განრიდების ხელშეკრულებასთან ერთად ფორმდება მედიაციის ხელშეკრულებაც. ქვემოთ განხილული იქნება ორივე ხელშეკრულების სტანდარტული ფორმები და მათი დამახასიათებელი დეტალები.

განრიდების ხელშეკრულება არის სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვნის ქცევის შეზღუდვასა და სხვა უფლება-მოვალეობებს.

განრიდების შესახებ ხელშეკრულებაში სტრუქტურულად გათვალისწინებულია მისი ძირითადი მონაცემები, ხელშეკრულების მიზანი, მხარეე-

125 ცერცვაძე, გ., 2010. გვ. 238.

ბი, სტანდარტული, დამატებითი და დასკვნითი პირობები.

ხელშეკრულების ძირითად მონაცემებს წარმოადგენს არასრულწ-ლოვნის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, დანაშაულის სახე, კვალიფი-კაცია და მისი ჩადენის ადგილი. გამომდინარე იქედან, რომ განრიდების ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ იმ არასრულწლოვანთან, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, დანაშაულის კვალიფიკაციისა და მისი კატეგორიის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს.

განრიდების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ასევე გათვალ-ისწინებულია არასრულწლოვნის მშობლებისა და დაზარალებულის ვალ-დებულებებიც. არასრულწლოვანი და მისი მშობლები (კანონიერი წარმო-მადგენლები) კისრულობენ ვალდებულებას დაზარალებულს აუნაზღაურონ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი, რომლის შესახებაც დგება ცალკე დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია ზიანის ოდენობა და ანაზღაურების წესი. აღნიშნული დოკუმენტიც დანართის სახით დაერთვის ხელშეკრულებას. გამომდინარე იქიდან, რომ განრიდების ხელშეკრულება არის სამოქალაქო ხელშეკრულება, ეს ვალდებულებაც წარმოადგენს მხარეების კერძოსამარ-თლებრივ ვალდებულებას და დაზარალებულს უფლება აღარ აქვს ცალკე სამოქალაქო წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

სტანდარტული პირობების შემდეგ, ხელშეკრულებაში გათვალისწინე-ბულია დამატებითი პირობები, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამ ქვეთავში განხილული იქნება ის პირობები, რომლებიც პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების სტანდარ-ტულ ფორმაში. განრიდების ხელშეკრულების დამატებითი პირობები განსაზ-ღვრავს არასრულწლოვანის შედარებით უფრო კონკრეტულ ვალდებულე-ბებს, მისი მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებს, სოციალური მუშაკის ფუნქციას, საქმიანობის წესს და პროკურორის როლს განრიდებაში.

არასრულწლოვნისთვის დაკისრებული ვალდებულება ან ქცევის შეზ-ღუდვა უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული. დაუშვე-ბელია იმაზე მკაცრი ვალდებულების გამოყენება, ვიდრე იგივე ქმედების გამო სასამართლო შეუფარდებდა არასრულწლოვანს. ამ შემთხვევაში მნიშ-ვნელოვანია არასრულწლოვნის ასაკისა და პიროვნული მახასიათებლების

გათვალისწინება, რათა სწორად განისაზღვროს ზემოაღნიშნული ვალდებულებების პროპორციულობა.

ხელშეკრულების დასკვნით პირობებში განისაზღვრება მისი მოქმედების ვადა, ამოქმედების წესი, ცვლილებების და დამატებების შეტანისა და მხარეთათვის ხელშეკრულების გადაცემის წესები. განრიდების შესახებ ხელშეკრულების მაქსიმალური ვადაა 1 წელი, თუმცა, შესაძლოა გაფორმდეს ნაკლები ვადითაც. ხელშეკრულება ამოქმედდება ყველა მონაწილე მხარის მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან. მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაც ასევე მხოლოდ ყველა ძირითადი მხარის წერილობითი თანხმობით არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში ძირითად მხარეებს განეკუთვნებიან – არასრულწლოვანი, მისი მშობლები (კანონიერი წარმომადგენლები), პროკურორი და სოციალური მუშაკი. ხელშეკრულება დგება იმდენ ასლად, რამდენი მხარეც მონაწილეობს მასში.

განრიდების და მედიაციის შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს არასრუწლოვნის მიმართ განრიდების პროგრამის გამოყენებაზე შეთანხმებას და ამასთანავე მედიაციის პროცესის განხორციელებას. ამ ხელშეკრულებაში, განრიდების ხელშეკრულებისგან განსხვავებით, დამატებით მონაწილეობს დაზარალებული და მედიატორი და გათვალისწინებულია არასრულწლოვნის ქცევის შეზღუდვა და სხვა უფლება-მოვალეობები. განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება იდება იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული თანახმაა მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე.

განრიდების ხელშეკრულების მსგავსად, ამ ხელშეკრულების მიზანია, მოხდეს არასრულწლოვნის განრიდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და მას დაეკისროს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულება. ამასთანავე, ეს ხელშეკრულება ადგენს არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის პირდაპირი დიალოგისა და მორიგების პირობებს. განრიდებასა და მედიაციაში ყველა მხარე მონაწილეობს ნებაყოფლობით.

4.3.1. ხელშეკრულების მხარეები

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების თანახმად, განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების მხარეები არიან:

- არასრულწლოვანი, რომელიც აღიარებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას;

- მისი მშობელი (კანონიერი წარმომადგენელი);
- პროკურორი, რომელიც აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეს;
- სოციალური მუშაკი, რომელსაც დაეწერა არასრულწლოვნის საქმის წარმოება კოორდინატორი სოციალური მუშაკის მიერ;
- დაზარალებული, რომელსაც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულის სტატუსი აქვს მინიჭებული;
- მედიატორი, რომელიც შერჩეულ იქნა მედიაციის საწარმოებლად.

ხელშეკრულების სავალდებულო პირობებს წარმოადგენს არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის აღიარება, დაზარალებულთან შეხვედრისას მისთვის ბოდიშის მოხდა და თავად არასრულწლოვნის ან მისი კანონიერი წარმომადგენლების მიერ ზიანის ანაზღაურება. ასევე, ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული პირობები არასრულწლოვანს აკისრებს ვალდებულებას პატივისცემით მოეკიდოს დაზარალებულს და ხელშეკრულების სხვა მხარეებს. აქვე გათვალისწინებულია არასრულწლოვნის სხვა ვალდებულებები, მისი მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) ვალდებულებები, პროკურორის როლი და სოციალური მუშაკის ფუნქციები და საქმიანობის წესი, ასევე დაზარალებულის უფლებები.

თუ ხელშეკრულების დადებამდე, არასრულწლოვანს ან/და მის მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) დაზარალებულისთვის არ აუნაზღაურებიათ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი, მაშინ არასრულწლოვანი ან/და მის მშობლები (კანონიერ წარმომადგენლები) კისრულობენ ვალდებულებას დაზარალებულს აუნაზღაურონ ეს ზიანი, რომლის შესახებაც დგება ცალკე დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია ზიანის ოდენობა და ანაზღაურების წესი. აღნიშნული დოკუმენტი დანართის სახით დაერთვის ხელშეკრულებას. აღნიშნული ვალდებულების შესრულების შემდეგ, სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანი ჩაითვლება ანაზღაურებულად და ამის შესახებ დამატებით სამოქალაქო სარჩელის შეტანა დაუშვებელია. აქვე უნდა ითქვას, რომ შესაძლოა მხარეები შეთანხმდნენ ზიანის სიმბოლურ ანაზღაურებაზე, ე.ი. ზიანის ანაზღაურება მოხდება არა ზუსტად იმ ოდენობით რა ოდენობის ზიანიც დადგა, არამედ შესაძლებელია შედარებით ნაკლებით ოდენობით. სიმბოლური ანაზღაურება მხოლოდ იმისათვის, რომ არსებობდეს ზიანის ანაზღაურების სავალდებულო ფაქტი. განრიდების ხელშეკრულების მსგავსად, ამ ხელშეკრულებაშიც განისაზღვრება მისი მოქმედების ვადა, ამოქმედების წესი, ცვლილებების და დამატებების

შეტანისა და მხარეთათვის ხელშეკრულების გადაცემის წესები. აქვე განისაზღვრება ხელშეკრულების მოქმედების ადგილიც.

ზემოაღნიშნულ ორივე ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია მისი მონაწილე მხარეები და მათი უფლება მოვალეობები. მხარეები ხელშეკრულებაში მონაწილეობენ ნებაყოფლობით. განრიდების ხელშეკრულებისგან განსხვავებით, განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებაში დამატებით მხარის სტატუსით სარგებლობენ დაზარალებული და მედიატორი.

4.3.2. ხელშეკრულების პირობები

არასრულწლოვანი, როგორც განრიდების და განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებების მხარე, არის ფიზიკური პირი 14 წლის ასაკს ზემოთ, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არასრულწლოვანის მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა არ წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს. საქართველოში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კანონმდებლობა გარკვეულ თავისებურებებს ითვალისწინებს, რაც სისხლის სამართლის როგორც მატერიალური, ისე საპროცესო კოდექსებით არის განსაზღვრული. განრიდების ხელშეკრულებით გათვალისწინებულია არასრულწლოვნის უფლება-მოვალეობები და მისი ქცევის შეზღუდვის სხვადასხვა პირობები. არასრულწლოვანს უფლება აქვს ნებაყოფლობით მონაწილეობდეს განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია იგი არ იყოს თანახმა განრიდებასა და მედიაციაში მონაწილეობაზე და ამ შემთხვევაში პროკურორის მიერ განხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა. არასრულწლოვანი ასევე ვალდებულია:

- აღიაროს დანაშაული;
- ბოდიში მოუხადოს დაზარალებულს (წერილობითი ფორმით);
- ხელშეკრულების მოქმედების პროცესში, თუ ამ დროს ირიცხება სასწავლო დაწესებულებაში, ისწავლოს საშუალოზე უკეთესად, მოიქცეს კარგად და დაიცვას კანონი;
- პერიოდულად (სულ ცოტა თვეში ერთხელ მაინც) ან მოთხოვნისთანავე შეხვდეს სოციალურ მუშაკს ან/და პროკურორს და მისცეს მის მიერ ჩადენილ დანაშაულთან ან ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებები;

- პირნათლად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები. პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აცნობოს (სასურველია წინასწარ) სოციალურ მუშაკს წერილობით ან ზეპირი ფორმით და აუხსნას ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის მიზეზი.

ხელშეკრულებაში ასევე შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს პირობები, რომლებიც დაკავშირებულია განათლებასა და სოციალურ აქტივობასთან, როგორიცაა:

- მითითებულ ვადაში მითითებულ ადგილას დარგოს ხეები;
- ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი კვირის ვადაში დაწეროს ხუთგვერდიანი თემა ცივი იარაღის საშიშროებაზე. თემაში მოიყვანოს თავისი გამოცდილება და რჩევა მისცეს სხვა არასრულწლოვნებს;
- გაატაროს 20 საათი საპატრულო პოლიციაში სტაჟიორად;
- გაწევრიანდეს მთამსვლელთა კლუბში და კლუბის სხვა წევრებთან ერთად წავიდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის ლაშქრობებზე. ხოლო თითოეული ლაშქრობის შემდეგ დაწეროს 2-გვერდიანი თემა მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ და გაუგზავნოს მხარეებს;
- გაწევრიანდეს მენტორულ პროგრამაში და აქტიურად იმეგობროს მენტორთან (ჩემი უფროსი მეგობრის ინსტიტუტი).

4.3.3. ხელშეკრულების ვადა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების მიხედვით, განრიდების და განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს 12 თვემდე ვადით.

არანაკლებ თვეში ერთხელ სოციალური მუშაკი უკავშირდება პროკურორს და აწვდის ინფორმაციას არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ხოლო, არანაკლებ სამ თვეში ერთხელ პროკურორი ხვდება განრიდების და მედიაციის პროგრამაში ჩართულ არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და სოციალურ მუშაკს და პირადად ეცნობა ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამავე 216-ე ბრძანების თანახმად, „თუ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში არასრულწლოვანი კეთილსინდისიერად ასრულებს მის პირობებს, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ“.

4.3.4. ხელშეკრულების უხეში დარღვევა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების თანახმად, განრიდების და განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში თუ არასრულწლოვანი უხეშად დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს, სოციალური მუშაკი ამის შესახებ აცნობებს პროკურორს. აღნიშნულისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით არასრულწლოვანთან (მის კანონიერ წარმომადგენელთან) საუბრის შემდეგ, პროკურორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან განახლების შესახებ.

არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის აღიარება, დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება განრიდების/მედიაციის პროცესში, ან განრიდებისა და მედიაციის პროცესში მოპოვებული სხვა ინფორმაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალწარმოების პროცესში.

4.4. თანასწორობის პრინციპი და განრიდების და მედიაციის პროგრამა

განრიდების და მედიაციის პროგრამა საქართველოს 35 ქალაქში ხორციელდება, ანუ იგი არ არის ხელმისაწვდომი საქართველოს ყველა არასრულწლოვანი მოქალაქისთვის. საკითხავია, ხომ არ ირღვევა თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი, კერძოდ, ხომ არა ხდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ადამიანთა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევა?

„კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალთახედვით მნიშვნელოვანია „მნიშვნელოვნად თანასწორის მიმართ“ არათანასწორი მიდგომის შემთხვევების განხილვა“.[126]

მნიშვნელოვნად თანასწორი ნიშნავს, რომ პირთა ჯგუფები მსგავსნი არიან ერთი საერთო პუნქტის საფუძველზე.[127]

მოცემულ შემთხვევაში სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილის მქონე კანონდამრღვევი არასრულწლოვნების მიმართ სხვადასხვა სანქცია ხორციელდება, ერთის მიმართ განრიდების და მედიაციის საფუძველზე ხდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, ხოლო მეორეს მიმართ არ ხდება ამგვარი შეღავათის გამოყენება.

126 კუბლაშვილი, კ., 2003. გვ. 326.
127 იგივე, გვ. 327.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები, წარმოადგენენ ერთი საერთო ნიშნების მქონე პირთა ჯგუფს. ეს საერთო ნიშნებია: ასაკი, დანაშაული და მისი ხასიათი, თუმცა მათ მიმართ საკანონმდებლო მოპყრობა არის განსხვავებული და ეს განსხვავება საცხოვრებელი ადგილით არის გამოწვეული.

ვფიქრობთ, განრიდების და მედიაციის საქართველოს მხოლოდ ცალკეულ ქალაქებზე გავრცელება, რაც არასრულწლოვნებს არათანაბარ პირობებში აყენებს, ეწინააღმდეგება კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპს.

მეხუთე თავი
არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროცესი

5.1. წინასაკონფერენციო ეტაპი

მედიაციის პროცესი ორი ძირითადი ეტაპისაგან შედგება – წინასაკონ-ფერენციო ეტაპი და მედიაციის კონფერენცია.

წინასაკონფერენციო ეტაპზე მედიატორის ფუნქციაა სპეციალური უნარ-ჩვევების გამოყენებით ხელი შეუწყოს მხარეებს შორის დიალოგის დაწყებას. ამ მოსამზადებელ ეტაპზე მედიატორი ცალ-ცალკე უკავშირდება არასრულ-წლოვანსა და დაზარალებულს, ესაუბრება მათ მედიაციის არსის, მიზნები-სა და წესების შესახებ, აწვდის დეტალურ ინფორმაციას ხელშეკრულების სავარაუდო პირობების თაობაზე, აგრეთვე ათანხმებს ამ პირობებს. მო-ლაპარაკებებს მედიატორი ინდივიდუალურად აწარმოებს როგორც დაზარა-ლებულთან, ისე არასრულწლოვანთან. ამ ეტაპზე მისი მთავარი ამოცანაა უზ-რუნველყოს მხარეთა ნებაყოფლობითი და ინფორმირებული მონაწილეობა მედიაციის პროცესში და მიაღწიოს მხარეთა შორის კონსენსუსს მედიაციის ხელშეკრულების სავარაუდო პირობებთან დაკავშირებით.

თავდაპირველად მედიატორი ხვდება არასრულწლოვანს, ხოლო შემ-დეგ – დაზარალებულს. ეს შეხვედრა არის გაცნობითი ხასიათის და მიზნად ისახავს წინსაკონფერენციო შეხვედრის დროისა და ადგილის განსაზღვრას. მედიატორი მხარეებს აწვდის ზოგად ინფორმაციას მედიაციის არსის და დანიშნულების შესახებ, განუმარტავს მედიაციის წესს და პროცედურას, მასში მონაწილეობის ნებაყოფლობითობას, ასევე აცნობს და აწვდის შესაბამის აღწერილობას. მედიატორი, ასევე განუმარტავს მხარეებს პროგრამაში მონაწილეობის უპირატესობებს და რისკებს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზარალებულთან კომუნიკაციისას, რადგან დაზარალე-ბულის ჩართულობა მედიაციაში უზრუნველყოფს მის აქტიურ მონაწილეობას ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების განსაზღვრა-ში, ხოლო კონფერენციის მსვლელობისას დაზარალებულს ექნება შესაძლე-ბლობა გაესაუბროს არასრულწლოვანს, დაუსვას შეკითხვები და გამოხატოს

საკუთარი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ. დაზარალებულს უნდა განემარტოს, რომ მისი უარი მედიაციაში მონაწილეობაზე ხელს არ უშლის არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენებას.

მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ მედიატორი, პროკურორი და სოციალური მუშაკი თანხმდებიან კონფერენციის სავარაუდო თარიღსა და ადგილზე, რის შესახებაც მედიატორი ატყობინებს კონფერენციაში მონაწილე ყველა პირს. მხარეების სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია კონფერენციაზე დამატებითი მონაწილეების მოწვევა, თითოეული მხრიდან არა უმეტეს ერთი პირისა, რომელთა სახელს და გვარს, კავშირს საქმესთან ან მხარესთან და საკონტაქტო ინფორმაციას მედიატორი ჩაიწერს და შეუთანხმებს მეორე მხარეს, პროკურორს და სოციალურ მუშაკს. თუ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდება, მაშინ დამატებითი პირი კონფერენციას არ დაესწრება.

კონფერენციისათვის ყველა საჭირო პროცედურის მოგვარების შემდგომ მედიატორი მოამზადებს წინასაკონფერენციო ანგარიშს, რომელშიც ასახავს მედიაციის პროცესში განხორციელებულ ყველა ქმედებას კონფერენციამდე. მედიატორი ხელს მოაწერს დოკუმენტს და ჩადებს მას საქმეში.

თუ წინასაკონფერენციო ეტაპზე მედიაციაში მონაწილე მხარეები ვერ შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობებზე, მედიატორი ცდილობს მხარეები შეათანხმოს მათთვის მისაღებ პირობებზე, რის შესახებაც აცნობებს პროკურორს და სოციალურ მუშაკს. პროკურორს და სოციალურ მუშაკს უფლება აქვთ შეცვალონ ან განაახლონ ხელშეკრულების სავარაუდო პირობები, მხარეების მიერ გაკეთებული კომენტარების და შენიშვნების გათვალისწინებით.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2010 წლის 7 დეკემბრის №94 ბრძანების თანახმად, კონფერენციის დაწყებამდე მედიატორი უნდა დარწმუნდეს, რომ არასრულწლოვანმა პროკურორს გადასცა წერილი დანაშაულის აღიარების შესახებ, და, რომ ხელშეკრულების განახლებული პირობების გაცნობის შემდეგ პროკურორი თანახმაა დაიწყოს კონფერენცია.

5.2. მედიაციის კონფერენცია

მედიაციის კონფერენცია არის შეხვედრა, რომელშიც განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები განიხილავენ აღნიშნულ

ხელშეკრულებას და თანხმობის შემთხვევაში მას ხელს აწერენ. კონფერენციას უძღვება მედიატორი და მასში მონაწილეობენ – არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, დაზარალებული, პროკურორი, სოციალური მუშაკი და განსაკუთრებულ შემთხვევაში, სხვა პირები. მედიატორის მიზანია არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და მისი შედეგების გაცნობიერება. კონფერენციაზე მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ჩადენილი ქმედებისა და მისი შედეგების შესახებ. მედიატორი მხოლოდ კონფერენციის წარმმართველის როლს ასრულებს.

კონფერენციის, ისე როგორც ზოგადად მედიაციის პროცესის, მსვლელობისას მედიატორი ვალდებულია იყოს მაქსიმალურად მიუკერძოებელი, ობიექტური და დამოუკიდებელი, არ მიანიჭოს რაიმე უპირატესობა რომელიმე მხარეს.

ამასთან, უმნიშვნელოვანესია მედიატორის უნარი შექმნას მხარეთათვის უსაფრთხო გარემო, გაამხნევოს ისინი, ხელი შეუწყოს მათ საკუთარი აზრისა და პოზიციის გამოხატვაში და პირდაპირი დიალოგის წარმოებაში. კონფერენციის ნებისმიერ ეტაპზე, მონაწილის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, მედიატორი იღებს გადაწყვეტილებას გამოაცხადოს ხანმოკლე შესვენება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე გარემოებით, მათ შორის, მონაწილეების გადაღლით, სიტუაციის დაძაბვით და/ან სხვა გარემოებით.

კონფერენციის ჩატარების წინასწარ განსაზღვრულ დღემდე გონივრული ვადით ადრე, მედიატორი უკავშირდება კონფერენციაში მონაწილე ყველა პირს და კიდევ ერთხელ შეახსენებს კონფერენციის თარიღს, დროსა და ადგილს. კონფერენციისათვის მედიატორი ემზადება წინასწარ, კერძოდ, ამზადებს კონფერენციის ოთახს და განსაზღვრავს თითოეული მხარის ადგილს ისე, რომ არასრულწლოვანი და დაზარალებული ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, მედიატორის მარჯვენა და მარცხენა მხარეს.

კონფერენცია იხსნება მედიატორის მიერ დამსწრეებისთვის მედიაციის არსისა და მიზნების შეხსენებით, ასევე კონფერენციის მსვლელობის ეტაპების, მისი წესისა და შეხვედრის სავარაუდო შედეგების განმარტებით. მედიატორი ასევე წარადგენს კონფერენციის თითოეულ მონაწილეს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 94-ე

ბრძანებაში მოყვანილია კონფერენციის გახსნის მაგალითი.

თუ კონფერენციაში მონაწილეობს ერთზე მეტი არასრულწლოვანი, მაშინ ყველა სათითაოდ პასუხობს შეკითხვებს.

არასრულწლოვნის შემდეგ, სიტყვა გადაეცემა დაზარალებულს. მედიატორი მიმართავს დაზარალებულს და სთხოვს მას ისაუბროს მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე. მას ასევე დაესმის ღია კითხვები, რათა მან (დაზარალებულმა) ისაუბროს დამნაშავის ქმედებიდან გამოწვეულ საკუთარ ემოციურ მდგომარეობაზე, რაც კარგი შედეგის მომტანი უნდა იყოს არასრულწლოვნისათვის. თუ მედიაციაში მონაწილეობს ერთზე მეტი დაზარალებული, მაშინ ისინი საუბრობენ და სათითაოდ პასუხობენ კითხვებს.

წარმატებული მედიაციის დასასრულია მედიაციის ხელშეკრულება, რომელშიც აისახება მიყენებული ზიანის ანაზღაურების შეთანხმებული გეგმა და მხარეთა სხვა უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების დეტალურ განხილვამდე მედიატორს შეუძლია კიდევ ერთხელ მისცეს არასრულწლოვანს საშუალება, გამოხატოს თავისი აზრი, რის შემდეგაც ხდება განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების თითოეული პირობის დეტალური განხილვა. მედიატორი წაიკითხავს და დარწმუნდება, რომ თითოეული პირობა გასაგები და მისაღებია ყველა მონაწილისათვის, უპირველეს ყოვლისა კი – არასრულწლოვნისათვის. მედიატორის ნებართვით მონაწილეები აკეთებენ კომენტარებს და ახსნა-განმარტებებს. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია განხილვის პროცესში განხორციელდეს ცვლილებები ხელშეკრულებების პირობებში. გადამწყვეტია ის ფაქტორი, რომ ყველა მონაწილე მხარე დაეთანხმოს ხელშეკრულების ყველა პირობას, და რომ ეს პირობა ყველა მონაწილეს ერთნაირად ესმოდეს.

როგორც წინასაკონფერენციო, ასევე მედიაციის კონფერენციის მოსამზადებლად აუცილებელია, რომ მედიატორს მიეცეს საკმარისი დრო. მედიატორები აღნიშნავენ, რომ იმ დღიდან, რაც მას ეს საქმე დაეწერა, 5 დღის ვადაში უნდა გაიარონ წინასაკონფერენციო ეტაპი, მოამზადონ მედიაციის კონფერენცია და ჩაატარონ იგი. ხოლო, თუ საქმე რთულ კატეგორიას ეკუთვნის, მაშინ მედიატორი დასაბუთებული თხოვნით მიმართავს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრის უფლებამოსილ პირს და, თანხმობის შემთხვევაში, აწვდის ინფორმაციას პროკურორს და სოციალურ მუშაკს.

5.3. შეთანხმების მიღწევა

„განრიდებისა და მედიაციის შესახებ მედიატორისთვის სახელმძღვანელო მითითებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 7 დეკემბრის №94 ბრძანების თანახმად, მედიატორი განრიდების და მედიაციის მონაწილეებს დეტალურად გააცნობს ხელშეკრულების თითოეულ პირობას. მას შემდეგ, რაც მედიატორი დარწმუნდება, რომ ხელშეკრულების პირობები გასაგები და მისაღებია მხარეებისათვის, იგი გადის ოთახიდან და დაასრულებს სამოქალაქო ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტზე მუშაობას. მედიატორი მედიაციის კონფერენციის მონაწილეებს გადასცემს მედიაციის ხელშეკრულების პროექტს და აძლევს დროს მის გასაცნობად. მედიატორის მიერ მხარეების ინტერესების ზუსტი გაგება წარმატებული მედიაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. თუ მხარეებს უჩნდებათ კითხვები, მედიატორი პასუხობს მათ. მედიატორი მედიაციის კონფერენციის დასრულებისას სთხოვს მონაწილეებს ხელი მოაწერონ სამოქალაქო ხელშეკრულების ბოლო ვარიანტს.

სამოქალაქო ხელშეკრულება შეიცავს ყველა იმ პირობას, რეკვიზიტს, შესრულების პირობებს და ვადებს, რაც აუცილებელია მედიაციის მიღწევისათვის.

სამოქალაქო ხელშეკრულება შეიძლება შეფასდეს დადებითად, თუ მისი შინაარსი კონკრეტულად და დეტალურად განსაზღვრავს მედიაციის მონაწილეების უფლებებსა და მოვალეობებს.[128]

კონფერენცია ითვლება დასრულებულად, როგორც კი გაფორმდება სამოქალაქო ხელშეკრულება. მედიატორი მადლობას უხდის მხარეებს თანამშრომლობისათვის და ამთავრებს თავის საქმიანობას. ამის შემდეგ პროკურორი ხელს აწერს დადგენილებას არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული დევნის შეწყვეტის თაობაზე.

მედიაციაში მონაწილე მხარეების მიერ შეთანხმების მიღწევით და სამოქალაქო ხელშეკრულების გაფორმებით მთავრდება არასრულწლოვნისა და დაზარალებულის მედიაცია. კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცემა ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

128 შეად.: ცერცვაძე, გ., 2010. გვ. 288.

5.4. მედიაციის კონფერენციის ადგილი

მედიაციის წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მედიაციის კონფერენციის ადგილს და ოთახის მოწყობას, რადგან ადამიანებზე დიდ გავლენას ახდენს ის არქიტექტურული გარემო [129] და ის ოთახი,[130] სადაც ისინი იმყოფებიან. აუცილებელია, რომ მედიაცია განხორციელდეს მხარეთათვის ნეიტრალურ ადგილას. საქართველოს კანონმდებლობა არ მიუთითებს, თუ კონკრეტულად სად შეიძლება განხორციელდეს მედიაციის კონფერენცია. თუმცა, განრიდების და მედიაციის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, შესაძლებელია იმ ადგილების დადგენა, სადაც არ შეიძლება განხორციელდეს მედიაციის კონფერენცია. განრიდების და მედიაციის ერთ-ერთი პრინციპია ნებაყოფლობითობა, რაც გამორიცხავს ყოველგვარ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას მონაწილე მხარეებზე. მედიაციის კონფერენციის გამართვა პოლიციის ან პროკურატურის შენობაში აშკარად გამოიწვევს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას და ეწინააღმდეგება ნებაყოფლობითობის პრინციპს.

მედიაციის კონფერენციის ადგილი შეიძლება იყოს მედიატორის სამუშაო ოფისი.[131]

მედიატორმა წინასწარ უნდა შეარჩიოს მხარეთა შეხვედრისათვის ისეთი ადგილი, სადაც მხარეები კომფორტულად იგრძნობენ თავს. შეხვედრის ადგილის შერჩევისას აუცილებელია რამდენიმე პრინციპის დაცვა:[132]

- მედიაციის განსახორციელებლად უმჯობესია მთაზე მდგარი სახლი, ვიდრე დაბლობში, რადგან პრობლემის გადაწყვეტის დროს ფართო ჰორიზონტს ადამიანებზე დადებითი ეფექტი აქვს;
- მედიაცია ეკლესიაში უმჯობესია ვიდრე სასტუმროში, რადგან ეკლესიას საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა კონფლიქტების მოგვარება. გარდა ამისა, ადამიანები იქ სულიერ სიმშვიდეს ჰპოვებენ, რაც ასევე დადებით ატმოსფეროს ქმნის მედიაციის დროს;
- მედიაცია უმჯობესია დიდ ოთახებში, რადგან ადამიანები უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს;
- ოთახში თავისუფალი დიდი სივრცე უმჯობესია, ვიდრე ავეჯით გადატვირთული ოთახი, რადგან ადამიანები დიდი სივრცეში უფრო მოქნი-

129 შეად.: შალიკაშვილი, მ., 2012. გვ. 40.
130 Haft, F./Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.), 2009. S. 340.
131 შეად.: ცერცვაძე, გ., 2010. გვ. 341.
132 Haft, F./Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.), 2009. S. 341. .

ლად აზროვნებენ და უფრო ადვილია მათი დაყოლიება;

- მედიაცია უმჯობესია მრგვალი მაგიდის გარშემო მიმდინარეობდეს, ვიდრე პირისპირ განლაგებული სკამებისა, რომ მხარეებს საშუალება ჰქონდეთ თავიდან აიცილონ უსიამოვნო მზერა.

მედიაციის კონფერენციის ჩასატარებლად ერთ-ერთი საუკეთესო გარემოა ოფისი, რომელსაც ორი თავისუფალი ოთახი აქვს, სადაც მხარეები განმარტოებას და დაფიქრებას შეძლებენ.[133]

5.5. მედიაციის კონფერენციის ხანგრძლივობა

საქართველოს კანონმდებლობა ასევე არ საუბრობს მედიაციის კონფერენციის ხანგრძლივობაზე. მედიატორის მიერ მოწყობილი კონფერენცია, სადაც ხდება სამოქალაქო ხელშეკრულების გაფორმება, ვფიქრობთ, არასრულწლოვნის ფსიქიკაზე უნდა იყოს მორგებული, არ უნდა გამოიწვიოს მისი ტრავმირება და ერთი დღის განმავლობაში ოთხ საათს არ უნდა აღემატებოდეს. მედიაციის კონფერენციის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოყენებული იქნეს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 647-ე მუხლის მეოთხე ნაწილის დათქმა:[134] „არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა არ შეიძლება შეუსვენებლად გაგრძელდეს 2 საათზე მეტ ხანს. ხოლო მთლიანად დღეში – 4 საათზე მეტ ხანს. თუ არასრულწლოვანი აშკარად დაიღალა, დაკითხვა უნდა შეწყდეს აღნიშნული დროის გასვლამდეც“. არასრულწლოვნის დაკითხვის ასეთი მოკლე დროით განსაზღვრა კანონმდებელმა იმ გარემოების გათვალისწინებით გადაწყვიტა, რომ არასრულწლოვნისათვის უსიამოვნო მდგომარეობას (დაკითხვას) უარყოფითი ზემოქმედება არ ჰქონოდა მის ფსიქიკაზე. არასრულწლოვნის ფსიქიკის დაძაბვა შესაძლებელია გამოიწვიოს მისთვის შეუჩვეველმა გარემომ (მედიაციის კონფერენცია) და მისთვის უცხო ადამიანების (პროკურორი, სოციალური მუშაკი, დაზარალებული, მედიატორი) გარემოცვაში ყოფნამ.[135]

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მსგავსად სსსკ 647-ე მუხლის ჩანაწერისა, მედიაციის კონფერენციის ხანგრძლივობა გათვლილი უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლე დროზე, რათა მოზარდის ფსიქიკას ზიანი არ მიადგეს.

133 ცერცვაძე, გ., 2010. გვ. 341; Haft, F./Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.), 2009. S. 410.
134 მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული დათქმა ძალაშია 2013 წლის 1 სექტემბრამდე.
135 შეად.: Löwe-Rosenberg. StPO Grosskommentar. Rieß, P. (Hrsg.). 25. Auflage. Band 4. Berlin 2001. §241a. Rn. 1.

სასურველია მხარეებს წინასწარ მიეწოდოთ ინფორმაცია მედიაციის კონფერენციის სავარაუდო ხანგრძლივობაზე. ასეთი ინფორმაციის მიზანია, რომ მხარეებმა მედიაციის პროცესის გამართვის პერიოდში სრული კონცენტრაცია მოახდინონ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და არ მოუხდეთ პირადი საქმეების გამო კონფერენციის დროებით თუ ხანგრძლივად დატოვება. ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის №94-ე ბრძანება მედიატორს უფლებას აძლევს გამოაცხადოს შესვენება მონაწილეების გადაღლის გამო.

მედიაციის კონფერენციის დაწყებისთანავე სასურველია, რომ მედიატორმა მხარეებს სთხოვოს მობილური ტელეფონების გამორთვა.[136] ხშირად ადამიანები ვერც კი ხვდებიან, რომ მობილური ტელეფონის ზარი მათ ხელს უშლის კონცენტრირდნენ ერთი კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტაზე. მედიაციის კონფერენციის პერიოდში შესაძლებელია რომელიმე მონაწილე მნიშვნელოვან ზარს ელოდებოდეს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, რომ მან წინასწარ ითხოვოს ნებართვა მედიატორისაგან.

თუ მედიაციის კონფერენცია დიდხანს გრძელდება, სასურველია შესვენების მოწყობა. ზოგჯერ აუცილებელი ზარის განსახორციელებლად ან ტუალეტში გასასვლელად მხარე იძულებულია მცირე ხნით დატოვოს კონფერენციის ოთახი. ამ დროს მას შეიძლება გაუჩნდეს ეჭვი, რომ დანარჩენები მის საწინააღმდეგოდ ილაპარაკებენ და ამის გამო შეიძლება შინაგანად დაიძაბოს. ასეთი უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია მხარეებთან შეთანხმებით შესვენების გამოცხადება.

და ბოლოს, მედიაციის კონფერენციის ხანგრძლივობის უნივერსალური დროის დადგენა შეუძლებელია. ყველაფერი დამოკიდებულია მხარეთა სურვილზე, მიაღწიონ შეთანხმებას, სადაო საკითხის სირთულეზე და ა.შ.[137] თუმცა, ერთი რამ უნდა იქნეს გათვალისწინებული, მედიაციის კონფერენციის ხანგრძლივობამ არ უნდა გამოიწვიოს არასრულწლოვნისა და დაზარალებულის ფსიქოლოგიური ტრავმა.

136 Haft, F./Gräfin von Schlieffen, K.(Hrsg.), 2009. S. 415.
137 ცერცვაძე, გ., 2010. გვ. 342.

მეექვსე თავი
დაზარალებული განრიდების და მედიაციის პროცესში

6.1. დაზარალებულის ცნება

ვიქტიმოლოგია არის მეცნიერება, რომელიც დაზარალებულის (ან დანაშაულის მსხვერპლის) პიროვნებას, მისი მსხვერპლად გახდომის უარყოფით შედეგებს და პრევენციას შეისწავლის. ვიქტიმოლოგია კრიმინოლოგიის სფეროს მიეკუთვნება და გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩაეყარა საფუძველი.

დანაშაულის მსხვერპლი დანაშაულის ჩადენის და მისი კონტროლის შესაძლებლობის მნიშვნელოვანი ელემენტია. დამნაშავეს და დანაშაულის მხვერპლს ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ, როგორც სუბიექტს და ობიექტს.[138] ვიქტიმირების არსი მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ დამნაშავე ცდილობს მსხვერპლი თავისი დანაშაულის ობიექტად აქციოს. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, დამნაშავეა ის, ვინც მსხვერპლს ზარალი, ზიანი მიაყენა, ხოლო მსხვერპლია ის ვინც ზარალი, ზიანი განიცადა.[139]

დანაშაულის მსხვერპლის ცნების რამდენიმე ვარიანტი არსებობს.

ციპფის მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლად უნდა ჩაითვალოს ყველა ის პირი, ვინც დანაშაულისაგან ზიანი, ზარალი განიცადა, მიუხედავად იმისა, ეკუთვნოდა თუ არა მას სამართლებრივი სიკეთე, არის თუ არა უფლებამოსილი, საჩივრით მიმართოს შესაბამის უწყებას და არის თუ არა იგი დაზარალებული სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მიხედვით.[140]

პაშის თანახმად, მსხვერპლი არის ისეთი პირი, რომელიც სხვა პირის ინტერესის შემსრულებელია, მორჩილია: კრიმინოლოგიური თვალთახედვით მსხვერპლი არის ისეთი პირი, რომლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე დაირღვა.[141]

მსხვერპლი შეიძლება იყოს ადამიანი, ორგანიზაცია, საზოგადოება და სახელმწიფო, რომელსაც ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებით საფრთხე

138 Schneider, H.J., 1987. S. 755.
139 იქვე.
140 Zipf, H., 1970 (53). S. 3.
141 Paasch, F. R., 1965. S. 4-5.

შეექმნა, დაზიანდა, დაზარალდა ან განადგურდა.[142] დაზარალებულები შეიძლება ასევე იყვნენ დანაშაულის შედეგად დაღუპული პირის ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები. ამერიკელი კრიმინოლოგის შეიფერის აზრით, არ არსებობს დანაშაული მსხვერპლის გარეშე. დანაშაულებრივი ქმედებით ვიღაცა ან უნდა საფრთხეში ჩავარდეს, ან დაზარალდეს, ან დაზიანდეს, ან განადგურდეს.[143]

დანაშაულის მსხვერპლმა, დანაშაულის ჩადენის დროს ან მოგვიანებით შეიძლება განიცადოს ეკონომიკური ზარალი, სოციალური, მორალური, ფიზიკური და ფსიქიკური ზიანი, რომელიც სახელმწიფო კონტროლის ორგანოების (სასამართლო, პოლიცია, პროკურატურა, სასჯელაღსრულების სისტემა) მხრიდან მთლიანად იგნორირებულია, ვინაიდან ძალიან ხშირად მმართველობის ორგანოები ცდილობენ დამნაშავის რესოციალიზაციას და ავიწყდებათ, რომ დანაშაულის მსხვერპლიც მოითხოვს საზოგადოებაში „დაბრუნებას“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, მსხვერპლს გააჩნია სამი განმარტება: „მსხვერპლი – 1) არის (ძვ.) რომელიმე ღვთაებისათვის შეწირული ნივთი ან ცოცხალი არსება. მსხვერპლის შეწირვა; 2) რაიმე უბედური შემთხვევის ან ძალმომრეობის შედეგად ნავნები ან დაღუპული. ღალატის მსხვერპლი, კატასტროფის მსხვერპლი, აგრესიის მსხვერპლი; 3) (წიგნ.) სხვისი გულისათვის რისამე დათმობა, პირად სიკეთეზე უარის თქმა. მზად იყო ყოველგვარი მსხვერპლისათვის. ... ნებაყოფლობით უარს იტყვის რამეზე ვისიმე, რისიმე სასარგებლოდ“.[144]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.

142 Schneider, H.J., 1987. S. 755.
143 Schafer, S., 1977. S. 95.
144 ჩიქობავა, არ. (რედ.), 1986. გვ. 342.

6.2. დაზარალებულის მდგომარეობა დანაშაულის შემდეგ

6.2.1. ფიზიკური დაზიანებები / ჯანმრთელობის პრობლემები

ფიზიკური დაზიანებები გულისხმობს დამნაშავის მიერ დაზარალებულისთვის სხეულის დაზიანებას. ფიზიკური დაზიანებები გამოიხატება დაჟეჟილობებით, ნაკაწრებით, ჭრილობებით.[145]

სხეულის დაზიანება ძირითადად Yთან ახლავს ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობრივ დანაშაულებს. სექსუალური დანაშაულის (გაუპატიურების), ყაჩაღობის, ბანკზე ყაჩაღური თავდასხმის და მძევლების აყვანის შემთხვევაში საქმე გვაქვს ძალადობრივ დანაშაულთან, თუმცა შესაძლებელია, დაზარალებულს ფიზიკური ზიანი არ მიუღია.

ფიზიკურ დაზიანებებს შესაძლოა უფრო მძიმე შედეგები მოჰყვეს ხანდაზმულისთვის, ვიდრე ახალგაზრდასთვის.

ფიზიკური ზიანი, ძალადობრივი დანაშაულის გარდა, შეიძლება ქონებრივი დანაშაულის შედეგიც იყოს. მაგალითად, ქურდობის ან თაღლითობის მსხვერპლს მატერიალური ზარალის გამო შესაძლებელია, განუვითარდეს სისხლის მიმოქცევის პრობლემები და გულის ინფარქტი.[146]

ასევე, შესაძლებელია სისხლის მიმოქცევის პრობლემები და გულის ინფარქტი განუვითარდეთ სატელეფონო ტერორის და მეზობლებთან კონფლიქტის მქონე ადამიანებს.[147]

6.2.2. ფსიქოლოგიური პრობლემები

თუ სხეულის დაზიანების დროს მეტად ადვილია დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრა (მოტეხილი ფეხი, სისხლჩაქცევა თვალის მიდამოებში და ა.შ.), ფსიქოლოგიური ზიანის დადგენა მეტად ძნელია.

ყველაზე მძიმე ფსიქოლოგიური, მორალური და სოციალური ზიანი ძალადობრივ ქმედებებს მოაქვს. მძიმე ფსიქიკურ შოკს განიცდის გაუპატიურების, მძევლად აყვანის და ყაჩაღობის მსხვერპლი, ასევე მკვლელობის არაპირდაპირი მსხვერპლი.[148]

სხვადასხვა სახის დანაშაულის მსხვერპლს სხვადასხვანაირი ფსიქოლოგიური პრობლემები შეიძლება შეექმნას. მიუხედავად ამისა, ყველა

145 Schneider, H.J. (Hrsg.), 1982. S. 27.
146 Tampe, E., 1992. S. 37.
147 იქვე.
148 Schneider, H.J. (Hrsg.), 1982. S. 27.

მსხვერპლისთვის მსგავს სიმპტომს წარმოადგენს არადიფერენცირებული შიში ან ხელმეორედ მსხვერპლად გახდომის განცდა.[149]

კრიმინოლოგ შნაიდერის აზრით „ვიქტიმიზაცია პირს არ სურს რომ გაიაზროს, ის განიცდის აპათიას, დეპრესიას. განრისხება წინა პლანზეა წამოწეული. იგი შეშინებულია და საზოგადოების მიმართ ნდობა აქვს დაკარგული. მისი თვითშეფასება აღარ არსებობს, ტანჯავს მუდმივი გამეორებადი ფანტაზიები და კოშმარები, რომ ბოროტმოქმედი კვლავ დაბრუნდება, რათა უფრო მძიმედ დააზიანოს ან მოკლას. გაუპატიურება განიხილება როგორც მთელი ცხოვრების დამანგრეველი მოვლენა“. [150]

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დანაშაულის მსხვერპლთა დიდი ნაწილი მიუთითებს შინაგან დაძაბულობაზე (აფორიაქებულობაზე), კონცენტრაციის პრობლემებზე, სხვადასხვაგვარ შიშებზე და ნევროზის განვითარებაზე.[151]

დანაშაულის მსხვერპლთა მწვავე რეაქცია წარმოიშობა უშუალოდ ქმედების შემდეგ წუთების, საათების, კვირებისა და თვეების განმავლობაში. ეჭვის, შიშისა და შეძრწუნების შედეგად მსხვერპლს არ შესწევს უნარი ისაუბროს იმის შესახებ, რაც თავს გადახდა ან აღწეროს დამნაშავე. ხშირად მსხვერპლის პირველადი რეაქცია არის – „ჩემმა მშობლებმა არაფერი უნდა გაიგონ“.

გაუპატიურების შემდეგ მსხვერპლის მწვავე შოკურ რეაქციას მოსდევს ფსევდო-შეგუების ფსიქიკური სტადია, ქმედების უაზრო უარყოფით და მსხვერპლის ცნობიერებაში გაუპატიურებასთან დაკავშირებული ყველა ფაქტის დამალვითა და იგნორირებით. ფსევდო-შეგუების მეორე ფაზის შემდეგ იწყება მესამე ფაზა, *მსხვერპლად გახდომის „სულიერად გადახარშვის“ პირველი მწვავე სიმპტომების განახლებით (რევიქტიმიზაცია):* იგრძნოს თავი დამცირებულად, დაადანაშაულოს საკუთარი თავი და აღელდეს. მესამე ფაზაში მსხვერპლმა უნდა გააანალიზოს გრძნობები საკუთარი თავისა და დამნაშავის მიმართ.[152] უნდა აღმოფხვრას მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული დეზორგანიზებული ცხოვრების სტილი. მსხვერპლმა გაუპატიურების ფაქტს საკუთარ ცნობიერებაში ადგილი უნდა მიუჩინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაგრძელდება ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესება, რაც იწვევს: უძილობას, უმადობას და მისწრაფებას, დაისაჯოს საკუთარი თავი. იგი თავს დეგრადირებულად და დამცირებულად გრძნობს. მისი ცხოვრების სტი-

149 Tampe, E., 1992. S. 37.
150 Schneider, H.J. (Hrsg.), 1982. S. 27.
151 Tampe, E., 1992. S. 37.
152 Schneider, H.J. (Hrsg.), 1982. S. 27.

ლი იცვლება, საკუთარ თავს ადანაშაულებს, უვითარდება სირცხვილის, შიშის, შურისძიების გრძნობა.[153] თავს იჩენს მთელი რიგი სომატური სიმპტომები (თავის ტკივილი და ა.შ). მსგავსი ფსიქიკური ზიანი თავს იჩენს ყაჩაღური თავდასხმებისა და არასრულწლოვანთა გაუპატიურების მსხვერპლთა შორისაც.[154]

დანაშაულის მსხვერპლი საერთოდ იცვლის პიროვნულ თვისებებს,[155]რითაც იგი ცდილობს თავი დააღწიოს ერთხელ განცდილ შემთხვევას და რევიქტიმიზაციას.

დაზარალებული გარკვეული პერიოდის (წლების) გასვლის შემდეგ ხშირად ისევ განიცდის დანაშაულის შედეგს. დაზარალებულს დამნაშავის მსგავსი აღნაგობისა და გარეგნობის ადამიანის დანახვისას ან რაიმე ნაცნობი სუნისა და სიტუაციის აღქმისას კვლავ ახსენდება განცდილი, რაც მას დიდ სულიერ ტკივილს აყენებს.[156]

6.2.3. სოციალური პრობლემები

დაზარალებულებს სოციალურ სფეროში პრობლემები წარმოეშვებათ მეუღლეებთან, მეგობრებთან, ოჯახთან, ნათესავებთან, მეზობლებთან და კოლეგებთან. ყაჩაღობის მსხვერპლს არ შეუძლია სამუშაოზე კონცენტრირება და მუდმივი შიშის ქვეშ იმყოფება. გაუპატიურების შემთხვევაში კი საქმე განქორწინებამდე, მეგობრის დაკარგვამდე და თვითმკვლელობამდეც კი შეიძლება მოვიდეს.

დანაშაულის შედეგად ასევე თავს იჩენს მსხვერპლის კომუნიკაციის პრობლემა ოჯახის წევრებთან და ახლო ნათესავებთან. ხანდაზმულნი, რომლებიც ყაჩაღობის მსხვერპლნი გახდნენ, ერიდებიან ქუჩაში გამოსვლას და სხვა პირებისადმი უნდობლობა მათში ავადმყოფურ ხასიათს იღებს.[157]

ვიქტიმოლოგიაში სპეციალიზებული ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების დახმარებით, დანაშაულის მსხვერპლმა და მათმა ნათესავებმა უნდა შეძლონ ფსიქოლოგიური და სოციალური ზიანის გადალახვა. ზიანს უფრო მეტად ამწვავებს მსხვერპლის სოციუმის არასწორი რეაქციები და სოციალური კონტროლის ფორმალურ ინსტანციებთან (პოლიცია, სასამართლო) ურთიერთობა. დანაშაულის მსხვერპლი კიდევ ერთხელ განიცდის ვიქტიმიზაციას. იგი სოციალურად იზოლირებულად, უმწეოდ, მარტოდ, უცხო და მტრულ სამყაროში გრძნობს თავს.[158] ზოგიერთი ოჯახის წევრი, მეზობელი,

153 იქვე.
154 იგივე, გვ. 28.
155 Tampe, E., 1992. S. 37.
156 იქვე.
157 იგივე, გვ. 38.
158 Schneider, H.J. (Hrsg.), 1982. S. 28; Tampe, E., 1992. S. 38.

კოლეგა, მეგობარი ექცევა მას გულგრილად და დაუფიქრებლად. იგი კარგავს მეგობრებს, მაშინ როდესაც ყველაზე მეტად სჭირდება მათი სოციალური მხარდაჭერა. მასობრივ მედიასაშუალებებს მის მიმართ სენსაციური ინტერესი გააჩნიათ. სასამართლო ფიქრობს მხოლოდ დანაშაულსა და დამნაშავეზე და არა მსხვერპლზე. გაუპატიურების მსხვერპლნი იძულებული არიან პოლიციისა და სასამართლოს წინაშე თავიანთი სექსუალური ცხოვრების ინტიმურ დეტალებზე ისაუბრონ. მათი დაკითხვა ხშირად რამდენჯერმე ხდება წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო წარმოების დროს და იძულებულნი არიან მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიერ მათი პიროვნების დამცირება მოითმინონ.

კრიმინოლოგ შნაიდერის აზრით „პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო და საავადმყოფო დიდი ბიუროკრატიაა, რომლებიც დანაშაულის მსხვერპლს მომსახურების გულგრილობით, არათავაზიანობით და უნდობლობით პიროვნულობის გრძნობას უკარგავენ. იგი ამ ბიუროკრატიულ ლაბირინთში იკარგება, რომელიც მის მიზნებთან დაპირისპირებაში მოდის. სისხლის სამართლის სისტემა მას სკეპტიკურად და უნდობლობითYხვდება. იგი ამ სისტემაში გაუთვითცნობიერებელია, სასამართლო პროცესებს სულიერად დამთრგუნველად აღიქვამს, საჯარო კონფრონტაცია დამნაშავესთან *დაცვის მხარის მიერ მსხვერპლის დადანაშაულების სტრატეგია,* გულგრილობა, ეჭვი სასამართლოს მხრიდან დამატებითი მიზეზია საკუთარი ვიქტიმიზაციისთვის. არცთუ იშვიათად მის წინააღმდეგ დანაშაული მეორდება. დამნაშავის გასამართლების შემდეგ სოციალური კონტროლის ორგანოები მსხვერპლით საერთოდ არ ინტერესდებიან და მას მარტო ტოვებენ საკუთარ ვიქტიმიზაციასთან ერთად“.[159]

ზემოთ ხსენებული *ფსიქიკური და სოციალური შემდგომი ზიანის* თავიდან აცილება მისი დახმარებითა და მკურნალობის კურსებითაა შესაძლებელი.

6.2.4. მატერიალური ზარალი

დანაშაულის შედეგად დაზარალებულისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი ხშირად მას მძიმე მატერიალურ პირობებში აყენებს. მაგალითად, მძარცველები რა თქმა უნდა დაზარალებულის ბინიდან წაიღებენ მთელ ძვირფასეულობას, მაგრამ თუ ვერაფერი ნახავეს, შეიძლება სიბრაზისგან გაანადგურონ რაც სახლში ავეჯია. სახლის ავეჯი ასევე შეიძლე-

159 Schneider, H.J. (Hrsg.), 1982. S. 28.

ბა დაზიანდეს ან განადგურდეს ძვირფასეულობის და ფულის ძებნის პერიოდში. მძარცველს ამოძრავებს ერთი მიზანი – რაც შეიძლება სწრაფად მონახოს ფული და ძვირფასეულობა და გავიდეს სახლიდან. ქურდს არ აინტერესებს, დაზიანდება თუ არა დაზარალებულის სახლში ნივთები.

ევროპის ქვეყნებში ასეთ შემთხვევებში შესაბამისი დაზღვევა ანაზღაურებს დაზარალებულის ზიანს. ამის შესაძლებლობა საქართველოში არ არსებობს.

ამ მაგალითით ნათლად ჩანს, რომ აუცილებელია იმ პრობლემის მოგვარება, რასაც დაზარალებულისათვის მატერიალური ზიანის მიყენება ჰქვია.

დაზარალებულისათვის დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანის გარდა, ყურადსაღებია, რომ მან შეიძლება ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე სამსახურის დაკარგვით გამოწვეული მატერიალური ზარალი მიიღოს. ასევე, შესაძლებელია დაზარალდეს დამოუკიდებელი მეწარმე, რომელმაც ჯანმრთელობის მოშლის ან ფსიქოლოგიური პრობლემების გამო ვერ მიიღო შემოსავალი (მაგ., პატარა მაღაზიის მესაკუთრე, რომელიც იძულებული გახდა ყაჩაღობის დროს მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფის გამო რამდენიმე დღით, კვირით დაეკეტა მაღაზია).

სხეულის დაზიანების შემთხვევებში დაზარალებული, რომელიც არ არის დაზღვეული, ვალდებულია თვითონ გაიღოს ჯანმრთელობის მკურნალობისათვის საჭირო ხარჯები.[160]

მკვლელობის შემთხვევაში შეიძლება ასევე მეტად მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს მოკლულის ოჯახი, თუ მოკლული პირი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო.

6.3. დაზარალებულად გახდომის პროცესის სახეები

გერმანელმა მეცნიერებმა ადამიანის ვიქტიმირება სამ ეტაპად დაყვეს: პირველადი (ძირითადი) ვიქტიმირება, მეორადი (არაძირითადი) ვიქტიმირება და მესამეული ვიქტიმირება.[161] ადამიანის პირველადი და მეორადი ვიქტიმირება დამოკიდებულია სხვა ადამიანისგან მასზე განხორციელებული ქმედებით (მოქმედებით: სხეულის დაზიანების მიყენება და უმოქმედობით: დაზარალებულის გაკიცხვა), ხოლო ადამიანის მესამეული ვიქტიმირება არის მისი ვიქტიმირებიდან გამოწვეული ფსიქოლოგიური შედეგი.

160 Tampe, E., 1992. S. 40.
161 Schneider, H.J., 2001. S. 77-79; Kiefl, W./ Lamnek, S., 1986. S. 170-290.

6.3.1. პიროვნების პირველადი (ძირითადი) ვიქტიმირება

პიროვნების პირველად ვიქტიმირებად ითვლება დანაშაულის ჩადენით მსხვერპლის მიმართ წარმოშობილი ფსიქიკური, ფიზიკური და მატერიალური შედეგი.

მატერიალური ზარალი ძირითადად ქურდობის მსხვერპლს წარმოეშვება. დაზარალებულის მიმართ ყველაზე მძიმე ზიანი დგება ძალადობრივი დანაშაულის შემთხვევაში (გაუპატიურება, მძევლად აყვანა, ყაჩაღობა). ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლი განიცდის ფსიქოლოგიურ, სოციალურ და მორალურ ზიანს.[162]

ძალადობის ხშირმა ფაქტებმა, შეიძლება პიროვნებაში გამოიწვიოს იძულებითი ფანტაზიები, უძილობა და ქცევის შეცვლა.

დანაშაულის მსხვერპლს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახის სხვადასხვა ფსიქიკური სიმპტომები: დეპრესია, უძილობა, შიში, თავის ტკივილები, მოუსვენრობა, ცუდი (უსიამოვნო) სიზმრების ნახვა.[163] ხშირია ასევე გართულებული სოციალური ურთიერთობები. დანაშაულის მსხვერპლი კარგავს ნდობას სხვა ადამიანების მიმართ, უჭირს მეგობრებთან, ნათესავებთან ურთიერთობა. ჩადენილი დანაშაულით გამოწვეული უარყოფითი შედეგები ინდივიდუალურია თითოეული დანაშაულის მსხვერპლისთვის და ის სამეგობრო წრესთან ურთიერთობის დაძაბვიდან თვითმკვლელობამდე შეიძლება მერყეობდეს. ასევე ხშირია მსხვერპლის მხრიდან გაბრაზების და საზოგადოებისადმი ნდობის დაკარგვის შემთხვევები.[164]

6.3.2. პიროვნების მეორადი (არაძირითადი) ვიქტიმირება

პიროვნების მეორადი ანუ არაძირითადი ვიქტიმირება ხდება მასთან ურთიერთობაში მყოფი პიროვნებების მიერ გაკეთებული განცხადებებით (ექიმები, პოლიციის წარმომადგენლები, ადვოკატები) ან მორალური სახის პრეტენზიების გამოთქმით მსხვერპლის საქციელთან დაკავშირებით. მაგ. „შენ რომ იქ არ ყოფილიყავი?!“; „ასეთ დროს იქ რა გინდოდა?!“; „ეს რატომ წამოგცდა?!“; „რატომ სხვა ადგილას არ შეინახე?!“ და ა.შ.[165]

სასამართლო პროცესის დროს ხშირად ხდება დამნაშავის ადვოკა-

162 Schneider, H.J. (Hrsg.), 1982. S. 27.
163 Schneider, H.J., 2001. S. 77.
164 Schneider, H.J. (Hrsg.), 1982. S. 27.
165 Kiefl, W./ Lamnek, S., 1986. S. 239.

ტის მხრიდან დანაშაულის მსხვერპლისადმი დანაშაულის პროვოცირების ბრალდებების წაყენება. თითქოს, მსხვერპლის გამომწვევი, პროვოკაციული საქციელი რომ არა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი (დამნაშავე) დანაშაულს არ ჩაიდენდა.

კრიმინოლოგ შნეიდერის აზრით მსხვერპლი, რომელიც შეეწინააღმდეგა დამნაშავეს, უფრო აღიარებულია სოციუმის მიერ (ოჯახის წევრები, სამსახური, სამეზობლო), ვიდრე ის მსხვერპლი, რომელმაც წინააღმდეგობა არ გაუწია დამნაშავეს.[166]

6.3.3. პიროვნების მესამე ვიქტიმირება

პიროვნების მესამეულ ვიქტიმირებას ადგილი აქვს, როდესაც დანაშაულის მსხვერპლს პირველადი და მეორადი ვიქტიმირებიდან გამომდინარე აღარ სჯერა, რომ დაცულია დანაშაულისაგან, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე ახლო სოციალური გარემოს მხრიდან, თავს მიიჩნევს გარშემო მყოფთა მსხვერპლად და არა აქვს წინააღმდეგობის გაწევის უნარი.[167] ამგვარი ადამიანები მიეკუთვნებიან დანაშაულის მსხვერპლის ისეთ კატეგორიას, რომელთა (რე)ვიქტიმიზაცია კვლავ მოსალოდნელია ახლო მომავალში (იხ. „ნასწავლი“ დაუხმარებლობის თეორია).

გერმანიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დანაშაულის მსხვერპლი ხშირად მარტო რჩება მსხვერპლად გახდომით წარმოშობილ პრობლემასთან და არც სახელმწიფო და არც სოციუმი არ ცდილობს ხელი შეუწყოს მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.[168]

6.4. დაზარალებულის მოთხოვნილებები

6.4.1. მსხვერპლის მოთხოვნილება დაეხმარონ და ჰქონდეს ინფორმაცია

დანაშაულის შემდეგ მსხვერპლი დაბნეულია. ბევრმა მათგანმა არაფერი იცის საკუთარი სისხლის სამართლის საპროცესო უფლებების და არც მათი დაცვის შესაძლებლობების შესახებ.[169] ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია მათთვის იურიდიული დახმარების გაწევა. საჭიროა, რომ მათ მიეწოდოთ ინფორ-

166 Schneider, H.J. (Hrsg.), 1982. S. 26.
167 Kiefl, W./ Lamnek, S., 1986. S. 272.
168 Wetzels, P. u.a., 1995. S. 273.
169 Smutny, P., 2001. S. 189.

მაცია როგორც მათი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების შესახებ, ასევე, ამ უფლებების განხორციელების შესაძლებლობების თაობაზე.[170]

გარდა იურიდიული დახმარებისა, დანაშაულის მსხვერპლისათვის ასევე მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური დახმარება, რაც გულისხმობს როგორც ფსიქოლოგიურ თანადგომას სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს (დაზარალებულს ფსიქოლოგიური დახმარება შეიძლება დასჭირდეს სასამართლო სხდომაზე დამნაშავესთან შეხვედრის დროს), ასევე, დანაშაულის შედეგად მიყენებული ფსიქოლოგიური ტრავმის დამუშავება-დაძლევას.

დაზარალებულის დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახური ძალადობის, სქესობრივი ან ძალადობრივი დანაშაულების დროს. ხშირად, ასეთი სახის დანაშაულთა მსხვერპლს არ შესწევს უნარი, დახმარებისთვის მიმართოს შესაბამის იურიდიული თუ ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრებს და არც ამის სათანადო სურვილი აქვს. ამიტომ, იურიდიული და/ან ფსიქოლოგიური დახმარების ორგანიზაციებმა დანაშაულის მსხვერპლთ უნდა შესთავაზონ ასეთი დახმარება. დაზარალებული თავად გადაწყვეტს სურს თუ არა მას პროფესიული იურიდიული და/ან ფსიქოლოგიური დახმარების მიღება.

6.4.2. მსხვერპლის მოთხოვნილება – მოეპყრონ ადამიანურად

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა ზოგიერთი პროკურორის, მოსამართლის და ადვოკატის მხრიდან სისხლის სამართლის პროცესის დროს დაზარალებულისადმი არაგონივრული მოპყრობა. დაზარალებულების მიერ ყველაზე ხშირად გამოთქმულ პრობლემას წარმოადგენს პროცესის მონაწილეების მხრიდან მათდამი მოპყრობის არცოდნა და მათი იგნორირება.[171]

სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის გადაქცევა „სიმართლის გაგების ობიექტად“, დაზარალებულში იწვევს უძლურობის და „მათ ხელში ყოფნის“ გრძნობას, რაც დაზარალებულმა ერთხელ უკვე განიცადა დანაშაულის ჩადენის დროს (პირველადი და მეორადი ვიქტიმირება).[172]

სისხლის სამართლის პროცესის დროს მოსამართლის მიერ დაზარალებულის დაკითხვამ ან/და დამნაშავესთან შეხვედრამ შესაძლებელია დაზარალებული ფსიქოლოგიურ სტრესში ჩააგდოს, რაც ხშირად პროცესის

170 Tumanishvili, G., 2008. S. 54.
171 Schneider, H.J., 1990. S. 10 (11).
172 Velten, P., 2003. S. 7 (27).

დამთავრების შემდეგ შეიძლება გამოვლინდეს.[173] დაზარალებულისათვის ამგვარი ფსიქოლოგიური სტრესის მიყენების თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან როგორც დაზარალებული, ასევე სახელმწიფო დაინტერესებულია სიმართლის გარკვევით, რაც დაზარალებულის მხრიდან გარკვეული „მსხვერპლის გაღებას“ მოითხოვს. ამიტომ არის მნიშვნელოვანი პოლიციელების, მოსამართლეების, პროკურორების, ადვოკატების და პროცესის სხვა მონაწილეთა მხრიდან დანაშაულის მსხვერპლისადმი სათუთი, ფრთხილი და ადამიანური მოპყრობა,[174] რაც პირველ რიგში მისი (დაზარალებულის) დაკითხვის დროს უნდა გამომჟღავნდეს.

ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის მსხვერპლთა დიდ ნაწილს პოსტტრავმული პრობლემები (სტრესი) აღენიშნებათ.[175] პოსტტრავმული პრობლემები პიროვნებებს წარმოეშობა ომის, უბედური შემთხვევის ან დანაშაულის შემდეგ და ისინი შეიძლება გამოვლინდეს თვეების ან წლების შემდეგაც, რაც გამოიხატება იმაში, რომ დაზარალებულს: ინტენსიურად ახსენდება და/ან ესიზმრება მომხდარი სიტუაცია, არ შეუძლია მომხდარის დავიწყება, აწუხებს თვითმკვლელობაზე ფიქრები, აქვს შიშები და დეპრესიული განწყობა, გაუცხოებულია თავის სოციუმთან და სხვ.[176] ამგვარ მდგომარეობაში დაზარალებულის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში მეტად მტკივნეული და სტრესულია.

გერიგის და ზიმბარდოს თანახმად, „პოსტტრავმული სტრესის აშლილობა (Posttraumatic stress disorder (PTSD) [არის] შფოთვითი აშლილობა, რომელიც ხასიათდება მატრავმირებელი მოვლენის მუდმივად განმეორებადი განცდით – შემაწუხებელი მოგონებების, სიზმრების, ჰალუცინაციების და დისოციაციური „გამონათებების“ სახით, ვითარდება გაუპატიურების, სიცოცხლისათვის საშიში მოვლენების, ძლიერი დასახიჩრების, ან ბუნებრივი კატასტროფების პასუხად“.[177]

სისხლის სამართლის პროცესში სქესობრივი და ძალადობრივი დანაშაულის დაზარალებულისათვის ჩვენების მრავალჯერ ჩამორთმევა მასში იწვევს ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რაც გასათვალისწინებელია სამართალწარმოების ორგანოებისათვის. ამიტომ დაზარალებულებს აქვთ სურვი-

173 Jesionek, U., 1995. S. 369 (370).
174 Tumanishvili, G., 2008. S. 53.
175 Schneider, H.J., 1999. S. 127.
176 ix.: http://www.medizinfo.de/kopfundseele/trauma/ptbs.shtml
177 გერიგი, რ./ ზიმბარდო, ფ., 2009. გვ. 799.

ლი, რომ სამართალწარმოების მონაწილენი მათ ამგვარ ფსიქიკურ მდგომარეობას სათუთად და ფრთხილად მოეპყრონ.

ძალადობრივი დანაშაულის ბევრი მსხვერპლი მომხდარის შესახებ საუბარს შემთხვევიდან დიდი დროის გასვლის შემდეგ იწყებს. ამიტომ, თუ ამგვარი დანაშაულის მსხვერპლი პირველივე დაკითხვისას არ საუბრობს მომხდარზე, მას მეტი დრო უნდა მიეცეს და მოგვიანებით მოხდეს მისი განმეორებითი დაკითხვა. გარდა ამისა, სექსუალური დანაშაულის მსხვერპლმა შეიძლება დაკითხვის დროს ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები მისცეს, რაც არ უნდა გახდეს მის სიმართლეში დაეჭვების საფუძველი.[178]

დანაშაულის მსხვერპლის მოთხოვნილებაა ასევე, მოსაცდელი ოთახი იყოს კომფორტული და მხოლოდ დაზარალებულებისათვის განკუთვნილი, სადაც იგი არ შეხვდება ბრალდებულს ან მის წარმომადგენელს.[179]

დაზარალებულთათვის განკუთვნილ მოსაცდელ ოთახში აუცილებელია იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარებისათვის საჭირო საინფორმაციო ბროშურების განთავსება, რომელსაც დაზარალებული თან წაიღებს.[180]

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით, დაზარალებულის სურვილია (მოთხოვნაა), რომ მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ ცნობილი იყოს მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებისთვის, რაც მსხვერპლისადმი ადამიანური მოპყრობის გარანტიას იძლევა. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს დაზარალებულის აქტიურ მონაწილეობას და სიმართლის დადგენას, ხოლო მეორე მხრივ, დაზარალებულის თვითდაჯერებულობას – იგი თავს აღარ იგრძნობს პროცესის ობიექტად, რომლისგანაც მხოლოდ ინფორმაციის მიღება სურთ. ეს მას თავიდან ააცილებს მეორადი და მესამეული ვიქტიმირების პროცესს.

6.4.3. მსხვერპლის მოთხოვნილება – ჰყავდეს თანამდგომი

სისხლის სამართლის პროცესის დროს დაზარალებულთა უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანია გვერდით ჰყავდეს ნდობით აღჭურვილი პირი.[181] დაკითხვის დროს თუ დაზარალებულის გვერდით ნდობით აღჭურვილი პირი (დედა, მამა, და, ძმა, მეგობარი, ნათესავი) ზის, მას ფსიქოლოგიურად უადვილდება მომხდარზე საუბარი.[182]

178 Brem, A., 2006. S. 111 (113).
179 Bogensberger, G., 2006. S. 73 (75).
180 იქვე.
181 Jesionek, U., 2004. S. 253 (257).
182 Brem, A., 2006. S. 111 (125).

დაზარალებულთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სექსუალური და ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლი, თანადგომის გარდა საჭიროებს პროფესიულ ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ დახმარებას. თუ დაზარალებულს ამის სახსრები არ გააჩნია, ეს უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შექმნას სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც დაზარალებულებს უფასო პროფესიულ ფსიქოლოგიურ და იურიდიულ კონსულტაციებს გაუწევენ.

ფსიქოლოგიური კონსულტაციის შედეგად დაზარალებულს მოეხსნება შიში[183] და ის შეძლებს მომხდარი დანაშაულის შედარებით სრულყოფილ გახსენებას და გადმოცემას.

სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულის ეფექტიანად ჩაბმის მიზნით უმჯობესია, მისი ინტერესები დაიცვას ადვოკატმა. თუ ქვეყნის კანონმდებლობა დაზარალებულის ადვოკატს აძლევს სისხლის სამართლის საქმის გაცნობის უფლებას, იგი, გარდა პროფესიული რჩევებისა, დაზარალებულს მოამზადებს დამნაშავის არგუმენტების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში დაზარალებული დაასახელებს დამატებით მოწმეებს ან წარმოადგენს მტკიცებულებებს.[184]

6.4.4. მსხვერპლის მოთხოვნილება – მოუსმინონ

დანაშაულის მსხვერპლისთვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მიეცეს შესაძლებლობა, გამოთქვას თავისი შეხედულება ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

დანაშაულის მსხვერპლი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასამართლო სხდომაზე სიტყვით გამოსვლას და დამნაშავისთვის პირდაპირ, თუ ირიბად იმის თქმას, რაც მას დანაშაულის ფაქტის შემდეგ ყოველთვის უნდოდა ეთქვა.[185]

პროკურორმა, ადვოკატმა და განსაკუთრებით მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს მსხვერპლის ეს მოთხოვნა და სასამართლოში ჩვენების მიცემის დროს შეძლებისდაგვარად არ შეზღუდოს დროში ან გამონათქვამებში.

დანაშაულის მსხვერპლისათვის სასამართლოში სიტყვის თქმის შესაძლებლობის მიცემა ხელს უწყობს მასში სამართლიანობის გრძნობის და სა-

183 Kilchling, M., 2008. www.hss.de/downloads/080306_RM_Kilchling.pdf
184 იქვე.
185 Miklau, R., 2004. S. 293 (297); Schneider, H.J., 1999. S. 129.

მართალდამცავი ორგანოებისადმი დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას, რაც დაზარალებულს თავიდან ააცილებს რევიქტიმირებას (იხ. პიროვნების ვიქტიმირების ეტაპები).

6.4.5. მსხვერპლის მოთხოვნილება - თავიდან იქნა აცილებული დამნაშავესთან მისი შეხვედრა

დანაშაულის მსხვერპლს აქვს დამნაშავის მიმართ შიში და არ უნდა ოდესმე მასთან შეხვედრა.[186] ამიტომ, დაზარალებულის სურვილია ჩვენების მიცემის მომენტში დამნაშავე იქ არ იყოს ან არ მოხდეს მათი დაპირისპირება. ამგვარი შიში და მოთხოვნა არა მხოლოდ სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლს, არამედ შეიძლება ჰქონდეს ყაჩაღობის, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის, ძარცვის, ქურდობის მსხვერპლსაც. თუ დაზარალებულს ძალიან ეშინია დამნაშავესთან შეხვედრის, შესაძლებელია ამ შეხვედრამ მასში გამოიწვიოს პოსტტრავმული სტრესი და შეექმნას ჯანმრთელობის პრობლემები.[187]

დანაშაული დაზარალებულის ცხოვრების არარსასურველი და ტკივილით აღსავსე მომენტია, რომელიც მას დამნაშავესთან შეხვედრით განმეორებით ტკივილს აყენებს. ამიტომ ეს შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა იქნას აცილებული სამართალდამცავი და საქმის მწარმოებელი ორგანოების მხრიდან ფრთხილი და ადამიანური მოპყრობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია დაზარალებულმა და ბრადებულმა ჩვენების მიცემა სხვადასხვა დღეს განახორციელონ, ან დროის დიდი შუალედით და შენობის სხვადასხვა სართულზე.[188]

განსაკუთრებით ფრთხილი და სათუთი მოპყრობაა საჭირო სექსუალური დანაშაულის მსხვერპლ ბავშვებთან. ზოგიერთი მეცნიერის რჩევით სექსუალური დანაშაულების მსხვერპლი ბავშვის და ბრალდებულის შეხვედრის თავიდან ასაცილებლად, უმჯობესია ბავშვის დაკითხვა მოხდეს ვიდეოაპარატურის საშუალებით ან ბავშვი და მისი ნდობით აღჭურვილი პირი სამართალდამცავმა ორგანოებმა დასაკითხად იმ დღეს დაბარონ, როცა პროკურატურის შენობაში არ იქნება დანაშაულში ბრალდებული პირი ან მისი წარმომადგენელი.[189]

186 Jesionek, U., 2004. S. 253 (260).
187 იქვე.
188 Bart, H.-J., 1998. S. 818 (823).
189 იქვე.

6.4.6. მსხვერპლის მოთხოვნილება – ჰქონდეს ინფორმაცია დამნაშავის ადგილსამყოფელის შესახებ

ზოგიერთ დაზარალებულს ძალიან ეშინია დამნაშავის. ისინი შიშობენ, რომ დამნაშავე მალე გამოვა ციხიდან და ისინი ისევ შეხვდებიან, რა დროსაც მისი კიდევ ერთხელ მსხვერპლად გახდომა გარდაუვალი გახდება.[190]

დაზარალებულთა ერთი ნაწილის შიში, ხელმეორედ გახდეს დამნაშავის ქმედების მსხვერპლი, სრულიად სამართლიანია (მაგ. ოჯახური ძალადობის ჩამდენმა ციხიდან გამოსვლის შემდეგ შეიძლება მეუღლეს განმეორებითი ფიზიკური ზიანი მიაყენოს იმ მოტივით, რომ მეუღლემ პოლიციაში განაცხადა და დააჭერინა).

ასეთი სახის დაზარალებულების დასახმარებლად საჭიროა, ისინი ინფორმირებულნი იყვნენ (მათი მოთხოვნის საფუძველზე) დამნაშავის ადგილსამყოფელის შესახებ. ამგვარი ინფორმაცია დაზარალებულს ფსიქოლოგიურად მოამზადებს დამნაშავესთან შესაძლო შეხვედრაზე.

6.4.7. მსხვერპლის მოთხოვნილება – იცნობდეს დანაშაულის ჩადენის მოტივს

მსხვერპლთა გარკვეული ნაწილისთვის მნიშვნელოვანია, იცოდეს რა მოტივით ჩაიდინა პიროვნებამ დანაშაული და რა მიზანს ემსახურებოდა დანაშაულებრივი ქმედება.[191]

დანაშაულის მოტივის ცოდნა ბევრ დაზარალებულს ხელს უწყობს დასძლიოს დამნაშავისადმი შიში, რაც, თავის მხრივ, დაზარალებულს დაეხმარება სოციალურ რეინტეგრაციაში.

დაზარალებული, რომელმაც იცის, რომ დამნაშავე ჩვეულებრივი მოქალაქეა, რომელმაც მსხვერპლისთვის გასაგები გარკვეული პრობლემის მოსაგვარებლად (სოციალური სიდუხჭირის გამო ქურდობა, თაღლითობა, ძარცვა) ერთხელ ჩაიდინა დანაშაული, აღარ ექნება შიში, მასთან, როგორც დამნაშავესთან, შეხვედრის, ასევე, იგი არ იფიქრებს, რომ ქვეყანაში გაუარესდა კრიმინოგენული მდგომარეობა.

მსხვერპლისთვის მნიშვნელოვანია ზარალის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ და ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის დამნაშავის მიერ პასუხისმგებლობის აღება.[192]

ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობის აღებით, დამნაშავე აღიარებს

190 Buggisch, W., 2001. S. 1.
191 Miklau, R., 2004. S. 293 (297).
192 Schneider, H.J., 1999. S. 129.

დაზარალებულის მდგომარეობას, რის შედეგადაც დაზარალებულს ეძლევა იმედი, რომ იგი აღარ გახდება ამ (პასუხისმგებლობის მქონე) დამნაშავის მსხვერპლი.[193] ამიტომ არის, რომ დაზარალებული დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სწორედ დამნაშავის აღიარებით და მონანიებით ჩვენებას.[194]

სამწუხაროდ, სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოები და სახელმწიფო სტრუქტურები (სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები) ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, სწორედ დამნაშავის მონანიებით ჩვენებაზე (ჩადენილი დანაშაულისათვის დამნაშავის მიერ პასუხისმგებლობის აღება) მუშაობას.

6.4.8. დაზარალებულის მოთხოვნილება, აუნაზღაურდეს ზარალი

დანაშაულის მსხვერპლის რესოციალიზაცია გულისხმობს რაც შეიძლება სწრაფად მსხვერპლის მატერიალური და ფსიქო-სოციალური მდგომარეობის იმ სახით აღდგენას, როგორიც იყო დანაშაულის ჩადენამდე.[195]

დაზარალებულთა დიდი უმრავლესობის მოთხოვნაა ზიანის სრულად ანაზღაურება. ზიანი, როგორც აღინიშნა, შეიძლება იყოს ეკონომიკური (ქურდობის დროს), ფიზიკური (ჯანმრთელობის დაზიანების დროს) ან ფსიქოლოგიური (სქესობრივი და ძალადობრივი დანაშაულის დროს) ხასიათის.

დანაშაულის მსხვერპლისთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ორგანოები რეაგირებას მოახდენენ ჩადენილ დანაშაულზე, რის გამოც მათ (დაზარალებულებს) მადლიერების და კმაყოფილების გრძნობა უჩნდებათ, იმის მიუხედავად მოხდება თუ არა მოგვიანებით დამნაშავის დასჯა.[196] დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ დამნაშავე მიხვდება, რომ მისი საქციელი საზოგადოებრივად დასაგმობია და ის შეცდომა იყო.[197]

ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლს განსაკუთრებით ესაჭიროება სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან იმის აღიარება, რომ მის მიმართ ჩადენილი იყო უკანონობა. სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან დანაშაულის აღიარება ხელს შეუწყობს მსხვერპლს მიყენებული ტკივილის გადატანაში.[198]

დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა უმრავლესობას დაკარგული

193 Baurmann, M., 2000. S. 396.
194 იქვე.
195 Jesionek, U., 2005. S. 41 (50).
196 Kilchling, M., 2002. S. 60.
197 Brem, A., 2006. S. 111 (114).
198 იგივე, გვ. 113.

აქვს ნდობა, როგორც სახელმწიფო ორგანოებისადმი, ასევე სოციუმისადმი (მათ ვერ დაიცვეს იგი დამნაშავისაგან).[199] ამიტომ, თითოეული დაზარალებულის მოთხოვნილებაა დაკარგული ნდობის სწრაფი აღდგენა.

ყაჩაღობის, ძარცვის, სხეულის დაზიანების, მკვლელობის (არაპირდაპირ) მსხვერპლს ხშირად უჩნდება სიძულვილის გრძნობა. ამიტომ, მათ სჭირდებათ დახმარება, რომ დაძლიონ სიძულვილი და დაბრუნდნენ და დაუბრუნდნენ ნორმალურ, პოზიტიურ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს.[200]

დანაშაულის მსხვერპლის მოთხოვნა არის არა მხოლოდ მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება, არამედ დაზარალებულის მორალურ-სამართლებრივი რეაბილიტაცია.[201]

მატერიალური ანაზღაურება ანუ მოპარული ნივთის დაბრუნება ან მისი საფასურის ფულადი თანხით გადახდა საკმარისია ეკონომიკური დანაშაულის (მაგ. ქურდობა, თაღლითობა) მხოლოდ ისეთი მსხვერპლისთვის, რომელსაც სხეულის დაზიანება არ მიუღია.[202]

განსაკუთრებით ძალადობრივი დანაშაულის (ყაჩაღობა, სხეულის მძიმე დაზიანება, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, გაუპატიურება) მსხვერპლისათვის არის მნიშვნელოვანი, რომ რეაბილიტაციისათვის მან მიიღოს, როგორც მატერიალური ანაზღაურება, ასევე დანაშაულის შედეგად მიყენებული (თუ პოსტტრავმული) ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრამვის განკურნებისათვის საჭირო ფულადი თანხა, ვინაიდან დანაშაულის მსხვერპლთა დიდ ნაწილს ასეთი სახის თერაპია ესაჭიროება.[203]

მთელს მსოფლიოში ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩატარებულმა ვიქტიმოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ დაზარალებულის რესოციალიზაციას გააჩნია სამი პრევენციული ღონისძიება:[204]

ა) დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება. აღნიშნული ითვალისწინებს უშუალოდ დანაშაულის შედეგად წარმოშობილი ზარალის ანაზღაურებას;

ბ) რევიქტიმიზაციის თავიდან აცილება. ვიქტიმოლოგიურმა კვლევებმა დაადგინა, რომ დაზარალებული შეიძლება მოკლე პერიოდში ისევ გახდეს დანაშაულის მსხვერპლი. ამიტომ აუცილებელია, ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც ხელს შეუშლის დაზარალებულის რევიქტიმიზაციას;

199 Kilchling, M., 2002. S. 59.

200 Eder-Rieder, M. A., 1998. S. 8.
201 Kilchling, M., 2002. S. 62f; Eder-Rieder, M. A., 1998. S. 7f.
202 Schneider, H.J., 1999. S. 124; Tumanishvili, G., 2008. S. 53.
203 Eder-Rieder, M. A., 1998. S. 31.
204 Kilchling, M., 2008. www.hss.de/downloads/080306_RM_Kilchling.pdf

გ) ვიქტიმიზაციის შედეგად მოქმედი სახელმწიფო ნორმების ნდობის მიმართ რწმენის ისევ ამაღლება. ეს საკითხი მნიშვნელოვანია ისეთი დაზარალებულისათვის, რომელიც უკმაყოფილო ან ფრუსტრირებულია სამართალდამცავი თუ საგამოძიებო ორგანოების მუშაობით. სწორედ იმისათვის, რომ დაზარალებული არ გახდეს დამნაშავე და აღუდგეს მოქმედი სამართლის ნორმებისადმი რწმენა, საჭიროა, დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საპროცესო უფლებების მიცემა და დაცვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საჭიროა დაზარალებულმა სისხლის სამართლის პროცესში პროცესის აღიარებული მონაწილის მდგომარეობა დაიკავოს, ხოლო კრიმინალური იუსტიციის სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს,[205] წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია დაზარალებულმა უარი თქვას სისხლის სამართლის საქმეში „მონაწილეობაზე“ (მაგ. დაზარალებული განაცხადებს, რომ არ ახსოვს არაფერი), რაც გაართულებს ასეთი ინფორმაციის მქონე ადამიანის გარეშე ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

დაზარალებული, რომელიც არსებულ მდგომარეობაში მიტოვებულად გრძნობს თავს, სიძულვილს გამოხატავს დამნაშავის, საზოგადოების და „სამართლიანი სახელმწიფოს“ მიმართ. დამნაშავის მიმართ გამოხატულმა სიძულვილმა დაზარალებული შეიძლება შურისძიების სურვილამდე მიიყვანოს და დამნაშავის მიმართ დანაშაული ჩაადენინოს.

ვინაიდან დაზარალებულს აქვს სიძულვილი საზოგადოების მიმართ, მან შეიძლება უარი თქვას მოქალაქეობრივ ვალდებულებებზე (არ განაცხადოს დანაშაულის შესახებ პოლიციაში, უარი თქვას დახმარებაზე).

დაზარალებულს, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს საკუთარი სახელმწიფო ორგანოების სამართლიანობას, შეიძლება ჩამოუყალიბდეს უნდობლობა სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ და უარი თქვას როგორც სახელმწიფო ვალდებულებებზე (არჩევნებში მონაწილეობა, სამხედრო სამსახურის გავლა), ასევე სოციალურ ურთიერთობებზე, რითაც დაზარალებული კარგავს საკუთარი თავისადმი რწმენას. რაც გააძლიერებს მისი რევიქტიმიზაციის ალბათობას (იხ. პიროვნების ვიქტიმირების ეტაპები, „ნასწავლი“ დაუხმარებლობის თეორია).

დაზარალებულის რესოციალიზაცია მსგავსია ინდივიდუალური (სპე-

205 Kilchling, M., 2002. S. 61; Schneider, H.J., 1999. S. 129.

ციალური)[206] პრევენციისა,[207] რომლის მიზანია დაზარალებულისადმი და მისი პრობლემისადმი ინდივიდუალური მიდგომა და გადაწყვეტა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი რევიქტიმიზაცია.

6.5. დაზარალებულის რეაბილიტაციის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა

დაზარალებულის რეაბილიტაციას გააჩნია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით, რეაბილიტირებული დაზარალებული:

- მომავალში ითანამშრომლებს გამოძიებასთან;
- შეუნარჩუნდება და აუმაღლდება სახელმწიფო ორგანოებისადმი ნდობა, რაც აუცილებელია მომავალში მისი მხრიდან სახელმწიფო სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობისათვის;
- არ დაკარგავს შრომისუნარიანობას და ხელს შეუწყობს სახელმწიფო დოვლათის შექმნას;
- იქნება აქტიური პოლიტიკური, სახელმწიფო აზროვნების მქონე ადამიანი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში;
- წინ აღუდგება დანაშაულის ჩადენას, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციას.

საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით, რეაბილიტირებული დაზარალებული:

- აღარ გახდება განმეორებითი დანაშაულის მსხვერპლი;
- იქნება სოციალურად და საზოგადოებრივად აქტიური მოქალაქე;
- გაუქარწყლდება დამნაშავეობისადმი შიში, რაც ხელს შეუწყობს მის მიერ საზოგადოებრივი წესრიგს დაცვას.

206 შეად.: შალიკაშვილი, მ., 2011. გვ. 223.
207 Kilchling, M., 2008. www.hss.de/downloads/080306_RM_Kilchling.pdf 2010 წლის 27 ივლისის მდგომარეობით.

მეშვიდე თავი
განრიდების და მედიაციის არსებული პრაქტიკა

7.1. განრიდების და მედიაციის საქმეების კვლევის მეთოდი

ემპირიული კვლევა იწყება კვლევის პრობლემით, რომელიც ამავდროულად არის ერთგვარი გამოცანა.[208] გიდენსის აზრით სოციოლოგიური კვლევის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს გამოცანის სწორი იდენტიფიკაცია და გააზრება.[209] თვისობრივი კვლევა ცდილობს გამოცანის იმგვარად ამოხსნას, რომ ადამიანებისათვის სიღრმისეულად გახდეს ცნობილი, თუ რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა ასე.[210]

რადგან მოცემულ შემთხვევაში საკვლევი თემის ირგვლივ არ არსებობდა სხვა მსგავსი სახის კვლევა, გადაწყდა მომხდარიყო არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სრული და სიღრმისეული აღწერა. შესაბამისად ჩამოყალიბდა საკვლევ თემასთან დაკავშირებული ძირითადი კითხვები. ეს კითხვებია:

- რა არის არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამა?
- როგორია ამ პროგრამის განხორციელების პირობები?
- ვინ არიან არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის ძირითადი მონაწილენი და რა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ მათ?
- ატარებს თუ არა არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამა აღმზრდელობით ხასიათს?
- გათვალისწინებული არის თუ არა არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესი?

ემპირიული სოციოლოგიური კვლევა იყოფა კვალიტატიურ (თვისობრივი) და კვანტიტატიურ (რაოდენობრივი) მეთოდებად.[211] კვალიტატიური ანუ თვისობრივი მეთოდით ხდება მოპოვებული ინფორმაციის აზრობრივი და შინაარსობრივი დამუშავება, ხოლო კვანტიტატიური მეთოდით კი – მათემატიკური ციფრების გაანალიზება, მათი დაყოფის, ცხრილების, სტატისტიკის

208 Giddens, A., 1999. S. 581.
209 იქვე.
210 იქვე.
211 Schäfers, B. (Hrsg.), 2001. S. 216.

მეშვეობით.[212] როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ გამოკვლევებში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მონაცემთა შეგროვების მრავალი განსხვავებული მეთოდი: გამოკითხვა, დაკვირვება, ექსპერიმენტი, შინაარსის ანალიზი.

შინაარსის ანალიზის დროს საქმე გვაქვს, ადამიანების მიერ შედგენილ დოკუმენტებთან, რომელთა ანალიზით და განმარტებით შესაძლებელი ხდება ადამიანის ქცევის, დამოკიდებულების და სხვა სოციალური მდგომარეობის მეცნიერული გაანალიზება. [213]

მოცემულ კვლევაში ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდნენ განრიდების და მედიაციის შესახებ არსებული საკანონმდებლო ნორმები, განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებები, არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური დასკვნები, მედიატორების და სოციალური მუშაკების პირადი ჩანაწერები. აღნიშნული დოკუმენტები გამოიყენეს განრიდების და მედიაციის პროგრამის გასაანალიზებლად.

შეგროვებული მასალა მოცემული იყო წერილობითი ფორმატით. განრიდების და მედიაციის არსებული პრაქტიკის წერილობითი მასალა დაყოფილი და დალაგებული იქნა მაირინგის (Mayring) მეთოდით.

მაირინგის მეთოდით ხდება შინაარსის ანალიზით მოპოვებული ან არსებული წერილობითი (საკანონმდებლო) მასალის დალაგება გარკვეული კრიტერიუმებით, სისტემატიზაცია და ანალიზი.

მაირინგი გვთავაზობს შვიდ ნაბიჯს წერილობითი მასალის სისტემატიზაციისათვის:[214]

პირველი ნაბიჯი	გასაანალიზებელი მოცულობის დადგენა.
მეორე ნაბიჯი	წერილობითი მასალის დედუქციური გადანაწილება ძირითად კატეგორიებად. ძირითადი კატეგორიები შეარჩიეს საკვლევი თემის კითხვებიდან (მაგ. განრიდების და მედიაციის არსი; განრიდებასა და მედიაციაში მონაწილენი; განრიდების და მედიაციის ძირითადი მიზნები; განრიდების და მედიაციის მნიშვნელობა).
მესამე ნაბიჯი	შინაარსის მატარებელი ტექსტების პერიფრაზირება და მათი გენერალიზება.
მეოთხე ნაბიჯი	რედუქცია სელექციით, ანუ მსგავსი შინაარსის ტექსტების გადახაზვა. მსგავსი ფრაზების ერთმანეთთან ინტეგრაცია.
მეხუთე ნაბიჯი	შემოწმება, თუ რამდენად შეესაბამება ახალი შეხედულებები პირველად, წერილობით მასალას, პირველად წყაროს.
მეექვსე ნაბიჯი	ახალი შეხედულებების დაჯგუფება, კატალოგიზაცია.
მეშვიდე ნაბიჯი	შემოწმება, თუ რამდენად შეესაბამება დაჯგუფებული კატალოგიზიცია პირველად წერილობით მასალას, პირველად წყაროს.

212 Schäfers, B. (Hrsg.), 2001. S. 216; Meier, B-D., 2007. S. 87.
213 კალჰუნი, ქ. /ლაითი, დ. /კელერი, ს., 2007. გვ. 41.
214 Mayring, P., 2008. S. 60.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მაირინგის შინაარსის ანალიზის შვიდი ნაბიჯი გამოყენებულ იქნა ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი მასალის სისტემატიზაციისა და ანალიზისათვის. მოცემული შვიდი ნაბიჯის გამოყენებით მოხდა საკვლევი მასალის იმგვარად კატალოგიზაცია, დალაგება თავებად, ქვეთავებად, რომლებიც თვის მხრივაც იყოფიან ქვეთავებად, რომ მომხდარიყო მსგავსი საკითხების დაჯგუფა, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის არსებული პროგრამის სრული აღწერა და პრობლემური საკითხების გაშუქება, ანალიზი.

მოცემული საკვლევი მასალის შინაარსიის სანდოობასთან დაკავშირებით ვფიქრობთ არ უნდა იყოს არანაირი პრობლემა, რადგან ეს დოკუმენტაცია (განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებები, მედიაციის საკონფერენციო ანგარიშები, არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური დასკვნები და ა.შ.) შეადგინეს ადამიანებმა, რომლებსაც ამ საკითხებზე ჰქონდათ გავლილი გადამზადება და ტრენინგი.

7.2. განრიდების და მედიაციის საქმეების ანალიზი

7.2.1. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება

7.2.1.1. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების აღწერა

განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება შედგება თერთმეტი პუნქტისგან. პირველ პუნქტში მითითებულია არასრულწლოვნის სახელი გვარი, საცხოვრებელი ადგილი, დანაშაულის სახე, დანაშაულის ადგილი (ქალაქი), მედიაციის ადგილი და დრო და მედიატორის სახელი და გვარი.

მეორე პუნქტში მითითებულია განრიდების და მედიაციის მიზანი. კერძოდ,

„განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) მიზანია, მოხდეს არასრულწლოვნის განრიდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და მას დაეკისროს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულება. ამასთანავე, ეს ხელშეკრულება ასახავს არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის პირდაპირი დიალოგის და მორიგების პირობებს. განრიდებასა და მედიაციაში ყველა მხარე მონაწილეობას იღებს ნებაყოფლობით.“

მესამე პუნქტში ჩამოთვლილია განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების მხარეები: ა) არასრულწლოვანი, ბ) კანონიერი წარმომადგენელი (ძირითადად მშობელი), გ) დაზარალებული, დ) პროკურორი, ე) სოციალური მუშაკი, ვ) მედიატორი.

მეოთხე პუნქტში მითითებულია ხელშეკრულების სტანდარტული პირობები. ეს პირობებია: არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულის ჩადენას, განრიდების და მედიაციის ყველა მხარე მონაწილეობას იღებს ნებაყოფლობით, ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არასრულწლოვანი კისრულობს ვალდებულებას, სრულყოფილად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, დაიცვას კანონი და ხელი შეუწყოს სოციალურ მუშაკთან ინტენსიურ კომუნიკაციას.

ხელშეკრულების მეხუთე პუნქტში ჩამოთვლილია ვალდებულებები, რომელიც ეკისრება არასრულწლოვანს. მოცემული ვალდებულებების განსაზღვრა ხდება სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების გათვალისწინებით. არასრულწლოვნისთვის დაკისრებული ვალდებულებები ეხება სწავლის და/ან სოციალური ქცევის გაუმჯობესებას, ზიანის ანაზღაურების მოვალეობას და ა.შ.

ზოგჯერ ხელშეკრულებაში გამოყოფილი არ არის ხელშეკრულების სტანდარტული და ძირითადი პირობები. ანუ მეოთხე და მეხუთე პუნქტი გაერთიანებულია.

მეექვსე პუნქტი განსაზღვრავს არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის) ვალდებულებებს. კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის) რამდენიმე ვალდებულება ზოგადია და მითითებულია ყველა ხელშეკრულებაში. ეს ვალდებულებებია: ხელი შეუწყოს არასრულწლოვანს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაში; პერიოდულად, სოციალური მუშაკის ან პროკურორის ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოს არასრულწლოვნის შეხვედრა სოციალური მუშაკთან ან პროკურორთან; არასრულწლოვნის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის, არასათანადოდ შესრულების, ან რაიმე დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში, ამის შესახებ შეატყობინოს სოციალურ მუშაკს.

შეიძლება განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებაში ასევე მიეთითოს, რომ თავად მშობელმა განახორციელოს რაიმე საქმიანობა, მაგალითად, ტრენინგი. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით ერთი

არასრულწლოვანის მშობელს დაეკისრა შემდეგი: „ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვნის დედამ სოციალური მუშაკის მიერ განსაზღვრულ დროს გაიაროს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში ინდივიდუალური კონსულტაცია და საჭიროებისამებრ ჩაერთოს ჯგუფურ მუშაობაში“.

მეშვიდე პუნქტში მოცემულია დაზარალებულის უფლებები. დაზარალებულისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები ზოგადია და სტანდარტულია. ეს უფლებებია: პატივისცემით მოეკიდოს არასრულწლოვანს და ხელშეკრულების სხვა მხარეებს; მოითხოვოს არასრულწლოვნის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ხელშეკრულების მერვე პუნქტში გაწერილია სოციალური მუშაკის ფუნქცია და საქმიანობის წესი. სოციალური მუშაკის ვალდებულებებია: იმუშაოს არასრულწლოვანთან, რათა უზრუნველყოს მისი რეაბილიტაცია და საზოგადოების ღირსეულ წევრად რეინტეგრაცია; შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმაროს არასრულწლოვანს ამ ხელშეკრულების პირობების ჯეროვნად შესრულებაში; ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, სოციალურ მუშაკს და არასრულწლოვანს შორის გაიმართება საუბარი (პირადი ან სატელეფონო) სულ ცოტა ორ კვირაში ერთხელ. ხელშეკრულების მოქმედების დასრულების შემდგომ, სოციალური მუშაკსა და არასრულწლოვანს შორის ურთიერთობის წესები და პირობები განისაზღვრება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე; სოციალური მუშაკი ვალდებულია პროკურორთან ჰქონდეს მუდმივი კავშირი და მიაწოდოს მას ინფორმაცია ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით. არასრულწლოვნის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, სოციალური მუშაკი ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს პროკურორს.

ხელშეკრულების მეცხრე პუნქტში მოცემულია პროკურორის უფლებამოვალეობები და როლი არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროცესში. ხელშეკრულების თანახმად, პროკურორს აქვს შემდეგი უფლებამოვალეობა: ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, პროკურორს საშუალება ეძლევა მიიღოს დასაბუთებული დადგენილება არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული დევნის შეწყვეტის შესახებ; პროკურორი, მის მიერ არჩეული ფორმით და სიხშირით თვალყურს ადევნებს არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების შესრულებას. მინიმუმ სამ თვეში ერთხელ, ან ყოველ თვე, იგი მოისმენს სოციალური

მუშაკის ანგარიშს და ესაუბრება არასრულწლოვანს, მის მშობლებს (კანონიერ წარმომადგენელს) არსებული პროგრესის და პრობლემების შესახებ. პროკურორი უფლებამოსილია თავად გადაამოწმოს ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობა. არასრულწლოვანის მიერ, ამ ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული წესის შესაბამისად, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაგრძოს არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

განრიდების და მედიაციის მეათე პუნქტში წარმოდგენილია დასკვნითი პირობები, კერძოდ, ხელშეკრულების ამოქმედებისა და დასრულების ვადები; ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესაძლებლობა;[215] ხელშეკრულების ამოქმედების ადგილი. გარდა ამისა მითითებულია, რომ ხელშეკრულება დგება იმდენ ეგზემპლარად რამდენი მხარეც აწერს ხელს, და, რომ ყველა ამ დოკუმენტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების მეთერთმეტე პუნქტში დაფიქსირებულია განრიდების და მედიაციის მონაწილე მხარეების ხელმოწერები და ხელმოწერის თარიღი.

7.2.1.2. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების ანალიზი

ხელშეკრულების წინამდებარე ანალიზი ეხება მხოლოდ იმ საპრობლემო საკითხებს, რომლებზეც ვფიქრობთ, რომ აუცილებელია დისკუსიის გამართვა და გამოსწორება, რათა ზოგადად დაიხვეწოს განრიდების და მედიაციის პროექტი.

ა. განრიდებისა და მედიაციის და განრიდების ხელშეკრულების ტიპები

პრაქტიკაში ვხვდებით ორი სახის ხელშეკრულებას: 1) განრიდებისა და მედიაციის შესახებ და 2) განრიდების შესახებ. ამ ხელშეკრულებებს შორის განსხვავება გაწერილია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანებაში „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე.“ აღნიშნული ბრძანება ერთმანეთისაგან განრიდებისა და მედია-

215 განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებაში ცვლილებების / დამატებების შეტანა შესაძლებელია ყველა ძირითადი მხარის წერილობითი თანხმობით. ძირითადი მხარეები არიან: არასრულწლოვანი, კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი.

ციის შესახებ და განრიდების შესახებ ხელშეკრულებებს განასხვავებს მონაწილე მხარეების მიხედვით. განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების მხარეები არიან: არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი, დაზარალებული და მედიატორი, ხოლო განრიდების ხელშეკრულებაში დაზარალებულის და მედიატორის ყოფნა სავალდებულო არ არის. განხილულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ განრიდების ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებად მედიატორი და დაზარალებულიც მოიაზრება. ვფიქრობთ, ეს შეიძლება არ იყოს კანონის უხეში დარღვევა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ:

- განრიდებისა და მედიაციის შესახებ და განრიდების შესახებ ხელშეკრულებების რეალური განსხვავება სწორედ დაზარალებულისა და მედიატორის მონაწილეობა არმონაწილეობაა. თუ ყველა შემთხვევაში დაზარალებული და მედიატორი მონაწილეობას მიიღებენ ხელშეკრულების დადების დროს, მაშინ ყველა ხელშეკრულება იქნება განრიდებისა და მედიაციის და საჭირო არ არის, რომ კანონმდებელმა ცალკე გამოყოს განრიდების ხელშეკრულება;
- განრიდების ხელშეკრულების განსხვავება განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებისაგან არის დაზარალებულის სურვილი შეურიგდეს დამნაშავე არასრულწლოვანს. თუ დაზარალებულის სურვილი, შეურიგდეს თუ არა არასრულწლოვანს, გათვალისწინებული უნდა იქნეს, და თუ მას ამის სურვილი არ გააჩნია, უმჯობესია, არც განრიდების ხელშეკრულების მხარედ იქნას წარმოდგენილი, როცა კანონმდებელი ამის უფლებას იძლევა;
- ისეთი დაზარალებულისათვის, რომელსაც არ სურს მოზარდთან შერიგება, მაგრამ პროკურატურა ავალდებულებს ან სასურველად მიიჩნევს მისი მხრიდან განრიდების ხელშეკრულებაში მონაწილეობას, შეიძლება მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მივაყენოთ დამნაშავის ნახვით განრიდების ხელშეკრულების დადების დროს. ხელშეკრულებას ძირითადად მხარეები ერთად აწერენ ხელს.
- განრიდების ხელშეკრულებაში მედიატორის მონაწილეობა შეიძლება მედიატორის როლის არასწორ გაგებადაც იქნეს მიჩნეული. მედიატორი არის ხელშეკრულების ყველაზე მნიშვნელოვანი მონაწილე მედიაციის დროს და არა განრიდების დროს. მედიატორის მოვალეობის განრიდებისათვის გამოყენება ადამიანური რესურსის არასწორ ხარჯვად

უნდა იქნეს მიჩნეული. განრიდება არის პროკურორის საქმე და იქ მედიატორის ადგილი რთული წარმოსადგენია.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ განრიდების ხელშეკრულებაში ან მის მომზადებაში არ არის სასურველი მედიატორის და დაზარალებულის მონაწილეობა, მით უფრო, რომ კანონმდებელი არ მოითხოვს მათ მონაწილეობას.

ბ. ხელშეკრულების პირობები

ხელშეკრულების მოკლე აღწერის დროს აღინიშნა, რომ არსებობს არასრულწლოვნისთვის დაკისრებული ე.წ. სტანდარტული და ძირითადი პირობები, რომლის შესრულებაც ევალება მოზარდს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

ხელშეკრულების პირობები შემუშავებულია არასრულწლოვანზე სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი ბიო-ფსიქო-სოციალური დასკვნის საფუძველზე და მისი გათვალისწინებით.

არასრულწლოვნისათვის ხელშეკრულების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს პროპორციულობის პრინციპს და უნდა გამომდინარეობდეს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესებიდან.

პრაქტიკულმა ანალიზმა ცხადყო, რომ არსებობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ექვსი ტიპი:

- **ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია,** რომელშიც შედის შემდეგი ვალდებულებები: ფსიქოლოგიური კონსულტაციის გავლა, ტრენინგზე – „მოხალისეობრივი მუშაობა, ლიდერობა, გუნდური მუშაობა“ – დასწრება; ტრენინგი – „პრობლემათა გადაჭრის, კომუნიკაციისა და კონფლიქტის მართვის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში“, პროგრამაში – „ჩემი უფროსი მეგობარი“ – მონაწილეობა;
- **სოციალური ხასიათის ვალდებულებები** – მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ჩაუტაროს ცეკვის გაკვეთილები; მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლში ბავშვებს წაუკითხოს სხვადასხვა მოთხრობა; სათნოების სახლში (მოხუცთა თავშესაფარში) დაეხმაროს ადგილობრივ მომსახურე პერსონალს; დარგოს ხეები;
- **განათლება** – მომხდარი ფაქტის შესახებ დაწეროს მოთხრობა ან ლექსი; ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გააცდინოს სკოლა და გააუმჯობესოს სწავლის ხარისხი; წაიკითხოს მხატვრული ლიტერატუ-

რა; იზრუნოს ლიტერატურული საიტის განახლებაზე;

- **პროფესიული განვითარების სერვისები** – იაროს უცხო ენისა და კომპიუტერის კურსებზე; იაროს თექის წრეზე; იაროს ჭრა-კერვის კურსებზე; შეისწავლოს ხეზე კვეთის ხელობა საგანმანათლებლო ცენტრ „სპექტრში“;
- **არასრულწლოვანის სარისკო ქცევის კონტროლი** – თავი აარიდოს აზარტულ სათამაშო კლუბებში შესვლას; ნებართვის გარეშე არ იმყოფებოდეს ქუჩაში მარტო ღამის საათებში, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა; არ მიიღოს ალკოჰოლური სასმელები;
- **ვალდებულებები ზიანის ანაზღაურებაზე** – გააფორმოს დაზარალებულ კომპანიასთან შრომითი ხელშეკრულება და მიღებული შემოსავლით აანაზღაუროს დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანი; მონაწილეობა მიიღოს ერთ-ერთი სამინისტროს მანქანების რეზერვაციის პროგრამულ უზრუნველყოფაში; დაზარალებულის მითითებით ერთ-ერთ სახელმწიფო ორგანოს გაუწიოს საინფორმაციო ტექნოლოგიური დახმარება“.

ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით საინტერესოა რამდენიმე ფაქტორის ანალიზი: 1) პირობების რაოდენობა; 2) პირობების აღმზრდელობითი ეფექტი (არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება); 3) პირობების შესრულების შესაძლებლობა და ვადის განსაზღვრა; 4) ხელშეკრულების პირობები ჯგუფური დანაშაულის დროს; 5) ვალდებულების დაკონკრეტების აუცილებლობა. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

აა. პირობების რაოდენობა

არასრულწლოვნისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული სავალდებულო პირობების რაოდენობა ერთ-ერთი საინტერესო საკითხია და პირდაპირ კავშირშია პროპორციულობის პრინციპთან. პროპორციულობის პრინციპის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სამართლიანობის გრძნობის დაკარგვა და საფრთხე შეექმნას „სამართლებრივ მშვიდობას და სამართლებრივ უსაფრთხოებას“.[216]

საინტერესოა სპორტსმენთა მიერ ჯგუფურად მაღაზიის ქურდობის საქმე. ქურდობაში მონაწილე ერთ-ერთ მოზარდს გაუფორმდა სამთვიანი ხელშეკრულება და დაევალა შემდეგი:

1) პატივისცემით მოეკიდოს დაზარალებულს და ხელშეკრულების სხვა მხარეებს;

216 კუბლაშვილი, კ., 2003. გვ. 19.

2) დაზარალებულს მოუხადოს ბოდიში;
3) ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აცნობოს სოციალურ მუშაკს;
4) თვეში ერთხელ, ასევე მოთხოვნისთანავე, შეხვდეს სოციალურ მუშაკს ან პროკურორს და მისცეს მის მიერ ჩადენილ ქმედებაზე ან ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ახსნა განმარტება;
5) იაროს სკოლაში და საპატიო მიზეზის გარეშე არ გააცდინოს გაკვეთილები;
6) იაროს სპორტზე და საპატიო მიზეზის გარეშე არ გააცდინოს ვარჯიში;
7) დაესწროს სახალხო დამცველის აპარატში ჩატარებულ ლექციას ბავშვთა უფლებებზე;
8) წაიკითხოს შემდეგი ლიტერატურა:
   ა) მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“;
   ბ) პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონე“;
   გ) გურამ რჩეულიშვილის „სიკვდილი მთებში“, „სამი ამბავი“;
   დ) კონსტანტინე გამსახურდიას „ზარები გრიგალში“, „დამსხვრეული ჩონგური“;
   ე) ბალზაკის „შაგრენის ტყავი“;
   9) დახატოს ორი ნახატი ბავშვთა უფლებების თემაზე;
10) დახატოს ერთი ნახატი იმ ნაწარმოებზე, რომლის წაკითხვამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე;
11) დაწეროს თემა „ბავშვის უფლებები და განრიდების პროგრამა“.

გარდა ზემოაღნიშნული პირობებისა საინტერესოა ასევე, რომ არასრულწლოვანს ამის შესრულება უწევდა აპრილიდან ივნისის ჩათვლით, ანუ სკოლის სასწავლო პროცესის დროს და მედიატორის ცნობით, ამავდროულად იგი იყო წარმატებული სპორტსმენი და ხელშეკრულების მომზადების პერიოდში გადაყვანილი იყო საქართველოს ერთ-ერთ წარმატებულ სპორტულ გუნდში სავარჯიშოდ.

ზემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებებიდან ზოგიერთი ძალიან ზოგადია და არ მოითხოვს არასრულწლოვნის მხრიდან რაიმე ქმედების განხორციელებას (ანუ აქტიურ მოქმედებას), თუმცა, მოზარდს დაევალა დაახლოებით 10 კონკრეტული ვალდებულების შესრულება, რაც სამი თვის განმავლობაში ძალიან ბევრია. არ არის მიზანშეწონილი მოზარდისათვის ისეთი რაოდენობის ვალდებულებების დაკისრება, რაც შეიძლება სათანადოდ ვერ

შესრულდეს ან მისგან ისეთ ძალისხმევას მოითხოვდეს, რომ მასში შინაგან პროტესტი გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესი და განრიდება და მედიაციის პროგრამა არ იქნება აღმზრდელობითი ეფექტის მატარებელი.

ბბ. პირობების აღმზრდელობითი ეფექტი (არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება)

განრიდების და მედიაციის პირობები მორგებული უნდა იყოს არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესზე და უნდა ატარებდეს აღმზრდელობით ეფექტს. განრიდების და მედიაციის პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ხშირია მოზარდებისთვის წიგნის წაკითხვის ვალდებულების დაკისრება, ან ბეჭდური ნაწარმოების ციფრული ვერსიის შექმნა (წიგნის კომპიუტერზე აკრეფა).

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ წიგნების წაკითხვა დიდ გავლენას მოახდენს არასრულწლოვნის აღზრდაზე და მისი ჭეშმარიტი ინტერესების შესაბამისია, თუმცა, არსებობს წიგნების გარკვეული კატეგორია, რომლის წაკითხვაც ვფიქრობთ, არ შეიძლება დაევალოს მოზარდს: ასეთი წიგნებია ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა“ და „თეთრი ბაირაღები“. გთავაზობთ ამონარიდს ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღებიდან“.

„ციხეში ქურდი ხელშეუხებელია, მას სრული ავტონომია აქვს. იგი შენს საქმეში იშვიათად ჩაერევა და თავის საქმეში ხომ არ ჩაგრევს და არ ჩაგრევს. ამ მხრივ, რა პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ქურდებთან ჯდომა გაცილებით სასიამოვნოა, ვიდრე ათასი ჯურის, ხასიათის, ბედის, პროფესიის, განათლების და ეროვნების ხალხთან. საკანი, რომელშიც ქურდები არ სხედან, წარღვნად გამზადებულ კუნძულს ჰგავს... ქურდი ქურდია, მათი თანასწორობა ხანდახან განცვიფრებას იწვევს... მათში არ არსებობს არც წოდებრივი, არც ქონებრივი, არც ეროვნული ცენზი, მესოპოტამიელია ქურდი, ტანგანიკელი თუ ჩოხატაურელი, ქურდი-ქურდია, მათთვის შავი, თეთრი, წითელი, ყვითელი ფერი არ არსებობს... ქურდის ერთადერთი პროფესია ქურდობაა... ქურდები ერთად ჭამენ, უკანასკნელ ლუკმას იყოფენ, მხარში უდგანან [ერთმანეთს] და, რამდენადაც მშიშრები და გაუტანლები არიან გარეთ, იმდენად ვაჟკაცები და გამტანები – ციხეში.“

ნაწარმოების ამ პატარა მონაკვეთში „კანონიერი ქურდები“ იმდენად დადებითად არიან დახასიათებულნი, რომ ვფიქრობთ, შესაძლებელია მოზარდის მხრიდან მიბაძვის ობიექტებადაც კი იქცნენ. რა თქმა უნდა, პირ-

ველ რიგში გათვალისწინებული უნდა იქნეს მოზარდის განვითარების დონე, თუ როგორ აღიქვამს (დადებითად თუ უარყოფითად) მოზარდი წაკითხულ მასალას. ვინაიდან ჩვენ არ ვიცით, როგორ შეიძლება აღიქვას არასრულწლოვანმა ხსენებულ ნაწარმოებებში მოყვანილი მთავარი პერსონაჟები, რომლებიც კრიმინალური ავტორიტეტის მატარებლები არიან, რისკის ქვეშ ვაყენებთ მოზარდის კრიმინალურ თუ არაკრიმინალურ ორიენტაციას და არ შეიძლება ჩავთვალოთ ამგვარი ლიტერატურული ნაწარმოებები მისი ჭეშმარიტი ინტერესების მატარებლად. ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩაში“ და „თეთრ ბაირაღებში“ კრიმინალური ავტორიტეტები არიან სოციალურად მიღებული, გავლენიანი, ძლიერი, პატივსაცემი, განათლებული, მდიდარი (ყოვლისშემძლე), რომანტიკული და სახელმწიფო ხელისუფლების დამცველები. გარდატეხის პერიოდში (სუსტი ფსიქიკა, ემოციურობა, მიმბაძველობა) და კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდში ამგვარმა კრიმინალურმა „გმირებმა“ შესაძლოა მათში აღფრთოვანება გამოიწვიოს და მიბაძვის სურვილი გაუჩინოს, რაც მოზარდის არა გაკეთილშობილებას, არამედ მის კრიმინალად ქცევას გამოიწვევს.

საინტერესოა, ასევე ბეჭდური ნაწარმოების ციფრული ვერსიის შექმნა. ვფიქრობთ, ამ სახის ვალდებულებას არ შეუძლია მოზარდს სარგებელი მოუტანოს, ის არგუმენტი, რომ მოზარდი აკრეფის დროს პარალელურ რეჟიმში წიგნსაც კითხულობს (ანუ იაზრებს წიგნის შინაარს) მიუღებელია. ადამიანს, მათ შორის მოზარდს, მხოლოდ მაშინ შეუძლია წაკითხულის გააზრება და აღქმა, თუ აღნიშნული მისი თავისუფალი ნებიდან გამომდინარეობს, ხოლო თუ საქმე გვექნება მოზარდისადმი წიგნის კითხვის არაპირდაპირად დაძალებასთან და თან კომპიუტერზე აკრეფის პარალელურ რეჟიმში, ვფიქრობთ, მოზარდს წიგნი ამ გზით შეიძლება არა თუ არ შეუყვარდეს, არამედ წინააღმდეგობის გრძნობაც კი გაუჩნდეს და ვერც ტექსტის არსი და მნიშვნელობა გაიგოს.

არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესი იმ შემთხვევაშია გათვალისწინებული, თუ ვალდებულება პირდაპირ კავშირშია მიყენებულ ზიანთან, ანუ არასრულწლოვანს შეუძლია შეიგრძნოს მის მიერ ჩადენილი ქმედების უარყოფითი მხარე, რაც მასში ხელს შეუწყობს საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმებისადმი პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებას. მაგალითად, მოზარდი, რომელმაც უკანონო ქმედებით კომპანიას მიაყენა მატერიალური ზარალი, მოახდინოს ზარალის ანაზღაურება კომპანიის მიერ უზრუნველყოფილი სამუშაოთი.

ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც მოზარდს შეიძლება დაეკისროს, მისთვის გარკვეული უპირატესობის მომტანი უნდა იყოს. ვალდებულებამ უნდა შეძლოს მოზარდში როგორც პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება, ასევე, გარკვეული უნარ-ჩვევების დაუფლება, ან გარკვეული პროფესიისადმი ინტერესის გაღვიძება ან გაღრმავება.

ერთ მოზარდს, რომელიც არის წერა-კითხვის უცოდინარი და არ იცის გამრავლების ტაბულა, განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით დაევალა, რომ იაროს კომპიუტერის საოფისე პროგრამების შემსწავლელ კურსებზე. მოზარდის მიერ კომპიუტერის საოფისე პროგრამების შესწავლა ამ ეტაპზე არ არის გამართლებული, რადგან თუ ჯერ წერა-კითხვა და გამრავლების ტაბულაც კი არ იცის, თითქმის წარმოუდგენელია, რომ მან საოფისე პროგრამების დაძლევა შეძლოს. შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულებაც არ ატარებს აღმზრდელობით ხასიათს. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მივიღოთ ძალიან ცუდი შედეგი, კერძოდ, კომპიუტერის საოფისე პროგრამების შემსწავლელ კურსებზე მოზარდი გახდეს დაცინვის (ბულინგის) მსხვერპლი, შეწყვიტოს ამ კონკრეტული ვალდებულების შესრულება და დაარღვიოს განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება, რაც პროკურორს მისცემს სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესაძლებლობას.

გგ. პირობების შესრულების შესაძლებლობა და ვადის განსაზღვრა

ხელშეკრულების პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ზოგიერთი ხელშეკრულების პირობით არასრულწლოვნისთვის დაკისრებული ვალდებულება შეიძლება შეუძლებელი გახდეს შესასრულებლად ხელშეკრულების მოქმედების ვადებში.

განვიხილოთ რამდენიმე საინტერესო შემთხვევა.

1) არასრულწლოვან გოგონას განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით, რომელიც ორი თვით იქნა დადებული, დაევალა, რომ კვირაში ერთხელ, ანუ სულ 8-ჯერ, ერთ-ერთი ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ჩაუტაროს ცეკვის გაკვეთილები. მოცემული ვალდებულება უფრო ფორმალურია, ვიდრე შედეგზე ორიენტირებული. რვა შეხვედრით შეუძლებლად უნდა იქნეს მიჩნეული ბავშვთა სახლის ბავშვების მიერ თუნდაც ერთი კონკრეტული ცეკვის დადგმა. ბავშვთა სახლის აღსაზრდელები რვაჯერ არასრულწლოვანის მისვლით ვერაფერს ისწავლიან, არადა, შესაძლებელია, როგორც არასრულწლოვანს (მასწავლებელს), ასევე ბავშვებს (მოსწავლეებს) გაუჩნდეთ მო-

ლოდინი, რომლის შესრულება რეალურად შეუძლებელი იქნება დროის და ცეკვის გაკვეთილების სიმცირის გამო. აღნიშნულმა, როგორც არსრულწლოვანში, ასევე ბავშვებში, შეიძლება გამოიწვიოს ფრუსტრაცია, ანუ უიმედობა სახელმწიფო ნორმების ქმედითობის მიმართ.

გასათვალისწინებელია ასევე, რომ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებთან ხშირი, სისტემატური ურთიერთობისათვის აუცილებელია არასრულწლოვანს გავლილი ჰქონდეს გარკვეული ტრენინგი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

2) ერთ-ერთ არასრულწლოვან გოგონას განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით, რომელიც ორი თვით იქნა დადებული, დაევალა საქველმოქმედო ცენტრში დაუფლებოდა ჭრა-კერვის ხელობას. ტელეფონზე ვესაუბრეთ საქველმოქმედო ცენტრის ჭრა-კერვის კურსის პასუხისმგებელ პირებს. გვსურდა, გაგვეგო ზოგადად რამდენი თვე გრძელდება ჭრა-კერვის კურსი და არის თუ არა შესაძლებელი, ორ თვეში ჭრა-კერვის კურსის იმ დონეზე შესწავლა, რომ მოზარდს გრძელვადიანი პერსპექტივით შეეძლოს შეძენილი უნარ-ჩვევის გამოყენება. გაირკვა, რომ ჭრა-კერვის სრული კურსი გრძელდება ათი თვე, თუმცა შესაძლებელია, ორი თვის განმავლობაში გარკვეული დონით ჭრა-კერვის შესწავლა, რაც მოსწავლის ინდივიდუალურ მიდგომაზეა დამოკიდებული.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანებაში „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ მითითებულია, რომ განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს 12 თვის ვადით. მოცემულ შემთხვევაში არასრულწლოვანისათვის უკეთესი იქნებოდა, მასთან განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება დადებულიყო ჭრა-კერვის კურსის გავლის მიზნით, ანუ ათი თვე. ამით არასრულწლოვანს, რომელსაც ჩადენი ჰქონდა ქურდობა, შესაძლებლობა მიეცემოდა აღნიშნული პროფესია (ჭრა-კერვა) გამოეყენებინა საკუთარი ეკონომიკური შემოსავლებისათვის. შესაძლებელია იმაზე ფიქრი, რომ მოზარდისათვის მოცემულ ორ თვეს შესაძლებელია ჰქონოდა ინტერესის გაღვივების მიზანი, და რომ მოზარდი თვითონ გააგრძელებდა და გაივლიდა ჭრა-კერვის სრულ, ათ თვიან კურსს. ცნობილია, რომ სოციალური კონტროლის გარეშე მოზარდებს (კანონის დამრღვევებს უფრო მეტად) უჭირთ დაწყებული საქმეების

ბოლომდე მიყვანა, ვინაიდან არ გააჩნიათ ამის ნებისყოფა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების ვადასა და არასრულწლოვანის მიერ განსახორციელებელ პირობებს შორის უნდა არსებობდეს ისეთი სახის ურთიერთმიმართება, რომ არასრულწლოვანს მოუტანოს სარგებელი გრძელვადიანი პერსპექტივით და არა მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

დდ. ხელშეკრულების პირობები ჯგუფური დანაშაულის დროს

სამმა მოზარდმა ჩაიდინა ჯგუფური ქურდობა საცავში შეღწევით. სამივე მათგანს განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებით განესაზღვრათ სხვადასხვა რაოდენობის და სხვადასხვა ხასიათის ვალდებულებები.

გასაგებია, რომ განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულები ყველა მოზარდისათვის ინდივიდუალურია, რაც უდავოდ მისასალმებელია.

თუმცა, მაინც საკითხავია, ხომ არ გამოიწვევს მათში პროტესტის გრძნობას ერთი და იმავე დანაშაულისათვის განრიდებული მოზარდებისათვის სხვადასხვა რაოდენობის და სხვადასხვა ხასიათის ვალდებულებები და ხელს ხომ არ შეუშლის მათ მიერ ვალდებულებების შესრულებას.

არასრულწლოვნებში პროტესტის გრძნობა შეიძლება გამოიწვიოს მოზარდებისათვის არაპროპორციული რაოდენობის ვალდებულებების დაკისრებამ.

მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულის 45-50% ჯგუფურია. ჯგუფს შესაძლებელია ჰყავდეს ლიდერი, თუმცა მხოლოდ ლიდერობის გამო არ შეიძლება მასზე სხვა მონაწილეებთან შედარებით არაპროპორციული რაოდენობის ან ხასიათის ვალდებულების დაკისრება. ხშირად, მოზარდებში ჯგუფის ლიდერის გამოყოფა და სხვაგვარი მიდგომა მის სტიგმატიზაციას იწვევს, რასაც შეიძლება მოჰყვეს ჯგუფის ლიდერის მიერ საკუთარ კრიმინალურ შესაძლებლობებში დარწმუნება და კრიმინალის ეტიკეტის მიღება და მორგება. განრიდების და მედიაციის პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი მოზარდის სტიგმატიზაციისაგან თავის დაღწევას გულისხმობს. ჯგუფის ლიდერის გამოყოფის და განსაკუთრებულად მიდგომის (არაპროპორციული და განსხვავებული ვალდებულებები დაკისრება) შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოზარდის სტიგმატიზაციას.

ეე. ვალდებულების დაკონკრეტების აუცილებლობა

განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებით არასრულწლოვანს დაეკისრა კვირაში ერთხელ დაეხმაროს დასუფთავების სამსახურს. აღნიშნული ვალდებულება კრიტიკულად უნდა იქნეს შეფასებული შემდეგი გარემოებების გამო:

1) მოზარდის მიერ შესასრულებელმა სამუშაომ შეიძლება შელახოს მისი ღირსება და გამოიწვიოს ხელშეკრულების დარღვევა. არასრულწლოვანს უნდა დაევალოს ისეთი სახის საქმიანობა, რაც არ შელახავს მის მგრძნობიარე ღირსებას. თუ მოზარდს დაევალება ქუჩის დაგვა-დასუფთავება, ეს შეიძლება იყოს მისი ღირსების შემლახავი სხვა მოზარდების თვალში და გამოიწვიოს მოზარდის მიერ შესასრულებელი სამუშაოს უგულებელყოფა და ხელშეკრულების პირობების დარღვევა. გასათვალისწინებელია, რომ ამ ასაკში მოზარდები დიდ ყურადღებას აქცევენ სწორედ თანატოლების აზრს და შეხედულებას.

2) გარდა ამისა, ხელშეკრულებაში არ არის დაკონკრეტებული, თუ კონკრეტულად რა სახის სამუშაოს შესასრულებლად იქნა არასრულწლოვანი გამწესებული. დასუფთავების სამსახურს ბევრი ისეთი სამუშაო შეიძლება ჰქონდეს, რომელსაც შეუძლია მოზარდის ფიზიკური და სულიერი განვითარების შეფერხება გამოიწვიოს. გარდა ამისა, ამგვარი ზოგადი ჩანაწერი შესაძლებლობას აძლევს დამსაქმებელს არასრულწლოვანს დაავალოს ისეთი სახის სამუშაოს შესრულება, რაც მას არ ძალუძს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სავალდებულოა, ხელშეკრულებაში დაფიქსირდეს, კონკრეტულად რა სახის სამუშაოსთვის იგზავნება არასრულწლოვანი ამა თუ იმ დაწესებულებაში.

ვვ. ეფექტიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები

განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების ანალიზმა აჩვენა, რომ ბევრი ვალდებულება, რომელიც არასრულწლოვანს დაევალა ეფექტიანი, რომელიც არასრულწლოვნის ინტერესებს ემსახურება. მაგალითად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანმა ფსიქოლოგის დახმარებით გაიაროს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, პრობლემათა გადაჭრის, კომუნიკაციისა და კონფლიქტის მართვის უნარ-ჩვევების გამომუშავების კურსი. ასეთი კურსი, ტრენინგი მოზარდს ეხმარება დაინახოს მის მიერ ჩადენილი ქმედების უარყოფითი მნიშვნელობა დაზარალებულისა და საზოგადოებისათვის. ეს ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას.

გ. არასრულწლოვნის წარმომადგენლის მოვალეობები

განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების ერთ-ერთი ქვეპუნქტში ჩამოთვლილია არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის) ვალდებულებები. კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის) ვალდებულებები ძირითადად ზოგადია და მითითებულია ყველა ხელშეკრულებაში. წარმომადგენელს განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება ავალდებულებს შეატყობინოს სოციალურ მუშაკს არასრულწლოვნის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის, არასათანადოდ შესრულების, ან რამე დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შესახებ.

როგორც ვხედავთ, გამოიყოფა არასრულწლოვნის მხრიდან ხელშეკრულების შეუსრულებლობის სამი მიზეზი: 1) როცა გარკვეული დაბრკოლებების გამო შეუძლებელია ხელშეკრულების შესრულება; 2) როცა ხელშეკრულების პირობები არასათანადოდ სრულდება და 3) როცა ხდება ხელშეკრულების პირობების დარღვევა.

ხელშეკრულების შესრულების დაბრკოლების შემთხვევაში, არასრულწლოვნის ინტერესიდან გამომდინარე, აუცილებელია სოციალური მუშაკის ინფორმირება. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის №29 ბრძანების მე-5 მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების რომელიმე პირობის შეუსრულებლობა შესაძლოა განპირობებული იყოს ობიექტური მიზეზებით – გარკვეული პროგრამის დახურვა ან სავალდებულო აქტივობის შესრულების ობიექტური ბარიერები. ამ შემთხვევაში სოციალურმა მუშაკმა და პროკურორმა შეიძლება მოახდინონ ხელშეკრულების პირობების შესწორება და კონკრეტული სავალდებულო პირობის/პირობების ჩანაცვლება ახალი ადეკვატური პირობით/პირობებით. ამავე ბრძანების მე-5 მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სოციალური მუშაკი და არასრულწლოვანი განიხილავენ ხელშეკრულების შესრულების ხელისშემშლელ ფაქტორებს და მათ ხასიათს. ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში ხელშეკრულების შეუსრულებლობაში არა გვაქვს მოზარდის მხრიდან ბრალეულობა, სოციალურ მუშაკს შეუძლია არც კი შეატყობინოს ამის შესახებ პროკურორს.

ხოლო, რაც შეეხება არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევას ან/და არასათანადოდ შესრულებას, ამავე ბრძანების მე-5 მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, სოციალური მუშაკი ვალდებულია, ამის

შესახებ აცნობოს თავის ზემდგომს (პრობაციის ბიუროს უფროსს) და პროკურორს.

მშობლის მიერ ვალდებულების აღება, აცნობოს სოციალურ მუშაკს არასრულწლოვანი შვილის ცუდი საქციელის შესახებ, გაუმართლებელია და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

ისეთ შემთხვევაში, როცა მშობელი ვერ ახდენს არასრულწლოვანზე კონტროლს, იგი მიმართავს სოციალურ მუშაკს. სოციალური მუშაკი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს პროკურორს. პროკურორი, თავის მხრივ, უფლებამოსილია შეწყვიტოს განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება და დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა. მშობლის ინფორმაციის საფუძველზე ხდება არასრულწლოვნის ამორიცხვა განრიდების და მედიაციის პროგრამიდან და მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა, დაჭერა.

სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის პროცესი ცნობს მოწმის მიერ საკუთარი ახლობლების მიმართ ჩვენების მიცემისაგან თავის შეკავების უფლებას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის დ პუნქტი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ პუნქტი). იმის მიუხედავად, სად მისცემს ადამიანი ჩვენებას (სასამართლოში ან სოციალური მუშაკის ინფორმირება), საკუთარი ნათესავის წინააღმდეგ, შედეგი და არსი ერთი და იგივეა, ამით ადამიანი ეწინააღმდეგება საკუთარი ოჯახის წევრის ინტერესს. შესაბამისად, თუ მოცემულ უფლებას გავავრცელებთ არასრულწლოვანი ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენელზე (მშობელზე), მაშინ განრიდების და მედიაციის დროს მშობელსაც, როგორც მოწმეს, უნდა ჰქონდეს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. საკუთარი ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების არმიცემის უფლება საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მეორე ნაწილით განმტკიცებული უფლებაა, რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას, მის მთლიანობას[217] და სიმშვიდეს.[218] ასეთ დროს საჯარო ინტერესი გადადის მეორე ადგილზე და წინ იწევს მოწმის პირადი ინტერესი, არ მისცეს ჩვენება საკუთარი ნათესავის წინააღმდეგ.[219]

არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე აუცი-

217 Dreier, H. (Hrsg.), Grundgesetz Kommentar. 2. Auflage. Band I Art. 1-19. S. 788.
218 BGHSt (გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეებზე) 11, S. 216; 38, S. 99.
219 BGHSt (გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეებზე) 3, S. 152, 216.

ლებელია მშობლისთვის აღნიშნული კონსტიტუციური უფლების მინიჭება. მშობელი არის მოზარდის დასაყრდენი. მშობლისა და არასრულწლოვანი შვილის ურთიერთობაზე, მათ ემოციურ კავშირზეა დამოკიდებული შვილის მომავალი საქციელი და ღირებულებებისადმი ორიენტაცია. ოჯახი გვევლინება მოზარდისა და საზოგადოებრივ-სოციალური იდენტობის დამაკავშირებელ რგოლად, რომლის უმთავრესი დანიშნულებაა, მოზარდს მიეცეს სწორი იდენტიფიკაციის შესაძლებლობა. ამის საფუძველზე მან უნდა მოახერხოს საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნა. სწორედ ამიტომ არის მიჩნეული ოჯახი მოზარდის სოციალიზაციის პირველწყაროდ.[220] ოჯახი ახორციელებს ბავშვზე ბიო-ფსიქო-სოციალურ გავლენას. ბავშვის მენტალური განვითარების ყველაზე ძლიერ ასპარეზს წარმოადგენს ოჯახი, სადაც მოზარდს უყალიბდება ხასიათი, იწყება მისი პიროვნული ფორმირება. ოჯახი თავისი კულტურით, ღირებულებებით და მორალით დიდ გავლენას ახდენს არასრულწლოვნის შემდგომ განვითარებაზე.

მშობელი, რომელიც თავის შვილის წინააღმდეგ სამართალდამცავ ორგანოებს (სოციალურ მუშაკს, პროკურორს) რაიმე სახის ინფორმაციას მიაწვდის, კარგავს შვილის ნდობას. მასთან ემოციურ კავშირს. „შვილი, რაც უნდა მძიმე დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი, ახლობლისაგან [მშობლისაგან] მოელის მხარდაჭერას, იმედი აქვს, რომ იგი მას არ უღალატებს, არ შეუწყობს ხელს მის დასჯას“.[221] არასრულწლოვანი, რომელიც შეამჩნევს მშობელს მის საწინააღმდეგოდ თანამშრომლობას სამართალდამცავ ორგანოებთან, მენტალურად ნადგურდება, ურთულდება ღირებულებებისადმი ორიენტაციისა და სოციალიზაციის პროცესი (მშობლისგან იმედგაცრუებული მოზარდს გაუჭირდება საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმების პატივისცემა). ამგვარი, ყველაზე და ყველაფერზე იმედგაცრუებული ადამიანი საშიში იქნება საზოგადოებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორია, რომ მშობელს განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით დაეკისროს ვალდებულება, შეატყობინოს სოციალურ მუშაკს (რომელიც თავის მხრივ ატყობინებს პროკურორს) არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ, რადგან ეს ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მეორე ნაწილს და ხელს უშლის ოჯახის კეთილდღეობის დაცვის უფლების განხორციელებას. სხვაგვარადაა საქმე, როდესაც მოზარდი ობიექტური მიზეზე-

220 შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ., .2011, გვ. 24
221 გამყრელიძე, ო., 1998. გვ. 206.

ბის გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს და მშობელი ატყობინებს სოციალურ მუშაკს პირობების გადახედვის ან/და შეცვლის მოთხოვნით.

განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება, როგორც ცნობილია, სამოქალაქო ხასიათისაა და ეფუძნება მონაწილეთა თავისუფალ ნებას, ანუ მშობელს გააზრებული აქვს მორალური ტვირთი – მიაწოდოს სოციალურ მუშაკს (პროკურორს) საკუთარი არასრულწლოვანი შვილის წინააღმდეგ ისეთი ინფორმაცია, რასაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოჰყვება. ვფიქრობთ, არასრულწლოვანს ან მის კანონიერ წარმომადგენელს ხელშეკრულების დადების დროს დიდი არჩევანი არა აქვთ. მათი „უფლებაა“, აირჩიონ ორი ურთიერთსაპირისპირო ვარიანტიდან ერთ-ერთი: განრიდების და მედიაციის პროგრამაში მონაწილეობა ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწყება და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა (სტატისტიკის მიხედვით, ყოველი მესამე განაჩენი თავისუფლების აღკვეთაა).

მშობლის მიერ სოციალური მუშაკისათვის შეტყობინება, რომ არასრულწლოვანმა ხელშეკრულების პირობა დაარღვია, გამართლებული იქნება, თუ მუშაკი ეცდება ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან დარღვევის შესახებ არ შეატყობინოს პროკურორს და, არასრულწლოვნის მშობელთან ერთად, თავის თავზე აიღოს ხელშეკრულების დარღვეული პირობის გამოსწორება. ამისათვის აუცილებელია გაიზარდოს სოციალური მუშაკის საკანონმდებლო უფლებამოსილება.

განრიდების და მედიაციის საქმეების პრაქტიკულმა ანალიზმა დააფიქსირა ერთი საინტერესო შემთხვევა, რომელიც ვფიქრობთ, თავისი არსით ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესს. პოლიციელებმა ქურდობის ბრალდებით დააკავეს ერთი არასრულწლოვანი, რომელიც შემდეგ განრიდების და მედიაციის პროექტში მოხვდა. მან დაკავებისას განაცხადა, რომ მისი მშობელი დედა ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელი იყო. ამ ფაქტის გამო მშობელი „აიძულეს დაეწერა განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე“. არასრულწლოვანს ჰყავს უმცროსი და, მისი დედ-მამა კი გაყრილია. ოჯახის ერთადერთი შემოსავლის წყარო დედის სამსახურია. არასრულწლოვანი შიშობს, რომ ვეღარ გააგრძელებს კარგად სწავლას. განრიდების და მედიაციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაარეგულიროს კონფლიქტები და არა წარმოქმნას ისინი ან გააუარესოს არასრულწლოვნის ეკონომიური მდგომარეობა. შესაძლოა, ეს ერთი შემთხვევა საკმარის არ არის დასკვნების გამოსატანად, მაგრამ საკმარი-

სია იმის მისანიშნებლად, რომ განრიდების და მედიაციის მიზანია არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება. არასრულწლოვანი არ უნდა აღმოჩნდეს ვინმეს დასჯის იარაღი. მოცემულ შემთხვევაში, შვილის გამო მშობლის პასუხისგების საკითხი ახლოს დგას სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5[1] ნაწილის შინაარსთან, რომელიც ბოლო დროს ერთ-ერთ ყველაზე სადავო საკითხად იქცა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაული მეტად რთული და კომპლექსური ფენომენია. მოზარდების მიერ დანაშაულის ჩადენა არ არის მხოლოდ იმის ბრალი, რომ მშობელი არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებებს. მშობლების გარდა დიდი როლი ეკისრება არასრულწლოვნის გარემოს, სამეგობრო წრეს, სკოლას. ასევე, თუ როგორ ატარებს იგი თავისუფალ დროს, სცემს თუ არა პატივს საზოგადოებრივ ნორმებს, რა დამოკიდებულება აქვს ალკოჰოლისადმი ან ძალადობისადმი და სხვა ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს 11-17 წლის მოზარდები: 500 - რომელსაც დანაშაულის რეციდივი ჰქონდა და 500 - რომელსაც დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი. მკვლევრებმა დაადგინეს 402 ფაქტორი, რომელსაც შესაძლოა მოზარდების მიერ დანაშაულის ჩადენა ან არ ჩადენა გამოეწვია.[222]

დ. დაზარალებული

აა. დაზარალებულის უფლებები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების ერთი პუნქტი ეხება დაზარალებულის უფლებებს. ეს უფლებები ძალიან ზოგადი და სტანდარტულია: 1) პატივისცემით მოეკიდოს არასრულწლოვანს და ხელშეკრულების სხვა მხარეებს; 2) მოითხოვოს არასრულწლოვნის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

განვიხილოთ დაზარალებულის განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორივე უფლება.

- **პატივისცემით მოეკიდოს არასრულწლოვანს და ხელშეკრულების სხვა მხარეებს;**

  მოცემული უფლება უფრო ვალდებულებას ჰგავს, ვიდრე უფლებას. ამ ვალდებულებით დაზარალებული პატივისცემით უნდა მოეკიდოს არასრულწლოვანს, რომელმაც მას ფიზიკური ზიანი, მატერიალური ზარალი ან ფსიქოლოგიური ტკივილი მიაყენა. ნაშრომის მეექვსე თავში

222 შალიკაშვილი, მ., 2011. გვ. 80.

საკმაოდ ფართოდ იყო განხილული დაზარალებულის მდგომარეობა დანაშაულის შემდეგ. ვფიქრობთ, არარეალისტურია დაზარალებულს მოსთხოვო, პატივისცემით მოეკიდოს დანაშაულის ჩამდენ პირს. დაზარალებული დამნაშავეს რომ გაგებით მოეკიდოს - საჭიროა დრო. მას სჭირდება გარკვეული პერიოდი, რომ დანაშაულის შედეგად მიყენებული ტკივილი ფსიქოლოგიურად დაძლიოს.

დაზარალებულს არ გააჩნია არაანირი ვალდებულება, პატივისცემით მოეკიდოს დამნაშავეს . ეს არის დაზარალებულის უფლება და არა მოვალეობა.

განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერი - „პატივისცემით მოეკიდოს არასრულწლოვანს“ - მეტად მკაცრია და არ არის გამოხატული უფლების ფორმით.

პატივისცემის ვალდებულება აქვს თვითონ არასრულწლოვანს, როგორც დაზარალებულის, ასევე ხელშეკრულების სხვა მონაწილეების მიმართ;

- **მოითხოვოს არასრულწლოვნის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;**

  განრიდების და მედიაციის ძირითადი არსია: დანაშაულის შედეგად მომხდარი კონფლიქტის დარეგულირება, მხარეების მორიგება-შერიგება. ასევე, თვალყური მიადევნოს, რომ არასრულწლოვანმა აღარ ჩაიდინოს დაზარალებულის მიმართ მსგავსი ქმედება, ან დაზარალებულმა შური არ იძიოს დამნაშავეზე. ვფიქრობთ, განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების ჩანაწერი, რომ დაზარალებულს უფლება აქვს „მოითხოვოს არასრულწლოვნის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება“ – ეწინააღმდეგება განრიდების და მედიაციის არსს.

  თუ არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას განვიხილავთ დაზარალებულის ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინ მივიღებთ, რომ ამ ვალდებულებას აქვს ორი მხარე. ერთი მხარე პირდაპირ ეხება დაზარალებულს, მეორე - მიზნად ისახავს არასრულწლოვნის ქცევის გაუმჯობესებას (არ ეხება დაზარალებულს). ვალდებულება, რომელიც უნდა შეასრულოს არასრულწლოვანმა პირდაპირ შეეხება დაზარალებულს, თუ მას დავავალებთ რაიმე ქმედებას დაზარალებულის სასარგებლოდ (მაგ. მის მაგივრად წავიდეს საყიდლებზე, დაუჭრას

შეშა, მიეხმაროს სასოფლო სამუშაოებში). ასეთი ვალდებულების დროს დაზარალებულს არ უნდა მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს არასრულწლოვანს ვალდებულების შესრულება, რადგან ამას შესაძლებელია მოჰყვეს არასრულწლოვნის მიმართ შურისძიება და კონფლიქტის ხელახლა წარმოქმნა. დაზარალებულმა შეიძლება ისარგებლოს და გაზარდოს ან შეცვალოს შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა და ხასიათი, რასაც ხელახლა მოჰყვება კონფლიქტი (მაგ. მოითხოვოს მთელი ზამთრისთვის სამყოფი შეშის დაჭრა; სასოფლო სამუშაოების დროს არასრულწლოვანს შეასრულებინოს მისი ასაკისათვის შეუფერებელი საქმე). არასრულწლოვანი განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების მოშლის და ციხეში წასვლის შიშით დაემორჩილება დაზარალებულს, თუმცა მასში მოიმატებს შინაგანი უკმაყოფილების გრძნობა, რაც გარკვეული დროის შემდეგ კონფლიქტს გამოიწვევს.

შეუძლებელია დაზარალებულმა მოითხოვოს იმ ვალდებულებების შესრულება, რომელიც საერთოდ არ ეხება მას. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშობა ხელახალი კონფლიქტი.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებული არ არის ვალდებული და არც უფლება არ უნდა ჰქონდეს რაიმე სახით კონტროლი ან მონიტორიგი გაუწიოს და/ან მოთხოვნა გააჩნდეს არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ასეთი მოთხოვნის უფლებამ შესაძლოა დაზარალებულის შურისძიება გამოიწვიოს და ახლიდან წარმოიქმნას კონფლიქტი.

ბბ. დაზარალებული ფიზიკური, იურიდიული პირია

საკვლევი მასალის გაცნობამ აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში დაზარალებულებს მეტად არასასურველი დამოკიდებულება გააჩნიათ დამნაშავე არასრულწლოვნის მიმართ. მედიატორის ჩანაწერიდან ირკვევა, იყო შემთხვევები, როდესაც დაზარალებულს საერთოდ არ სურდა არასრულწლოვანთა შერიგება და აცხადებდა, რომ დამნაშავე არასრულწლოვანს „ბენზინი უნდა მიასხა და დაწვა“. განრიდების და მედიაციის პროგრამის ძირითადი არსი მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ შეარიგოს დამნაშავე და დაზარალებული და დაზარალებულის დამნაშავისადმი არსებული უარყოფითი დამოკიდებულება გაანეიტრალოს, გააქარწყლოს.

მოცემულმა კვლევამ აჩვენა, რომ თუ დაზარალებული იცნობს დამა-

შავეს, მას აქვს სურვილი ხელი შეუწყოს განრიდება-მედიაციის პროგრამაში არასრულწლოვნის მონაწილეობას (იმის მიუხედავად, რამდენად მძიმეა მის მიერ ჩადენილი ქმედება), ხოლო თუ დაზარალებული და დამნაშავე ერთმანეთს არ იცნობენ, მედიატორს უხდება დაზარალებულის გადმობირება. ხშირია შემთხვევები, როდესაც საჭიროა მედიატორის დიდი ძალისხმევა, რომ დაზარალებული ჩაერთოს განრიდება-მედიაციაში.

განრიდება-მედიაციაში მონაწილეობის სურვილს ისიც განსაზღვრავს, თუ ვინ არის დაზარალებული – ფიზიკური პირი, თუ – იურიდიული.

მედიატორისათვის დაზარალებულ ფიზიკურ პირთან ურთიერთობა უფრო მარტივია, ვიდრე იურიდიულ პირთან. იურიდიულ პირებს ჰყავთ წარმომადგენელი განრიდების და მედიაციის კონფერენციაზე, რომლებიც ხშირად ვერც კი გრძნობენ თავს დაზარალებულად და მხოლოდ ფირმის ინტერესებს წარმოადგენენ, რაც არასრულწლოვნის პიროვნების მიმართ უინტერესობაში და ზოგადად მედიაციის პროცესის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაში გამოიხატება. ერთ-ერთი იურიდიული კომპანია, რომლის წინააღმდეგაც არასრულწლოვანმა ჩაიდინა ქურდობის მცდელობა, უარს აცხადებდა ხელშეკრულების პერიოდში (ექვსი თვე) არასრულწლოვნის „დასაქმებაზე“. მედიატორის ანგარიშიდან ირკვევა, რომ დაზარალებული ფირმის მენეჯერი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ გოგონას „ემუშავა“ ამ ფირმაში, რომელსაც ჰყავს ასობით დამხმარე პერსონალი, აქვს დიდი ფინანსური შემოსავალი და ადვილად შეძლებდა ექვსი თვით დამნაშავის დასაქმებას. ამ მაგალითოდან ნათლად ჩანს, რომ – იურიდიული ფირმები არ არიან საზოგადოებრივ საქმიანობაზე ორიენტირებული და აკლიათ სოციალური პასუხისმგებლობა და სოლიდარობა. მათი ძირითადი მიზანია ეკონომიკური მოგების მიღება.

განრიდების და მედიაციის პროგრამის განხორციელებაში აუცილებელია საზოგადოების აქტიური ჩართულობა. იურიდიულ პირებს უნდა ესმოდეთ, რომ ერთი გზააცდენილი არასრულწლოვნის დასაქმება უფრო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელია, ვიდრე 5 პირი, რომელსაც არა აქვს კრიმინალური წარსული. გარდა ამისა, თუ იურიდიული პირები (ფირმები) დღეს არ დაასაქმებენ კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებს და არ მიეხმარებიან ნორმალური ცხოვრების დაწყებაში, ხვალ ისინი (ფირმები და მათი წარმომადგენლები) ან პირდაპირ გახდებიან დანაშაულის მსხვერპლი, ან ქვეყანაში შეიქმნება მძიმე კრიმინოგენული სიტუაცია, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე და ამ ფირმების შემოსავალზე.

გგ. მცირეწლოვანი დაზარალებული

განრიდების და მედიაციის საკვლევი მასალის გაცნობამ აჩვენა, რომ მეტად რთულია მედიაციის ჩატარება მცირეწლოვან დაზარალებულთან.

მცირეწლოვანი დაზარალებულები ვერ აცნობიერებენ განრიდების და მედიაციის პროგრამის მნიშვნელობას.

გთავაზობთ ერთ-ერთი მედიატორის ჩანაწერს, რომელიც კარგად გამოხატავს ამ პრობლემას. აღნიშნულ საქმეში დაზარალებული იყო სამი მცირეწლოვანი. მედიატორი კარგად აღწერს ორი მცირეწლოვანის განცდებს. „[პირველი დაზარალებული] ბავშვი მოვიდა გვიან, ის არის 12 წლის ბიჭი, მას ძალიან გაუჭირდა განრიდების და მედიაციის გაგება. თვალებზე ცრემლები მოადგა. გაოგნებული მისმენდა.“ „[მეორე დაზარალებულის] დედამ საუბრის დროს აღნიშნა, რომ ბავშვი ძალიან განიცდის მომხდარს, ღამეები არ სძინავს, ბოდავს. ცოტა ხნის წინ ბავშვის მამა დაიჭირეს. დედის თქმით პოლიციის განყოფილებასთან ახლოს გავლაც კი არ უნდა.“ როგორც პირველი, ასევე მეორე მცირეწლოვნის მდგომარეობის აღწერა კარგად მიუთითებს დაზარალებული მცირეწლოვნების განრიდების და მედიაციის პროგრამაში ჩართვის სიძნელეზე. ასეთ შემთხვევებში უმჯობესია განხორციელდეს განრიდება მედიაციის გარეშე.

დდ. შუალედური დასკვნა

მედიაციის ერთ-ერთი მიზანია დაზარალებულის დაკმაყოფილება მატერიალურად და ფსიქოლოგიურად. ამ შემთხვევაში დაზარალებულს ეხსნება დანაშაულისადმი ზოგადი შიში და გრძნობს ზრუნვას სახელმწიფოს მხრიდან. ერთ-ერთმა დაზარალებულმა კონფერენციის შემდეგ განაცხადა, რომ „მან დაინახა, რომ სახელმწიფო მასზედ ზრუნავს და უფრო დაცულად გრძნობს თავს. დავწყნარდი, ვინაიდან მან [არასრულწლოვანმა] ეს დანაშაული გააცნობიერა.“

ე. სოციალური მუშაკი და პროკურორი

„განრიდების ან/და განრიდების და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის №29 ბრძანება არეგულირებს სოციალური მუშაკის საქმიანობას.

სოციალური მუშაკის ძირითად საქმიანობად ითვლება: არასრულწლოვანზე ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების მომზადება; არასრულწლოვნის მიერ განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების შესრულებაზე მონიტორინგი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ვინაიდან სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას გადამწყვეტი როლი აქვს, გადავწყვიტეთ ამ საკითხისათვის ცალკე ქვეთავი დაგვეთმო.

არასრულწლოვნის მიერ განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების შესრულებაზე მონიტორინგს ყოველთვიურად ახორციელებს სოციალური მუშაკი. მონიტორინგის დროს სოციალური მუშაკი ხვდება არასრულწლოვანს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური მუშაკი ვალდებულია, რომ არასრულწლოვნის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ აცნობოს პროკურორს. ეს მეტად სამწუხარო და პრობლემური საკითხია. ვფიქრობთ, გარკვეული დისკრეციულობა სოციალური მუშაკისათვის აუცილებელია, რათა მან თავად შეაფასოს პროკურორის ინფორმირებულობის საკითხი მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით.

განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროკურორის უფლებამოსილება მეტად ზოგადია და ყველა ხელშეკრულებაში ერთი და იგივე ტექსტით არის გამოხატული. ხელშეკრულებაში არ არის გაწერილი კონკრეტული არასრულწლოვნის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა პროკურორის მხრიდან, რაც მეტად დასანანია.

გარდა ამისა, მედიატორების ჩანაწერებიდან ირკვევა შემდეგი: *„განსაკუთრებით აღსანიშნავი არის პროკურორის პასიური როლი, კონფერენციის პერიოდში არ ერევიან და ინიციატივას არ იჩენენ იქამდე სანამ მიეცემათ თავიაანთი მოსაზრების გამოთქმის საშუალება, რასაც კონფერენციის დასრულების შემდეგ აღნიშნავენ არასრულწლოვანთა მშობლებიც, რომლებსაც მაინც აქვთ პროკურორების შიში...*

ხშირ შემთხვევაში პროკურორის მხრიდან არის მოთხოვნა მაქსიმალურად სწრაფად მოხდეს არასრულწლოვნის შეფასება და კონფერენციის ჩატარება, რაც უარყოფითად აისახება კონფერენციის ხარისხზე... ამ თემაზე არაერთხელ მქონდა საუბარი სოც. მუშაკთან, რომლისთვისაც ძალიან რთული არის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების მცირე ვადაში გაკეთება. ბოლო კონფერენციების მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ პროკურორები მაინც თავიანთი ძალაუფლების გამოყენებას ცდილობენ, ამ ფაქტით იყო უკმაყოფი-

ლო დაზარალებული, რომელმაც აღნიშნა ჩემთან საუბრის დროს“.

მოცემულ მოკლე ამონარიდში, რომელიც ერთ-ერთ მედიატორს ეკუთვნის, გამოიკვეთა განრიდების და მედიაციისთვის მეტად მტკივნეული სამი პრობლემა: 1) მონაწილეთა შიში პროკურორების მიმართ; 2) განრიდების და მედიაციის სწრაფად განხორციელება; 3) პროკურორის მიერ ძალაუფლების გამოყენება.

სამივე ეს საკითხი ეწინააღმდეგება განრიდების და მედიაციის აუცილებელ პრინციპს: მონაწილეთა თავისუფალი ნება და არასრულწლოვნის ჯეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება.

მეტად მტკივნეულია მონაწილეთა შიში პროკურორების მიმართ და პროკურორის მიერ ძალაუფლების გამოყენების საკითხი. შესაძლებელია პროკურორი არც იყენებდეს თავის ძალაუფლებას განრიდების და მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეებისათვის (არასრულწლოვანი, მისი წარმომადგენელი, დაზარალებული) არასასურველად, მაგრამ პროკურორის ჩართვით განრიდების და მედიაციის პროცესში მონაწილეებს უჩნდებათ შიში, რომელიც ზოგადად ადამიანს შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების (პოლიციელი, გამომძიებელი, პროკურორი) მიმართ. მხარეები პროკურორს აღიქვამენ, როგორც სახელმწიფოს იძულებითი მექანიზმების წარმომადგენელს. შიში, რომელსაც იწვევს განრიდების და მედიაციის პროცესში პროკურორის მონაწილეობა, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს არასრულწლოვანს და მის წარმომადგენელს და ეწინააღმდეგება მედიაციის ძირითად პრინციპს - მონაწილეთა თავისუფალი ნების შესახებ.

ხოლო თუ განრიდება და მედიაცია სწრაფად განხორციელდება, არ მოხდება ან არსაკმარისად იქნება შესწავლილ-შეფასებული (ბიო-ფსიქო--სოციალური შეფასება) არასრულწლოვნის პიროვნული მოთხოვნები,[223] რაც ეწინააღმდეგება მოზარდის ჯეშმარიტი ინტერესების დაცვის პრინციპს.

საინტერესოა ასევე ერთი საკითხი, რომელიც განრიდების და მედიაციის მასალის ანალიზმა დაგვანახა. ერთ შემთხვევაში, ისეთ რაიონში, სადაც განრიდება და მედიაცია არ ხორციელდება, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე ჩატარდა განრიდება-მედიაცია. როგორც ვიცით არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია არის საპილოტე პროგრამა და ხორციელდება საქართველოს მხოლოდ რამდენიმე ქალაქში. ამ ჩამონათვალში არ არის

223 არასრულწლოვანის პიროვნული მოთხოვნების შესწავლას სჭირდება არასრულწლოვანთან, მის მშობელთან ან ოჯახის წევრებთან რამოდენიმე ვიზიტი, რაც გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული.

ეს კონკრეტული რაიონი. ამის მიუხედავად, დადებითად უნდა იქნეს შეფასებული მოცემული საკითხი, რადგან უმჯობესია არასრულწლოვნის ჩართვა ამ პროგრამაში, ვიდრე მისი სისხლისსამართლებრივად დევნა და დასჯა.

საინტერესოა ასევე კონფერენციის დროს პროკურორის მიერ არასწორი კითხვების დასმის პრობლემა. განრიდების და მედიაციის ერთ-ერთი კონფერენციის დროს პროკურორმა დამნაშავეს ჰკითხა, თუ ვინ ურჩია მას ეთქვა, რომ დაარტყა მობილური ტელეფონი და არა ქამრის ბალთა? სრულიად სამართლიანად, მედიატორმა არასასურველად აღიქვა ეს კითხვა, ვინაიდან 1) დაძაბავდა კონფერენციის მშვიდ გარემოს; 2) გააღვივებდა კონფლიქტს არასრულწლოვანსა და დაზარალებულს ან პროკურორს შორის; 3) არასრულწლოვანის მხრიდან პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში საფრთხის წინაშე დააყენებდა კონფერენციის ბოლომდე ჩატარებას. აღნიშნული ასაბუთებს ჩვენ მიერ თეორიულ ნაწილში განხილულ საკითხებს. სოციოლოგიური მონაცემებით პროკურორები საკანონმდებლო ნორმებს და ზემდგომი პროკურორების მითითებებს უფრო ითვალისწინებენ, ვიდრე არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს. აღნიშნული მეტად სამწუხაროა და დაგვაფიქრებს, განრიდების და მედიაციის პროცესში პროკურორის მონაწილეობის აუცილებლობაზე.

განრიდების და მედიაციის პროცესში პროკურორის მონაწილეობის ერთადერთ დადებით ფაქტორად შესაძლებელია ჩაითვალოს ის, რომ ხშირად დაზარალებული განრიდების და მედიაციის პროცესში ჩართვას მხოლოდ პროკურორის „თხოვნის“ შემდეგ თანხმდება. თუმცა, ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს არა განრიდება და მედიაცია, არამედ განრიდება მედიაციის გარეშე. მხოლოდ განრიდების დროს ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ნაკლებად ხდება არასრულწლოვნის აღზრდა და კონფლიქტის მოგვარება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რეციდივის 7 შემთხვევიდან 5 იყო მხოლოდ განრიდებული (მედიაციის გარეშე), ხოლო ორის მიმართ ადგილი ჰქონდა განრიდებას და მედიაციას.

7.2.2. განრიდების და მედიაციის კონფერენცია და მედიატორის როლი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის №29 ბრძანების მე-4 მუხლის 23-ე ნაწილის მიხედვით, განრიდების და მედიაციის პროცესში მედიატორი ასრულებს შუამავლის როლს არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის. ასეთი შუამავლობის მიზანია მათი შერიგება.

7.2.2.1. განრიდების და მედიაციის კონფერენციის ანალიზი

განრიდების და მედიაციის მასალის გაცნობამ აჩვენა, რომ განრიდების და მედიაციის კონფერენცია მზადდება მედიატორის მიერ. აღნიშნულ პროცესს კანონმდებელი უწოდებს წინასაკონფერენციო ეტაპს. წინასაკონფერენციო ეტაპის დროს მედიატორი ხვდება დამნაშავე და დაზარალებულ მხარეებს და აცნობს განრიდების და მედიაციის პროგრამას, ამ პროგრამაში მათი ჩართვის მნიშვნელობას, არასრულწლოვნისათვის დაკისრებულ ვალდებულებებს.

მედიატორებს უფრო მეტი მუშაობა უწევთ დაზარალებულებთან, რომ ჩართონ ისინი განრიდების და მედიაციის პროცესში. ასეთ დროს მნიშვნელობა არა აქვს დაზარალებულის სოციალურ მდგომარეობას, უფრო მნიშვნელოვანია ღირებულებებისადმი მისი ორიენტაცია. ერთ-ერთ შემთხვევაში დაზარალებული იყო წარმატებული ბიზნესმენი. განრიდების და მედიაციის პროგრამაში მონაწილეობას იგი მხოლოდ მედიატორის მეშვეობით დათანხმდა.

კონფერენციამდე მედიატორი ხვდება კონფლიქტის მონაწილე მხარეებს. თუმცა ადგილი აქვს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც მედიატორის შეხვედრა არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელთან და კონფერენციის მოწყობა ერთი და იმავე დღეს ხდება. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ არასრულწლოვანი და დაზარალებული სხვადასხვა ქალაქიდან იყვნენ და თბილისში ჩამოსული არასრულწლოვანი და მისი წარმომადგენელი დღის ბოლომდე უნდა დაბრუნებულიყვნენ უკან.

მისასალმებელია, რომ მედიატორი კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ძირითადად ხვდება მათ საცხოვრებელ ბინაში, სადაც ისინი თავს უკეთ გრძნობენ, მედიატორის მიმართ ნდობით განეწყობიან და გულწრფელად საუბრობენ.

მედიატორი ავსებს „მედიატორის წინასაკონფერენციო ანგარიშის ფორმას“ შეხვედრებისა და მხარეებთან კომუნიკაციის შესახებ, რომელშიც დეტალურად აღწერს განრიდების და მედიაციის პროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ შეხვედრას. მაგ. შეხვედრა სოციალურ მუშაკთან და პროკურორთან, შეხვედრის ადგილის და თარიღის მითითებით და მედიატორის ხელმოწერით; შეხვედრა არასრულწლოვანთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან, შეხვედრის ადგილის და თარიღის მითითებით და მედიატორის ხელმოწერით; შეხვედრა დაზარალებულთან, შეხვედრის ადგილის და თარიღის

მითითებით და მედიატორის ხელმოწერით. ნებისმიერ ამგვარ შეხვედრას ან სატელეფონო კონტაქტს მედიატორი აფიქსირებს „მედიატორის წინასაკონ-ფერენციო ანგარიშის ფორმაში“, ხოლო ბოლოს უთითებს განრიდების და მედიაციის ჩატარების ადგილს და თარიღს.

7.2.2.2. მედიატორის როლი განრიდების და მედიაციის კონფერენციაში

მედიატორი მხარეებს უთანხმებს განრიდების და მედიაციის კონფერენ-ციის დროსა და ადგილს და ატარებს კონფერენციას. მედიატორის ჩანაწე-რები კონფერენციის შესახებ ზოგადია და ძირითადად შემდეგი შინაარსისაა: მედიატორი ხსნის კონფერენციას, აკეთებს შესავალს, წესებს აცნობს დამსწრეებს. შემდეგ, საუბრობენ არასრულწლოვანი და დაზარალებული. და-სასრულს, არასრულწლოვანი ბოდიშს უხდის დაზარალებულს და მხარეები ხელს აწერენ განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებას.

თუმცა, არსებობს მედიატორის განსხვავებული ჩანაწერიც. ერთ-ერთი ასეთი ჩანაწერიდან ირკვევა შემდეგი: „პროცესი ვერ წარვმართე ისე, რო-გორც ჩაფიქრებული მქონდა, კერძოდ, მინდოდა მედიაცია ჯერ ბიჭებს შო-რის ჩამეტარებინა [224] და შემდეგ დაზარალებულ მხარესთან ერთად. მიზე-ზები: პროკურორის ხასიათის თავისებურებები, ძალიან მოტივირებული და გულიანი პროკურორია, მისი ინიციატივა იყო ის, რომ გარდაბანში მომხ-დარი შემთხვევა მაინც ჩასვა პროგრამაში, თუმცა პროკურორმა საერთოდ არ იცის პროგრამის გაიდლაინები და საქმეს ეკიდება ძალიან გულიანად და ამავე დროს ფორმალურად“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხ-ვევაშიც, მკაფიოდ გამოიკვეთა პროკურორის არასასურველი აქტივობა, რა-მაც გადაფარა მედიატორის როლი და გარკვეულწილად ხელი შეუშალა მას შეესრულებინა მოვალეობა.

საკვლევი მასალის ანალიზი ასევე გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია კონფერენციის დროს წარმოიშვას გარკვეული დაძაბულობა დამნაშავე და დაზარალებულ მხარეებს შორის. ამ დროს მედიატორი ცდილობს გაა-ნეიტრალოს მდგომარეობა. განხილული საქმეებიდან არ დაფიქსირდა არ-ცერთი ჩაშლილი განრიდების და მედიაციის კონფერენცია, რაც მიუთითებს მედიატორების პროფესიონალიზმსა და სწორად წარმართულ წინასაკონფე-რენციო საქმიანობაზე.

224 მედიატორის სურვილი ჰქონდა პირველ ეტაპზე დანაშაულის ჩამდენი ბიჭები შეერიგებინა ერთმანეთთან.

კონფერენციის დასრულების შემდეგ მედიატორი მხარეებს სთხოვს შეავსონ კითხვარი – „კონფერენციის შეფასების ფორმა“. კითხვები ეხება, კმაყოფილი დარჩნენ თუ არა მონაწილე მხარეები კონფერენციით და როგორ აფასებენ მას. განხილული „კონფერენციის შეფასების ფორმებიდან“ ირკვევა, რომ მხოლოდ სოციალური მუშაკი ან მედიატორი აფასებს ჯანსაღად განრიდების და მედიაციის კონფერენციას და ცდილობს და ფიქრობს მის დახვეწაზე, ან მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებაზე. დაზარალებულის, არასრულწლოვნის, მისი კანონიერი წარმომადგენლის და პროკურორის მიერ შევსებული „კონფერენციის შეფასების ფორმა“ კითხვარი მხოლოდ დადებითი ხასიათის მატარებელია. მაგ. სოციალური მუშაკი არასწორად მიიჩნევს არასრულწლოვნისათვის იმის ჩაკითხვას, თუ კონკრეტულად რას გრძნობდა იგი დანაშაულის ჩადენის დროს. კითხვაზე - კონფერენციის მსვლელობის დროს რომელი შეკითხვა მოგეჩვენათ არააქტუალურად - სოციალური მუშაკი პასუხობს: „ჩაძიება იმასთან დაკავშირებით, თუ რა იგრძნო ბავშვმა. მან თქვა, რომ ნანობდა თავის საქციელს და ეს არის ის რასაც ის ფიქრობს და გრძნობს კიდეც. ამ შეკითხვის გამეორებამ, ვფიქრობ ოდნავ დაძაბა არასრულწლოვანი“.

მედიატორი პრობლემად მიიჩნევს უკუკავშირის ფორმებს.

განრიდების და მედიაციის კონფერენციის განხორციელების ადგილები არ არის მრავალფეროვანი. განრიდების და მედიაციის კონფერენცია ძირითადად ხორციელდება დაზარალებულის და არასრულწლოვანისათვის ნეიტრალურ „მოედანზე“ არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებში, ადამიანის უფლებათა დაცვის სახლში და ა.შ. განხილული საქმეებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოხდა განრიდების და მედიაციის კონფერენციის წარმართვა ძველი თბილისის პროკურატურის შენობაში, რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება განრიდების და მედიაციის ზოგად პრინციპებს.

7.2.2.3. დასკვნა / რეკომენდაციები

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მედიატორის კლასიკური როლი გათვალისწინებული არ არის დღევანდელ პრაქტიკაში. მედიატორის და სოციალური მუშაკის საქმიანობა ხშირ შემთხვევაში მსგავსია. როგორც მედიატორი ასევევ სოციალური მუშაკი ხვდება არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და ოჯახის სხვა წევრებს. თუ მედიატორი ცდილობს კონფლიქტის მხარეების შერიგებას, სოციალური მუშაკი ბიო-ფსიქო-სოციალური

შეფასებით ცდილობს შეადგინოს მოზარდის მოთხოვნების და ჭეშმარიტი ინტერესის შესაბამისი ვალდებულებები, ანუ სოციალური მუშაკი იკვლევს და აანალიზებს არასრულწლოვნის რისკ-ფაქტორებს. თითქმის იგივეს აკეთებს მედიატორიც. განხილული საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ მედიატორიც აფასებს და აანალიზებს მოზარდს, მის სოციალურ გარემოს, რომ ის დაზარალებულს შეარიგოს. ამავე დროს, არსებობს განსხვავებები სოციალური მუშაკისა და მედიატორის საქმიანობებში: მონიტორინგი არასრულწლოვნის ქცევაზე (სოციალური მუშაკი), კონფერენციის მომზადება (მედიატორი). თუმცა, ორივე ინსტიტუტი ერთსა და იმავე საქმეს ემსახურება.

ის გარემოება, რომ არასრულწლოვანს და დაზარალებულს მედიატორი და სოციალური მუშაკი ცალ-ცალკე ხვდებიან, გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს. არასრულწლოვნისათვის ასეთი შეხვედრები შესაძლებელია უარყოფითი შედეგის მომტანი იყოს და გამოიწვიოს: საკუთარ თავში ჩაკეტვა, სოციალური გარემოს მხრიდან სტიგმატიზაცია და ა.შ. დაზარალებულისთვის ასეთი შეხვედრები და მის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე ხშირი საუბარი შესაძლებელია იყოს პოსტ-ტრავმული ტკივილის მომტანი.

გარდა ამისა, მედიატორი ცდილობს, მოაგვაროს სოციალური მუშაკის მიერ შეფასებული კონფლიქტი არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის. უმჯობესი იქნებოდა, თუ მედიატორი თვითონ შეაფასებდა არასრულწლოვნის პიროვნებას, მის მოთხოვნილებებს, შესაძლებლობებს და ისე შეხვდებოდა დაზარალებულს. მაშინ მას გაუადვილდებოდა დაზარალებულისთვის დამნაშავის პიროვნების გაცნობა და კონფლიქტის მხარეების შერიგება.

ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, თუ სოციალური მუშაკის ნაცვლად მოზარდის ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას და ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს მედიატორი.

7.2.3. არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების ანალიზი

სოციალური მუშაკის მიერ ხდება არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება, რაც მნიშვნელოვანია როგორც ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისათვის, ასევე მოზარდის რისკ-ფაქტორების შესაფასებლად. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის №29 ბრძანების მე-4 მუხლის მე-12 ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვნის ბიო-

ფსიქო-სოციალური შეფასება უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: არასრულწლოვნის ფიზიკური მდგომარეობა, ფსიქო-ემოციური და ქცევითი განვითარება, განათლება, სოციალური უნარ-ჩვევები და ინტერესები.

პრაქტიკის გაცნობა-ანალიზმა ცხადყო, რომ არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება ხშირად ძალიან მშრალი, ზოგადი და ნაკლებად ინფორმაციულია. შეფასება მოიცავს არასრულწლოვნის დამოკიდებულებას სამი ძირითადი საკითხისადმი: სწავლის, ოჯახის წევრებისა და ჩადენილი ქმედებისადმი. არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება ხშირად იმდენად მშრალია (ნაკლებინფორმაციულია), რომ შეუძლებელია ამ ინფორმაციით არასრულწლოვანის რისკ-ფაქტორების დადგენა. გარდა ამისა, არასრულწლოვანის ბიო-ფსიქო-სოცილაური შეფასებაში არ არის არასრულწლოვანის პიროვნების ძლიერი მხარის, უნარ-ჩვევების, სურვილების გამოკვეთაზე ორიენტირებული. არასრულწლოვანის პიროვნების ძლიერი არაკრიმინალური მხარის პოვნა, წარმოჩენა და გაძლიერება უნდა იყოს განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი ვალდებულებების ძირითადი მიზანი, რაც გრძელვადიანი პერსპექტივით მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესის მატარებელი იქნება.

არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოსაჩენად, გთავაზობთ განრიდების და მედიაციის პროგრამაში მონაწილე ერთ-ერთი მოზარდის ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას და მის ანალიზს, მოზარდის და მისი ოჯახის კონფიდენციალობის სრული დაცვით.

არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება

1. ზოგადი დემოგრაფიული ინფორმაცია

სახელი გვარი – გ.გ., სქესი – მამრობითი, მოქალაქეობა – საქართველოს, დაბადების თარიღი – 1996 წელი, ასაკი – 14 წლის.

საკონტაქტო ინფორმაცია – ტელეფონი, კანონიერი წარმომადგენელი – დედა.

2. არასრულწლოვნის ოჯახი

არასრულწლოვანს ჰყავს: დედა, მამინაცვალი (უმუშევარი) და და-ძმა.

ოჯახი, სადაც ამჟამად მოზარდი ცხოვრობს:

ბებია, ბაბუა, ბიძა, ბიცოლა და ბიძაშვილი.

- არასრულწლოვანს ჰყავს დედა, მამინაცვალი, და და ნახევარძმა. მას 4 წლის წინ გარდაეცვალა მამა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდა. არასრულწლოვანს მამა არ ახსოვს. იგი დედამ გაზარდა. ისინი თავდაპირველად სოფელში, არასრულწლოვნის მამის ოჯახში ცხოვრობდნენ, თუმცა მერე დედა მეორედ გათხოვდა და მეუღლესთან და შვილებთან ერთად თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, არასრულწლოვანი ცხოვრობს ბებია-ბაბუასთან (დედის მხრიდან) და ბიძის ოჯახთან ერთად. შაბათ-კვირას უმეტესად დედასთან ატარებს.
- ბინა, რომელშიც არასრულწლოვნის დედა, მამინაცვალი და და-ძმა ცხოვრობენ მისი ბაბუის საკუთრებშია (დედის მხრიდან). ბინა სამოთახიანია, საჭიროებს რემონტს, თუმცა აღჭურვილია ოჯახისათვის საჭირო ავეჯით და ტექნიკით. ბინაში სანიტარულ-ჰიგიენური და კომუნალური მდგომარეობა ნორმის ფარგლებშია. არასრულწლოვანს და მის დას აქვთ ერთი საერთო საძინებელი. მას აქვს საკუთარი კუთხე კარადაში, სადაც ტანსაცმელს და სხვა ნივთებს ინახავს.
- ბინა, რომელშიც ამ ეტაპზე არასრულწლოვანი ბებიასთან და ბაბუასთან ერთად ცხოვრობს და ბიძის ბინა ერთმანეთის გვერდითაა. ამ პერიოდში, როდესაც არასრულწლოვნის ბებია საქართველოში არ იმყოფება, მას სძინავს საძინებელში ბაბუასთან ერთად, სხვა დროს კი სამზარეულოში გაშლილ საწოლზე. არასრულწლოვანს აქაც აქვს საკუთარი ადგილი ნივთების შესანახად, თუმცა სამეცადინო კუთხე არ გააჩნია.
- არასრულწლოვნის ოჯახი იღებს სოციალურ დახმარებას. რადგან მამა არ ჰყავთ, არასრულწლოვანი და მისი და ყოველთვიურად იღებენ 55 ლარს. დამატებით, დედასთან ერთად, ისინი თვეში იღებენ 28 ლარს, როგორც ცხინვალიდან დევნილები (ე.წ. ძველი დევნილები). მთლიანად აღნიშნული დახმარება შეადგენს თვეში 194 ლარს. გარდა ამისა, არასრულწლოვნის მამინაცვალი დამატებითი წყაროდან ყოველთვიურად 250-300 ლარის ოდენობით შემოსავალს შოულობს. ოჯახს საკვებით ძირითადად უზრუნველყოფენ მამინაცვლის მშობლები სოფლიდან გამოგზავნილი პროდუქტით. ოჯახს ასევე ეხმარებიან არასრულწლოვნის დეიდა და სხვა ნათესავები (მაგალითად, დეიდა ბავშვებისთვის ყიდულობს ტანსაცმელს და ა.შ.).
- არ არის მკაფიოდ გამოხატული, რამდენად უსაფრთხოა არასრულ-

წლოვნისთვის მისი ოჯახური გარემო. მოწოდებული ინფორმაციით, ოჯახის წევრები არ მოიხმარენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, არ თამაშობენ აზარტულ თამაშებს და არ არიან ალკოჰოლის ხშირი მომხმარებლები და ოჯახის არცერთი წევრი არ ყოფილა ნასამართლევი. ჯანმრთელობის მხრივ, არასრულწლოვნის დედას ზოგჯერ აწუხებს გული, ბიძას ჰქონდა ნევროზი და გულთან დაკავშირებული პრობლემები, ბაბუას კი გაკეთებული აქვს კუჭის ოპერაცია. თუმცა, ოჯახის წევრების ჯანმრთელობას რაიმე სერიოზული საფრთხე არ ემუქრება. არასრულწლოვანი ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობის მსხვერპლია. მოპოვებული ინფორმაციით, მას ხშირად სცემს დედა, ზოგჯერ – ბიძა, მამინაცვალი კი მასზე ახდენს ფსიქოლოგიურ ძალადობას.

- ოჯახის წევრებისთვის განათლება არ არის პრიორიტეტული. დედას და მამინაცვალს აქვთ 9 კლასის განათლება, ბიძას – სრული საშუალო. არასრულწლოვნის მიმართ არასოდეს ჰქონიათ მოთხოვნა, რომ კარგად ესწავლა და შესაბამისად, არც დახმარება გაუწევიათ მისთვის. თუმცა, არასრულწლოვნის დედის და ბიძის სურვილია, ბავშვმა 9 კლასის განათლება მაინც მიიღოს. სწორედ ამ მიზნით, ბოლო ერთი წელია, ბიძამ არასრულწლოვანი თავისთან წაიყვანა საცხოვრებლად და სახლთან ახლოს მდებარე სკოლაში შეიყვანა, სადაც მისი მეგობარი მუშაობს.

3. არასრულწლოვნის ფიზიკური განვითარება და ჯანმრთელობა. მისი კოგნიტური განვითარება

არასრულწლოვნის ფიზიკური განვითარება მისი ასაკის შესაბამისია. ნორმის ფარგლებშია არასრულწლოვნის სენსორული (შეგრძნებების ორგანოები) და მოტორული (მოძრაობა) განვითარებაც. რაც შეეხება მის ჯანმრთელობას, დედის თქმით, ბავშვს არ აღენიშნება რაიმე ქრონიკული და მწვავე დაავადება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ის პატარაობის შემდეგ ექიმთან არც ყოფილა. რამდენიმე თვის წინ არასრულწლოვანმა გადაიტანა წითურა.

არასრულწლოვანს გარკვეული პრობლემები აღენიშნება კოგნიტური (შემეცნებითი) განვითარების მხრივ. ის ნორმალურად მეტყველებს და გადმოსცემს ამბავს, არა აქვს ყურადღებასთან დაკავშირებული პრობლემები. არასრულწლოვანს საკმაოდ ცუდად აქვს განვითარებული წერა-კითხვისა და ანგარიშის უნარ-ჩვევები, კერძოდ, კითხულობს დამარცვლით, წერის დროს უჭირს სწორი ხაზის და ასოების ზომების დაცვა, ბევრ სიტყვაში უშვებს შეცდომას, არასწორად სვამს სასვენ ნიშნებს. ასევე, მას უჭირს ანგარიში, ვერ

სწავლობს გამრავლების ტაბულას. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნის კოგნიტური განვითარება პატარაობიდანვე ხასიათდებოდა გარკვეული შეფერხებებით. დედის თქმით, მან პირველი სიტყვა თქვა 3 წლის ასაკში. მას პირველი კლასიდანვე უჭირდა სწავლა. მისი თქმით, ის ზოგჯერ სწავლობს გაკვეთილებს, მაგრამ ძალიან მალე ავიწყდება.

4. ქცევითი და ემოციური განვითარება

არასრულწლოვნის ქცევითი და ემოციური განვითარება გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. კერძოდ, მას ახასიათებს ხშირად ტყუილის თქმა, ზოგჯერ უსაფუძვლოდაც. არასრულწლოვანს აქვს კომუნიკაციის გარკვეული პრობლემები: არ გამოხატავს ინიციატივას ახალგაცნობილ ადამიანებთან, განსაკუთრებით უჭირს თანატოლებთან საერთო ენის გამონახვა. დედის თქმით, ეს პრობლემა ადრე უფრო გამოხატული იყო, არასრულწლოვანს თანატოლი მეგობრები საერთოდ არ ჰყავდა, ურთიერთობდა ძირითადად უფროს ბიჭებთან და ზრდასრულებთან. ოჯახის წევრების თქმით არასრულწლოვანი ძალიან თავაზიანი და ერთგული პიროვნებაა.

არასრულწლოვანს შეუძლია თავისი თავის გაკონტროლება. მართალია, ის განაწყენებულია და ხშირად ბრაზდება მამინაცვალზე, არასდროს შესულა მასთან კონფლიქტში, თუმცა არაერთხელ გასჩენია მისთვის ფიზიკური ზიანის მიყენების სურვილი. ის არ (ან ნაკლებად) გამოხატავს აგრესიულ ქცევას, მაგრამ აქვს ფარული აგრესია, რაც საკმაოდ დიდი რისკ-ფაქტორია.

არასრულწლოვანი 2 წლის განმავლობაში ეწეოდა სიგარეტს. დედამ შემთხვევით დაინახა და სცემა, რის შემდეგაც საერთოდ აღარ მოუწევია. არასრულწლოვანი ძალიან იშვიათად სვამს მცირე რაოდენობით ლუდს, არასოდეს გაუსინჯავს ნარკოტიკული ნივთიერება, უყვარს აზარტული თამაშები, თუმცა არასდროს თამაშობს ფულის მოგების მიზნით.

5. განათლება/სამუშაო გამოცდილება

არასრულწლოვანი სწავლობს თბილისის №... საჯარო სკოლის მე-7 კლასში. ამ სკოლაში ის ბოლო სასწავლო წელს გადმოვიდა, რადგან კლასიდან კლასში არ გადაიყვანდნენ, თუ არ დატოვებდა სკოლას, რომელშიც სწავლობდა. №... სკოლაში მუშაობს არასრულწლოვნის ბიძის მეგობარი, რაც დამატებითი საფუძველი იყო აღნიშნული სკოლის შესარჩევად. არასრულწლოვანი ერთხელ უკვე დარჩა კლასში, მისი ასაკი და სწავლის საფეხური შეუსაბამოა (უნდა იყოს მე-8 ან მე-9 კლასში). როგორც აღვნიშნეთ, არასრულწლოვანს თავიდანვე უჭირდა სწავლა და არც ინტერესი გააჩნია.

შედარებით მოსწონს ჰუმანიტარული საგნები: რელიგია, ისტორია და რუსული ენა. ის ხშირად აცდენს სკოლას, რის გამოც კვლავ დაბალ ქულებს ღებულობს და კლასში დარჩენის საფრთხის წინაშე დგას. არასრულწლოვანს განათლებასთან დაკავშირებით სამომავლო გეგმები არ აქვს და მხოლოდ 9 კლასის ატესტატის მიღება სურს.

6. დამატებითი აქტივობები / თავისუფალი დრო / ინტერესები

არასრულწლოვანი დადიოდა ჭიდაობაზე, ახლა აქვს სურვილი, იაროს ცურვაზე. მას სხვა გამოკვეთილი ინტერესი არა აქვს, არ იცის, რა პროფესია აირჩიოს, რითი იქნება დაკავებული რამდენიმე წლის შემდეგ. აქვს ბევრი თავისუფალი დრო, რომელსაც როგორც წესი, კომპიუტერთან ატარებს (გაურკვეველია, კონკრეტულად რითი ერთობა კომპიუტერზე), ასევე, ზოგჯერ სეირნობს ველოსიპედით.

7. ურთიერთობები

ბოლო ერთი წელია, არასრულწლოვანი დედასთან არ ცხოვრობს, მაგრამ მასთან თბილი ურთიერთობა აქვს და თითქმის ყოველ შაბათ-კვირას მასთან ატარებს. დედაც ხშირად ურეკავს და მიდის მის სანახავად. მამინაცვალთან მას დაძაბული ურთიერთობა აქვს, რადგან თვლის, რომ ის ხშირად უმიზეზოდ აძლევს შენიშვნებს. როგორც არასრულწლოვანი ამბობს, მამინაცვალი ცდილობს, დედა მის წინააღმდეგ განაწყოს და წინააღმდეგია, რომ ის მათთან ერთად ცხოვრობდეს. ამიტომ, ის მამინაცვალზე გულნატკენია და მის მიმართ გარკვეული სიძულვილიც აქვს.

არასრულწლოვანს საკმაოდ ახლო ურთიერთობა აქვს დასთან. და ამბობს, რომ ისინი ადრე საერთო ენას ვერ პოულობდნენ და ხშირად ჩხუბობდნენ, ბოლო დროს კი ერთმანეთის მესაიდუმლეებად იქცნენ. არასრულწლოვანი განსაკუთრებულ მზრუნველობას და სიყვარულს ამჟღავნებს თავისი უმცროსი ძმის მიმართ, ეთამაშება, საკუთარი ინიციატივით ზოგჯერ ეზოში ასეირნებს და ა.შ.

არასრულწლოვანი დადებითადაა განწყობილი ბიძის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ იგი მას იარლიყებს აწებებს (უწოდებს ზარმაცს, უტვინოს, მატყუარას), ორიენტირებულია დასჯაზე (მათ შორის, ფიზიკურ დასჯაზე) და არა, წახალისებაზე. ბიძის თქმით, არასრულწლოვანს მისი შიში აქვს და ამ მოვლენას დადებითად აფასებს.

არასრულწლოვნის თქმით, ბებია და ბაბუა ხშირად ეჩხუბებიან ამა თუ იმ საკითხზე. მათზე თბილად მას ბიცოლა ექცევა. მას ხშირი და თბილი ურთ-

იერთობა აქვს დეიდასთან და მამიდასთან, აგრეთვე სტუმრობს მამის ნათესავებს (ბებია, ბიძა, ბიცოლა, ბიძაშვილი) სოფელში, თუმცა, ხშირად მალევე აბრუნებენ თბილისში, მის დას კი ბევრად უფრო თბილად ექცევიან.

არასრულწლოვანს უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა. არასრულწლოვანი ამბობს, რომ ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავს, იმდენად ბევრი, რომ ზოგიერთის სახელიც კი არ ახსოვს. ეს მეტყველებს, რომ არასრულწლოვანს მეგობრები საერთოდ არ ჰყავს. მისივე თქმით, ის ახლა სკოლაში ხშირად ხდება ბულინგის მსხვერპლი. მაგალითად, რამდენიმე თვის წინ ის 4-5-მა უფროსკლასელმა სცემა. ამ ინციდენტის დროს მან ხელი იღრძო. არასრულწლოვანმა ასევე აღნიშნა, რომ ის ვერ იტანს, როდესაც მას უყვირიან, დასცინიან ან აბუჩად იგდებენ - „ეკაიფებიან“.

8. დამოკიდებულება სამართალდარღვევის მიმართ

არასრულწლოვნის მონათხრობით, მას სურდა ინტერნეტ-კაფეში თამაში, მაგრამ არ ჰქონდა ფული. თანატოლებისაგან ჰქონდა გაგონილი, რომ უბანში ერთი კაცისთვის მიჰქონდათ ხის ნაჭრები, რისთვისაც ის ფულს იხდიდა. არასრულწლოვანი შეიპარა უცხო ადამიანის ბაღში, რომელიც იმ დროს ღია იყო, აიღო ხის რამდენიმე ნაჭერი და წაიღო ჩასაბარებლად. ამ დროს ის პოლიციამ შეამჩნია და დააკავა. არასრულწლოვანმა ეს ამბავი ძალიან განიცადა, შეეშინდა, რომ ამ ყველაფერს ციხე ან რაიმე მსგავსი სასჯელი მოჰყვებოდა და ასევე განიცადა, რომ დედამ ამის გამო ინერვიულა. ამავდროულად ის კარგად იაზრებს, რომ ზიანი მიაყენა სხვა ადამიანს. ამბობს, რომ დაზარალებულის ადგილას ძალიან გაბრაზდებოდა. არასრულწლოვნის თქმით, ეს შემთხვევა მისთვის გაკვეთილი იყო და მსგავს ქმედებას არასოდეს აღარ ჩაიდენს.

არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების მიზნით ჩატარდა ინტერვიუები: 3 - არასრულწლოვანთან, 3 - დედასთან, 1 - მის დასთან, 2 - ბიძასთან.

განხილული პრაქტიკიდან ყველაზე კარგია გასაანალიზებლად მოყვანილი არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება. თუმცა მასაც გააჩნია გარკვეული პრობლემები, რასაც განვიხილავთ და გავაანალიზებთ. იმისათვის, რომ ანალიზი სრულყოფილი იყოს, ასევე ყურადღებას მივაქცევთ ამ მოზარდის (გ.გ.) განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებას. არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება შედგება რვა პუნქტისაგან. განვიხილოთ და გავაანალიზოთ თითოეული პუნქტი:

- 1-2 პუნქტი

მოზარდის შესახებ ზოგადი დემოგრაფიული მონაცემები და ოჯახური მდგომარეობა შეიცავს ზოგად ინფორმაციას როგორც ოჯახის წევრების შესახებ, ასევე ოჯახის წევრებთან მოზარდის დამოკიდებულების შესახებ. ამ ზოგადი ინფორმაციის მნიშვნელობა ძალიან დიდია საერთო სურათის შესაქმნელად. ამ ზოგადი ინფორმაციის ფარგლებში კარგად იკვეთება:

- არასრულწლოვანს არ ჰქონდა ოჯახის წევრების ხელშეწყობა სწავლაში, მას არ ჰქონდა საკუთარი სასწავლო კუთხე, არ ეხმარებოდნენ გაკვეთილების მომზადებაში და სხვა სკოლაში გადაიყვანეს მხოლოდ 9 კლასის დამთავრების მიზნით. ოჯახის წევრების ამგვარ დამოკიდებულებას განსაზღვრავს ისიც, რომ თავადაც მხოლოდ 9 კლასის განათლება აქვთ, ბიძას კი - საშუალო;
- მოზარდის მატერიალური მდგომარეობა, რაც მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს (მან ხის რამდენიმე ნაჭერი გაყიდვისა და ფულის აღების მიზნით მოიპარა);
- ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაძლებელია წარმოშობდეს პრობლემებს მოზარდის აღზრდასა და მატერიალურ მდგომარეობაში. მაგალითად, თუ ოჯახის წევრს ექნება ქრონიკული დაავადება, სავარაუდოდ გართულდება ოჯახის მატერიალური მდგომარეობა. ეს ცუდად აისახება თავად მოზარდზეც. მოცემულ შემთხვევაში არ ჩანს, რომ ოჯახის წევრებს რაიმე ქრონიკული დაავადება აქვთ. პრობლემურია ბიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა. არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებით ბიძას აქვს ნევროზი, რაც სავარაუდოდ განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ზოგჯერ იგი მოზარდს სცემს;
- ტერიტორიული სიახლოვე მოცემულ შემთხვევაში აშკარად მოზარდზე ფიზიკური ძალადობის ხელშემწყობი პირობაა. არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებაში ვკითხულობთ: „ბინა, რომელშიც არასრულწლოვანი ამ ეტაპზე ბებიასა და ბაბუასთან ერთად ცხოვრობს და ბიძის ბინა ერთმანეთის გვერდითაა“. მოზარდი კი ხშირად ხდება სწორედ ბიძის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი;
- პირველი და მეორე პუნქტი ინფორმაციულია, მაგრამ მათში იკვეთება მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა. შეფასებაში აღნიშნულია: „არას-

რულწლოვანი ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობის მსხვერპლია. მოპოვებული ინფორმაციით, დედა მას ხშირად სცემს, ზოგჯერ სცემს ბიძაც, მამინაცვალი კი მასზე ფსიქოლოგიურად ძალადობს." მოზარდზე ოჯახის წევრების ძალადობის შესახებ სხვა ინფორმაცია არ მოიპოვება. რისკ-ფაქტორების დასადგენად და განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების პირობების ჩამოსაყალიბებლად კი საჭიროა სწორედ მოზარდზე განხორციელებული ძალადობის შესახებ არსებული ინფორმაცია. ვფიქრობთ, აუცილებელია, არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებაში მოცემული იყოს არა მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია მოზარდზე ძალადობის შესახებ და განხორციელებული ძალადობის ფორმები (ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური), არამედ, ძალადობის სიხშირე, ძალადობის ქმედება, და რაც მთავარია მოზარდის, როგორც მსხვერპლის დამოკიდებულება მასზე განხორციელებული ძალადობისადმი. სამწუხაროა, რომ მოზარდისათვის განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით დაკისრებული თერთმეტი ვალდებულებიდან არც ერთი არ არის ოჯახური მსხვერპლის რეაბილიტაციაზე ორიენტირებული.

- მესამე პუნქტი

○ ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებაში აუცილებელია ყურადღების გამახვილება არასრულწლოვნის ფიზიკურ განვითარებასა და ჯანმრთელობაზე, რათა მას ისეთი ვალდებულებები არ დააკისრონ, რომელიც მის ფიზიკურ მდგომარეობას და/ან ჯანმრთელობას არ შეესაბამება;

○ ასევე შეფასებაში კარგად არის მოცემული მოზარდის კოგნიტური (შემეცნებითი) განვითარება. 14 წლის მოზარდმა არ იცის გამრავლების ტაბულა, წერა-კითხვა. უნდა მოხდეს სისტემატური ჩარევა მოზარდის სწავლაში, რათა მომავალში რაიმე ხელობა მაინც შეისწავლოს. ამ მხრივ საინტერესოა განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით მოზარდისათვის გათვალისწინებული ერთ-ერთი ვალდებულება - „ქართულ ენაზე წერა კითხვის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, კვირაში ორჯერ იაროს №... საჯარო სკოლაში, სადაც მას ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის მიერ ჩაუტარდება ინდივიდუალური გაკვეთილები". განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება 6 თვით არის დადებული 2011 წლის 31 მაისს. სკოლაში ზაფხულის არდადეგები იწ-

ყება ივლისში. აგვისტოდან მასწავლებელს წინასწარი შეთანხმებაც კი ვერ დაავალდებულებს, იაროს სკოლაში ინდივიდუალურ გაკვეთილებზე. ეს ნიშნავს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6 თვიდან, ერთი თვის (აგვისტოს) პერიოდში არ იქნება შესაძლებელი პირობის შესრულება. რეალურად არც 6 თვეში არის შესაძლებელი, რომ მოზარდს გაუღვივდეს სწავლისადმი პატივისცემის გრძნობა, მით უფრო, რომ ამ მოზარდს არა აქვს სწავლისადმი ინტერესი და ოჯახის წევრებისაგან ხელის შეწყობა. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია მოზარდისათვის ისეთი ვალდებულების დაკისრება, რომელიც გრძელვადიანი პერსპექტივით უზრუნველყოფს მისი განათლების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

- მეოთხე პუნქტი

ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების მეოთხე პუნქტში აღწერილია მოზარდის გ.გ.-ს ქცევითი და ემოციური განვითარების თავისებურებები: ადამიანებთან და თანატოლებთან ურთიერთობა, საკუთარი თავის მოვლა და თვითკონტროლი. მოცემული პუნქტიდან ირკვევა მეტად საინტერესო საკითხი: მოზარდის მიერ საკუთარი მამინაცვლის მიმართ ფიზიკური აგრესიის გამოვლენის სურვილი და მისი გატაცება აზარტული თამაშებით.

- შეფასებაში კონკრეტულად მითითებულია: „ის ხშირად ბრაზდება ან განაწყენებულია მამინაცვალზე... არასრულწლოვანს არაერთხელ გასჩენია სურვილი, რომ მისთვის ფიზიკური ზიანი მიეყენებინა“. მოზარდის ასეთი აგრესიის შეფასება რისკ-ფაქტორად სწორია, ვინაიდან, მისი გამოვლენას მხოლოდ დრო განსაზღვრავს, თუ შესაბამისი ზომები არ იქნა მიღებული (შეძლოს სიბრაზის მართვა). სამწუხაროდ, განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებაში აგრესიის განეიტრალებისა და სიბრაზის მართვის მიმართულებით (მაგალითად, ცურვაზე სიარული) არც ერთი ღონისძიება არ არის გაწერილი ვალდებულებად. საინტერესოა, რისთვის არის საჭირო მოზარდის რისკ-ფაქტორების დადგენა, თუ არ მოხდება მისი გათვალისწინება და არ იქნება დაძლეული ხელშეკრულებაში გაწერილი ვალდებულებით;
- მეორე საინტერესო რისკ-ფაქტორია მოზარდის გატაცება აზარტული თამაშებით. შეფასებაში ნათქვამია, რომ „არასრულწლოვანს უყვარს აზარტული თამაშები“. მოზარდის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების

ზოგადი ანალიზი მიუთითებს მჭიდრო კავშირზე მოზარდის მიერ ჩადენილ დანაშაულსა და აზარტული თამაშებით მის გატაცებას შორის. მოპარული ხის ნაჭრების გაყიდვით მიღებული ფულით მას ინტერნეტ-კაფეში სურდა თამაში. ამ მხრივ განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ვალდებულება, რომელიც გულისხმობს მოზარდის ინდივიდუალურ კონსულტაციას *დანაშაულის პრევენცია და სწორი ღირებულებების ფორმირებაზე.* ვფიქრობთ, ეს ორი სახის კონსულტაცია სწორად არის შერჩეული აზარტული თამაშებით გატაცებული მოზარდისთვის და ხელი უნდა შეუწყოს აზარტული თამაშებისათვის უარის თქმას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

- მეხუთე პუნქტი

მეხუთე პუნქტში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია მოზარდის განათლებაზე, უფრო სწორედ, მის სასკოლო პრობლემებზე. განვიხილოთ ეს პრობლემები უფრო დეტალურად:

- პირველი მწვავე პრობლემა არის ერთი სკოლიდან სხვა სკოლაში გადაყვანის საკითხი. სკოლის შეცვლა მოხდა იმის გამო, რომ მას კლასში დატოვებდნენ. მოზარდი იმავე პრობლემის წინაშე ახალ სკოლაშიც შეიძლება დადგეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მას სწავლისადმი ინტერესი არა აქვს. მხოლოდ ის, რომ მოზარდს 9 კლასის დამთავრებაში ბიძის მეგობარი დაეხმარება არ უქმნის მას გრძელვადიან პერსპექტივას. ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების ეს ქვეთავი კარგად წარმოაჩენს განათლების სისტემაში არსებულ დიდ პრობლემას - არასაკმარისი რაოდენობის პროფესიული განათლების ცენტრებს. მოზარდს, რომელიც არ, ან ვერ სწავლობს, უნდა ჰქონდეს ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან დაეუფლოს კონკრეტულ პროფესიულ ცოდნას (ხელობას) და გრძელვადიანი პერსპექტივით მოახერხოს საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.
- მეორე მწვავე პრობლემა, რომლის წინაშეც დგას სკოლა, არის ბულინგი (მობინგი). ეს პირდაპირ კავშირშია მოსწავლის მიერ განათლების მიღებასთან. ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებით ირკვევა (პუნქტი 7), რომ მოზარდი თანატოლების მხრიდან ხშირად ხდება როგორც ფიზიკური (ცემა), ისე ფსიქოლოგიური (დასცინიან, უყვირიან, „ეკაიფებიან“) ძალადობის (ბულინგის) მსხვერპლი. ამის გამო, მოზარდი, რომელიც

ბულინგის მსხვერპლია, ხშირად აცდენს სკოლას, სათამაშოდ დადის ინტერნეტ-კაფეში და ვინაიდან არა აქვს სათამაშოდ საჭირო ფული, ჩადის დანაშაულს. მოზარდი გ.გ.-სთვის სკოლა არის დაწესებულება, სადაც მან თავისი ადგილი ვერ იპოვა. ეს პრობლემა უფრო ხშირად აქვთ ბავშვებს, რომლებიც ერთი სკოლიდან სხვა სკოლაში გადადიან. სამწუხაროა, რომ განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებაში არც ერთი ვალდებულება არ არის ისეთი, რომელიც მოზარდს დაიცავდა, რომ არ გამხდარიყო ბულინგის მსხვერპლი. რეალურად, თუ არ მოხდა მოზარდის დაცვა და აღმოჩნდა ბულინგის მსხვერპლი, იგი შიშის და სიძულვილის გამო, ისევ უარს იტყვის სკოლაში სიარულზე, რასაც შეიძლება მოჰყვეს კვლავ ინტერნეტ-კაფეში თამაშის სურვილი და დანაშაულის ჩადენა. ვფიქრობთ, განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ამ მოზარდის, როგორც ბულინგის მსხვერპლის, მონაწილეობა მსხვერპლის სარეაბილიტაციო პროგრამაში.

- მეექვსე პუნქტი

მეექვსე პუნქტში გადმოცემულია, რა ინტერესები აქვს მოზარდს და როგორ ატარებს ის თავისუფალ დროს. ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, მოზარდისთვის გრძელვადიანი პერსპექტივის მქონე დახმარების გასაწევად. მოცემულ შემთხვევაში, ეს პუნქტი იძლევა მეტად მწირ ინფორმაციას როგორც მოზარდის ინტერესების, ისე მის მიერ გატარებული თავისუფალი დროის შესახებ. გამომდინარე იქედან, რომ მოზარდი გარდატეხის პერიოდშია (ის 14 წლისაა), ვფიქრობთ, გასაკვირი არ არის, რომ „გამოკვეთილი ინტერესი არ გააჩნია“. ამგვარი შეფასების მიზანი სწორედ ის უნდა იყოს, რომ მოზარდის უნარ-ჩვევების გათვალისწინებით შემფასებელმა ყურადღება გაამახვილოს მის ჯანსაღ, მომავალზე ორიენტირებულ კონკრეტულ ინტერესზე, რომელიც მოზარდს სამომავლოდ გამოადგება (მომავალში ეკონომიკური მოგება, სოციალიზაციის პროცესში ხელის შეწყობა და ა.შ.). განრიდების და მედიაციის პროგრამის ფარგლებში უნდა მოხდეს ამ ორი კომპონენტის (უნარ-ჩვევები და ინტერესი) ინტეგრირება და მათი წახალისება და გამყარება განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ვალდებულებით.

- მეშვიდე პუნქტი

ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების მეშვიდე პუნქტში საკმაოდ კარგად და ინფორმაციულად არის წარმოდგენილი მოზარდი გ.გ.-ს ურთიერთობები მისი სოციუმის წევრებთან, მათ შორის თანატოლებთან. შეფასებაში ხასგასმულია, რომ მას უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა, რის გამოც არ ჰყავს მეგობრები. მისასალმებელია განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით მოზარდისთვის დაკისრებული ვალდებულება, გაიაროს ინდივიდუალური კონსულტაცია. ეს მას დაეხმარება კომუნიკაციური უნარების გაძლიერებაში და მისცემს სოციალური ურთიერთობების გაუმჯობესების შესაძლებლობას, მათ შორის თანატოლებთან.

შეფასების მეშვიდე პუნქტში ასევე აღნიშნულია, რომ მოზარდს ბიძა სჯის და ფიზიკურ და ვერბალურ შეურაცყოფას აყენებს. იგი მას ზარმაცს, უტვინოს და მატყუარას უწოდებს. მოზარდს ბიძის ეშინია, მაგრამ მის სიმკაცრეს დადებით მოვლენად მიიჩნევს, რაც შესაძლებელია იმით იყოს განპირობებული, რომ: 1) ბიძა, მის ახლობლებიდან ერთადერთი მამაკაცია, რომელიც მას მიღებული ჰყავს 2) მოზარდი ფიქრობს, რომ 9 კლასის დამთავრებას ბიძის მეგობრის დახმარებით შეძლებს.

მისასალმებელია, რომ მოზარდს განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით დაევალა გაიაროს კონსულტაციები სწორი ღირებულებების შესახებ. ვფიქრობთ, ეს კონსულტაციები ხელს შეუწყობს მოზარდს, სწორად შეაფასოს ბიძის მხრიდან განხორციელებული ძალადობა. ეს აუცილებელია, რადგან ძალიან დიდია იმის რისკი, რომ მოზარდმა კონფლიქტის ძალადობრივი გზით მოგვარებაში მიბაძოს ბიძას, რომლის ქმედებასაც იგი დადებითად აფასებს. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მოზარდს მამინაცვლის სახით ამორჩეული ჰყავს სიძულვილის ობიექტი.

მოზარდის სოციალური ურთიერთობის ანალიზიდან ირკვევა, რომ მას ძალიან უნდა და სჭირდება დედასთან ურთიერთობა. მშობელთან მიჯაჭულობა, მშობლისადმი სიყვარული და პატივისცემა ითვლება კრიმინოლოგიაში მოზარდის მიერ დევიაციის, დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავების ერთ-ერთ პირობად. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით მოზარდი გ.გ.-ს დედას დაევალა გაიაროს ინდივიდუალური კონსულტაცია ბავშვზე ზრუნვის საკითხებზე.

აღნიშნული ვალდებულება მეტად საინტერესოა რამდენიმე ფაქტორის გამო: 1) განხილული განრიდების და მედიაციის პრაქტიკიდან პირველი

შემთხვევაა, როდესაც მშობელს ვალდებულება ეკისრება მოზარდი შვილის სასარგებლოდ გაიუმჯობესოს მასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები; 2) მშობლისათვის მოზარდის სასარგებლოდ რაიმე ქმედების განხორციელებით ხდება კონფლიქტის (დანაშაულის ჩადენის) გამომწვევი მიზეზების საფუძვლიანი მოგვარება (მოცემულ შემთხვევაში მოზარდის დედა უფრო მეტ დროს დაუთმობს გ.გ.-სთან ურთიერთობას, მის კონტროლს).

- მერვე პუნქტი

მერვე პუნქტში განხილულია მოზარდის დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისადმი, მისი მოტივი. აქვე მოკლედ არის აღწერილი მოზარდის დანაშაულებრივი საქციელი, ასევე მისი ემოციური მდგომარეობა დანაშაულებრივი საქციელის შემდეგ.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდისა და მისი ოჯახის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდის რისკ-ფაქტორების სწორად დასადგენად. ეს კი განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებაში ისეთი კონკრეტული ვალდებულებების წინაპირობა უნდა იყოს, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ განეიტრალებას. ერთი კონკრეტული ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების ანალიზმა კარგად დაგვანახა, რომ:

1) მოზარდის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება უნდა იყოს ინფორმაციული;

2) მოზარდის ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებაში უნდა განისაზღვროს მისი გონებრივი შესაძლებლობებიც, რათა მოზარდზე დაკისრებული ვალდებულება შეესაბამებოდეს მის ინტელექტუალურ მდგომარეობას;

3) უნდა გამოიკვეთოს მოზარდის უნარ-ჩვევების შესაბამისი ჯანსაღი, მომავალზე ორიენტირებული ინტერესი, რომლის გაძლიერებაც მოხდება განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით;

4) მოზარდის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ მოზარდზე, არამედ მისი სოციალური გარემოს საფუძვლიან აღწერაზე;

5) მაგალითად მოყვანილი მოზარდის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების სირთულე ნათლად მიუთითებს, რომ ადამიანი, რომელიც ასეთ შეფასებას გააკეთებს, აუცილებელია, იყოს პროფესიონალი.

გარდა ამისა, აუცილებელია, რომ მოზარდის და მისი ოჯახის ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას დაემატოს ბოლო, დასკვნითი პუნქტი, რომელშიც

კონკრეტულად იქნება ჩამოთვლილი როგორც მოზარდის, ასევე, მისი სოციუმის წევრების ის რისკ-ფაქტორები, რომელზეც ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების ვალდებულებების განსაზღვრისას.

7.2.4. კვალიფიკაციის პრობლემა და სისხლისსამართლებრივი დევნის აუცილებლობა

განრიდების და მედიაციის პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ ხშირად არ იყო მართებული გარკვეული საქმეებისთვის დანაშაულის კვალიფიკაციის მინიჭება ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების აუცილებლობა.

7.2.4.1. ოთხი ლარისა და ორმოცი თეთრის ქურდობის საქმე

ერთ-ერთმა განრიდებულმა 14 წლის არასრულწლოვანმა ჩაიდინა ქურდობა. ის შეიპარა სკოლის ფიზკულტურის დარბაზში და მიითვისა სამი დაზარალებულის კუთვნილი თანხა. ზარალის საერთო რაოდენობამ შეადგინა 4 ლარი და 40 თეთრი.

ვფიქრობთ, მოცემული ქმედება შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - ქურდობის - ნიშნებს, თუმცა მიყენებული ზარალის სიმცირის გამო მიზანშეწონილი არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას“. არასრულწლოვნის მიერ 4 ლარისა და 40 თეთრის ქურდობა, რა თქმა უნდა, ფორმალურად არის დანაშაული, თუმცა (სამი) დაზარალებულებისთვის მიყენებული ზარალი არ წარმოადგენდეს ისეთ ზიანს, რომელიც შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს (განრიდება და მედიაცია არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით, „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამო-

სილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით“. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკას, რომლის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი საჯაროა“. მოცემულ საქმეში პროკურორის მხრიდან არ მომხდარა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105 მუხლის მესამე ნაწილის გამოყენება, იმის მიუხედავად, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკა მოითხოვდა მისგან ასეთი ხასიათის დანაშაულზე უარის თქმას. სისხლის სამართლის პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, სახელმწიფოს პრიორიტეტია სახელმწიფოს რესურსის მიზნობრივი ხარჯვა. ბრძანებაში კონკრეტულად მითითებულია, რომ „სახელმწიფო რესურსი არ არის საკმარისი ყველა დანაშაულის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად. სწორედ შეზღუდული რესურსების ეფექტურად გამოყენების მიზნით განისაზღვრება სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც გამოძიებისა და დევნის ორგანოთა მხრიდან მოითხოვს განსაკუთრებულ რეაგირებას და ყურადღებას. შესაბამისად, საჯარო ინტერესის განსაზღვრისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს, რამდენად პრიორიტეტულია სახელმწიფოსათვის კონკრეტული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა“. როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური რესურსების არაეფექტიანი გამოყენებაა, როცა ხდება დამნაშავე არასრულწლოვნისათვის 4 ლარისა და 40 თეთრის ზარალის შემთხვევაში ნებისმიერი ხასიათის პასუხისმგებლობის დაკისრება. განრიდების და მედიაციის მოცემულ საქმეზე დახარჯული ადამიანური (პროკურორი, სოციალური მუშაკი, მედიატორი) და მატერიალური (პროკურორის, სოციალური მუშაკის, მედიატორის მიერ განრიდების და მედიაციის პროგრამის განსახორციელებლად დახარჯული თანხა) რესურსი არაპროპორციულია მოცემული დანაშაულებრივი ქმედებიდან მიღებულ ზარალისა. გარდა ამისა, მოცემული დანაშაული არ გამოირჩევა ისეთი ბუნებითა და სიმძიმით, რომ რაიმე სახით ნეგატიურად აისახოს საზოგადოების ინტერესზე და დაზარალებულებზე და არავითარ შემთხვევაში არ მოითხოვს გამოძიების მხრიდან „განსაკუთრებულ რეაგირებას და ყურადღებას“. მართალია, არასრულწლოვნის მიერ 4 ლარისა

და 40 თეთრის ქურდობის ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქურდობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ შეიძლება არასრულწლოვნისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. აღნიშნული ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილ სისხლის სამართლის პოლიტიკას.

განრიდების და მედიაციის საკვლევი მასალის ანალიზმა გამოავლინა კიდევ რამდენიმე შემთხვევა, რომელიც, ვფიქრობთ, არ უნდა მოხვედრილიყო განრიდების და მედიაციის პროგრამაში. ეს შემთხვევებია:

- არასრულწლოვანმა ერთ-ერთი სავაჭრო მაღაზიიდან მოიპარა ერთი ქილა „ნუტელა“. მისი ღირებულება ქილის ზომის მიხედვით მერყეობს 4,50 ლარიდან 8 ლარამდე.
- არასრულწლოვანმა მოიპარა ფიცრები და აპირებდა მათ ჩაბარებას, რომ აღებული ფული კომპიუტერულ თამაშებზე გამოეყენებინა. ფიცრებით მიმავალი მოზარდი პატრულმა დააკავა;
- არასრულწლოვანმა მარკეტიდან მოიპარა ალკოჰოლური სასმელი, რომელიც 7,5 ლარი ღირდა.

პოლიციას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება ასეთი შემთხვევების დროს გააფრთხილოს (წერილობით) კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი.

7.2.4.2. საფულის ქურდობის საქმე

აუცილებელია თუ არა დაეკისროს არასრულწლოვანს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩადენილ დანაშაულზე, პრობლემურია შემდეგ საქმეში: „არასრულწლოვანმა უკანონოდ მიითვისა სხვისი ფულადი თანხა და, შემდეგ დააბრუნა. დანაშაული გათვალისწინებულია სსკ 177 მუხლის პირველი ნაწილით. არასრულწლოვანმა სილამაზის სალონში დღის ბოლოს ნახა საფულე, რომელიც სახლში წაიღო და მეორე დღეს უკან მოიტანა. ამასობაში, საქმეში უკვე ჩართული იყო საპატრულო პოლიცია და საქმე აღიძრა“. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი“. არას-

რულწლოვნის მიერ საფულის ქურდობის ფაქტის კვალიფიცირება მოხდა სსკ 177 მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთიდან სამ წლამდე. ანუ, არასრულწლოვნის ქმედება სრულად აკმაყოფილებს სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის ქვეპუნქტის თანახმად, „გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს ქმედითი მონანიების გამო (სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლი)". საფულის ქურდობის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ქმედით მონანიებას - არასრულწლოვანმა მეორე დღეს დააბრუნა მოპარული საფულე, რის გამოც შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, თუმცა მას მაინც დაეკისრა გარკვეული პასუხისმგებლობა, განრიდების და მედიაციის პროგრამაში მონაწილეობის სახით. ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილი დამნაშავეს ქმედითი მონანიების შემთხვევაში სრულად ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია მოზარდის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევაში მისი განრიდების და მედიაციის პროგრამაში ჩართვა.

პრაქტიკის ანალიზმა ასევე ცხადყო, რომ არსებობს დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები.

განვიხილოთ რამდენიმე ასეთი საქმე.

7.2.4.3. გუნდაობის საქმე

განრიდება და მედიაცია განხორციელდა მოზარდის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა შემდეგი ქმედება: არასრულწლოვანი და მისი მეგობრები გუნდაობდნენ. არასრულწლოვნის მიერ მეგობრისთვის ნასროლი გუნდა მოხვდა ავტობუსის საქარე მინას და დააზიანა. ზარალი შეადგენდა 1062 ლარს. აღნიშნული ქმედებას მიეცა გაუფრთხილობლობით სხვისი ნივთის დაზიანების კვალიფიკაცია. ასეთი ქმედებისთვის სასჯელი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით. მოხდა მოზარდის ჩასმა განრიდების და მედიაციის პროგრამაში.

საკითხავია, არის თუ არა გუნდაობის საქმეში არასრულწლოვნის ქმედება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული და შეიძლება თუ არა, ამგვარი ქმედებისათვის ადგილი ჰქონდეს სისხლის-

სამართლებრივ პასუხისმგებლობას ანუ განრიდებას და მედიაციას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, „გაუფრთხილებლობით დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.

ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც“.

„წინდახედულობის ნორმის ობიექტური დარღვევა გაუფრთხილებლობითობისათვის დამახასიათებელი თვისებაა, რომელიც წარმოადგენს მოქმედების უმართლობის მთავარ კომპონენტს“.[225]

წინდახედულობის ნორმის დარღვევა დგინდება იმ მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც წაეყენება განსაზღვრულ სოციალურ ურთიერთობაში მყოფ წინდახედულ, გაწონასწორებულ და გონიერ ადამიანს, იმ ანალოგიურ სიტუაციაში, რომელშიც დამნაშავე იმყოფებოდა.[226]

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებული მოსაზრების თანახმად, „წინდახედულობის ნორმის ობიექტურად საწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც ისეთ დაწერილ ან დაუწერელ ქცევის წესს არღვევს, რომლის შესრულების ვალდებულება მას კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე აქვს“.[227] გუნდაობა არ არის ისეთი დაწერილი ან დაუწერელი ქცევის წესი, რომელიც მიღებელია სოციალურად. გუნდაობა ზამთრის პერიოდში თამაშის და გართობის ერთ-ერთ ფორმაა, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული საზოგადოებაში. გუნდაობაში იგულისხმება თოვლით გუნდების გაკეთება და სხვა პიროვნებისათვის სროლა, რაც არ არის აკრძალული ქცევა.

პირველ რიგში საკითხავია, შეეძლო თუ არა სხვა, იმავე ასაკის და მსგავსი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე [228] ადამიანს გაეთვალისწინებინა გუნდაობის დროს წინდახედულობის ნორმა: რომ გუნდა არ მოხვედროდა ავტობუსის მინას და არ დაეზიანებინა ის.

225 ტურავა, მ., 2011. გვ. 562.
226 იქვე.
227 იგივე, გვ. 563.
228 ვესელსი, ი./ ბოიკლე, ვ., 2010. გვ. 398.

არასრულწლოვნობის ასაკი ზოგადად ცნობილია თავისი განსაკუთრებულობით, რაც გულისხმობს: ენერგიულობას, ზედმეტ ემოციურობას, წინდაუხედაობას,[229]რაც მოზარდებში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესებით არის გამოწვეული (იხ. გარდატეხის პერიოდი). პროფესორი ოთარ გამყრელიძე თვლის, რომ „არასრულწლოვნობა შერაცხადობას თავისთავად ზღუდავს“.[230] შეზღუდული შერაცხადობა კი გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ადამიანს არ შეუძლია სრულად გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა. შესაბამისად, შესაძლებელია სხვა საშუალო ან ნორმალური დონის არასრულწლოვანსაც შემთხვეოდა იგივე, ანუ მასაც გუნდაობის დროს მეგობრისათვის ნასროლო გუნდა მოერტყა უცხო, მესამე პირის ქონებისათვის და დაეზიანებინა იგი, როგორც ეს თოვლის გუნდას საქმეში მოხდა.

თოვლის გუნდას მოცემულ საქმეში ადგილი არ ქონია გაუფრთხილებლობით სხვისი ნივთის დაზიანებას და შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს.

მოცემული შემთხვევა არ არის სისხლის სამართლის განსჯის საგანი. იგი განეკუთვნება სამოქალაქო სამართლის სფეროს და დაზარალებულს ზიანი უნდა ანაზღაურებოდა სამოქალაქო სამართლის წესით.

ისეთ შემთხვევებში, როცა ქმედებას არ უნდა ენიჭებოდეს სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია და შესაბამისად არ უნდა ხდებოდეს არასრულწლოვნის განრიდება და მედიაცია (გუნდაობის საქმე, ძაღლის მოგერიების საქმე), მაგრამ პროკურორის გადაწყვეტილებით ხდება დანაშაულის კვალიფიკაციის მინიჭება, გადაწყვეტილება შეფასებული უნდა იქნეს უარყოფითად, ვინაიდან არ გამომდინარეობს მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვიდან. განრიდების და მედიაციის პროგრამაში ერთხელ მონაწილეობა მას ართმევს მომავალში დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში განმეორებით მოხვდეს ამ პროგრამაში.[231] ეს კი მეტად მტკივნეულად და უარყოფითად შეიძლება აისახოს მის მომავალზე. ასეთ არასრულწლოვანს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სრული სიმკაცრით დაეკისრება, მაშინ, როცა, შეიძლებოდა მის მიმართ განრიდების და მედიაციის პროგრამის განხორციელება.

229 იხ.: Schaffstein, F. / Beulke, W., 2005. S. 5; Kaiser, G., 1973. S. 38.
230 გამყრელიძე, ო., 2008. გვ. 252.
231 როგორც ვიცით, განრიდების და მედიაციის პროგრამაში მოხვედრის ერთ-ერთი წინაპირობა არის, რომ მოზარდს არ უნდა ჰქონდეს გავლილი აღნიშნული პროგრამა, ანუ, პროგრამაში პირველად უნდა მონაწილეობდეს.

7.2.4.4. ძაღლის მოგერიების საქმე

განრიდება და მედიაცია განხორციელდა მოზარდის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა შემდეგი ქმედება: არასრულწლოვანი მოდიოდა გვიან ღამით ქუჩაში, უცხო უბანში. მას თავს დაესხა ქუჩის დიდი ძაღლი, რომელიც ქვებით მოიგერია. ერთი ქვა იქვე გაჩერებულ მანქანას მოხვდა და მინა ჩაუმსხვრია. არასრულწლოვანი დაელოდა გამომვლელ პატრულს, გააჩერა და უამბო მომხდარის შესახებ.

აღნიშნული ქმედება კვალიფიცირება მოხდა, როგორც სხვისი ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით. ამგვარი ქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლით. მის საფუძველზე მოხდა მოზარდის ჩასმა განრიდების და მედიაციის პროგრამაში.

საკითხავია, არის თუ არა ძაღლის მოგერიების საქმეში არასრულწლოვნის ქმედება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული და შეიძლება თუ არა ამგვარი ქმედებისათვის გამოყენებული იქნეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ანუ, განრიდება და მედიაცია.

პირველ რიგში საჭიროა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ქმედების ობიექტები ძაღლი და ავტომობილი.

ძაღლის მიმართ არასრულწლოვნის ქმედება, ანუ ძაღლის მოგერიების მიზნით ქვების სროლა შეიძლება იყოს უკიდურესი აუცილებლობთ გამოწვეული. თუ უკიდურეს აუცილებლობას არ ჰქონდა ადგილი, მაშინ შეიძლება სახეზე გვქონდეს ქონების დაზიანება გაუფრთხილებლობით, ანუ არასრულწლოვანი თავისი ინიციატივით (ძაღლი მას თავს არ ესხმის) ქვებს ესვრის ძაღლს და მის მიერ გასროლილი ერთი ქვა ხვდება ავტომობილს.

იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ როცა ადამიანს ცხოველი ესხმის თავს, ადგილი აქვს არა აუცილებელ მოგერიებას, არამედ უკიდურეს აუცილებლობას, რადგან ცხოველი არ შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის ავტორი.[232]

უკიდურესი აუცილებლობა სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლით განმარტებულია შემდეგნაირად, „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი, ვინც სხვას დააზიანებს იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება

232 ტურავა, მ., 2011. გვ. 350.

არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით და თუ დაზარალებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე“.

უკიდურესი აუცილებლობა შეიძლება იყოს ორი სახის: თავდაცვითი (დეფენზიური) და თავდასხმითი (აგრესიული).[233] ძაღლის მოგერიების მოცემულ საქმეში შესაძლოა ადგილი ჰქონდა თავდასხმით, ანუ აგრესიულ უკიდურეს აუცილებლობას.

აგრესიული უკიდურესი აუცილებლობა სახეზეა, თუ იგი აკმაყოფილებს ოთხ პირობას: საფრთხე უნდა იყოს რეალური; საფრთხე უნდა იყოს ამწუთიერი; არ უნდა არსებობდეს სხვა საშუალება, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნებოდა საფრთხეში მყოფი სიკეთის გადარჩენა; თავდასხმით ზიანი უნდა მიადგეს მესამე პირს.[234]

- საფრთხე უნდა იყოს რეალური

  უკიდურესი აუცილებლობა დასაშვებია, თუ საფრთხე არის რეალური. ასეთი საფრთხის წყარო შეიძლება იყოს ადამიანი, ბუნება, ცხოველი და სხვა.[235] მოცემულ შემთხვევაში ღამით ქუჩაში მიმავალ არასრულწლოვანს თავს დაესხა ქუჩის ძაღლი. სახეზე გვაქვს ცხოველის მიერ მოზარდის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული საფრთხე. დაცვის ობიექტი არის მოზარდის ჯანმრთელობა;[236]
- საფრთხე უნდა იყოს ამწუთიერი

  საფრთხე ამწუთიერად ითვლება მაშინ, თუ აუცილებელია საფრთხის აღმკვეთი ღონისძიების დროული განხორციელება, თორემ გარდაუვალია სამართლებრივი სიკეთის დაზიანება.[237] ძაღლის მოგერიების საქმეში ძაღლის მხრიდან არასრულწლოვნისადმი მიმართული აგრესია იყო ამწუთიერი, და თუ არა მოზარდის მიერ განხორციელებული ზომები (ქვების სროლა) ადგილი ექნებოდა ძაღლის მხრიდან ბიჭის ჯანმრთელობის დაზიანებას.
- არ არის საფრთხის თავიდან აცილების სხვა საშუალება

  უკიდურესი აუცილებლობა სახეზეა, თუ სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად არ არსებობს საფრთხის თავიდან აცილების სხვა საშუალება. მოცემულ შემთხვევაში არასრულწლოვანს ქვების სროლის გარდა ქუჩის ძაღლისაგან თავის დაცვის სხვა შესაძლებლობა არა აქვს.

233 ნაჭყებია, გ./ დვალიძე, ი., 2007. გვ. 255; ტურავა, მ., 2011. გვ. 385.
234 ნაჭყებია, გ./ დვალიძე, ი., 2007. გვ. 256-258.
235 ნაჭყებია, გ./ დვალიძე, ი., 2007. გვ. 256.
236 ტურავა, მ., 2011. გვ. 388.
237 ნაჭყებია, გ./ დვალიძე, ი., 2007. გვ. 257.

მოზარდი რომ გაიქცეს, შესაძლოა ძაღლი მას გამოეკიდოს.

- თავდასხმით ზიანი უნდა მიადგეს მესამე პირს
  უკიდურესი აუცილებლობის ქმედებით ზიანი უნდა მიადგეს მესამე პირს. არასრულწლოვანის მიერ ქუჩის ძაღლის მოგერიების დროს დაზიანდა მესამე პირის ავტომობილის მინა.
- გადარჩენილი სიკეთე უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს ვიდრე დაზიანებული სიკეთე. ადამიანის სიცოცხე და ჯანმრთელობა არის ისეთი სამართლებრივი სიკეთე, რომელიც უფრო მაღლა დგას ვიდრე ადამიანის ქონება.[238] მოცემულ შემთხვევაში არასრულწლოვანის ჯანმრთელობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ავტომობილის ჩამსხვრეული მინა.

ძაღლისთვის, რომელიც არასრულწლოვანს თავს დაესხა, ქვების სროლა არის უკიდურესი აუცილებლობა. ამავე დროს, ნასროლი ქვით ავტომობილის დაზიანებისას, შეიძლება ადგილი ჰქონოდა გაუთვალისწინებელი ობიექტის ხელყოფას. სისხლის სამართალში ცნობილია „აცდენილი ისრის თეორია“ (aberratio ictus) და გულისხმობს მოქმედებას, „რაც გამოიხატა მიზნის აცდენასა და გაუთვალისწინებელი ობიექტის ხელყოფაში. ეს არის შეცდომის ის შემთხვევა, როცა პირი გადაწყვეტს ხელყოს მის მიერ ინდივიდუალურად იდენტიფიცირებული სამართლებრივი სიკეთე, მაგრამ ქმედება მიზანს აცდება და სხვა გაუთვალისწინებელ ობიექტს ხელყოფს“.[239] ასეთ შემთხვევაში აცდენილი ობიექტის მიმართ გვაქვს განზრახვა, ხოლო გაუთვალისწინებელი ობიექტის მიმართ - გაუფრთხილებლობა.[240]

მოცემულ საქმეში არასრულწლოვნის მიერ ძაღლისთვის ნასროლი ქვა მოხვდა ავტომობილს. შეგვიძლია თუ არა ჩავთვალოთ, რომ არასრულწლოვანმა ავტომობილის მიმართ გაუფრთხილებლობითი ქმედება ჩაიდინა?

როგორც ზემოთ აღინიშნა გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩადენის დროს აუცილებელია წინდახედულების ნორმის დარღვევა. საკითხავია, დაარღვია თუ არა არასრულწლოვანმა წინდახედულობის ნორმა? საკუთარი სიცოცხლის დაცვა ადამიანის ინსტინქტია. მოზარდი, რომელსაც ღამით დიდი ძაღლი დაესხა თავს და ცდილობს მის მოგერიებას, არ არღვევს წინდახედულების ნორმას, ვინაიდან ნებისმიერი სხვა ადამიანი მიმართავდა თავდაცვის მისთვის ყველაზე უფრო ადვილ საშუალებას. მოზარდს რომ ძაღლისთვის ქვების სროლა უმიზეზოდ ან გართობის მიზნით დაეწყო და ერთ-ერთი ქვა

238 ტურავა, მ.,2011. გვ. 389.
239 ტურავა, მ., 2011. გვ. 518.
240 იქვე.

ავტომობილისთვის მოერტყა, ამ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა გაუფრთხილებლობით დანაშაულთან. ვინაიდან მოზარდი უკიდურესი აუცილებლობით მოქმედებდა, სახეზე არა გვაქვს წინდახედულობის ნორმის დარღვევა. გარდა ამისა, ნებისმიერი ადამიანისათვის, რომელსაც თავს ესხმის ძაღლი, ყველაზე ადვილი საშუალებაა რამე საგნის სროლით მისი შეშინება და ამ გზით თავდასხმის განეიტრალება. შესაბამისად, არასრულწლოვანს არ დაურღვევია წინდახედულების ნორმა და არ შეიძლება იგი გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის დაისაჯოს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნის მიერ ქუჩის დიდი ძაღლის მოგერიების ქმედება იყო მართლზომიერი და გამოწვეული იყო უკიდურესი აუცილებლობით. ქვების სროლის დროს ავტომობილის მინის ჩამსხვრევა არ არის გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება და შესაბამისად, მას არ შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მას შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურება მესამე პირის სასარგებლოდ სამოქალაქო წესით.[241]

სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის პრობლემასთან ერთად საკვლევ მასალაში ვხვდებით მედიატორის შემდეგი შინაარსის ჩანაწერს: „შეხვედრას პროკურორთან ესწრებოდა სოც. მუშაკი და მედიატორი. სოც. მუშაკმა გააცნო საქმის ვითარება. მედიატორმა ყურადღება მიაქცია მოზარდის ასაკს, რომელიც ჯერ არ იყო 14 წლის. ინფორმაცია გადამოწმდა და დადგინდა, რომ მოზარდი მართლაც ჯერ არ იყო 14 წლის“. მოცემული შემთხვევა სავარაუდოდ სამ ასპექტზე მიუთითებს:

- პროკურორის და სოციალური მუშაკის გადაღლილობაზე. მათ დიდი სამსახურებრივი დატვირთვის გამო გამოეპარათ არასრულწლოვნის ასაკზე ყურადღების გამახვილება;
- პროკურორის და სოციალური მუშაკის პროფესიონალიზმზე. ისინი სათანადოდ არ იცნობენ განრიდების და მედიაციის და/ან ზოგადად სისხლისსამართლებრივ საკანონმდებლო ნორმებს;
- პროკურორს და სოციალურ მუშაკს სურდათ კანონთან კონფლიქტში მყოფი კიდევ ერთი არასრულწლოვნის ჩართვა განრიდების და მედიაციის პროგრამაში სტატისტიკის „გაბერვის“ თვალსაზრისით.

მისასალმებელია, რომ სწორედ მედიატორი (არაიურისტი) გახდა კანონის ნორმების დაცვის გარანტი, რაც მის გონიერებაზე მიუთითებს. ამავ-

241 შეად.: ნაჭყებია, გ./ დვალიძე, ი., 2007. გვ. 258; ტურავა, მ., 2011. გვ. 387.

დროულად ეს მიუთითებს აუცილებლობაზე, რომ მედიატორები ერკვეოდნენ კარგად განრიდების და მედიაციის საკანონმდებლო ნორმებში.

7.2.4.5. შუალედური დასკვნა

განრიდების და მედიაციის პროგრამაში ისეთი საქმეების მოხვედრა, რომელიც არ არის სისხლის სამართლის დანაშაული ან მცირე მნიშვნელობის გამო არ უნდა არსებობდეს მის მიმართ საჯარო ინტერესი მიუთითებს რამდენიმე მეტად დამაფიქრებელ პრობლემაზე:

- სტატისტიკის გაზრდა
  პროკურორს სურს სტატისტიკის „გაბერვის“ მიზნით რაც შეიძლება მეტი ბავშვი ჩართოს განრიდების და მედიაციის პროგრამაში. ამით იგი იმედოვნებს, რომ ზემდგომისგან დაიმსახურებს საკუთარი საპროკურორო საქმიანობის დადებით შეფასებას, რაც ხელს შეუწყობს მის კარიერულ წინსვლას. სტატისტიკის გაზრდა შესაძლებელია ასევე გამიზნული იყოს ლიბერალური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების დასადასტურებლად.
- საჯარო ინტერესი vs. მოზარდის ეტიკეტირება
  მცირე მნიშვნელობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს ხდება მოზარდის დამნაშავედ ეტიკეტირება, რაც უფრო მძიმე შედეგის მომტანი შეიძლება გახდეს, ვიდრე მცირე მნიშვნელობის გამო საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება.
- მატერიალური და და ადამიანური რესურსი
  მცირე მნიშვნელობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პროცედურის დაწყება ეწინააღმდეგება ქვეყნის და სახელმწიფოს ფინანსური და ადამიანური რესურსის გამოყენების მენეჯმენტს და უარყოფითად აისახება როგორც ამ ორგანოს თანამშრომლების ეფექტიანობაზე, ასევე ქვეყნის ბიუჯეტზე. წარმოუდგენლად მიგვაჩნია, რომ პროკურორს შეიძლება ჰქონდეს იმდენი დრო, რომ 4.40 ლარის ზარალის გამო განახორციელოს რამე ქმედება (განრიდება და მედიაცია), გარდა დამნაშავის გაფრთხილებისა (აღნიშნული უდავოდ მოითხოვს საკანონმდებლო რეგულირებას).

7.3. განრიდების და მედიაციის სტატისტიკა და რეციდივის შემთხვევები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2013 წლის 12 მარტის №27824 წერილის მიხედვით განრიდების და მედიაციის სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება:

1. არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა მოქმედებს 35 ქალაქში;

2. სულ განრიდებულია 214 არასრულწლოვანი, რომელთაგან მედიაცია განხორციელდა 73 შემთხვევაში;

3. განრიდებულთაგან 22 არის მდედრობითი სქესის, ხოლო 192 – მამრობითი; განრიდებული 214 არასრულწლოვნიდან 57 არის მძიმე (ყველა მათგანი ჯგუფური ქურდობა), ხოლო 157 - ნაკლებათ მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის:

მუხლების მიხედვით	
177-ე მუხლი	115 შემთხვევა
238[1] მუხლი	65 შემთხვევა
120-ე მუხლი	7 შემთხვევა
125-ე მუხლი	4 შემთხვევა
187-ე და 188-ე მუხლები	6 შემთხვევა
239-ე მუხლი	3 შემთხვევა
186-ე მუხლი	2 შემთხვევა
276-ე მუხლი	2 შემთხვევა
284-ე მუხლი	2 შემთხვევა
178-ე მუხლი	3 შემთხვევა
373-ე მუხლი	2 შემთხვევა
236-ე მუხლი	2 შემთხვევა
180-ე მუხლი	1 შემთხვევა
რეგიონების მიხედვით	
თბილისი	138
აჭარა	20
ქვემო ქართლი	20
დასავლეთი	13
შიდა ქართლი	21
სამეგრელო	2
ასაკის მიხედვით	
14 წლის	55 არასრულწლოვანი
15 წლის	51 არასრულწლოვანი
16 წლის	56 არასრულწლოვანი
17 წლის	52 არასრულწლოვანი

4. 145 საქმეში დაზარალებული იყო ფიზიკური/იურიდიული პირი, ხოლო 69 საქმეს არ ჰყავდა დაზარალებული;

5. განრიდებული 214 არასრულწლოვანიდან შვიდმა მათგანმა ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული, მათ შორის ორ შემთხვევაში იყო გამოყენებული მედიაცია.

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან გახდა ცნობილი პროგრამაში მონაწილე 214 არასრულწლოვნიდან 7-ის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა რეციდივს, რომელთაგან 2 არასრულწლოვნის მიმართ იქნა განხორციელებული მედიაცია-განრიდება, დანარჩენ 5 შემთხვევაში განხორციელდა მხოლოდ განრიდება, მედიაციის გარეშე. სამწუხაროდ, ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ გახდა რეციდივის შემთხვევების საქმეები და შეუძლებელია საუბარი მათ გამომწვევ მიზეზებზე. ის ფაქტი, რომ რეციდივის 7 შემთხვევიდან 5-ში განხორციელებული იყო განრიდება მედიაციის გარეშე, მიუთითებს შემდეგზე: უფრო მეტად გამოხატული დადებითი ეფექტი არასრულწლოვნის აღზრდაზე აქვს პროგრამებს, რომლებიც დამყარებულია დამნაშავისა და დაზარალებულის ურთიერთობაზე. შესაბამისად, მედიაციის განხორციელებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

7.4. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ განრიდების და მედიაციის პროგრამის პრაქტიკულ გამოყენებას რამდენიმე პრობლემა აქვს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

- პროკურორის მონაწილეობის აუცილებლობა. განრიდების და მედიაციის საქმეების პრაქტიკულმა ანალიზმა ცხადყო, რომ მართალია, პროკურორი მონაწილეობს მედიაციის კონფერენციაში, მაგრამ არ არის დაინტერესებული მედიაციის პროცესით. მისთვის მნიშვნელოვანია მედიაციის დასრულებით სტატისტიკური მონაცემის გაუმჯობესება და არა არსებული კონფლიქტის მოგვარება არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის;
- სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება არ იძლევა მოზარდის რისკების განსაზღვრის საშუალებას, არის მეტად მშრალი, არ არის ორიენტირებული მოზარდის ძლიერი მხარეების წარმოჩენაზე;

- განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებას აქვს რამდენიმე პრობლემა: შესასრულებელ ვალდებულებათა დიდი რაოდენობა; შესასრულებელ ვალდებულებაში მოზარდის პიროვნების გაუთვალისწინებლობა; მშობლის იძულება, აცნობოს არასრულწოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტი სოციალურ მუშაკს, რომელიც აცნობებს პროკურორს, რაც არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ დევნას გამოიწვევს; დაზარალებულისათვის იმის დაკისრება, რომ პატივი სცეს დამნაშავე არასრულწლოვანს და ა.შ.
- ქმედების არასწორად კვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსით, რაც მოზარდს ართმევს შანსს მომავალში მონაწილეობა მიიღოს განრიდება-მედიაციის პროგრამაში.

მერვე თავი
განრიდების და მედიაციის პროგრამის ეკონომიკური ანალიზი

8.1. სისხლის სამართლის ნორმის ეკონომიკური ანალიზი

სამართლის ეკონომიკური ანალიზის მიზანია შეისწავლოს ქვეყნის ეკონომიკაზე სამართლის ნორმების ზემოქმედების პირობები,[242] ანუ სამართლის ეკონომიკური ანალიზი გულისხმობს სამართლის ნორმების შემოწმებას მის ეკონომიკურ შედეგებზე.[243]კანონი, სამართალი წარმოადგენს საზოგადოებრივ დოვლათს.[244] კრიმინალური თვალსაზრისით „სამართლის ეკონომიკურ ანალიზს აინტერესებს იურიდიული სანქციების [სასჯელის] აღსრულებაზე გაწეული დანახარჯები“.[245] მისი კვლევის საგანია იმის დადგენა, რამდენად არის შესაძლებელი, სანქციის მიზნები განხორციელდეს მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯებით.

კრიმინალის მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკა ისევეა დაკავშირებული ფულთან, როგორც უმუშევრობასთან ბრძოლის ან ჯანდაცვის პოლიტიკა, თუმცა, სხვა უწყებებთან შედარებით, კრიმინალის მიმართ პოლიტიკის ხარჯებზე საუბარი ტაბუდადებულია.[246]

კრიმინალის მიმართ პოლიტიკის განხორციელების ნებისმიერი ეტაპი (დანაშაულის პრევენცია, დანაშაულის გახსნა, დამნაშავის დასჯა) ხარჯებთან არის დაკავშირებული. მათ შორის დასჯა, ფინანსური თვალსაზრისით „ანტიდოვლათს“ წარმოადგენს,[247] რადგან დასჯილ ადამიანს არ შეუძლია რაიმე ღირებული დოვლათის შექმნა, დასჯა იწვევს დოვლათიანობის შემცირებას.

როგორც აღინიშნა, კრიმინალის მიმართ „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის განხორციელებისას მოხდა მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთის ხშირი გამოყენება, რამაც გამოიწვია სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდა.

---

242 ხუბუა, გ., 2004. გვ. 111.
243 Koebler, G.,1997. S. 283.
244 ბალარჯიშვილი, ი., 2010. გვ. 60.
245 ხუბუა, გ., 2004. გვ. 111.
246 Schellhoss, H., 2004. S. 8.
247 ბალარჯიშვილი, ი., 2010. გვ. 61.

განრიდების და მედიაციის პროგრამის განხორციელების აუცილებლობის დასასაბუთებლად საინტერესოა მსჯავრდებულთა არსებული რაოდენობის პრობლემის განხილვა ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებაში, ანუ მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთის განხილვა სამართლის ეკონომიკური ანალიზის ჭრილში.

მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდამ შესაძლებელია ერთი მხრივ სამუშაო ადგილების შექმნაც კი გამოიწვია (იგულისხმება ზედამხედველების რაოდენობის ზრდა), თუმცა ეს უმუშევრობის პრობლემის დაძლევის ამორალურ და მიუღებელ მხარედ უნდა ჩაითვალოს. მსჯავრდებულთა რაოდენობის გაზრდა იმ მიზნით, რომ ქვეყანაში შეიქმნას სამუშაო ადგილები, არ შეიძლება ქვეყნის დასაქმების პოლიტიკად ჩაითვალოს. მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის და სასჯელის მოხდის შემდეგ მათი დასაქმების პრობლემა უფრო დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, ვიდრე ახლა მსჯავრდებულების რაოდენობის ზრდით სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში სამუშაო ადგილების შექმნა.

სახელმწიფოს ერთი მსჯავრდებულის შენახვა 2013 წლამდე დღეში 8 ლარი და 60 თეთრი უჯდებოდა. ამ თანხაში შედიოდა მსჯავრდებულის მომსახურება ელექტროენერგიით, წყლით, მიმოწერით, სამედიცინო მომსახურებით და სასჯელაღსრულების მოსამსახურე პერსონალით. თუ 2008 წლის ბოლოს სახელმწიფოს დაახლოებით 20 000 პატიმარი ჰყავდა, 2009 წელს მათი შენახვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან სავარაუდოდ 30 მლნ ლარი დაიხარჯა.[248] დღეის მონაცემებით ერთი მსჯავრდებულის შენახვა დღეში დაახლოვებით 23 ლარი ღირს. ამ თანხაში არ შედის სამედიცინო მომსახურება.

სამართლის ეკონომიკური ანალიზით ნათელი ხდება, რომ თავისუფლების აღკვეთა დიდ ეკონომიკურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ეწინააღმდეგება სასჯელის მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯებით აღსრულების (განხორციელების) პრინციპს. სხვა მდგომარეობა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულები დასაქმებული იქნებოდნენ ციხის პირობებში და მათ მიერ შექმნილი პროდუქცია გარკვეულ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა როგორც თავად მსჯავრდებულს, ასევე აისახებოდა ქვეყნის ბიუჯეტზე.

248 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკური მონაცემებით, (გერმანიის) სახელმწიფოს ერთი დამნაშავის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა უჯდება დაახლოვებით 31.760 ევრო. იხ.: Schellhoss, H., 2004. S. 9.სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების სამინისტროს 2009 წლის ბიუჯეტი 111.100.100 ლარს შეადგენდა. იხ. http://www.mcla.gov.ge/content.php?id=9&lang=geo, 2009 წლის 22 დეკემბრის მდგომარეობა.

მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირება და არსებული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, თუ სისხლის სამართლის პოლიტიკა გახდება უფრო ლიბერალური, ამოქმედდება სასჯელის ალტერნატიული ფორმები, მოხდება განრიდების და მედიაციის პროგრამის ხელშეწყობა და გაფართოება.

8.2. განრიდების და მედიაციის ანალიზი სამართლის ეკონომიკური ანალიზის ჭრილში

ეკონომიკურ თეორიებში ხშირად არის გაჟღერებული იდეა რაციონალურად და ლოგიკურად გადაწყვეტილების მიმღებ ადამიანზე ე.წ. homo ekonomicus.[249] ასეთი ადამიანი კონფლიქტის მოგავრების დროს გადაწყვეტილებას იღებს ცივი გონებით, ყოველგვარი ემოციების და აღქმების ზეგავლენის გარეშე. ისინი ცდილობენ მათი გადაწყვეტილება გამართლებული იყოს ეკონომიკური თვალსაზრისით.

განრიდების და მედიაციის პროგრამა გამართლებული იქნება, თუ იგი სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, იქნება ორიენტირებული მცირე ხარჯებზე. განრიდების და მედიაციის პროგრამამ სახელმწიფოს პირველ რიგში ეკონომიკური მდგომარეობა უნდა შეუმსუბუქოს და თავიდან ააცილოს ბიუჯეტიდან საჭიროზე მეტი თანხების განკარგვა.

8.2.1. ეკონომიკური ხასიათის რესურსის დაზოგვა

განრიდების და მედიაციის პროგრამის ეკონომიკური თვალსაზრისით შესაფასებლად აუცილებელია პრაქტიკული მაგალითის განხილვა. დაუშვათ, საქართველოში არ არსებობს განრიდების და მედიაციის პროგრამა. საინტერესოა, როგორი იქნებოდა სამართლის ეკონომიკური ანალიზი ჩვენ მიერ განხილული განრიდებისა და მედიაციის პრაქტიკის მაგალითზე. ერთ-ერთ საქმეში სამმა არასრულწლოვანმა ისარგებლა იმით, რომ გამყიდველი არ იყო მაღაზიაში და მიითვისეს 22.85 ლარი, 11-ლარიანი ძეხვი, 3 ლარის მზესუმზირა, 3 ლარის ნამცხვარი (რულეტი), 2.20 ლარის კექსი. ზარალის საერთო ღირებულებამ შეადგინა 42.05 ლარი. ქმედება კვალიფიცირდება სსკ 177 მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ქურდობა წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე. სასამართლომ თითოეულ არასრულწლოვანს 5 წლით თავი-

249 Kanwischer, H., 2009. S. 36.

სუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სამართლის ეკონომიკური ანალიზით ნათელი გახდება, რომ ერთი მსჯავრდებულის შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტს თვეში 690 ლარი, წელიწადში კი - 8 400 ლარი დაუჯდება. 5 წლის განმავლობაში ეს თანხა 42 000 ლარს შეადგენს, ანუ დანაშაულებრივი ქმედება, რომელმაც მაღაზიის მეპატრონეს 42.05 ლარის ზარალი მიაყენა, სახელმწიფოს მხოლოდ ერთი მსჯავრდებულისაგან სულ მცირე 42 000 ლარის დამატებით ზარალს აყენებს. ჩვენ შემთხვევაში სახეზეა სამი მსჯავრდებული. შესაბამისად მსჯავრდებულების ციხეში შენახვისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯიც 3-ჯერ გაიზრდება და იქნება 126 000 ლარი.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი. არასრულწლოვანმა მოიპარა მეზობლის ელექტროსადენი, რომელიც თელასის საკუთრებაა, ჩააბარა ჯართში და აღებული თანხით იყიდა გაზიანი წყალი და ნამცხვარი. დანაშაულებრივი ქმედებით არასრულწლოვანმა დაზარალებულს მიაყენა 270 ლარის ოდენობის მატერიალური ზარალი. დანაშაულებრივი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ხუთ წლამდე. თუ არასრულწლოვანს მიუსჯიდნენ 3 წლით თავისუფლების აღკვეთას, მაშინ მისი შენახვის ხარჯები იქნებოდა 25 000 ლარი.

შესაძლებელია იმის თქმაც, რომ სახელმწიფო ყოველთვის არ არის თავისი ქმედების დროს „მოგებაზე“ ორიენტირებული, მითუმეტეს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და საზოგადოებრივი უფსაფრთხოება არ შეიძლება მათემატიკური კალკულაციით დავიანგარიშოთ. მაგრამ, როდესაც მეტად შეუსაბამოა დანაშაულის შედეგად მიყენებული ზარალი (42.05 ლარი, ან 270 ლარი) და სახელმწიფოს მხრიდან მისი ციხის პირობებში რჩენის მატერიალური ხარჯი (126 000 ლარი, ან 25 000 ლარი), ვფიქრობთ სახელმწიფო თანხების არამიზნობრივ ხარჯვასთან გვააქვს საქმე, რაც აშკარად არ შეიძლება იყოს ქვეყნის სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მიზანი. მითუმეტეს, დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე არც 270 ლარი და არც 42.05 ლარი არ წარმოადგენს ისეთ ფულად თანხას, რამაც შეიძლება დამატებით სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯი გამოიწვიოს.

როგორც ამ ორი მაგალითიდან ნათლად ჩანს, განრიდების და მედიაციის პროგრამის გამოყენებით სახელმწიფოს შეუძლია მიაღწიოს უკეთეს შედეგს ისე, რომ ჰქონდეს გაცილებით ნაკლები დანახარჯი.

ამიტომაც არის აუცილებელი განრიდების და მედიაციის პროექტის გავრცელება მძიმე დანაშაულებზე და მთელი ქვეყნის მასშტაბით.

8.2.2. ადამიანური რესურსის გამოყენება

მნიშვნელოვანია, რომ განრიდების და მედიაციის პროექტით არა მარტო ეკონომიკური, არამედ ადამიანური რესურსიც სწორად და მიზნობრივად იქნეს გამოყენებული. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი განრიდების და მედიაციის არსებული პრაქტიკიდან, რომელიც დაგვანახებს ადამიანური რესურსის დაზოგვის მნიშვნელობას.

არასრულწლოვანმა მარკეტიდან მოიპარა 7.50 ლარად ღირებული ალკოჰოლური სასმელი; არასრულწლოვანმა ერთ-ერთი სუპერმარკეტიდან მოიპარა ერთი ქილა „ნუტელა“, არასრულწლოვანმა მოიპარა ფიცრები გასაყიდად და აპირებდა აღებული ფულით კომპიუტერული თამაშები ეთამაშა. გზაში იგი პატრულმა დააკავა; არასრულწლოვანი შეიპარა სკოლის ფიზკულტურის დარბაზში და სამ პიროვნებას მოპარა ფული, სულ - 4.40 ლარი.

მოცემულ ოთხ საქმეზე სისხლისსამართლებრივი რეაგირება და მათი მოხვედრა თუნდაც განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში, კარგი მაგალითია, როგორ შეიძლება სახელმწიფომ არაეფექტიანად გამოიყენოს და გადაანაწილოს ადამიანური საკუთარი თანამდებობის პირების რესურსი.

ამჟამად მოქმედ კანონმდებლობაში გათვალისწინებულია მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნაზე უარის თქმის შესახებ. მიგვაჩნია, რომ პოლიციასაც უნდა გააჩნდეს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება, რომ თავად შეაფასოს რამდენად არის დანაშაულებრივი ქმედება საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი და რამდენად არის საჭირო პროკურორის ჩართულობა.

პოლიციის თანამშრომლისთვის დისკრეციული უფლებამოსილების მიცემა ხელს შეუწყობს, რომ პროკურორი აღარ იყოს დატვირთული ისეთი საქმეებით, რომლებიც არ არის საზოგადოებრივი მნიშვნელობის. ეს ხელს შეუწყობს პროკურორს კონცენტრირდეს უფრო მნიშვნელოვან საქმეებზე.

გარდა ამისა, ვფიქრობთ, პროკურორს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში თავადაც უნდა შეეძლოს წერილობითი გაფრთხილებით მიმართოს მოზარდს, სადაც იგი მიუთითებს მოზარდს, რომ განმეორებითი უკანონო ქმედებისთვის მის წინააღმდეგ უფრო მკაცრი ზომები იქნება მიღებული. გაფრთხილება უნდა ხდებოდეს განრიდების და მედიაციის პროგრამამდე.

ადამიანური რესურსის არასათანადოდ გადანაწილება და გამოყენება

იწვევს ყველა სახის საქმეზე მსგავსი ძალისხმევით კონცენტრირებას, თანაბარი დროის და ენერგიის დახარჯვას, რაც უარყოფითად აისახება როგორც საქმის სრულყოფილად განხორციელებაზე, ასევე დიდი რაოდენობით საქმეების დაგროვებაზე.

8.2.3. შუალედური დასკვნა / კონფლიქტის საფუძვლიანად მოგვარება

განრიდების და მედიაციის პროცესის და პროგრამის ძირითადი მნიშვნელობა არის კონფლიქტის საფუძვლიანად მოგვარება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მხარეებში სამართლიანობის აღდგენის განცდის ჩამოყალიბებას. ეს კი გამორიცხავს თვითიუსტიციას და შურისძიებას ან სახელმწიფო სტრუქტურებისადმი უნდობლობას. ამავე დროს, კონფლიქტის საფუძვლიანი მოგვარებით შემცირდება მართლმსაჯულების სისტემის ხარჯები. როგორც სამართლის ეკონომიკურმა ანალიზმა ცხადყო, ეს ასევე მეტად მნიშვნელოვანია.

როგორც აღვნიშნეთ, განრიდება და მედიაცია უზრუნველყოფს კონფლიქტის საფუძვლიან მოგვარებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სახელმწიფოს მიერ დამნაშავის რესოციალიზაციისათვის, დაზარალებულის რეაბილიტაციისათვის და დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილებისათვის საჭირო თანხების დაზოგვას.

დასკვნა

ა) განრიდების და მედიაციის მნიშვნელობა

განრიდება და მედიაცია საქართველოში ახლად დანერგილი ინსტიტუტია. მისი განვითარებისათვის აუცილებელია მოცემულ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი კონკრეტული დასკვნების და რეკომენდაციების გაანალიზება.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

- **მოზარდის აღზრდა**

  განრიდებისა და მედიაციის პროგრამა უზრუნველყოფს მოზარდის აღზრდას. პირველად თავის ცხოვრებაში მოზარდს უხდება სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოების სხვა, მისთვის უცნობ წევრებთან ახლო ურთიერთობა. განრიდებისა და მედიაციის წარმატების შემ-

თხვევაში იგი ხვდება, რომ: 1. მის მიერ ჩადენილმა კანონდარღვევამ სხვა ადამიანს ავნო, მიაყენა მატერიალური ზარალი და გამოიწვია ფსიქოლოგიური პრობლემები; 2. სახელმწიფო კონტროლის ორგანოები მუშაობენ სათანადოდ და ცდილობენ მისთვის ჭეშმარიტი ინტერესების მქონე ღონისძიებების გატარებას და არა მის დასჯას.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ფარგლებში კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდს უჩნდება საზოგადოებისადმი პატივისცემის გრძნობა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მისგან კანონმორჩილი პიროვნების ჩამოყალიბებას.

- **დაზარალებულის რეაბილიტაცია**

  მედიაციის პროგრამა ასევე უზრუნველყოფს დაზარალებულის რეაბილიტაციისთვის ხელშეწყობას. დაზარალებული, რომელიც ახლოს გაეცნობა არასრულწლოვანს, გაიგებს მის მიერ ჩადენილი უკანონობის მოტივსა და მიზანს, იგი უარყოფითად აღარ განეწყობა როგორც კონკრეტულად არასრულელოვანის, ასევე ზოგადად მოზარდთა მიმართ. გარდა ამისა, დაზარალებულს არ ჩამოუყალიბდება შიში ზოგადად დანაშაულის მიმართ და იგი საზოგადოების აქტიური მოქალაქე იქნება. დაზარალებულის რეაბილიტაცია (სამართლიანობის აღდგენა) ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის, რადგან, თავის მხრივ, არ დაიკარგება ნდობა კონკრეტულ მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მომავალში მათ შორის თანამშრომლობას.

- **საზოგადოების ჩართულობა**

  განრიდების და მედიაციის პროგრამა უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობასაც. განრიდება-მედიაციის ხელშეკრულებით არასრულწლოვანს ევალება გარკვეული ვალდებულებების შესრულება, მათ შორის ისეთისაც, რომლის დროსაც არასრულწლოვანმა უნდა გამოიჩინოს გარკვეული საზოგადოებრივი ჩართულობა, რაც მისასალმებელია, რადგან მოზარდი საზოგადოების აქტიური წევრი ხდება.

- **რეციდივის თავიდან აცილება**

  არასრულწლოვანს, რომელიც მოხვდა განრიდება-მედიაციის პროგრამაში, უფრო ნაკლებად ექნება სურვილი განმეორებით ჩაიდინოს დანაშაული. ამის ნათელი <u>დადასტურებაა ის ფაქტი, რომ განრიდების და მედიაციის პროგრამაში მონაწილე 214 არასრულწლოვნიდან სახეზე არის მხოლოდ 7განმეორებით დანაშაულის ჩადენის შემთხვევა.</u>

ბ) განრიდების და მედიაციის პრაქტიკული და სამართლებრივი ხასიათის რეკომენდაციები

განრიდების და მედიაციის დღეს მოქმედ პროგრამას გააჩნია როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული ხასიათის პრობლემები.

- **საკანონმდებლო რეგულირების პრობლემა**

საკანონმდებლო ხასიათის პრობლემებიდან უმთავრესია ის, რომ განრიდება და მედიაცია არ ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც არღვევს თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს; განრიდება და მედიაცია ასევე უნდა განხორციელდეს როგორც ნაკლებად მძიმე, ასევე მძიმე დანაშაულებზე; განრიდების და მედიაცის განხორციელება შესაძლებელი უნდა იყოს მართლმსაჯულების ნებისმიერ ეტაპზე (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო, სასჯელაღსრულებითი დაწესებულება); შესაძლებელი უნდა იყოს, რომ პროკურორის უარი ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულზე არასრულწლოვნის განრიდების და მედიაციის პროგრამაში ჩართვაზე გასაჩივრდეს სასამართლოში; ხელშეკრულების ვადა უნდა გაიზარდოს 24 თვემდე. ხელშეკრულების ხანგრძლივობა დამოკიდებული უნდა იყოს პროფესიული ან სარეაბილიტაციო პროგრამის ხანგრძლივობაზე; მედიაციის კონფერენციის ხანგრძლივობა არ უნდა გაგრძელდეს შეუსვენებლივ 2 საათზე მეტს, ხოლო მთელი დღის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს.

- **პრაქტიკული ხასიათის პრობლემები:**

მედიაციის კონფერენციაში პროკურორის მონაწილეობა ძაბავს მონაწილე მხარეებს; მედიატორი თავად უნდა ადგენდეს მოზარდის ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას და რისკ-ფაქტორებს; მედიაციას უნდა ახორციელებდეს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია (არასამთავრობო სექტორი) და არა იუსტიციის სამინისტრო; არასრულწლოვნისათვის დაკისრებული ვალდებულება უნდა იყოს ორიენტირებული მის მომავალზე, მოზარდისათვის კონკრეტულ სფეროში პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს გრძალვადიანი პერსპექტივით, რომ ხელი შეუწყოს სამომავლოდ მის დასაქმებას; ხელშეკრულების პირობებმა უნდა უზრუნველყოს მოზარდის აღზრდა; ხელშეკრულებაში არ უნდა იყოს ბევრი პირობა, რისი განხორციელებაც მოზარდს შეიძლება გაუძნელდეს; განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით მშობელს არ უნდა ევალებოდეს შეატყობინოს სოციალურ მუშაკს (პროკურორს) საკუთარი შვილის

მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა; სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება უნდა იყოს ინფორმაციული და ორიენტირებული მოზარდის რისკ-ფაქტორებზე.

რეკომენდაციები:

- ხელშეკრულების პირობები იყოს ორიენტირებული მოზარდის უნარ--ჩვევების გაძლიერებაზე;
- არ არის სასურველი მედიაციის პროცესში პროკურორის მონაწილეობა. პროკურორი უნდა ახდენდეს არასრულწლოვანის განრიდებას და მედიაციისთვის საქმეს გადასცემდეს არასამთავრობო სექტორის დამოუკიდებელ მედიატორს;
- განრიდების განხორციელება შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერ ეტაპზე (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო);
- მშობელს არ უნდა ეკისრებოდეს შვილის მიერ ხელშეკრულების დარღვევაზე ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობა;
- ხელშეკრულების ვადა უნდა იყოს ორიენტირებული იმაზე, თუ რამდენ ხანში შეძლებს მოზარდი კონკრეტული პროფესიის დაუფლებას;
- ვალდებულება უნდა იყოს იმ ხასიათის, რომ შესაძლებელი იყოს, მოზარდს ჩამოუყალიბდეს პასუხისმგებლობის გრძნობა;
- მედიატორის მიერ პირადი ჩანაწერების (განცდების, პრობლემების ჩანიშვნა) გაკეთება უნდა გახდეს სავალდებულო, და უნდა ხდებოდეს ამ ჩანაწერების სისტემატიური განხილვა სხვა მედიატორებთან ერთად;
- არასრულწლოვნის პრობლემა შესწავლილი და აღმოფხვრილი უნდა იყოს საფუძვლიანად. განრიდების და მედიაციის დროს გამოვლენილი სოციალური (გარემო პირობებიდან გამომდინარე) რისკ-ფაქტორები უნდა იქნეს განეიტრალებული;
- დაზარალებულს უნდა მოუსმინონ მედიაციის ყველა ეტაპზე.

სარჩევი

შესავალი

არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროექტის მოკლე მიმოხილვა

პირველი თავი

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა თავისებურებანი

1.1. არასრულწლოვანის ასაკი

1.2. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

1.3. მოზარდთა ფსიქოლოგიური თავისებურება / არასრულწლოვანთა გარდატეხის ..... პერიოდი

1.4. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული თავისებურება

მეორე თავი

არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის განხორციელების აუცილებლობის თეორიული საფუძველი

2.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის ნორმალური ხასიათი

2.2. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ყველა საზოგადოებაში გავრცელება

2.3. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ეპიზოდურობა

2.4. „ნულოვანი ტოლერანტობიდან“ ლიბერალურ კრიმინალურ პოლიტიკაზე გადასვლა

2.4.1. „ნულოვანი ტოლერანტობის“ კრიმინალური პოლიტიკის თეორიული საფუძველი

2.4.2 „ნულოვანი ტოლერანტობის“ კრიმინალური პოლიტიკის შედეგები საქართველოში

2.4.3. ლიბერალურ კრიმინალურ პოლიტიკაზე გადასვლა

2.5. არასრულწლოვანთა აღზრდა/რესოციალიზაცია

2.6. დაზარალებულის რეინტეგრაცია

მესამე თავი

არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პრინციპები

3.1. ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება

3.2. ნებაყოფლობითობა

3.3. პროპორციულობა

3.4. სტიგმატიზაციის თავიდან აცილება

3.5. კონფიდენციალურობა

3.6. არასრულწოვანის ჭეშმარიტი ინტერესის დაცვა

მეოთხე თავი

არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის საკანონმდებლო რეგულირება

4.1. განრიდების და მედიაციის გამოყენების წინაპირობა

4.2. განრიდების და მედიაციის მონაწილე მხარეები
4.2.1 პროკურორი
4.2.2 არასრულწლოვანი/კანონიერი წარმომადგენელი
4.2.3 სოციალური მუშაკი
4.2.4 დაზარალებული
4.2.5 დამცველი
4.2.6 მედიატორი
4.3. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება
4.3.1 ხელშეკრულების მხარეები
4.3.2 ხელშეკრულების პირობები
4.3.3 ხელშეკრულების ვადა
4.3.4 ხელშეკრულების უხეში დარღვევა
4.4. თანსწორობის პრინციპი და განრიდების და მედიაციის პროგრამა

მეხუთე თავი
არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროცესი
5.1. წინასაკონფერენციო ეტაპი
5.2. მედიაციის კონფერენცია
5.3. შეთანხმების მიღწევა
5.4. მედიაციის კონფერენციის ადგილი
5.5. მედიაციის კონფერენციის ხანგრძლივობა

მეექვსე თავი
დაზარალებული განრიდების და მედიაციის პროცესში
6.1. დაზარალებულის ცნება
6.2. დაზარალებულის მდგომარეობა დანაშაულის შემდეგ
6.2.1 ფიზიკური დაზიანებები / ჯანმრთელობის პრობლემები
6.2.2 ფსიქოლოგიური პრობლემები
6.2.3 სოციალური პრობლემები
6.2.4 მატერიალური ზარალი
6.3. დაზარალებულად გახდომის პროცესის სახეები
6.3.1 პიროვნების პირველადი (ძირითადი) ვიქტიმირება
6.3.2 პიროვნების მეორადი (არაძირითადი) ვიქტიმირება
6.3.3 პიროვნების მესამეული ვიქტიმირება
6.4. დაზარალებულის მოთხოვნილებები
6.4.1 მსხვერპლის მოთხოვნილება დახმარებაზე და ინფორმაციაზე
6.4.2 მსხვერპლის მოთხოვნილება ადამიანურ მოპყრობაზე
6.4.3 მსხვერპლის მოთხოვნილება ჰყავდეს გვერშიმდგომი
6.4.4 მსხვერპლის მოთხოვნილება მოუსმინონ
6.4.5 მსხვერპლის მოთხოვნილება თავიდან იქნას აცილებული მისი დამნაშავესთან შეხვედრა

6.4.6 მსხვერპლის მოთხოვნილება ჰქონდეს ინფორმაცია დამნაშავის ადგილსამყოფელის შესახებ
6.4.7 მსხვერპლის მოთხოვნილება იცნობდეს დანაშაულის ჩადენის მოტივს
6.4.8 დაზარალებულის მოთხოვნილება ზარალის ანაზღაურებაზე
6.5. დაზარალებულის რეაბილიტაციის სახელმწიფი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა

მეშვიდე თავი

განრიდების და მედიაციის არსებული პრაქტიკა

7.1. განრიდების და მედიაციის საქმეების კვლევის მეთოდი
7.2. განრიდების და მედიაციის საქმეების ანალიზი
7.2.1 განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება
7.2.1.1. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების აღწერა
7.2.1.2. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების ანალიზი
ა. განრიდებისა და მედიაციის და განრიდების ხელშეკრულების ტიპები
ბ. ხელშეკრულების პირობები
აა. პირობების რაოდენობა
ბბ. პირობების აღმზრდელობითი ეფექტი
(არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება)
გგ. პირობების შესრულების შესაძლებლობა და ვადის განსაზღვრა
დდ. ხელშეკრულების პირობები ჯგუფური დანაშაულის დროს
ეე. ვალდებულების დაკონკრეტების აუცილებლობა
ვვ. მისასალმებელი სახელშეკრულებო ვალდებულებები
გ. არასრულწლოვანის წარმომადგენლის მოვალეობები
დ. დაზარალებული
აა. დაზარალებულის უფლებები
ბბ. დაზარალებული ფიზიკური, იურიდიული პირია
გგ. მცირეწლოვანი დაზარალებული
დდ. შუალედური დასკვნა
ე. სოციალური მუშაკი და პროკურორი
7.2.2. განრიდების და მედიაციის კონფერენცია და მედიატორის როლი
7.2.2.1. განრიდების და მედიაციის კონფერენციის ანალიზი
7.2.2.2. მედიატორის როლი განრიდების და მედიაციის კონფერენციაში
7.2.2.3. დასკვნა / რეკომენდაციები
7.2.3. არსრულწლოვანის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების ანალიზი
7.2.4. კვალიფიკაციის პრობლემა და სისხლისსამართლებრივი დევნის აუცილებლობა
7.2.4.1. ოთხი ლარი და ორმოცი თეთრის ქურდობის საქმე
7.2.4.2. საფულის ქურდობის საქმე
7.2.4.3. გუნდაობის საქმე

7.2.4.4. ძაღლის მოგერიების საქმე

7.2.4.5. შუალედური დასკვნა

7.3. რეციდივის შემთხვევები

7.4. დასკვნა

მერვე თავი

განრიდების და მედიაციის პროგრამის ეკონომიკური ანალიზი

8.1. სისხლის სამართალის ნორმის ეკონომიკური ანალიზი

8.2. განრიდების და მედიაციის ანალიზი სამართლის ეკონომიკური ანალიზის ჭრილში

დასკვნა

ა) განრიდების და მედიაციის მნიშვნელობა

ბ) განრიდების და მედიაციის პრაქტიკული და სამართლებრივი ხასიათის რეკომენდაციები

ბიბლიოგრაფია

არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია. გაეროს ბავშვთა ფონდი. თბილისი 2004.

ბალარჯიშვილი, ი.
დანაშაულისა და სასჯელის ეკონომიკა. თბილისი 2010.

გამყრელიძე, ო.
ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. თბილისი 1998.

გამყრელიძე, ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. მეორე შევსებული გამოცემა. თბილისი 2008.

გვენეტაძე, ნ./კვაჭაძე, მ./წიკლაური-ლამიხი, ე./გაბუნია, მ.
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია. თბილისი 2012.

გერიგი, რ./ ზიმბარდო, ფ.
ფსიქოლოგია და ცხოვრება. მე-16 გამოცემა. თბილისი 2009.

ვესელსი, ი./ ბოიკლე, ვ.
სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი 2010.

ნაჭყებია, გ./ დვალიძე, ი. (რედ.)
სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი 2007.

„ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაცისაკენ“. ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI). თბილისი 2011.

საქართველოს სახალხო დამცველის 2007 - 2011 წლების საპარლამენტო მოხსენებები.

კუბლაშვილი, კ.
ძირითადი უფლებები. თბილისი 2003.

ტურავა, მ.
დანაშაულის მოძღვრება. თბილისი 2011.

ხერხეულიძე, ი.
არასრულწლოვანთა სასჯელის გამოყენების შედარებითი ანალიზი აშშ-სა და საქართველოში. სტატიათა კრებული: „არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები“. ლეკვეიშვილი, მ./შალიკაშვილი, მ. (რედ.). თბილისი 2011.

დემეტრაშვილი, ა./კობახიძე, ი.
კონსტიტუციური სამართალი. თბილისი 2011.

გაბრიჩიძე, გ.
თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში. წიგნში: კორკელია, კ.(რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. თბილისი 2006.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება.
ზაზაშვილი, ნ., პირადი ჩანაწერები.

კალჰუნი, ქ. / ლაითი, დ. / კელერი, ს.
სოციოლოგია. თავები 2,3,4. თბილისი 2007.

კოდუა, ე. (რედ.)
სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი – ცნობარი. თბილისი 2004.

ცერცვაძე, გ.
მედიაცია. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა. თბილისი 2010.

ქურხული, ლ.
ბავშვთა აგრესია. თბილისი 2006.

შალიკაშვილი, მ.
კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი 2011.

შალიკაშვილი, მ. /მიქანაძე, გ.
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები. რუსთავი 2011.

ღლონტი, გ. (რედ.)
კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში. თბილისი 2008.

უზნაძე, დ.
ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი 2006.

ინწკირველი, ზ.
არასრულწლოვანი ბრალდებულის ხასიათის თავისებურების, მოთხოვნილების და ინტერესის გათვალისწინება დაკითხვის პროცესში. ჟურნალი: სამართალი Nr. 4-5, 2000. გვ. 88–90.

ხუბუა, გ.
სამართლის თეორია. თბილისი 2004.

ჩიქობავა, არ. (რედ.)
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი 1986.

Paasch, E.
Jugendkriminalität – ganzheitliche Ursachenanalyse und staatliche Reaktionsmöglichkeiten. In: Kriminalistik 2001. S. 373 – 375.

Albrecht, P.-A.
Kriminologie. Eine Grundlegung zum Strafrecht. 3. Auflage. Munchen 2005.

Bogensberger, G.
Praktische Erfahrungen als Untersuchungsrichterin mit der Prozessbegleitung. In: Jesionek, U./ Hilf, M. (Hrsg.), Die Begleitung des Verbrechensopfers durch den Strafprozess, Viktimologie und Opferrechte. Schriftenreihe der Weisser Ring Forschungsgesellschaft. Band 2. Innsbruck/Wien 2006. S. 73.

Brem, A.
Wie fühlen sich Opfer vor Gericht? Erfahrungen aus der Praxis. In: Jesionek, U./Hilf, M. (Hrsg.), Die Begleitung des Verbrechensopfers durch den Strafprozess, Viktimologie und Opferrechte, Schriftenreihe der Weisser Ring Forschungsgesellschaft. Band 2. Innsbruck/ Wien 2006. S. 111.

Buggisch, W.
Zeugenbedrohung und Zeugenschutz in Deutschland und den USA. Kriminologische und sanktionenrechtliche Forschungen. Band 11. Berlin 2001.

Baurmann, M.
Kriminalitätsopfer – vom Staat vergessen?! In: Kriminalist 10/00 (2000). S. 396.

Bart, H.-J.
Kinder als Zeugen im Strafverfahren – insbesondere als Opfer sexuellen Missbrauchs. In: ÖJZ (Österreichische Juristen-Zeitung) 1998. S. 818.

BverfG (გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება) Urteil v. 21.6.1977 -1 BvL 14/76. In: NJW (Neue Juristische Wochenschrift) 1977, S. 1529

BGHSt (გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქ-მეებზე) 11, S. 216; 38, S. 99; 3, S. 152, 216.

Giddens, A.
Soziologie. 2. Auflage. Wien 1999.

Göppinger, H.
Kriminologie. 5. Auflage. München 1997.
Kriminologie. 6. vollständig neu bearbeitete und erweiterte Auflage. München 2008.

Hestermann, Th.
Verbrechensopfer – Leben nach der Tat. Reinbek bei Hamburg 1997.

Jahn, M.
Materielles Strafrecht/ Strafrechtliche Nebengebiete. In: Strafverteidiger Forum (StraFo), 2006.

Kaiser, G.
Jugendrecht und Jugendkriminalität. Weinheim 1973.

Kaspar, J.
Wiedergutmachung und Mediation im Strafrecht. Münster 2004.

Kanwischer, H.
Das Herz hat seine Gründe, die der Verstand nicht kennt. In: Zeitschrift für Konfliktmanagment 2/2009.

Koebler, G.
Juristisches Wörterbuch. Für Studium und Ausbildung. 8. Auflage. München 1997.

Kuhn, A., u.a.
„Tat-Sachen“ als Konflikt. Schriftenreihe der DBH. Bonn 1989.

Krüger, H.
Rückfallquote: rund 30% - Massenstatistische Beobachtungen der Rückfallkriminalität ausgesuchten Alters-gruppen. In: Kriminalistik 1983. S. 326.

Laubenthal, K./Baier, H.
Jugendstrafrecht. Heidelberg 2006.

Mayring, P.
Qualitative Inhaltsanalyse. Grundlage und Techniken. 10. Auflage. Basel 2008.

Dreier, H. (Hrsg.)
Grundgesetz Kommentar. 2. Auflage. Band I Art. 1-19.

Rüssel, U.
Mediation in komplexen Verwaltungsverfahren. Baden-Baden 2003.

Rüther, W.
Abweichendes Verhalten und labeling approach. Berlin u.a. 1975.

Haft, F., Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.)
Handbuch Mediation. 2. Auflage. München 2009.

Hurrelmann, K.
Lebensphase Jugend: eine Einfuehrung in die sozialwissenschaftliche Jugendforschung. 10. Auflage. 2010.

Jesionek, U.
Anzeige- und Aussageverhalten bei Kindesmissbrauch, In: Fuchs H./Brandstetter W. (Hrsg.), Festschrift für Winfried Platzgummer zum 65. Geburtstag. Wien 1995. S. 369.

Jesionek, U.
Das Verbrechensopfer im künftigen österreichischen Strafprozessrecht. In: Grafl, Ch./Medigovic, U. (Hrsg.), Festschrift für Manfred Burgstaller zum 65. Geburtstag. Wien/Graz 2004. S. 253.

Jesionek, U.
Das Verbrechensopfer als Prozesspartei. In: 33. Ottensteiner Fortbildungsseminar aus Strafrecht und Kriminologie 21. bis 25. Februar 2005. Schriftenreihe des Bundesministeriums für Justiz 118. Wien/Graz 2005. S. 41.

Schaffstein, F./ Beulke, W.
Jugendstrafrecht. 14. Auflage. Stuttgart 2005.

Bemmann, G.
Täter –Opfer-Ausgleich im Strafrecht. In: Juristische Rundschau (JR) 6/2003. S. 227.

Becker, H.
Outsiders, Studies in the Sociology of Deviance. New York 1963.

Lemert, E.
Social Pathology. New York 1951.

Libuda-Köster, A.
Diversion: Selbsteinschätzung und Realität staatsanwaltlichen Entscheidens – Eine Befragung nordrheinwestfälischer Jugendstaatsanwältinnen und Jugendstaatsanwälte. In: Peter-Alexis Albrecht (Hrsg.) Informalisierung des Rechts. Berlin/New York 1990.

Luhmann, N./ Lange, E.
Juristen – Berufswahl und Karrieren. In: Verwaltungsarchiv 1974. S. 113-163.

Schwind, H.-D.
Kriminologie. Eine praxisorientierte Einführung mit Beispielen. 18. Auflage. Heidelberg 2008;

Löwe-Rosenberg. StPO Grosskommentar. Rieß, P. (Hrsg.). 25. Auflage. Band 4. Berlin 2001.

Schäfers. B.
Soziologie des Jugendalters. Opladen 1994. S. 83.

Winter, F. (Hrsg.)
Der Täter-Opfer-Ausgleich und die Vision von einer „heilenden“ Gerechtigkeit. Worpswede 2004.

Weschke, E. (Hrsg.)
Jugenddelinquenz. Empirische Untersuchungen in Berlin. Berlin 1989.

Kaiser, G.
Kriminologie: ein Lehrbuch. 3., völlig neubearb. u. erw. Auflage. Heidelberg 1996.

Kaupen, W.
Die Hüter von Recht und Ordnung. Berlin 1969.

Kiefl, W./Lamnek, S.
Soziologie des Opfers. Theorie, Methode und Empirie der Viktimologie. München 1986.

Kilchling, M.
Opferschutz und der Strafanspruch des Staates – Ein Widerspruch? In: NStZ (Neue Zeitschrift für Strafrecht) 2002. S. 57.

Kilchling, M.
Opfer werden – Opfer bleiben? Würzburg 2008. www.hss.de/downloads/080306_RM_Kilchling.pdf 2013 წლის 20 მარტის მდგომარეობით.

Miklau, R.
Rechtspolitische Anmerkungen zur Stellung des Opfers im Strafverfahren. In: Grafl, Ch./Medigovic, U. (Hrsg.), Festschrift für Manfred Burgstaller zum 65. Geburtstag. Wien/Graz 2004. S. 293.

Walter, M.
Jugendkriminalität. 3. Auflage. Dusseldorf 2005.

Smutny, P.
Die neue verfahrensrechtliche Stellung der Verbrechensopfer unter dem Aspekt von Opferschutz und Opferhilfe als Bestandteil polizeilicher, staatsanwaltschaftlicher und richterlicher Arbeit. In: Strafverfahren – Menschenrechte – Effektivität, Ministerialentwurf 2001 für eine Vorverfahrensreform, Vorträge gehalten bei der Richterwoche 2001 vom 14. Mai bis 18. Mai 2001 in Wels. Schriftenreihe des Bundesministeriums für Justiz 106. Wien 2001.

Schneider, H.J.
Kriminologie. Berlin/NewYork 1987.

Schneider, H.J.
Kriminologie fur das 21. Jahrhundert. Münster 2001.

Schneider, H.J.
Die gegenwärtige Situation des Verbrechensopfers, Fortschritte und Probleme der Viktimologie-Forschung. In: ÖJZ (Österreichische Juristen-Zeitung) 1999. S. 121.

Schneider, H.J. (Hrsg.)
Das Verbrechensopfer in der Strafrechtspflege. Berlin 1982.

Schneider, H.J.
Berücksichtigung viktimologischer Gesichtspunkte bei der Reform des Strafrechts, des Strafverfahrens und des Strafvollzugs. In: ÖJZ (Österreichische Juristen-Zeitung) 1990. S. 10.

Schafer, S.
Victimology: The Victim and his Criminal. Reston/Virginia 1977.

Schellhoss, H.
Wie teuer darf Kriminalitätsbekämpfung sein? In: Neue Kriminalpolitik 1/2004. S. 8–10.

Spieß, G./ Storz, R.
Informelle Reaktionsstrategien im deutschen Jugendstrafrecht: Legalbewährung und Wirkungsanalyse. In: Jugendstrafrechtsreform durch die Praxis – Konstanzer Symposium. 1989.

Eder-Rieder, M. A.
Der Opferschutz, Schutz und Hilfe für Opfer einer Straftat in Österreich. Wien 1998.

Velten, P.
Probleme der Strafverfolgung in den Fällen von Partnergewalt im Österreichischen Straf- und Strafprozessrecht, In: Flossmann, U. (Hrsg.), Probleme bei der Strafverfolgung von Gewalt in Familien, Empowerment der Opfer durch Sanktionssystem und Verfahrensrecht. Linzer Schriften zur Frauenforschung. Band 24. Linz 2003.

Wilson, J. Q./Kelling, G. l.
Polizei und Nachbarschaftssicherheit: Zerbrochene Fenster. KrimJ 1996. S. 121-137.

Wetzels, P. u.a.
Kriminalität im Leben alter Menschen. Stuttgart 1995

Tampe, E.
Verbrechensopfer. Schutz, Beratung, Unterstützung. Weimar u.a. 1992.

Tannenbaum, F.
Crime and the Community, London 1938, 1. Edition. 1951, 2. Edition.

Tumanishvili, G.
Erweiterung der strafprozessualen Rechtsstellung des Verletzten? Eine rechtsvergleichende Untersuchung am Beispiel des deutschen und georgischen Rechts. Hamburg 2008.

Quensel, S.
Wie wird man kriminell? In: Kritische Justiz 1970. S. 375-382.

Zipf, H.
Die Bedeutung der Viktimologie Für die Strafrechtspflege. In: MschKrim (Monatsschrift für Kriminologie und Strafrechtsreform) 1970. S. 1-13.

Zirn, V.
Mediation im strafrechtlichen Ermittlungsverfahren. Marburg 2007.

გამოყენებული ინტერნეტ-გვერდები:

http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=652&info_id=3496, 2012 wlis 30 oqtombris mdgomareobiT.
http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=23&info_id=2846, 2010 wlis 15 noembris mdgomareobiT.
http://www.ganrideba.ge/?action=page&p_id=27&lang=geo 2013 wlis 8 Tebervlis mdgomareobiT.
http://www.geostat.ge 2012 wlis 15 agvistos mdgomareobiT.
http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli2010.pdf.
http://www.planet-wissen.de/pw
http://www.medizinfo.de/kopfundseele/trauma/ptbs.shtml
http://www.ganrideba.ge 2013 wlis 8 Tebervlis mdgomareobiT.